საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

www.geworld.net

1 - 7 აგვისტო, 2012

№29 (167)

info@geworld.net

13 ნატო თუ ტერიტორიული მთლიანობა?

# სააკაშვილმა მობუტუს ლობისტი დაიქირავა


ჩარლზ ბლეკი



გვინდა თუ არა, რომ საქართველოს საქმეებთან რაიმე შეხება ჰქონდეს ადამიანს, რომელიც უბინძურესი დიქტატორების საქმიანი პარტნიორი იყო? თანახმა ვართ თუ არა მას თუნდაც ერთი თეთრი გადავუხადოთ? რატომ უნდა ჩამოვართვათ ხელი ადამიანს, რომელიც მკვლელების ინტერესებს ლობირებდა? 4



8 თემურ ჭკუასელი:

## წამხდარ ყანას ჰგავს დღეს გურია



10 დავით ზურაბიშვილი:

## გამსახურდია ცუდად მოიქცა ოსებთან და აფხაზებთან დაკავშირებით

## რა დაგიშავეთ, ძია სემ?! 2

6 **უმინო საქართველოს უმიშო საქართველო ჯობია**

სავარგულების უდიდესი ნაწილი უცხოელმა ინვესტორებმა: არაბებმა, ინდუსებმა და ბულგარელებმა შეისყიდეს

პოლიტიკა

საქართველო და მსოფლიო

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

მიხეილ სააკაშვილი ობამას ადმინისტრაციისთვის არც ისე სასურველი პარტნიორია. მისი ზოგადი „პროამერიკულობა“ ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, ფაქტია, რომ სააკაშვილი, აგერ უკვე 5 წელია, საქართველოში სტაბილური მდგომარეობის მიღწევას ვერ ახერხებს და კრიზისების მუდმივ გენერაციას ახდენს. ის დაემსგავსა ჭირვეულ ბარტყს, რომელმაც ფრენა ვერ ისწავლა და ისევ ყურადღებასა და საკვების მიწოდებას მოითხოვს.

# რა დაგიშავეთ, ძია სემ?

**დახუჭავს თუ არა თვალს ვაშინგტონი საქართველოში არჩევნების გაყალბებაზე? ბოლო თვეებია, ადგილობრივი კომენტატორების ნაწილი ამაზე ფიქრით იძინებს და იღვიძებს; მას არაპროპორციულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება. საუბარი იმაზე, მოხდება თუ არა გაყალბება საერთოდ, პრაქტიკულად შეწყდა. ოპოზიციის გადასახედიდან არჩევნები აპრიორი გაყალბებულია და, საერთოდ, საუბარი პატიოსან არჩევნებზე ფალსიფიცირებული სიების, ადმინისტრაციული რესურსის აღვირახსნილი გამოყენების, ზონდერების ძალადობისა და მედიის შეზღუდვის ფონზე შეუძლებელია. საპირისპიროს მტკიცებით თავს არც ხელისუფლება იკლავს, რადგან ოპონენტის გადარწმუნება შეუძლებელია, თანაც ეს ერთობ დაემსგავსება ბორდელის მეპატრონის ლექციას კდემამოსილებაზე. ყველასათვის ცხადია, რომ ქვეყანა არა არჩევნებისკენ, არამედ ყოვლისმომცველი კრიზისისკენ მიდის და ორივე დაპირისპირებული მხარე ცდილობს, წინასწარ ამოიცნოს, რა განცხადებები გაკეთდება ვაშინგტონში, რათა ისინი თავის სასარგებლოდ გამოიყენოს.**



ოქტომბრის კრიზისის დროს მმართველი ძალა, სავარაუდოდ, შეეცდება, გამოიყენოს ის ტაქტიკური შესაძლებლობები, რომელთაც აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნები მისცემს, რათა «ივანიშვილის პრობლემა» სამუდამოდ მოაგვაროს

## ჭირვეულის მორჯულება-2

როგორც წესი, ოქტომბრის კრიზისის წარმოდგენის დროს, მასზე ძალთა დღევანდელი ბალანსის პროეცირება ხდება. არადა, სიტუაცია შეიძლება დრამატულად შეიცვალოს. **არჩევნებამდე 1-1,5 თვით ადრე ივანიშვილი, ძალიან დიდი ალბათობით, „პენლების დარტყმას“ დაიწყებს; ეს ძლიერი, მოულოდნელი და ეფექტური ნაბიჯების სერია იქნება, რომელიც მმართველ ძალას რეიტინგის სწრაფი ვარდნისა და რღვევის რეალური საფრთხის წინაშე დააყენებს.** ამ დროს **სააკაშვილს შეიძლება ნერვებმა უმტყუნოს და სრულიად ველურ რეპრესიებს მიმართოს.** ვერ გამოვრიცხავთ, რომ ამ პერიოდის შემდეგ ერთი ან მეორე ძალა არჩევნებამდე ნახევრად-დაშლილ, დემორალიზებულ მდგომარეობაში მივა, ამიტომ, ალბათ, არამართებულია, კრიზისის პიკი მხოლოდ არჩევნების შემდგომ დღეებს დავუკავშიროთ; ბევრი, კრიტიკულად მნიშვნელოვანი რამ შეიძლება უფრო ადრე მოხდეს, ხოლო არჩევნების ბედი არჩევნებამდე გადაწყდეს.

ამ აუცილებელი შენიშვნის შემდეგ, ალბათ, „კანონიკურ“ სქემას უნდა დავუბრუნდეთ, რომლის ფარგლებში **სააკაშვილის ცესკო რაღაც პარანორმალურ ციფრებს გამოაქვეყნებს, ხოლო ოპოზიცია კონკრეტული ფაქტების აფრიალებით ტოტალურ გაყალბებაზე აყვირდება. ამ მომენტში ამერიკელების შეფასება ორივე მხარის შემდგომ მოქმედებაზე, განმსაზღვრელ თუ არა, ძალზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს. ჩვენ შეიძლება არ მოგვწონდეს ის, რომ უცხო სახელმწიფოს პოზიციას ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა დღეს რეალობა ასეთია და მას ვერსად გავექცევით.**

**მიხეილ სააკაშვილი ობამას ადმინისტრაციისთვის არც ისე სასურველი პარტნიორია. მისი ზოგადი „პროამერიკულობა“ ამ შემთხვევაში ნაკლებად მნიშვნელოვანია, ფაქტია, რომ სააკაშვილი, აგერ უკვე 5 წელია, საქართველოში სტაბილური მდგომარეობის მიღწევას ვერ ახერხებს და კრიზისების მუდმივ გენერაციას ახდენს. ის დაემსგავსა ჭირვეულ ბარტყს, რომელმაც ფრენა ვერ ისწავლა და ისევ ყურადღებასა და საკვების მიწოდებას მოითხოვს.** სააკაშვილს მუდამ პრობლემები აქვს — ჯერ პატარკაციშვილთან, შემდეგ გაერთიანებულ ოპოზიციასთან, შემდეგ ბურჯანაძესთან, ახლა უკვე ივანიშვილთან და, ხელისუფლებაში დარჩენა რომც მოახერხოს, ერთ-ორ წელიწადში ახალი, შესაძლოა, გაცილებით რთული პრობლემები შეექმნება. სხვანაირად ვერც მოხდება, როდესაც მმართველი ძალა პოლიტიკური სივრცის სრულ ოკუპირებას ცდილობს და თუნდაც საკვანძო საკითხებზე ეროვნული ერთიანობის მიღწევას ვერ ახერხებს; პრობლემა ამ შემთხვევაში არა სააკაშვილის ოპონენტებში, არამედ თავად სააკაშვილშია. ამასთანავე, „ნაცმოძრაობის“ ბელადი ამ წლების განმავლობაში გამუდმებით ცდილობდა (ცხადია, მისი მოკრძალებული შესაძლებლობებიდან გამომდინარე) გაეღვივებინა დაპირისპირება აშშ-სა და რუსეთს შორის, ხოლო ობამას ადმინისტრაციასთან ურთიერთობაში ჯონ მაკკეინთან და რესპუბლიკელ მეგობრებთან ერთად, ფაქტობრივად, შანტაჟს მიმართავდა; ამის ილუსტრირება თუნდაც საქართველოსთვის ამერიკული იარაღის მიწოდების ეპოპეის მაგალითზე შეიძლება.



თუ ერთ მშვენიერ დღეს ბარაკ ობამას დაურეკავენ და ეტყვიან, რომ სააკაშვილი საქართველოს მმართველი აღარ არის, ნაკლებად სავარაუდოა, განსაკუთრებული პროტესტის გრძნობა გაუჩნდეს

იქ, სადაც ვაშინგტონის პარტნიორი მუდამ ჭირვეულობს და პრობლემებს ქმნის, აშშ-ის ინტერესების გატარება ფერხდება და ამერიკელები იძულებულნი ხდებიან მიკრომენეჯმენტის ჭაობში ჩაეფლონ. **სააკაშვილის ჩანაცვლება უფრო ადეკვატური ფიგურით ობამას ადმინისტრაციისთვის სასურველია, თუმცა დღეს ჩვენ ვერ ვიტყვით, რომ არჩევანი საბოლოოდ ივანიშვილის სასარგებლოდ გაკეთდა; ამერიკელები ჯერ კიდევ ორჭოფობენ და ეს არაფორმალური საუბრების დროსაც დასტურდება. სიმპათია „ქართული ოცნების“ ლიდერის მიმართ ნამდვილად იგრძნობა, მაგრამ არ ჩანს, რომ საბოლოო დასკვნა გამოტანილია, როგორც ეს 2003 წლის შემოდგომის დასაწყისში იყო. თუმცა, მეორეს მხრივ, თუ ერთ მშვენიერ დღეს ბარაკ ობამას დაურეკავენ და ეტყვიან, რომ სააკაშვილი საქართველოს მმართველი აღარ არის, ნაკლებად სავარაუდოა, განსაკუთრებული პროტესტის გრძნობა გაუჩნდეს.**

დღეს თავისებური ტრანზიტული პერიოდია, როდესაც ვაშინგტონში თანდათან იცვლება დამოკიდებულება წამყვანი ქართველი პოლიტიკოსების მიმართ და ეს ცვლილებები „ნაცმოძრაობისთვის“ სასიკეთო არ არის. **სააკაშვილის ამოცანაა, ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ პოლიტიკურ სივრცეს მანამდე ჩამოაშოროს, ვიდრე ეს პერიოდი დასრულდება, თორემ გაწელილ „პოზიციურ“ პოლიტიკურ ომში ივანიშვილთან არც საქართველოში, არც მის ფარგლებს გარეთ მას რამდენადმე რეალური შანსი არ აქვს.** აქ საუბარია არა არჩევნების „მოგებაზე“ რამდენიმე პროცენტით, არამედ მოწინააღმდეგე ძალის სრულ ▶

## გრენლანდიის ყინულებმა მოულოდნელად დნობა დაიწყო

**ნასამ გრენლანდიის ყინულების მოულოდნელ დნობაზე ინფორმაცია გაავრცელა. კუნძულის ყინულოვანი საფარი მიმდინარე წლის ივლისში გაცილებით მასშტაბურად დადნა, ვიდრე ეს რეგიონში წლის ამ პერიოდში ხდება.** მსგავსი დნობა მეცნიერებს თანამგზავრული დაკვირვებით ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში არ გამოუვლენიათ. ყინული გრენლანდიის ყველაზე მაღალ და ცივ ადგილზე – კვლევით სადგურ „სამიტის“ ტერიტორიაზეც დადნა. დამდნარი ყინულის მოცულობამ მთელი ყინულის საფარის 97 პროცენტი შეადგინა. მეცნიერები ამ მოვლენას ჯერჯერობით ვერ ხსნიან და შექმნილ მდგომარეობას საგანგებოს უწოდებენ. თუმცა ისინი ვარაუდობენ, რომ დამდნარი წყალი კვლავ ყინულად გადაიქცევა.



**საააკაშვილის ცესკო რაღაც პარანორმალურ ციფრებს გამოაქვეყნებს, ხოლო ოპოზიცია კონკრეტული ფაქტების აფრიალებით ტოტალურ გაყალბებაზე აყვირდება. ამ მომენტში ამერიკელების შეფასება ორივე მხარის შემდგომ მოქმედებაზე, განმსაზღვრელ თუ არა, ძალზე მნიშვნელოვან ზეგავლენას მოახდენს. ჩვენ შეიძლება არ მოგვწონდეს ის, რომ უცხო სახელმწიფოს პოზიციას ასეთი დიდი მნიშვნელობა ენიჭება, თუმცა დღეს რეალობა ასეთია და მას ვერსად გავექცევით.**

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# რუსეთ-საქართველოს ახალი ომი რომნის შესაძლებლობას მისცემს, ობამას «გადატვირთვის» პოლიტიკას გადაუაროს



◀ ანიჰილაციაზე, რადგან, თუ საქმე მხოლოდ „ქართული ოცნებისთვის" დაბალი პროცენტების დაწერით შემოიფარგლება, ის პოლიტიკურ არენაზე დარჩება და ბრძოლას გაზრდილი ენერგიითა და ახალი შესაძლებლობებით გააგრძელებს. **„ქართული ოცნების" განადგურებას „ნაციონალური მოძრაობა", სავარაუდოდ, განიხილავს როგორც ხელისუფლებაში დარჩენის აუცილებელ წინაპირობას,** თუმცა შიშობს, რომ ზედმეტად ხისტი მეთოდები რევოლუციას ან ამერიკელი პარტნიორების მკვეთრად უარყოფით რეაქციას გამოიწვევს. ოქტომბრის კრიზისის დროს მმართველი ძალა, სავარაუდოდ, შეეცდება, გამოიყენოს ის ტაქტიკური შესაძლებლობები, რომელთაც აშშ-ს საპრეზიდენტო არჩევნები მისცემს, რათა „ივანიშვილის პრობლემა" სამუდამოდ მოაგვაროს. რა შესაძლებლობებზე შეიძლება საუბარი ამ შემთხვევაში?

### გილიოტინა აუტკივარი თავისთვის

**მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ამერიკული არჩევნების გამო ოქტომბერში თეთრ სახლს „საქართველოსთვის არ ეცლება", არასერიოზულია, თუმცა რიგმა ფაქტორებმა შეიძლება სააკაშვილის სასარგებლოდ იმუშაოს.**

ოქტომბერში შტატებში ობამასა და რომნის დებატები გაიმართება, ამ პერიოდში საგარეო პოლიტიკა, როგორც წესი, უკანა პლანზე გადადის, თუმცა არის გამონაკლისებიც; **კრიზისმა უცხოეთში, რომელსაც ამერიკული საზოგადოება საკუთარ თავთან დაკავშირებულად აღიქვამს არჩევნების ბედზე შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს.** შორს რომ არ წავიდეთ, შეგვიძლია გავიხსენოთ ირანში ამერიკელების მძევლების აყვანასთან დაკავშირებული ისტორია, რომელიც ჯიმი კარტერს პრეზიდენტობის ფასად დაუჯდა. გარკვეული ზეგავლენა 2008 წლის წინასაარჩევნო განწყობებზე აგვისტოს ომმა მოახდინა, თუმცა ჯონ მაკკეინმა ეს შესაძლებლობა ვერ გამოიყენა. ამასთანავე, ერთია კონფლიქტი, რომელშიც უშუალოდ ჩართულია აშშ, რუსეთი, ჩინეთი და ისრაელი, და სულ სხვაა ლოკალური მნიშვნელობის გარჩევები, რომელიც ამერიკულ საზოგადოებას დიდად არ ანაღვლებს. მაგალითად, თუ 2008 წლის აგვისტოში დაიწყებოდა არა რუსეთ-საქართველოს, არამედ საქართველო-აზერბაიჯანის, უზბეკეთ-თურქმენეთის ან ვიეტნამ-ლაოსის ომი, ამერიკელი ამომრჩეველი მას განსაკუთრებულ ყურადღებას არ მიაქცევდა. დღეს ჩვენ შეგვიძლია სამი პრობლემური მიმართულება გამოვყოთ:

**1) ისრაელის საჰაერო იერიში ირანის წინააღმდეგ, ირანის მიერ ორმუზის სრუტის გადაკეტვა, მისი შეტევა ისრაელზე ან საუდის არაბეთზე; მოკლედ, ისეთი სიტუაცია, როდესაც ფართომასშტაბიანი ომის რეალური საფრთხე გაჩნდება და აშშ პროცესებში აქტიურად ჩაერევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სცენარებზე ბევრს საუბრობენ, იმის ალბათობა, რომ მსგავსი რამ აშშ-ის პრეზიდენტის არჩევამდე მოხდება არც ისე დიდია;**

**2) თუ ბაშარ ასადი შემოდგომამდე გაძლებს, რაც სათუოა, რომნიმ შეიძლება მწვავედ გააკრიტიკოს ობამა იმისთვის, რომ სირიულ ოპოზიციას აქტიურად არ ეხმარება, თუმცა უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ ამერიკული საზოგადოება არ ემხრობა აშშ-ის ინტერვენციას სირიაში. ასე რომ, სპეკულაციებს ამ თემაზე გარკვეული ზღვარი აქვს. საერთოდ, სიტუაცია სირიაში რთულია, ვერ გამოვრიცხავთ, რომ მალე იქ კიდევ უფრო ტრაგიკული მოვლენები განვითარდება და დაიწყება ტოტალური სისხლისღვრა, რომელშიც არაერთი უცხო ქვეყანა ჩაერთვება;**

**3) რუსეთ-საქართველოს ახალი ომი, რომელიც რომნის შესაძლებლობას მისცემს, ობამას „გადატვირთვის" პოლიტიკას გადაუაროს. ობიექტურად თუ მივუდგებით, მისი დაწყების ალბათობა დღეს შედარებით მცირეა, თუმცა, ვინაიდან საქმე უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნილ მიხეილ სააკაშვილთან გვაქვს, სწრაფი ესკალაციის შესაძლებლობა, ალბათ, არ უნდა გამოვრიცხოთ.**

ფართომასშტაბიანი ომი კორეის ნახევარკუნძულზე, კონფლიქტები ჩინეთის მონაწილეობით ნაკლებად სავარაუდოა და მათ ცალკე არ გამოვყოფთ.

რაიმე სხვა, იქნება ეს პოსტსაარჩევნო კრიზისი საქართველოსა და ანგოლაში (ორივეგან მოსალოდნელია) თუ მონღოლი მწყემსების კონფლიქტი ბრაზილიელ მეთევზეებთან, ამერიკელ ამომრჩეველს, სავარაუდოდ, ვერ მიიზიდავს. მიუხედავად ამისა, **ობამას ადმინისტრაცია არჩევნებამდე მაინც ეცდება, საჩოთირო სიტუაციებში გარკვეული სიფრთხილე გამოავლინოს, რათა მიტ რომნის კრიტიკისთვის დამატებითი არგუმენტები არ მისცეს; მისი ნაბიჯები შეძლებისდაგვარად ფრთხილი იქნება.** მიუხედავად იმისა, რომ რომნის საერთაშორისო ურთიერთობებში იმდენივე გაეგება, რამდენიც სააკაშვილს სამხედრო საქმეში (ეკონომიკაში, პოლიტიკაში, არქიტექტურაში და ა. შ.), მისი კონსულტანტები შესაძლებლობას ხელიდან არ გაუშვებენ. ეს, რამდენიმე თვით, სავარაუდოდ, ყველა პრობლემურ ქვეყანასთან, მათ შორის საქართველოსთან ურთიერთობაზე აისახება და ჩვენ ვიხილავთ, ფრთხილ პოლიტიკას, რომლის ფორმირებასა და ტაქტიკურ მანევრირებაში უდიდეს როლს სახელმწიფო დეპარტამენტი შეასრულებს, იქ კი წინასაარჩევნოდ საკმაოდ საინტერესო სიტუაცია შეიქმნება.

### კარს თუ გაიჯახუნებს?

**ჰილარი კლინტონი მიდის არა მხოლოდ საგარეო უწყებიდან, არამედ პოლიტიკიდან. კრიზისი საქართველოში პიკს მაშინ მიაღწევს, როდესაც ის თანამდებობას კვლავინდებურად შეინარჩუნებს, თუმცა განსაკუთრებული ინტერესი უცხოეთში, ისევე, როგორც სახელმწიფო დეპარტამენტში მიმდინარე პროცესების მიმართ, სავარაუდოდ, აღარ ექნება. სწორედ ამ პერიოდში ქართველი პოლიტიკოსების ლობისტები დაიწყებენ ბრძოლას იმ ყბადაღებული განცხადებისთვის, რომელსაც საქართველოში ასეთი მნიშვნელობა ენიჭება და შეეცდებიან, მიმავალი კლინტონის ფაქტორი სათავისოდ გამოიყენონ.**

პირველი სიგნალი იმის თაობაზე, რომ სააკაშვილის ჯგუფმა შეიძლება ამ მიმართულებით აქტიური მუშაობა დაიწყოს, სახელისუფლო პროპაგანდის მიერ ჰილარი კლინტონის ფაქტობრივი გაღმერთება გახდა საქართველოში მისი ჩამოსვლის შემდეგ, მეორე სიგნალად კი შეიძლება ერთ-ერთი ახალი ლობისტის, ყოფილი დემოკრატი კონგრესმენის — დიკ გეპჰარდტის დაქირავება განვიხილოთ. როგორც ლობისტი, ის, შეიძლება ითქვას, ახალბედაა და განსაკუთრებული მიღწევები არ აქვს, თუმცა ის ნამდვილად მოიაზრება ადამიანად, რომელსაც კლინტონთან „შეესვლება და სიტყვაც ეთქმის".

საერთოდ, ობამას საგარეოპოლიტიკური გუნდი სამი ჯგუფის წარმომადგენლებისგან შედგება. დაყოფა, რომელსაც ახლა შემოგთავაზებთ, შემოიღო ჯეიმს მანმა თავის ძალიან საინტერესო წიგნში „ობამელები" და მას მკვლევართა უმრავლესობა იზიარებს. ხსენებულ გუნდში შედიან არაფორმალური „ასპენის სტრატეგიული ჯგუფის" წარმომადგენლები. ის საგარეო პოლიტიკის იმ ექსპერტებს აერთიანებს, რომლებმაც საკმაო ცოდნა და გამოცდილება დააგროვეს, მაგრამ მაღალ თანამდებობებზე ობამას მოსვლამდე არ უმუშავიათ. მეორე ჯგუფს ჯეიმს მანი „ობამელებს" ან „საკუთრივ ობამელებს" უწოდებს, ლიდერის ერთგულ, კლინტონების გავლენისგან თავისუფალ დემოკრატებს; მათ სათანადო გამოცდილება აკლდათ და სწავლა ბუშისა და კლინტონის ადმინისტრაციის „მამონტებისგან" მოუხდათ. მესამე ჯგუფს კი კლინტონების ოჯახთან დაახლოებული პირები შეადგენდნენ.

საქმე ისაა, რომ ბზარი ჰილარი კლინტონსა და გუნდის სხვა წევრებს შორის ყოველთვის ფიქსირდებოდა. ლამაზი სიტყვების მიუხედავად, „დიდი ერთობის" ჩამოყალიბებას ადგილი არ ჰქონია. **ბოლო დროს მიმავალი ჰილარი კლინტონისა და თეთრი სახლის პოზიციას შორის სხვაობა არაერთგზის დაფიქსირდა.** მაგალითად, ივნისში სირიისთვის რუსული იარაღის მიწოდების საკითხზე ორი მხარე აშკარად სხვადასხვა ტონალობაში საუბრობდა, შეიქმნა მყარი შთაბეჭდილება, რომ ობამას გუნდი სახელმწიფო მდივნის განცხადებების კომენტირება-კორექტირებას ახდენს.

# ცხადია, სახელმწიფო დეპარტამენტი ჰილარი კლინტონის ფეოდალური სამფლობელო არ არის და მას არ შეუძლია აშშ-ის საგარეო პოლიტიკა საკუთარი ემოციების შესაბამისად წარმართოს



**ცხადია, სახელმწიფო დეპარტამენტი ჰილარი კლინტონის ფეოდალური სამფლობელო არ არის და მას არ შეუძლია აშშ-ის საგარეო პოლიტიკა საკუთარი ემოციების შესაბამისად წარმართოს, მაგრამ როდესაც ოქტომბერში, საქმე ქართული არჩევნების თაობაზე განცხადების გაკეთებას შეეხება, სააკაშვილის ლობისტებს შესაძლებლობა მიეცემათ, გამოიყენონ ხსენებული „ბზარი", ითამაშონ კლინტონის განწყობაზე, რომლისთვისაც ბევრი რამ უკვე სულერთი იქნება, ისარგებლონ გარდამავალი სიტუაციით სახელმწიფო დეპარტამენტში და „გაათრიონ" რამდენიმე ფორმულირება, რომლებიც სააკაშვილის მხარდაჭერის ილუზიას შექმნის.**

სააკაშვილის ჯგუფი ოცნებობს ასეთი ტიპის განცხადებაზე, რომელიც მას ხელებს გაუხსნის; ეს მისთვის ერთგვარ აკვიატებულ იდეად იქცა. იმას, თუ რა მოხდება ხელების გახსნის და ქნევის შემდეგ, ისინი, როგორც წესი, არ უფიქრდებიან.

თუმცა, ასე იქნება თუ ისე, მთავარია, ოქტომბერში არ დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს ბედს ვწყვეტთ ჩვენ და არა ჰილარი როდჰემ კლინტონი ან თუნდაც ბარაკ ჰუსეინ ობამა.

**დიმიტრი მონიავა**

## «ალ ქაიდა» დარტყმას «აშშ-ის გულში» ამზადებს

**„ალ ქაიდას" ბოევიკები „აშშ-ის გულში" ტერაქტს ამზადებენ. დაჯგუფების ერაყული განყოფილების ხელმძღვანელის მიერ გავრცელებულ მიმართვაში ნათქვამია, რომ ტერორისტები უკვე ამერიკაში მიდიან.** „მოჯაჰედები უკვე გავიდნენ თქვენი არმიის კვალზე, რომელიც გაიქცა", — წერს ლიდერი და აგრძელებს: „მათ დაიფიცეს, დაგსაჯონ თქვენ გაცილებით უფრო სასტიკი მეთოდით, ვიდრე ეს უმასა ბინ ლადენმა გაკეთა", — წერს აბუ ბაკრ ალ-ბაგდადი. იგი არ აკონკრეტებს, თუ კერძოდ სად აპირებენ ისინი დარტყმის მიყენებას. „უახლოეს მომავალში თქვენ ნახავთ მათ (ბოევიკებს) თქვენი ქვეყნის გულში, ვინაიდან ჩვენი ომი თქვენ წინააღმდეგ უკვე დაიწყო", — ნათქვამია განცხადებაში. აშშ-ის სპეცსამსახურები ამაზე აცხადებენ, რომ ხშირად ტერორისტები ტერაქტებით იმუქრებიან, თუმცა მათი მუქარა არ მართლდება. აშშ-ის ფედერალური უსაფრთხოების სამსახური კი აცხადებს, რომ ნიუ იორკს არაფერი ემუქრება.



დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**გვინდა თუ არა, რომ საქართველოს საქმეებთან რაიმე შეხება ჰქონდეს ადამიანს, რომელიც უბინძურესი დიქტატორების საქმიანი პარტნიორი იყო? თანახმა ვართ თუ არა მას თუნდაც ერთი თეთრი გადავუხადოთ? რატომ უნდა ჩამოვართვათ ხელი ადამიანს, რომელიც მკვლელების ინტერესებს ლობირებდა?**

# სააკაშვილმა მობუტუს ლობისტი დაიქირავა

**სააკაშვილის ხელისუფლებამ კონტრაქტი კიდევ ორ ამერიკულ ლობისტურ ფირმასთან — Prime Policy Group-თან და Gephardt Government Affairs-თან გააფორმა. Prime Policy Group-ის ხელმძღვანელ ჩარლზ ბლეკს ვაშინგტონელი ლობისტების უმრავლესობისგან ის გამოარჩევს, რომ მისი კლიენტები იყვნენ ისეთი ოდიოზური დიქტატორები, როგორც სომალის პრეზიდენტი მუჰამედ სიად ბარე, ფილიპინების პრეზიდენტი ფერდინანდ მარკოსი, ზაირის პრეზიდენტი მობუტუ სესე სეკო, ნიგერიის პრეზიდენტი იბრაჰიმ ბაბანგიდა, აგრეთვე, ანგოლური მეამბოხე დაჯგუფება „უნიტას" ლიდერი ჟონას სავიმბი. ახლა ამ სიაში მიხეილ სააკაშვილიც შევიდა და გარკვეული ლოგიკა ამაში, ალბათ, არის.**



ჩარლზ ბლეკი



მობუტუ და რონალდ რეიგანი

ჩარლზ ბლეკი 1947 წელს დაიბადა. მისი თქმით, პოლიტიკით ჯერ კიდევ 1964-ში მოიხიბლა, როდესაც უფროსკლასელი იყო და ბარი გოლდუოტერის კამპანიაში ჩაერთო. 1976-1992 წლებში ის რესპუბლიკელი კანდიდატების საპრეზიდენტო კამპანიებში მონაწილეობდა, 2000-სა და 2004-ში უმცროსი ბუშის მრჩეველი იყო. მისი სტატუსი და გავლენა გადაწყვეტილებების მიღებაზე თანდათან იზრდებოდა, **2008-ში ჯონ მაკკეინის შტაბში მან ერთ-ერთი მთავარი ადგილი დაიკავა და პოლიტიკური სტრატეგიის შემუშავებაზე განმსაზღვრელ ზეგავლენას ახდენდა. დღეს ჩარლზ ბლეკი, რომელიც ყოველთვის რესპუბლიკების ერთგული იყო, მიტ რომნისთან თანამშრომლობს.**

**80-იანების დასაწყისში ჯონ ბლეკმა პარტნიორებთან ერთად დააფუძნა ლობისტური ფირმა Black, Manafort, Stone and Kelly, 1996-ში ის Good & Liebengood-ს შეერწყა, რის შედეგადაც წარმოიქმნა BKSH&Associates. ამ ფირმების მომსახურებით არაერთმა ამერიკულმა კომპანიამ და უცხოურმა მთავრობამ ისარგებლა, მაგრამ ამავე დროს ბლეკს და მის პარტნიორებს მუდამ აკრიტიკებდნენ დიქტატორებთან კავშირის გამო;** 2008 წლის კამპანიის დროს ნიუ იორკის უნივერსიტეტის პროფესორმა **პოლ ლაითმა** „ვაშინგტონ პოსტთან" საუბარში განაცხადა: **„მაკკეინი თავს სუფთა პოლიტიკოსად წარმოაჩენს და გარშემო ჰყავს ლობისტები, რომელთაც კავშირი არც ისე სუფთა ხალხთან აქვთ".** მან ასევე აღნიშნა, რომ მაკკეინის გვერდით იმ ადამიანების ყოფნა, რომელთა „კლიენტები დიქტატორები არიან", ობამას უპირატესობას ანიჭებს.

ბლეკმა, ბრალდებების საპასუხოდ განაცხადა, რომ მისი ფირმები **„არასოდეს წარმოადგენდნენ უცხოელებს სახელმწიფო დეპარტამენტთან და თეთრ სახლთან წინასწარი გასაუბრების და მათთან ერთად იმის გარკვევის გარეშე, რომ ეს სამუშაო აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ინტერესებს წაადგება".** იმის საილუსტრაციოდ, რომ დიქტატორებთან მუშაობის დროს პრინციპებზე უარს არ ამბობდა, ბლეკმა ორი მაგალითი მოიყვანა: როდესაც მისმა ფირმამ ფილიპინების მთავრობაზე მუშაობა დაიწყო, მარკოსი აშშ-ის მოკავშირედ ითვლებოდა, თუმცა, **„როგორც კი თეთრმა სახლმა მარკოსზე ხელი ჩაიქნია, მუშაობას იმავე დღეს თავი დავანებეთ".** მან ასევე თქვა, რომ მისი ფირმა იმისთვის დაიქირავეს, რომ მობუტუს პოლიტიკური პარტიების ფორმირებასა და არჩევნების ჩატარებაში დახმარებოდა, თუმცა, როდესაც მობუტუმ საპარლამენტო არჩევნების შედეგები გააუქმა, „მასთან მუშაობა შევწყვიტეთ" („ვაშინგტონ პოსტი", 22.05.08). რაც შეეხება ურთიერთობას ბაჰამის კუნძულების ხელისუფლებასთან, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც მას ნარკომოვაჭრეებთან კავშირში ადანაშაულებდნენ, ბლეკის ფირმის ოფიციალური განცხადების თანახმად, ის მხოლოდ და მხოლოდ ეხმარებოდა ბაჰამების ხელისუფლებას აშშ-ისგან ნარკომოვაჭრეებთან ბრძოლისთვის დამატებითი დახმარება მიეღო („ნიუ იორკ თაიმსი", 21.06.89).

**საინტერესო კომენტარი ბლეკმა ჟონას სავიმბისთან ურთიერთობაზე გააკეთა, რომელიც პრაქტიკულად იდენტურია „ნაციონალების" საყვარელი გამოთქმის „რა დროს დემოკრატიაა, მტერი 40 კილომეტრშია".** როდესაც სავიმბის ადამიანების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებდნენ, ბლეკმა თქვა: **„როდესაც მტერი სულ რაღაც ორი საათის სავალზეა იმ ადგილიდან, სადაც იმყოფები, შენ ტერიტორიას ნიუ-ჰემფშირის საკრებულოს წესების თანახმად ვერ მართავ".**

ბლეკისა და მისი პარტნიორების „აქტივშია" თანამშრომლობა XX საუკუნის ერთ-ერთ ყველაზე პათოლოგიურ დიქტატორთან, მუჰამედ სიად ბარესთან, რომლის მმართველობას ათი ათასობით ადამიანის სიცოცხლე და, ფაქტობრივად, სომალის სახელმწიფოებრიობა შეეწირა. ოთხმოციანების დასაწყისში რეიგანის ადმინისტრაციამ ჩათვალა, რომ შეიძლება ის თავის ერთგულ მოკავშირედ აქციოს, თუმცა რამდენიმე წლის შემდეგ თეთრ სახლში მივიდნენ დასკვნამდე, რომ ამ მონსტრს არაფერი ეშველებოდა. საგულისხმოა, რომ **ჩარლზ ბლეკი ავანსცენაზე, როგორც წესი, იმ მომენტში ჩნდებოდა, როდესაც ამა თუ იმ დიქტატურას სრულ კრახამდე ან ვაშინგტონთან ურთიერთობის მკვეთრ გაუარესებამდე ძალიან ცოტა დრო რჩებოდა. ის ხელს ისეთ სამუშაოს ჰკიდებდა, რომელზეც ვაშინგტონელი ლობისტების უმრავლესობა, 99%-იანი ალბათობით, ზიზღნარევი ღიმილით უარს იტყოდა.**

საერთოდ, ცხოვრება და აშშ-ის საგარეო პოლიტიკა ისეა მოწყობილი, რომ ვიღაცამ უნდა იმუშაოს ამ მობოტუებთან, სავიმბებთან და სააკაშვილებთან; მხოლოდ თეთრი ხელთათმანებით საქმის კეთება არ გამოდის და ჩარლზ ბლეკმა „შავი ხელთათმანის" როლი მოირგო. პირველი რანგის ექსპერტს და მითუმეტეს გენიოსს მას, ალბათ, მაინც ვერ ვუწოდებთ — 1980-ში მისმა არასწორმა რჩევამ კინაღამ შეიწირა რონალდ რეიგანის პოლიტიკური მომავალი, მნიშვნელოვანი როლი მას მაკკეინის კამპანიის წარუმატებლობაშიც მიუძღვის. მან ასევე ვერ მოახერხა (ეს, სავარაუდოდ, მის შესაძლებლობებს აღემატებოდა; პოლიტიკური კონსულტანტები და ლობისტები ჯადოქრები ნამდვილად არ არიან) პარტნიორი დიქტატორების „გადარჩენაც". თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბოლო ათწეულებში ჩარლზ ბლეკმა ძალიან დიდი გამოცდილება დააგროვა.

**განსაკუთრებით აქტუალური ბლეკის კავშირები 2008 წლის გაზაფხულზე გახდა. საქმე ისაა, რომ ჯონ მაკკეინი წლების განმავლობაში აქტიურად ებრძოდა საეჭვო ლობისტურ საქმიანობას და ვაშინგტონური ლობიზმის თანამედროვე კულტურას ზოგადად, თუმცა მის შტაბში საკვანძო თანამდებობაზე სწორედ რომ ლობისტები აღმოჩნდნენ.** მაკკეინს მოუწოდებდნენ ლობისტები, უპირველესად, ჩარლზ ბლეკი ჩამოეცილებინა. ზოგიერთი მათგანი იძულებული გახდა, წასულიყო მას შემდეგ, რაც მაკკეინის შტაბმა ახალი პოლიტიკა შეიმუშავა, რომლის თანახმად, კამპანიაში ჩართულ პირებს უნდა გაეწყვიტათ კავშირი ლობისტურ ფირმებთან და უცხოელ კლიენტებთან. **მიუხედავად იმისა, რომ ჩარლზ ბლეკს გამორჩეულად აკრიტიკებდნენ და ლიბერალურმა ორგანიზაცია MoveOn.org-მა „მსოფლიოს ყველაზე საშინელი ტირანების წარმომადგენელი" უწოდა,** მაკკეინმა ის დაიცვა და განაცხადა: „ბლეკი მუშაობდა თითოეულ საარჩევნო კამპანიაში, პრეზიდენტ რეიგანის პირველი კამპანიიდან მოყოლებული, მან გაწყვიტა ურთიერთობა ლობისტურ ჯგუფთან, რომელთანაც თანამშრომლობდა" („ვაშინგტონ პოსტი"). **ამ განცხადებიდან სულ მოკლე ხანში ჩარლზ ბლეკმა წარმოუდგენელი, ამერიკული არჩევნების ისტორიაში სრულიად უპრეცედენტო რამ გააკეთა და გამორიცხული არაა, რომ ჯონ მაკკეინმა მწარედ ინანა, რომ მას ასეთი თავგამოდებით იცავდა.**

ჟურნალ „ფორჩუნთან" საუბარში (2008 წლის 23 ივნისი) ბლეკმა განაცხადა, რომ მაკკეინისთვის მოგებიანია წინა პლანზე უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების გამოტანა. მან თქვა, რომ პაკისტანში ბენაზირ ბჰუტოს მკვლელობამ მაკკეინს ნიუ-ჰემფშირში პრაიმერი მოაგებინა. **ჟურნალისტის კითხვაზე: ხომ არ დაეხმარება მაკკეინს ახალი ტერაქტი აშშ-ის ტერიტორიაზე, ჩარლზ ბლეკმა უპასუხა: „რა თქმა უნდა, ეს მას სერიოზულ უპირატესობას მიანიჭებს".** ამ განცხადებამ მაკკეინი ლამის ჭკუიდან გადაიყვანა: **„ვერ წარმომიდგენია, რისთვის თქვა ეს ბლეკმა. ეს ტყუილია! 11 სექტემბრის ტრაგედიის შემდეგ მე დაუღალავად ვმუშაობდი იმაზე, რომ ახალი ტერაქტები არ მომხდარიყო".** ბლეკის განცხადება კარგად გამოიყენა ობამას შტაბმა, მას „სამარცხვინო" უწოდა და დასძინა: **„ეს იმ ცინიკური პოლიტიკის ნათელი მაგალითია, რომლის შეცვლას ვცდილობთ".** თავად ბლეკმა კი ჟურნალისტებთან საუბარში თქვა, **„რომ ღრმა სინანულს განიცდის თავისი არასათანადო განცხადებების გამო",** თუმცა ამერიკელი კომენტატორების ნაწილი დაეჭვდა; **აშკარა იყო, რომ გამოცდილი კონსულტანტი, რომელმაც მშვენივრად იცის, რომ ზოგიერთ შემთხვევაში დუმილს ოქროს** (ან ჟონას სავიმბის „სისხლიანი ალმასების") **ფასი აქვს, ასე უბრალოდ ასეთ აშკარა სისულელეს არ იტყოდა.**

ამ ინციდენტთან დაკავშირებით, გაჩნდა კონსპიროლოგიური ვერსია იმის თაობაზე, რომ ბლეკმა მიანიშნა მაკკეინს, რომ „ლაშქრობას ლობისტების წინააღმდეგ" მისი ინტერესები არ უნდა შეეწიროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მან შეიძლება სააშკარაოზე არასასურველი ინფორმაცია გამოიტანოს. ეს შეიძლებოდა ყოფილიყო ერაყის ომის წინარე პერიოდთან დაკავშირებული კომპრომატი, როდესაც ბლეკი აჰმად ჩალაბისა და მისი „ერაყის ეროვნული კონგრესის" ინტერესებს წარმოადგენდა, ან რაიმე, რაც უკავშირდებოდა ადმინისტრაციის საეჭვო კავშირებს საუდიტებთან, რომლებთანაც ბლეკი ასევე მუშაობდა. ასეთი დარტყმა მეტად საგრძნობი გახდებოდა არა იმდენად მიმავალი ბუშისთვის, რამდენაც პრეზიდენტობის კანდიდატ მაკკეინისთვის; თუმცა **ჩარლზ ბლეკის განცხადების პროეცირება არა მხოლოდ წარსულზე, არამედ მომავალზეც შეიძლება. მისი ინტერვიუდან თვე-ნახევარში ტერაქტი აშშ-ის ტერიტორიაზე არ მომხდარა, მაგრამ დაიწყო აგვისტოს ომი, რომელმაც მაკკეინის რეიტინგზე დადებითი გავლენა იქონია.** პრინციპში, ეს იყო ერთ-ერთი იშვიათი მომენტი წინასაარჩევნო პერიოდში, როდესაც მაკკეინს სიტუაციაში გარდატეხის შეტანა შეეძლო, თუმცა ობამას შტაბმა ძალთა სრული მობილიზებით ბლეკს და მის კოლეგებს რესპუბლიკელთა შტაბიდან აჯობა.

**ვერსია, რომ აგვისტოს ომის ერთ-ერთ მიზანს, მაკკეინისთვის დახმარების აღმოჩენა წარმოადგენდა, საქართველოში არაერთგზის გაჟღერდა, თუმცა მისი დოკუმენტური დასაბუთება, გასაგები მიზეზების გამო, ვერ ხერხდება, ამიტომ საუბარი ამ თემაზე ხშირად კონსპიროლოგიის სფეროში გადასვლას და სტრიქონებს შორის კითხვას უკავშირდება.**

მაკკეინსა და სააკაშვილს, პრინციპში, შეუძლიათ ნებისმიერ კონსულტანტს და ლობისტს მიმართონ, ეს მათი გემოვნების და, ასე ვთქვათ, ზნეობრივი პრინციპების საკითხია. თუმცა, **ვინაიდან ხელისუფლება ჰონორარს ჩარლზ ბლეკს არა „ნაცმოძრაობის" პარტიული სალაროდან, არამედ ჩვენ მიერ შევსებული ბიუჯეტიდან გადაუხდის, ორიოდე სიტყვა ამ სიტუაციაზე, ალბათ, გადამხდელებსაც გვეთქმის.** კონტრაქტის თანახმად, Prime Policy Group-ი „უზრუნველყოფს სტრატეგიულ რჩევებს და კონსულტაციებს, დახმარებას ნატოსთან დაკავშირებულ და წინასაარჩევნო საკითხებზე, ასევე კონგრესთან და აშშ-ის ადმინისტრაციასთან ურთიერთობებს და ადვოკატირებას „თავისუფალი ვაჭრობისა და დემოკრატიის საკითხების ხელშეწყობის" კუთხით" (Civil.ge). თუმცა შეიძლება გაჩნდეს „საფუძვლიანი ეჭვი", რომ მისი მთავარი ამოცანა მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი სააკაშვილის ჯგუფის ინტერესების ლობირება იქნება, მაგრამ ეს ასე რომც არ იყოს, რამდენიმე კითხვაზე პასუხის გაცემა ნებისმიერ შემთხვევაში მოგვიწევს.

**გვინდა თუ არა, რომ საქართველოს საქმეებთან რაიმე შეხება ჰქონდეს ადამიანს, რომელიც უბინძურესი დიქტატორების საქმიანი პარტნიორი იყო? თანახმა ვართ თუ არა მას თუნდაც ერთი თეთრი გადავუხადოთ? რატომ უნდა ჩამოვართვათ ხელი ადამიანს, რომელიც მკვლელების ინტერესებს ლობირებდა?**

**იქნებ მოსავლის გარეშე დარჩენილ მეგრელ გლეხს კახელზე ნაკლებად შია ან დანგრეულ სახლში ღამის გათენება უფრო ეიოლება? გაჭირვებაში მყოფს ხელს ვინც გაუწვდის, განა მას არ მისცემს ხმას? რა პოლიტიკაა ასეთი, რომელიც სტიქიისგან დაზარალებულებსაც კი ჯგუფებად ყოფს?**

პოლიტიკა
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# საოცნებო სეგრეგაცია

**„სამეგრელო საქართველოს ხერხემალია" — ეს გამოთქმა შევარდნაძემ მას შემდეგ დანერგა, რაც „მხედრიონს" მოათარეშებინა საქართველოს გული. ამ ხერხემალს არც ერთი უბედურება არ დაკლებია და იქნებ ამიტომაც თავისი „რევოლუციური" ლაშქრობა თბილისზე მიხეილ სააკაშვილმა სწორედ სამეგრელოდან დაიწყო. დღეს უკვე ავადსახსენებელი „წალენჯიხის ავტობუსი", წესით, ივანიშვილის მომხრეებს უნდა უყრიდეს თავს სააკაშვილის რეჟიმის დასამარცხებლად, მაგრამ შეუიარაღებელი თვალითაც ჩანს, რომ სამეგრელოში „ქართული ოცნების" პოზიციები არც ისე ძლიერია.**



დღეს ზოგიერთი ექსპერტი აცხადებს, რომ, თუ ალასანია ზუგდიდში მაჟორიტარულ არჩევნებს მოიგებს, მისი საპრეზიდენტო შანსები გაიზრდება, თუმცა **როგორ უნდა მოუგოს მან ახალაიების კლანს, ამის ახსნას ბევრი ვერ ახერხებს. „საქართველო და მსოფლიო" უკვე წერდა ამ თემაზე. მაისში ალასანიამ მონდომებით მოიარა სამეგრელოს სოფლები: თეკლათი, ლეწურწუმე, ურთა, ინგირი და დიპლომატიური ტექსტებით ესაუბრა იქაურ გლეხობას.** მაშინ ვწერდი: „ხელისუფლებამ ალასანიას გამოწვევა მიიღო და ზუგდიდის მაჟორიტარობის კანდიდატად როლანდ ახალაია განიხილება. სამეგრელოში ჩასვლა ეგრე არ უნდაო და მაისის ბოლოს ბაჩო ახალაიაც ზუგდიდში გადავიდა საცხოვრებლად. დიპლომატიური და სტერილური ალასანიასგან განსხვავებით, იგი, მართალია, ხშირად იგინება, მაგრამ მეგრულად მაინც ლაპარაკობს. ალასანია კი სამეგრელოში „პარკეტნი" მეგრელს უფრო ჰგავს, რომელსაც ერთი და იმავე სიტყვებით წალენჯიხელი, ჩხოროწყუელი და მარტვილელი ამომრჩევლის მოხიბვლა სწადია".

**როგორ უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, ასეთი აქტივობა ირაკლი ალასანიას სამეგრელოში 29 მაისს დატრიალებული სტიქიის შემდეგ აღარ ჰქონია. მას რომ სამეგრელოში კენჭისყრა არ უნდოდეს, ამაში გაუგებარი არაფერი იქნებოდა, მაგრამ „ქართულ ოცნებას" ხომ ნამდვილად სჭირდება სამეგრელოს ხმები? არჩევნების შედეგებს, თბილისთან ერთად, დიდწილად რომ სამეგრელო წყვეტს, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა. მაშ, რა ხდება?**

ალასანია „უბატონო" ლიდერი აღარ არის, მის ზემოთ ბიძინა ივანიშვილი დგას. სულ ახლახან ივანიშვილმა მოხერხებულად გადაიხადა მმართველი რეჟიმის მიერ დაკისრებული ჯარიმა და ქულებიც დაიწერა; ხელისუფლებას მოსთხოვა, მისი 80 მილიონი კახეთში სტიქიით დაზარალებულებისთვის მოეხმარებინა. **ივნისის შუა რიცხვებში, როცა სასამართლომ ჯარიმის საბოლოო რაოდენობა დაუდგინა, სამეგრელოში წყალდიდობა ორი კვირის მომხდარი იყო, მაგრამ ივანიშვილს არც უფიქრია დაზარალებულებისთვის დახმარების აღმოჩენა.**

ეს, ცხადია, თეორიული განსჯაა, რადგან რაში დახარჯავს მილიონებს, ჩვენი ხელისუფლება, ივანიშვილს კი არა, ჰილარი კლინტონს არ უთანხმებს, მაგრამ ამ თეორიულ განსჯაშიც კი სამეგრელოს ხსენება, თუ კარგს არა, ცუდს არაფერს მოუტანდა ივანიშვილს. იქნებ ეს შემთხვევითობაა? გადავხედოთ ივანიშვილის მიერ გაწეული დახმარებების გრძელ ნუსხას. გაგიკვირდებათ, მაგრამ ამ ჩამონათვალში ვერც ერთ „მეგრულ პროექტს" ვერ ნახავთ. **მის მიერ განხორციელებულ დახმარებებში იმერეთი** (გასაგებია!), **აჭარა, გურია, ქართლი და თბილისი ფიგურირებს. ეს არის ათობით სკოლა, საცხოვრებელი სახლი, კულტურისა და სოციალური დანიშნულების უამრავი ობიექტი, მაგრამ სამეგრელოში — არც ერთი!**

**დავუშვათ, ჩვეულებრივ ვითარებაში ივანიშვილმა საჭიროდ არ მიიჩნია სამეგრელოს დახმარება, მაგრამ სტიქიამ ეს კუთხე იმდენად დააზარალა, რომ სოფლებიც დაეწყარა, სახლებშიც შევარდა, ნათესებიც გაანადგურა და პირუტყვიც დახოცა.**

წალენჯიხის რაიონის სოფელ სამესხიოში მეწყერმა რამდენიმე სახლი დაანგრია. უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახები დროებით სკოლის შენობაში გადაიყვანეს.

ზუგდიდში დაიტბორა სოფლები დიდი ნეძი და ჯიხაშკარი. ზუგდიდი-აბასთუმნის გზაზე ხიდი წყლით დაიფარა. გრიგოლიშში, ყულიშკარში, კორცხელსა და ოდიშში მეწყერი ჩამოწვა, რის შედეგადაც შიდა გზები ჩაიკეტა.

ძლიერმა წვიმამ მნიშვნელოვნად დააზარალა წალენჯიხის მუნიციპალიტეტი. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნა სამ თემში — ობუჯში, ნაკიფუსა და ფახულანში.

ობუჯის თემში შემავალ ორ სოფელში — სამესხიოსა და ჯალირაში ხიდები დაინგრა და ეს სოფლები გარესამყაროს მოსწყდა. ერთ-ერთი სახლი მეწყერმა ძლიერ დააზიანა, თუმცა შიგნით მყოფთა გადარჩენა მოხერხდა — მათ შორის ერთი ბავშვის.

ჩხოროწყუ-ნაკიანი-გარახას გზაზე ხიდი ჩაინგრა, რის გამოც მოძრაობა შეწყდა. დაიტბორა ჩხოროწყუს ცენტრში საცხოვრებელი სახლების ნაწილი და სოფლები — ლეწურწუმე და ახუთი. განსაკუთრებით მძიმე ვითარება იყო ქვედა ზონის სოფლებში.

ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში — ძველ ხიბულაში, ხეთასა და პირველ მაისში სახნავ-სათესი მიწები დაიტბორა.

რამდენიმე დღის განმავლობაში სამეგრელოში 16 ათას ოჯახს ელექტროენერგია არ მიეწოდებოდა.

როგორც ჩანს, **ეს სურათი ისეთი შთამბეჭდავი არ აღმოჩნდა „ქართული ოცნებისთვის", რომ იქ კახეთივით ან ჯარიმები მიემართათ, ან ცოცხალი ძალის დესანტი გადაესხათ სამეგრელოში.** სამაგიეროდ, სამეგრელოს ფასი სააკაშვილმა იცის კარგად და, თბილისის წყალდიდობისგან განსხვავებით, როცა ხუთი ადამიანი, მათ შორის ორი ბავშვი დაიღუპა, მილანში კი არ წავიდა საშოპინგოდ, ბაქოში ვიზიტი შეწყვიტა და წელამდე წყალში იარა დაზარალებულ რეგიონში. ამაში არის ლოგიკა: **თბილისის ხმების იმედი სააკაშვილს არ აქვს, სამეგრელოს ხმები კი ჰაერივით სჭირდება.**

რამდენიც უნდა დასცინონ „მეოცნებეებმა" წყალში მოსიარულე სააკაშვილს, მან ყველაფერი გააკეთა, რომ მეგრელებისთვის საკუთარი თანადგომა ეჩვენებინა. შემოვლითი გზებით შევიდა იმ სოფლებში, რომლებიც სტიქიამ ყველაზე მეტად დააზარალა. პრეზიდენტთან ერთად სამეგრელოში სოფლის მეურნეობის მინისტრი და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ. პრეზიდენტმა მინისტრებს პრობლემის დროულად გადაწყვეტა დაავალა. **„აუცილებელია, დროულად მოხდეს სტიქიის შედეგებთან გამკლავება, თუმცა მანამდე აუცილებელია მოსახლეობის ევაკუაცია და მათი დახმარება განხორციელდეს",** — აღნიშნა სააკაშვილმა. საკუთარ მოხელეებს მან, სახლების აღდგენის გარდა, მოსახლეობისთვის კომპენსაციის გაცემაც დაავალა.

**იქნებ მოსავლის გარეშე დარჩენილ მეგრელ გლეხს კახელზე ნაკლებად შია ან დანგრეულ სახლში ღამის გათენება უფრო ეიოლება? გაჭირვებაში მყოფს ხელს ვინც გაუწვდის, განა მას არ მისცემს ხმას? რა პოლიტიკაა ასეთი, რომელიც სტიქიისგან დაზარალებულებსაც კი ჯგუფებად ყოფს?**

ოქტომბერი მოვა და ბევრი გაოცებით იტყვის, სამეგრელომ „ნაციონალებს" დაუჭირა მხარიო. ახალაიების კლანის მიერ დატერორებული სამეგრელოს მომადლიერების შანსი „ქართულმა ოცნებამ" ხელიდან გაუშვა, თუმცა მომადლიერება იქით იყოს და თანადგომა კუთხური ნიშნით რა ქართული საქციელია? **მეგრელები ამაყი ხალხია — დახმარებას არასოდეს ითხოვენ, მაგრამ მათი ხმების გარეშე დარჩენილ „ოცნებას", შესაძლოა, ხმამაღლა მოუწიოს სამეგრელოსთვის დახმარების თხოვნა.**

მთავარია, გვიანი არ იყოს!

**თამარ დავითულიანი**



**რამდენიც უნდა დასცინონ «მეოცნებეებმა» წყალში მოსიარულე სააკაშვილს, მან ყველაფერი გააკეთა, რომ მეგრელებისთვის საკუთარი თანადგომა ეჩვენებინა**

# ადგილი, სადაც ორმოცდახუთი დღე განისვენებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი, წყალს მიაქვს

**ერთი თვის წინ სამეგრელოში მოსულ ძლიერ წვიმამ ხიდები დაანგრია და საცხოვრებელი სახლები დატბორა. ზუგდიდის რაიონის სოფელ ჯიხაშკარში პატარა მდინარე თარჩია ისე ადიდდა, რომ რკინის ხიდი წაიღო, რის შედეგადაც ოცზე მეტი ოჯახი დღემდე მოწყვეტილია საავტომობილო გზას; მათ რამდენიმე კილომეტრის გავლა ფეხით უხდებათ. აუცილებელია დამბების გაკეთება, რომ შეჩერდეს მდინარის მიერ ტერიტორიების დატბორვა. საფრთხე შეექმნა ზარანდიების ოჯახის საკარმიდამოსაც, ადგილს, სადაც 1994 წლის 12 იანვრიდან 17 თებერვლამდე განისვენებდა საქართველოს პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია. მიუხედავად დაპირებებისა, ჯერჯერობით არაფერი სასიკეთო ხელისუფლებას არ გაუკეთებია.**



**„აქ ყველა მოდის, იძლევიან დაპირებებს, იღებენ ტელევიზიები, მერე მიდიან და არავინ არაფერს აკეთებს. იძულებულნი ვართ, აქედან ავიყაროთ",** — განუცხადეს ჯიხაშკარის მცხოვრებლებმა „თავისუფალი საქართველოს" ლიდერს — კახა კუკავას, რომელმაც თავისი საარჩევნო კამპანია სწორედ ზარანდიების ოჯახიდან, ზვიად გამსახურდიას დაკრძალვის ადგილიდან დაიწყო. 1999 წელს აქ „დემოკრატიული აღორძინების კავშირმა" მემორიალი დადგა.

**მაშინ, როდესაც საფრთხე ექმნება პირველი პრეზიდენტის ყოფილ განსასვენებელს, ხობის რაიონის სოფელ ახალ ხიბულაში ღურწკაიების ოჯახი, სადაც სიცოცხლის ბოლო პერიოდი გაატარა ზვიად გამსახურდიამ, გაპარტახებული და გაჩანაგებულია.** გარკვეული მიზეზების გამო ღურწკაიები იძულებულები გახდნენ, ოჯახი მიეტოვებინათ, მათ არყოფნაში კი გაძარცვეს და დაარბიეს ის ოთახი, სადაც სიცოცხლე დაასრულა ბატონმა ზვიადმა. **ამ სახლში ამჟამად თხები და ღორები ბინადრობენ. თითქმის 10 წელია, ზუგდიდელები, ზვიად გამსახურდიას მიმდევრები სახელმწიფოსგან დახმარებას ითხოვენ, მაგრამ ამაოდ.**

ჯიხაშკარელებთან შეხვედრაზე და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაკრძალვის ადგილის მოსანახულებლად ასევე იმყოფებოდნენ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" წარმომადგენლებიც, რამეთუ ზვიად გამსახურდია არა რომელიმე პარტიის, არამედ სრულიად საქართველოს კუთვნილებაა. როგორც სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს" ზუგდიდის ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ზურაბ კვარაცხელიამ განაცხადა, ყოველივე ხდება მიზანმიმართულად.

**„რა თქმა უნდა, ზვიად გამსახურდიას იდეური მტრების მიზანია, ყველაფერი, რაც დაკავშირებულია ამ ბუმბერაზი ერისკაცის სახელთან, განადგურდეს და დავიწყებას მიეცეს. მე უფრო ის გამიკვირდებოდა, ეს მანქურთები ბატონი ზვიადის სახელის უკვდავსაყოფად თუ გაირჯებოდნენ. მამულს ტარიგად შეწირული პრეზიდენტის ერთადერთი ძეგლი დგას ზუგდიდის ცენტრში და გვაქვს ინფორმაცია, რომ იმის გადატანასაც აპირებენ სადღაც მიფარებულ ალაგას, ოღონდ ეგაა, ამას ჯერჯერობით არ ახმაურებენ. ვიტოვებ უფლებას, გავაფრთხილო ხელისუფლება: არ გაბედონ! სახალხო მოძრაობა „სამეგრელო", რომლის ლიდერის, ბატონ ალექსანდრე ჭაჭიას ინიციატივითაც დაიდგა ეს ძეგლი, ამას არ დაუშვებს. ამას უთუოდ წინ აღუდგება ჩვენი მრავალტანჯული და პატრიოტი მოსახლეობა",** — განაცხადა ზურაბ კვარაცხელიამ.

**ლადო ქირია**, ზუგდიდი

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



**ქართველისთვის მიწა არის სამშობლო, მიწა არის ის, რადაც სიკვდილის შემდეგ უნდა იქცეს იგი, მიწა არის ის, რადაც უკვე იქცნენ მისი წინაპრები და ის, რაც დღესაც კი უცხოეთში დიდი ხნით წასულ ქართველებს უჩუმრად თან მიაქვთ. ამდენად, მიწა ქართველისთვის მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობის საგანი არ არის.**

# უმიწო საქართველოს უმიშო საქართველო ჯობია

**„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, 2004 წლიდან, საქართველოში მიწის ერთიანი ბალანსის შედგენა და დამუშავება შეწყდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიწის აღრიცხვისა და კონტროლის ერთიანი ეროვნული მექანიზმი აღარ არსებობს. ცალკეული ინფორმაციები მიწების გასხვისების სრულ მასშტაბს ვერ ასახავს, თუმცა მართლაც საგანგაშო ხასიათს ატარებს.**



**ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს ართმევს მიწებს და საეჭვო პირებზე ყიდის. კახეთსა და ქვემო ქართლში ბურებმა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები იყიდეს, ხოლო ჩინელები კახეთში მიწების შეძენაში 40 მილიონის დახარჯვას აპირებენ**

ეკონომიკის სამინისტროს აუქციონზე დაახლოებით 675 ათას ლარად 3 მილიონ 692 ათასი კვადრატული მეტრი მიწის ფართობი აქვს გასაყიდად გატანილი. ტყეებისა და საძოვრების გასხვისების ინიციატივით გამოსვლის შემდეგ მთავრობა სახნავ-სათეს მიწებს აქტიურად ასხვისებს.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ 2011 წლის პირველ ექვს თვეში 3200 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების პრივატიზება განახორციელა, რომლის საერთო ღირებულებამ 2 მილიონ 605 ათასი ლარი შეადგინა.

**ყველაზე მეტი ფართობი — 5 639 102 კვ.მ. კი დედოფლისწყაროს რაიონში გაიყიდა. ადგილობრივი მოსახლეობის განცხადებით, სავარგულების უდიდესი ნაწილი უცხოელმა ინვესტორებმა: არაბებმა, ინდუსებმა და ბულგარელებმა შეისყიდეს.**

ეკონომიკის სამინისტრომ საგარეჯოს 7 სოფლის მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები ჩამოართვა და სიმბოლურ ფასად ირანული წარმოშობის პირებს მიჰყიდა. კერძოდ, 5,2 ათასი ჰექტარი მიწა დიდი ბრიტანეთის მოქალაქე ტაიებ რაშიდმანეშიმ იყიდა. ჟურნალისტების მიერ მოძიებული ინფორმაციით, ამ სახელისა და გვარის ადამიანს კალიფორნიაში ჰქონდა კომპანია, რომელიც გადასახადების გადაუხდელობისა და მოუწესრიგებელი დოკუმენტაციის გამო დაუხურეს. ეს ინფორმაცია ცხადყოფს, რომ **ეკონომიკის სამინისტრო საქართველოს მოქალაქეებს ართმევს მიწებს და საეჭვო პირებზე ყიდის.**

საგარეჯოს გამგეობა კი თავს იმართლებს: **„მოსახლეობის მიწა არავის გაუყიდია. ეს იყო სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწები და სახელმწიფომ გაყიდა. არსებული 10 ათასი ჰექტრიდან 5 ათასი ჰექტარი ირანელმა ბიზნესმენმა რაშიდ მანეშმა 6 მილიონ ლარად იყიდა. დარჩენილი 5 ათასი ჰექტრით, ვიდრე გაიყიდება, მოსახლეობას შეუძლია ისარგებლოს“.**

**ზეღდულეთში 75 ჰექტარი მიწა კანადელმა ინდოელმა ჯანგპალ სინგჰმა იყიდა.**

დიასპორის სამინისტროში დაადასტურეს, რომ **კახეთსა და ქვემო ქართლში ბურებმა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთები იყიდეს, ხოლო ჩინელები კახეთში მიწების შეძენაში 40 მილიონის დახარჯვას აპირებენ.**

2011 წლის 29 ნოემბერს ხელი მოეწერა მემორანდუმს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და „სინძიანის ხუალინის სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფს“ შორის თბილისში „ხუალინის საერთაშორისო სპეციალური ეკონომიკური ზონის“ შექმნის თაობაზე.

მემორანდუმის თანახმად, **„სინძიანის ხუალინის სავაჭრო-სამრეწველო ჯგუფი“ ვალდებულებას იღებს, რომ თბილისში, „ხუალინის სპეციალურ ეკონომიკურ ზონაში“, 2015 წელს თბილისში დაგეგმილი ზაფხულის ახალგაზრდული ოლიმპიური ჩემპიონატის ჩასატარებლად მოწყობილ დამხმარე საცხოვრებელ სასტუმროს ააშენებს, რომლის საერთო ფართობი არ უნდა აღემატებოდეს 65 ათას კვადრატულ მეტრს. ჩინური მხარის ინვესტიცია უნდა შეადგენდეს არანაკლებ 150 მილიონ აშშ დოლარს.**

თავის მხრივ, ქართული მხარე წამოწყებული ინვესტირების განხორციელებისა და პროექტის მშენებლობის უზრუნველსაყოფად ჩინელ ინვესტორებს უშუამდგომლებს საქართველოს პრეზიდენტის წინაშე არანაკლებ 420 ჰექტარი მიწის ფართობის შეღავათიან ფასებში მიყიდვაზე.

მიწების გასხვისებამ საქართველოში მართლაც გიგანტური მასშტაბი მიიღო. ლიბერალების საყვარელი ფორმულა ასე ჟღერს: **„მიწას ხომ ზურგზე ვერავინ მოიკიდებს და ვერ წაიღებს“!** გამოვტყდები, კარგა ხანს მეც მიმაჩნდა, რომ მიწის გაყიდვით დიდი არაფერი შავდებოდა; როგორც სხვა ბევრი რამის, ამ საკითხის გააზრებაც ასაკზეც და უამრავი სხვა მასალის გაანალიზებაზეც არის დამოკიდებული.

**მიწის ზურგზე მოკიდებას რაც შეეხება, კოსოვოში ალბანური სახელმწიფოს შექმნამ და აღიარებამ სულ სხვა რეალობა წარმოშვა, როცა მოსულმა და გამრავლებულმა ეთნოსმა სერბეთს საკუთარი მიწა მოაგლიჯა; მიწა კი არავის წამოუკიდებია ზურგზე, მაგრამ მისი პატრონებისა რომ აღარ არის, აშშ-მა და დასავლეთ ევროპამ მისი აღიარებით დაადასტურეს.**

არის „მიწის ზურგზე მოკიდების“ სხვა პრაქტიკაც, — წმინდა ეკონომიკური. ამას კარგად მოწმობს თანამედროვე ბიზნესის ერთი ჭკუისსასწავლებელი მაგალითი: გერმანელი ჰელმუტ აურენცი ბავშვობაში მებაღის თანაშემწე იყო. ვისაც თუნდაც ქოთნის ყვავილებთან ჰქონია საქმე, კარგად იცის, რომ პერიოდულად მათ გადარგვა და მიწის შეცვლა სჭირდება. მიწა იფიტება როგორც ქოთანში, ისე ბაღებსა და ბოსტნებში. აურენცმა თავისი ბიზნესი სწორედ ამ მოთხოვნაზე ააგო. დღეს იგი ბაზრის ლიდერია საბაღე მიწისა და სასუქების მიწოდებაში. იგი მილიონობით კვადრატულ მეტრ მიწას ფლობს არა მარტო გერმანიაში, არამედ კანადაში, აშშ-ში, ინგლისში, საფრანგეთში, ჩეხეთში, სლოვაკიაში, ნიდერლანდებში, პოლონეთში, ესტონეთში. მისი საწარმოები სწორედ საბაღე და საყვავილე მიწას აწარმოებენ და სხვადასხვა ქვეყანაში ყიდიან. აურენცის წლიური ბრუნვა ასეულობით მილიონ დოლარს შეადგენს. ამგვარად, ვისაც ჯერ კიდევ ჰგონია, რომ „მიწას ზურგზე ვერავინ მოიკიდებს“, მწარედ ცდება.

მიწის მიმართ დამოკიდებულება საქართველოში ისტორიულად განსხვავებული იყო. **ილია ჭავჭავაძე** სტატიაში **„ძველი საქართველოს ეკონომიური წყობის შესახებ“** წერს: **„სიკეთე ჩვენი ეკონომიური აგებულებისა და წყობისა იმაში ყოფილა, რომ მიწა, ე. ი. მამულ-დედული, ცოტად თუ ბევრად უფრო სამართლიანად მორიგებული ყოფილა ჩვენს ხალხში, ვიდრე სადმე სხვაგან. საკვირველია, რომ დღეს აქამომდე უმამულო, უბინაო კაცი ჩვენში თითქმის არსად მოიძევება. ამისთანა წყობამ მიჰმართა უსათუოდ ჩვენი ხალხი მიწათმოქმედებას, რომელიც უფრო დაუშრომელი და მკვიდრი წყაროა ხალხისა და ქვეყნის საზოგადოებისათვის, ვიდრე სხვა რამ. ხსნა ჩვენი ქვეყნისა ამ წყობაში უნდა ყოფილიყო, და ვიდრე ამ წყობას უფრთხილდებოდნენ ჩვენი მეფეები, იმ დრომდე ჩვენი ქვეყანა ღონიერი ყოფილა და გაძღოლია მტერს ასე თუ ისე... ტყისა და მინდვრის განსაკუთრება ხომ ყოვლად შეუძლებელი იყო და დღესაც აქამომდე ჩვენის ხალხის გონებაში ვერა თავსდება ის აზრი, რომ ტყე და მინდორი საკუთრება იყოს ვისიმე და არა სასოფლო“.**

დღესაც ყველაზე მძაფრ პროტესტს სწორედ მიწების, განსაკუთრებით კი საერთო სარგებლობის მიწების გასხვისების საკითხი იწვევს და ამაში გაუგებარი არაფერია. უმიწოდ დარჩენა საქართველოში გაცილებით უფრო მძაფრად აღიქმება, ვიდრე სხვაგან, მით უფრო, რომ ქართველებს 26 საუკუნის განმავლობაში „უბინაოდ“ დარჩენილი ებრაელების მაგალითი თვალწინ ჰქონდათ და ამ საკითხის მიმართ დამოკიდებულებაში, მატერიალურის გარდა, წმინდა მენტალური და მეტაფიზიკური მიზეზებიც არსებობს.

**ქართველისთვის მიწა არის სამშობლო, მიწა არის ის, რადაც სიკვდილის შემდეგ უნდა იქცეს იგი, მიწა არის ის, რადაც უკვე იქცნენ მისი წინაპრები და ის, რაც დღესაც კი უცხოეთში დიდი ხნით წასულ ქართველებს უჩუმრად თან მიაქვთ. ამდენად, მიწა ქართველისთვის მხოლოდ ეკონომიკური ურთიერთობის საგანი არ არის.** ეს რომ ნამდვილად ასეა, ილიას სხვა სტატიაში მოყვანილი ციფრებიც ცხადყოფს; ბატონყმობის გაუქმების შემდეგ, როგორც კი გლეხებს მიწის გამოსყიდვის უფლება მიეცათ, შეღავათიანი გრძელვადიანი საბანკო კრედიტის აღების ნაცვლად გლეხობამ ნაღდ ფულზე შეიძინა და დაიკანონა მიწა:

**„მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაში, საცა გლეხობა ყველას უფრო ღარიბად მიგვაჩნია, 8 ათას 75-მა ნაყმევმა კომლმა შეისყიდა თვისი ნაჭერი ადგილ-მამულები ნაბატონართაგან და 1 მილიონ 104 ათას 870 მანეთი თავისი საკუთარი ჯიბიდამ მისცა. ასე რომ, მთავრობის შემწეობაც არ ითხოვა. გერმანიაში 27 წელიწადში ნაყმევთაგან მარტო მეოთხედმა ნაწილმა ძლივს დაიხსნა თავისი ადგილ-მამულები, ისიც მთავრობის შეწევნითა, და იმერეთში კი (გარდა სამეგრელოსი) ერთმა მესამედმა 10 წელიწადში გამოიხსნა თავისი მამულები“**

ჩვენ კი გვასწავლიდნენ, რომ რევოლუციამდე ქართველი გლეხი არაფრის მქონე იყო და მხოლოდ რევოლუციამ გადაუწყვიტა მიწის საკითხი. თუმცა ეს ისეთივე მითია, როგორც საქართველოს ისტორიის „ვარდების რევოლუციიდან“ დაწყება. არც ეს არის პიარ-ტექნოლოგიების ნოუ ჰაუ — მხოლოდ გადამღერებული ძველი რევოლუციური რიტორიკაა.

ჩვენში ხშირად სწუხან იმაზე, რომ საქართველომ ვერც ერთი ფორმაცია თავიდან ბოლომდე ვერ გაიარა. რა მოხდა მერე, არც სკანდინავიის ქვეყნებს ჰქონიათ იმ ტიპის ფეოდალიზმი, როგორც საფრანგეთს, გერმანიას ან ინგლისს. ჩრდილოეთ ევროპაში ფეოდალიზმი ნელა ვითარდებოდა, საბატონო მეურნეობა სუსტი იყო, გლეხთა დამოკიდებულება ბატონყმურ ხასიათს ატარებდა. საკუთრების ძირითადი სახე სახელმწიფო საკუთრება იყო. განა ამან ხელი შეუშალა იმას, რომ სკანდინავიის ქვეყნები დღეს მსოფლიოში ყველაზე კარგი სოციალური ორგანიზაციით გამოირჩევიან და ყველაზე უკეთ დაცული მოსახლეობა ჰყავთ?

**ქართლის ერისმთავარი VIII საუკუნეში იყო არჩილ სტეფანოზის ძე, ჯუანშერის მატიანეში მეფედ მოხსენიებული. მის სახელს უკავშირდება უმნიშვნელოვანესი რეფორმა — ქვეყნის ნახევარი ერისთავებს გადაეცა სამკვიდროდ და სამამულოდ. ამ რეფორმამდე ევროპა მხოლოდ შუა საუკუნეებში მივიდა.**

საქართველოსგან განსხვავებით, რუსეთში ყმა კონკრეტულ მემამულეზე იყო მიმაგრებული და არა მიწაზე, რასაც მიწის „ქართულ საკითხთან“ არაფერი ჰქონდა საერთო. **საქართველოში, ტრადიციულად, გლეხი მიწაზე იყო დამაგრებული. ერეკლე მეორეს აკრძალული ჰქონდა ყმის გაყიდვა მიწის გარეშე. მიწისადმი ამ დამოკიდებულებაზე იდგა ქართული სახელმწიფო და თავი შეინარჩუნა იმ გრძელ პერიოდებშიც კი, როცა სახელმწიფო სუვერენიტეტი დაკარგული ან შეზღუდული ჰქონდა.**

**სხვათა შორის, ეს დამოკიდებულება დღემდე შეინარჩუნეს ისრაელში, სადაც უცხოელის მიერ მიწის ყიდვა პრაქტიკულად შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ისრაელისთვის პრეტენზიები დასავლეთს არასოდეს წაუყენებია.**

მოსეს ხუთწიგნეულში ღმერთი მოსეს ეუბნება, რომ მიწის სამუდამოდ გაყიდვა არ შეიძლება, „რამეთუ ჩემი არს ქვეყანა, რამეთუ მწირ და მსხემ ხართ თქუენ წინაშე ჩემსა“ (მიწა ჩემია, თქვენ კი მოსულნი და დაბინავებულნი ხართ ჩემსას). თუ ძმა შენი გალარიბდა და გაყიდა თავისი მიწა, მივიდეს მისი უახლოესი ნათესავი და გამოისყიდოს იგი. და თუ ასეთი ნათესავი არ აღმოჩნდა, განისაზღვროს ვადა, რომლის შემდგომაც მიწა მუქთად დაუბრუნდეს გამყიდველს **(იხ. მოსეს ხუთწიგნეული, ლევიტელთა 25, 23-27).**

საქართველო მცირემიწიანი ქვეყანაა. მისი გასხვისება მარტო ეკონომიკური პროცესი როდია. უმიწოდ დარჩენილი ქართველი ქართველობას ვერ შეინარჩუნებს. იგი ისევე დაიღუპება, როგორც ანთეოსი, რომელიც უძლეველი იყო, ვიდრე მიწაზე – საკუთარ დედაზე ედგა ფეხი. ჰერაკლემ იგი მიწას მოსწყვიტა და დაუძლურებულს იოლად ამოართვა სული.

„თუ სასწრაფოდ არ განხორციელდა კარდინალური ცვლილებები, თუ სოფლის მეურნეობა მართლა პრიორიტეტი არ გახდა სახელმწიფოსთვის, საერთოდ მოიშლება ეს სფერო და საბოლოოდ ამას მოჰყვება ეკონომიკის სრული განადგურება“.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ბადრი რამიშვილი: უახლოეს მომავალში დავემსგავსებით აფრიკის ქვეყნებს, რომლებშიც 60 მილიონი ჰექტარი მიწა უკვე გაყიდულია უცხოელებზე...

**რამდენიმე დღის წინათ კახეთში მომხდარი სტიქიური უბედურება „ნაცმოძრაობის“ წინასაარჩევნო პიარკამპანიის მთავარ თემად იქცა. სააკაშვილის პროპაგანდისტული მანქანა, რომელიც, ბუნებრივია, მოვლენას თავიდანვე „პრომიშისტურად“ აშუქებდა, დაზარალებულ რეგიონში მოხეტიალე, გავეშებულ პრეზიდენტს ფეხდაფეხ დასდევდა — სააკაშვილი სახურავებზე, ვენახსა და ნალიაში... მოკლედ, ეს დღეებია, „სუპერმენი“ „საოცრებებს“ აკეთებს, პიარი კი, როგორც იტყვიან, ხრიგინით მიდის და მოსახლეობას „ბელადის“ უალტერნატივობაში არწმუნებს. ...გასულ კვირას უკვე ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად ხელისუფლებამ ბიუჯეტიდან სულ 162 მილიონი ლარი გამოყო. აღნიშნულ თანხაში მთლიანად კახეთის რეგიონის ინფრასტრუქტურის განვითარებაც შედის და ის სამომავლო პროექტებიც, რომლებიც ჯერჯერობით დამუშავების სტადიაშია... რამდენად ადეკვატურია ხელისუფლების მიერ სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელად გატარებული ღონისძიებები, კონკრეტულად რა კეთდება დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად და საერთოდ სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით, „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება სასურსათო ბიზნესისა და სტრატეგიული მენეჯმენტის დარგის სპეციალისტი, პროფესორი ბადრი რამიშვილი.**



**— ბატონო ბადრი, წინასაარჩევნოდ ხელისუფლება მთავარ აქცენტს სოფლის მეურნეობაზე აკეთებს. სააკაშვილის გამოსვლებსა და მის დაპირებებს თუ დავუჯერებთ, მმართველი გუნდის პრიორიტეტი სწორედ ეს მიმართულებაა. რამდენად აისახება პრაქტიკულად დღეს ეს ყველაფერი ქართულ სოფელზე?**

— ორი სიტყვით შემიძლია ამ კითხვაზე გიპასუხოთ: რაც აქამდე გაკეთდა, ცალსახად მიანიშნებს იმაზე, რომ ამ დარგს ესენი საერთოდ იგნორირებას უკეთებენ და რეალურად არ აინტერესებთ, გლეხი რა მდგომარეობაშია. რაც შეეხება დაპირებებს, იმთავითვე ცხადია, რომ ეს ყველაფერი არის მხოლოდ და მხოლოდ დეკლარაცია, რომელიც როდის რეალიზდება და საერთოდ რეალიზდება თუ არა, კაცმა არ იცის. რატომ აკეთებს ამას ხელისუფლება და რა დგას ამ პოლიტიკის უკან, სიმართლე გითხრათ, ცოტა ძნელი ასახსნელია, მაგრამ ვიმეორებ: იმის მიუხედავად, რომ მუდმივად გვესმის, თითქოს სოფლის მეურნეობა ამათთვის პრიორიტეტია, ფაქტია, ამ მიმართულებით რაც გაკეთდა, შედეგის თვალსაზრისით, სოფელზე არ ასახულა. პირიქით, **სოფელი იცლება, ცარიელდება და წლიდან წლამდე ქართველი გლეხის მდგომარეობა სულ უფრო სავალალოა. აი, ესაა რეალობა.** სხვა დანარჩენს რაც შეეხება, გითხარით და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს არის მხოლოდ დაპირება, დეკლარაცია და როდის, რა ვადებში მოხდება ამის განხორციელება, გაურკვეველია.

**— ზოგიერთი ექსპერტი ხელისუფლების მიერ სოფლის მეურნეობის მიმართულებით გატარებულ ღონისძიებებს ანტიეროვნულ პოლიტიკად აფასებს. თქვენ რა აზრის ხართ ამაზე?**

— სამწუხაროდ, საქართველოში რამდენიმე საუკუნეა, რაც ურბანიზაციის პროცესი დაიწყო, ისე ჩამოყალიბდა, რომ ერის აღწარმოება ქალაქში, ფაქტობრივად, არ ხდება. აქედან გამომდინარე, ასეთ პირობებში, როცა სოფელს, როგორც თვითკმარ ერთეულს, ეროვნული ცნობიერების, ეროვნული განვითარებისა და თუნდაც აღწარმოების ობიექტს, დაარტყამ, რეალურად შენ ფესვებშივე კლავ ქართულ სახელმწიფოებრიობას და არა მარტო სახელმწიფოებრიობას, ეს არის სრულიად ერის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯი; სიმართლე გითხრათ, მე შეთქმულების თეორიების დიდი მოყვარული არ ვარ, მაგრამ ის აგრესიული პოლიტიკა, რომელსაც ატარებდა და დღესაც ატარებს ხელისუფლება ამ მიმართულებით, სწორედ წინასწარ განზრახულ გარკვეულ მიზნებზე მიუთითებს...

**— კონკრეტულად რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იცით, დღეს კრედიტის ღირებულება რამდენია სოფლის მეურნეობაში? — 35%-დან 45%-მდე. ხვდებით, ეს რამხელა ციფრია? ასეთი მაჩვენებლით, წესით, ვაჭრობა ვერ უნდა ვითარდებოდეს. არადა, დღესდღეობით 35%-ზე იაფ კრედიტს ვერც ერთი სოფლის მეურნეობის მეწარმე ვერ იშოვის...

**— ანუ, თქვენი აზრით, ეს არაადეკვატური ციფრია?**

— არაადეკვატური კი არა, არარეალურია, აბსურდია. 10-15%-ია თავის დაზღვევიანყველაფრიანად დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში.

**— გასაგებია, მაგრამ, თქვენი აზრით, როცა მთელი რიგი პროექტებისა მუშავდება, რატომ არ ხდება იმის გათვალისწინება, ვთქვათ, რა ოდენობის კრედიტით შეიძლება ქართველმა გლეხმა, ფერმერმა ისარგებლოს? როგორ ფიქრობთ, პროფესიონალიზმის ნაკლებობით ხომ არ აიხსნება ეს ყველაფერი?**

— ...ხშირად გამოდიან ხოლმე ვაიექსპერტები და აცხადებენ, რომ მონოპოლიზმი არ არის ქვეყანაში, რამდენიმე მეწარმე სუბიექტია ბაზარზეო. ეს არის ჩვეულებრივი, ტიპიური დილეტანტური გამოხდომები, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, საქმის ცოდნა მეორე კურსელი სტუდენტის დონეზე. რატომ ვამბობ ამას? მონოპოლია არ ნიშნავს ბაზარზე მარტო ერთი მეწარმე სუბიექტის არსებობას, მონოპოლური მდგომარეობა იქმნება მაშინაც, როდესაც ერთი მეწარმე სუბიექტის ან რაღაც სტრუქტურის მიერ მთელი დარგისთვის ფასის კარნახს აქვს ადგილი და კრედიტის პროცენტიც დღევანდელ პირობებში, ფაქტობრივად, არის ფულის ფასი და, რადგან ის ესოდენ მაღალია, მის ფორმირებაში ხელოვნური ჩარევის ეჭვს ბადებს..

**...მე პრორუსულობას ვერავინ დამწამებს, პირიქით, ყოველთვის ვიყავი და დღესაც ვარ დასავლური ორიენტაციის, მაგრამ ერთი რამ ფაქტია — საქართველოს ეკონომიკური განვითარება თავიდან ბოლომდე დაფუძნებულია ორ ვეშაპზე: ეს არის ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი და რუსეთში მცხოვრებ ქართველთა კაპიტალი.** სამწუხაროდ, ამ ხალხს დღეს კუდით ქვას ასროლინებენ, არავის უშვებენ და ჩემთვის ეს აბსოლუტურად გაუგებარია. სხვათა შორის, ამასწინათ მესაუბრებოდა რუსეთში მოღვაწე ერთ-ერთი ქართველი ბიზნესმენი, რომელმაც თავის დროზე წალენჯიხიდან „ნაციონალური მოძრაობის“ მსვლელობა დააფინანსა და ისიც კი გაოგნებული იყო იმით, რაც აქ ხდება; წალენჯიხელია თვითონაც და ადგილობრივების დასაქმება უნდოდა. წარმოიდგინეთ, ფერმა არ შეაქმნევინეს. ასეთი მაგალითები უამრავია და მე არაერთხელ მითქვამს, რომ მსგავსი ბლოკირება ფინანსური რესურსებისა, დამღუპველია პირველ რიგში სწორედ სოფლის მეურნეობისთვის...

**— როგორ ფიქრობთ, მაინც რა მიზნით ხდება ეს დაბლოკვები?**

— ყველაფერი ნათელია, ეს არის ბენდუქიძის მიერ ჯერ კიდევ წლების წინათ დაწყებული პოლიტიკა, რაც მდგომარეობს შემდეგში: **ერთის მხრივ,** უნდა მოხდეს უცხოეთში მცხოვრები ფულიანი ქართველების მაქსიმალურად შეკავება, ალბათ, იმის შიშით, რომ შემდეგ მათ რამე პოლიტიკური ამბიციები არ გაუჩნდეთ; და **მეორე**, უნდა გაჭიანურდეს ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებები.

სამწუხაროდ, ხელისუფლებამ ორივე მიზანს მიაღწია და შედეგად ჩვენ მივიღეთ ის, რომ ეკონომიკა ფაქტობრივად გაიყინა. არანაირი ზრდა, არანაირი განვითარება საერთო ჯამში არ არის, პირიქით, წლიდან წლამდე ქვეყანა განიცდის სტაგნაციას, რაც, ბუნებრივია, პირველ რიგში, სწორედ სოფლის მეურნეობას ურტყამს და შემდეგ უკვე უარყოფითად აისახება ყველა სახის ბიზნესზე, ყველა მოქალაქეზე, თითოეულ ოჯახზე.

**— რაც შეეხება კახეთში მომხდარ სტიქიურ უბედურებას, 162 მილიონი ლარი გამოიყო მთლიანად შედეგების აღმოსაფხვრელად. აქედან 50 მილიონი მოხმარდება ზარალის ანაზღაურებას. რამდენად საკმარისია ეს თანხა?**

— ეკონომიკა ზუსტი მეცნიერებაა და მე, სამწუხაროდ, არ მაქვს მონაცემი, რამდენია ზარალი საერთო ჯამში. აქედან გამომდინარე, კონკრეტული ციფრების მოშველიებით ვერ ვისაუბრებ, მაგრამ ერთი შეხედვით 50 მილიონი ნამდვილად ცოტაა იმ კოლოსალურ ზიანთან შედარებით, რაც მიიღო კახეთის მოსახლეობამ და რომლის აღმოფხვრას ბოლომდე, ალბათ, დიდი დრო დასჭირდება. იგივე შემიძლია, ვთქვა იმ პროგრამაზეც, რომლის თანახმად, 500-დან 1500 ლარამდე კომპენსაცია გაიცემა თითოეულ დაზარალებულ ოჯახზე. ეს არის უმნიშვნელო დახმარება და ამით საერთო სურათი ვერ შეიცვლება, იმიტომ, რომ, **თუ ჩვენ გვინდა, რეალურად განვითარდეს სოფლის მეურნეობა, გლეხმა შეძლოს წელში გამართვა და მიწის ისევ დამუშავება, უნდა გადარჩეს ყველა ის მეწარმე სუბიექტი, რომლებიც სტიქიის შედეგად იმდენად დაზარალდნენ, რომ კვლავწარმოების უნარი დაკარგეს. მათ უნდა შეუქმნას სახელმწიფომ ყველა პირობა იმისთვის, რომ მოახერხონ ფეხზე დადგომა და გააგრძელონ საქმიანობა თუნდაც ისე, როგორც მანამდე იყო. სხვანაირად ქართული ეკონომიკა ვერ განვითარდება და გაისად მივიღებთ დაუმუშავებელ მიწას; უფრო მძიმე შედეგებზე არ ვსაუბრობ, რა შეიძლება მოხდეს და ვინ შეიძლება დაეპატრონოს იმ დაუმუშავებელ ნაკვეთებს...**

**— უცხოელ ინვესტორებს გულისხმობთ, ალბათ.**

— რა თქმა უნდა. ეს საფრთხე განსაკუთრებით სერიოზულია მას შემდეგ, რაც კონსტიტუციურმა სასამართლომ, ფაქტობრივად, პარლამენტის გვერდის ავლით საქართველოს მოქალაქეობის არმქონე ნებისმიერ ფიზიკურ პირს დაუკანონა მიწის ყიდვა-გაყიდვის უფლება. ამ მხრივ ესოდენ ლიბერალური კანონმდებლობა არ აქვს ევროკავშირის წევრი ქვეყნების უმრავლესობას და არც აშშ-ს. და ეს იმ დროს, როდესაც მიწით ყველაზე უზრუნველყოფილ ქვეყნებში — არგენტინასა და ბრაზილიაში ჰექტარი მიწის ღირებულება თუ 6000 დოლარია, ჩვენთან ამავე ოდენობის საუკეთესო ფართობი 1000 დოლარი ღირს. **ახლა წარმოიდგინეთ, რა შედეგები შეიძლება მივიღოთ უახლოეს მომავალში: დავემსგავსებით აფრიკის ქვეყნებს, რომლებშიც თავიანთი ეროვნული სიმდიდრეების მიმართ სწორედ ასეთი ზერელე დამოკიდებულების გამო დღესდღეობით უკვე 60 მილიონი ჰექტარი მიწა გაყიდულია უცხოელებზე...**

**— რამდენიმე დღის წინ ჯანდაცვის მინისტრმა ზურაბ ჭიაბერაშვილმა დაზარალებულ გლეხებთან შეხვედრის დროს განაცხადა, ასეთი ზარალი 10 წლის წინ რომ მომხდარიყო, სახელმწიფო ამდენს ვერ შეძლებდაო. მოკლედ, ხელისუფლების წარმომადგენლები მუდმივად პროგრესზე საუბრობენ. თქვენი აზრით, ამ რიტორიკას არანაირი საფუძველი არ გააჩნია?**

— დამუშავებული სავარგულებისა და შექმნილი პროდუქციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რა პროგრესზეა საუბარი, როცა აბსოლუტურად ყველა მიმართულებით წარმოება რამდენიმეჯერ შემცირდა. უმძიმეს მდგომარეობაშია ყველა დარგი და, თუ ჩახვალთ რეგიონებში, ამაში დარწმუნდებით; ასე რომ, არაერთხელ მითქვამს და კვლავ ვიმეორებ: **თუ სასწრაფოდ არ განხორციელდა კარდინალური ცვლილებები, თუ სოფლის მეურნეობა მართლა პრიორიტეტი არ გახდა სახელმწიფოსთვის, საერთოდ მოიშლება ეს სფერო და საბოლოოდ ამას მოჰყვება ეკონომიკის სრული განადგურება.**

**— ამ ხელისუფლების პირობებში რამდენად წარმოგიდგენიათ მსგავსი ცვლილებების განხორციელება?**

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ამ ხელისუფლებას უკვე არანაირი ცვლილების რესურსი არ გააჩნია და ეს ცხადია. ის, რომ სავლე იქცა პავლედ, ამას ღვთის სასწაული დასჭირდა, მაგრამ, არა მგონია, ამგვარი სასწაული საქართველოში მოხდეს. ამაზე ადვილი გზაა, თვითონ ხელისუფლება შეიცვალოს, იმიტომ, რომ რეალურად სხვა გამოსავალი ქვეყანას და საზოგადოებას არ აქვს. აქედან გამომდინარე, ერთის მხრივ, ეს გარდაუვალიცაა და, ჩემი აზრით, დღეს რაც უნდა გააკეთოს ხელისუფლებამ, რა ნაბიჯებიც უნდა გადადგას, უახლოეს მომავალში ძირეული ცვლილებები მაინც მოხდება...

ესაუბრა **ჯაბა ჭვანია**

**P.S.** მას შემდეგ, რაც სტიქიის შედეგებთან ბრძოლის პროცესი ხელისუფლებამ საკუთარი პიარკამპანიის ნაწილად აქცია, პოლიტიკურ ასპარეზზე ნამდვილი დოღი დაიწყო. მილიარდერმა ივანიშვილმა, აქაოდა, „ნაცმოძრაობის მამამთავარს“ არ ჩამოვრჩეო, დაუყოვნებლივ დაზარალებული გლეხებისთვის 80-მილიონიანი დახმარების გაწევის უფლება მოითხოვა. „მაჩვენეთ კანონიერი გზა, რომლითაც ეს დახმარება, „პოლიტიკური პარტიების შესახებ“ კანონის თანახმად, მოსახლეობის მოქრთამვად არ ჩამეთვლება“, — ასე მიმართა კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ხელისუფლებას, რაზეც პარლამენტის თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ მყისვე უპასუხა: „მიმართეთ საქართველოს პრემიერ-მინისტრს — ვანო მერაბიშვილს, რომელიც კარგ მენეჯერად მიგაჩნიათ და ის, როგორც მენეჯერი, აუცილებლად დაგეხმარებათ“.

ივანიშვილის მიერ ზემოაღნიშნული ინიციატივის წამოყენებიდან რამდენიმე დღეში ხელისუფლებამ მორიგი პიარაქცია ააგორა. სტიქიით დაზარალებულ ოჯახებზე 500-დან 1500 ლარამდე კომპენსაციების გაცემის თაობაზე გლეხების გამოკითხვა დაიწყო. პროცესს სათავეში ჯანდაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი ჩაუყენეს. სწორედ ის ჭიაბერაშვილი, რომელიც რამდენიმე დღის წინ იმავე დაზარალებულ მოსახლეობას ნაქეიფარ-ნაბახუსევი პჰირდებოდა დახმარებას. მოკლედ, მილიონების ფრიალმა „ოცნებასა“ და ხელისუფლებას შორის, „ნაცებისთვის“ ორმაგად დადებითი შედეგი გამოიღო: ერთი ის, რომ „კერკეტი ოლიგარქი“, როგორც იქნა, დათანხმდა, საჯარიმო სანქცია გადაიხადოს, და მეორე ის, რომ სააკაშვილის ყულაბაში დამატებით კიდევ 80 მილიონი გაჟღარუნდა.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ერთ სოფელში ერთმა გურულმა ასეთი გენიალური შეკითხვა დამისვა: აი კაცი (სააკაშვილს გულისხმობდა) სამშობლოს რეიზა არ ახსენებს?.. გადავქექე გონებაში, გადავქექე და მართალი აღმოჩნდა ის გურული. „ჩვენი ქვეყანა“ — ნათქვამი აქვს, „სამშობლო“ — არა. როცა ადამიანს სიტყვა „სამშობლოს“ თქმა უჭირს, იგი უცხოა თავის ქვეყანაში, უცხო და ფარისეველი, ყალბი. ასეთი იქნება ჩემი პასუხი.**

## თემურ ჭკუასელი:

# ნამხდარ ყანას ჰგავს დღეს გურია

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა საქართველოს პარლამენტის დეპუტატობის მაჟორიტარ კანდიდატად ᲗᲔᲛᲣᲠ ᲭᲙᲣᲐᲡᲔᲚᲘ რომ დაასახელა და დაახასიათა იგი, ასეთი ფრაზაც თქვა — ჩემი მეგობარიაო. თემურ ჭკუასელთან საუბარს, რა თქმა უნდა, მეგობრობასთან დაკავშირებული შეკითხვით ვიწყებ:**

**— სად, როდის, როგორ?**

— ფრანგულ კურორტ სან-ტროპედან იწყება ჩვენი მეგობრობა, 1997 წელს, როცა საფრანგეთში, კანში, ჩვენი — „ქართული ხმების“ — გასტროლები ბატონ ბიძინას ამ კურორტზე დასვენებას დაემთხვა, და მან თავისთან მიგვიწვია. მაშინ საქართველოში მისი სახელი და გვარი არც გაეგონათ.

**— სან-ტროპე ბათუმზე უკეთესი კურორტია?**

— (*ღიმება*) გასაგებია, ვის ბოსტანშიც ისვრით კენჭებს. თქვენ წარმოიდგინეთ, უკეთესია... ჩამოვიდა კანში, დაესწრო ჩვენს კონცერტს, ძალიან მოეწონა. მოგეხსენებათ, როგორ ემოციურად აღიქვამს ქართველი კაცი მშობლიურ ხელოვნებას საზღვარგარეთ. მით უფრო, თუ დიდი ხანი საქართველოში არ ცხოვრობს. კონცერტი გამოგვივიდა — იყო ოვაციები. ამ კონცერტის შემდეგ გერმანიაში ტურნეს გაგრძელებამდე შვიდდღიანი პაუზა გვქონდა. აი, მაშინ მიგვიწვია თავისთან — სან-ტროპეში.

ჩავედით. ზაფხულია. გაგვიჭირდა ჩვენი ფინანსების შესაფერ სასტუმროში ადგილების პოვნა. ეს ულამაზესი პატარა ქალაქი ძალიან პოპულარულია მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანებში. ბიძინა ივანიშვილს იქ მთელი ტყე აქვს.

**— ტყე?!**

— დიახ, ისეთი, სადაც ტახებზე შეგვეძლო გვენადირა, იმხელა ტერიტორიაა... ასე იყო თუ ისე, ერთი კვირა ვიყავით ერთად და მაშინ ჩაეყარა საფუძველი ჩვენს მომავალ, მართლაც დიდ მეგობრობას. ეს, ალბათ, განაპირობა იმან, რომ ჩვენი ანსამბლის წევრები მარტო მომღერლები კი არ არიან, არამედ შესანიშნავი პიროვნებებიც, უნიკალური ადამიანები, რასაც ბატონი ბიძინა განსაკუთრებით აფასებს.

**— დავუმატოთ ამას ურთიერთთანადგომის უნარიც. მახსენდება გრანდიოზული კონცერტი, რომელიც ასოციაცია „ქართული ხმების“, ანუ თქვენი თაოსნობით ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა, და შემოსავალი მთლიანად წმინდა სამების კათედრალის მშენებლობის ფონდში გადარიცხეთ.**

— რაც მან დახარჯა, იმასთან შედარებით ჩვენი შენატანი მიზერული იყო. მაგრამ მან ჩვენი შენაწირი სახარებისეულს შეადარა — ყველაფერი გაიღეთ, რაც გაგაჩნდათო.

**— თქვენ, თემურ ჭკუასელმა, არაერთხელ აღიმაღლეთ ხმა ქართულ პრესაში ბიძინა ივანიშვილის დასაცავად.**

— თავდაპირველად იგი არ რეაგირებდა ასეთ ჩხვლეტებზე, მაგრამ თანდათან ასეთი სიბინძურეები ზღვარს გადავიდა. გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ დაიბეჭდა პასკვილი, თითქოს თბილისის ბოტანიკურ ბაღში ბიძინა ივანიშვილი ბორდელს აშენებდა: ჩემი თვალით ვნახეო, ირწმუნებოდა ვიღაც, როგორ შეჰქონდათ იქ ლეიბებიო(?!).

ამის უპასუხოდ დატოვება აღარ შეიძლებოდა. დავწერე და გამოვაქვეყნე მურაზ იოსელიანის ხელმოწერით. ვიცოდი, გამიბრაზდებოდა. ერთი კვირა ფიქრობდა თურმე, ვინ შეიძლება ყოფილიყო ავტორი. ჩვენი ბიჭებისთვის უკითხავს კიდეც, ვის შეიძლებოდა დაეწერაო. დათო აბესაძეს უთქვამს, მასე მხოლოდ თემურ ჭკუასელი წერსო. მკითხა — მართალიაო? დამალვას აზრი არ ჰქონდა, რადგან ხანდაზმულობის ვადა გასული იყო და სასჯელი არ მემუქრებოდა ***(იცინის).***

ძალიან რომ შეაწუხეს შემდეგ და შემდეგ, თვითონ მითხრა — ხომ არ ვუპასუხოთო. ვუპასუხეთ: რამდენიმე სტატია დავწერე.

**— შეიძლება ერთი მაინც გაიხსენოთ?**

— ერთ-ერთ გაზეთში დაიბეჭდა წერილი „რატომ უნგრევს ორი შვილის დედას — ქალბატონ ტიფანის ბიძინა ივანიშვილი სახლს?“. ბიძინა ივანიშვილის ხასიათიდან გამომდინარე, ეს სრულიად წარმოუდგენელი იყო. დეტალების გახსენება არ ღირს, ერთს კი ვიტყვი, იმ ქალბატონმა ნახევარი სახლი, გაფრთხილების მიუხედავად, ივანიშვილის ნაყიდ მიწაზე ააშენა.

**— სად იყო ეს?**

— აი, აქ — წავკისისკენ, „ამერიკული სოფელი“ რომ იყო, რომელიც დაინგრა, იქ დიდ ფართობზე აჩეხეს მრავალწლიანი ნაძვები. ბიძინამ შეაფასებინა გაწეული ხარჯი, სამ მილიონამდე იყო. შესთავაზა, რომ 6 მილიონს გადაუხდიდა, ოღონდ შეეწყვიტათ ბარბაროსობა. გაჩეხილ ტყეს მე აღვადგენ, ახალ ადგილზე მიწასაც შეგიძენთო. იმ ამერიკელ ქალს, რომელიც ბუშის ახლობლობას იჩემებდა, მადა გაეხსნა და ბიძინას შემოუთვალა — ათი მილიონიდან დავიწყებ ფიქრსო. ბიძინამ იჩივლა სასამართლოში, რომელმაც, წარმოიდგინეთ, გამოიტანა განაჩენი სახლის დანგრევის თაობაზე, რომლის მშენებლობის ნებართვაც არ ჰქონდა ქალბატონ ტიფანის.

ამ ყველაფერზე ვილაპარაკე ჩემს წერილში, რომელიც, როგორც თქვეს, საინტერესო იყო, ემოციურიცო. თარგმნეს ინგლისურად და თითქმის ყველა საელჩოს გაუგზავნეს.

მეორე მხარემ, რომელიც მიხვდა, რომ ცუდად ჰქონდა საქმე, მე მომაკითხა. მითხრეს: თუ საქმეს შემოატრიალებთ, ექვს მილიონზე თანახმა ვიქნებით, ათ პროცენტს კი თქვენ მოგცემთო. მოვუყევი ეს ყველაფერი ბატონ ბიძინას და ვუთხარი: შენ ექვსი მილიონის მიმცემი რომ არ ხარ, ძალიან კარგად ვიცი, მაგრამ ათი პროცენტი მე უნდა გადამიხადო, ზარალში რომ არ დავრჩე-მეთქი... ***(გულიანად ეცინება).***



სერგო ედიშერაშვილის ფოტო

## თუ რამე არ შეიცვალა და თუ რამე არ გავაკეთეთ (ბატონი ირაკლი მელაკარაკებოდა, ალასანია), კიდევ ოცდაათი წელინადი, როგორც მინიმუმი, ესენი დარჩებიან ხელისუფლებაშიო

ძალიან ვიხალისეთ.

ფინალი არ გაინტერესებთ?

**— მაინტერესებს.**

— იმ ქალს ის სახლი კანონიერად დაუნგრიეს, ბიძინამ კი დაპირებული ექვსი მილიონი მაინც გაუგზავნა.

**— აუჰ!.. თქვენ, ბატონო თემურ, ამჟამად სერიოზულად ხართ ჩართული წინასაარჩევნო კამპანიაში. შეიძლება მეშლება, მაგრამ ვფიქრობ, ამ კამპანიის აქცენტი სოციალურ-კომუნალური საკითხებით იფარგლება. მეორე პლანზე გადავიდა, რიგ შემთხვევაში, საერთოდ დავიწყებულია ისეთი მწვავე პრობლემები, როგორიცაა ამ ხელისუფლების მცდელობა — წარყვნას სულიერი ღირებულებანი, ტრადიცია, სამართლიანობა; აღარავის ახსოვს მეცნიერება, ხელოვნება, განათლება. თუმცა ვის რა უნდა მოვთხოვოთ, როცა „უფალო, შეგვიწყალე!“ „მიშა, მიშათი!“ ჩაანაცვლეს, ხოლო პოპსას ნამღერი „მიშა მაგარია“ ლამის მეორე ჰიმნად გაიხადეს?!**

**ეს საკითხები თქვენ, ბატონო თემურ, უთუოდ განსაკუთრებით გაწუხებთ, თუნდაც თქვენი პროფესიიდან გამომდინარე, — მახსოვს, ნუგზარ ფოფხაძის თავმჯდომარეობისას საქტელერადიოში მთლიანად ეროვნულ კულტურაზე აქცენტირებული მთავარი რედაქციის მთავარ რედაქტორად რომ მუშაობდით და პარალელურად ანსამბლი „ჟურნალისტი“, მომავალი „ქართული ხმები“, რომ დააარსეთ...**

— მადლობელი ვარ ამ შეკითხვისთვის. **ᲔᲠᲗᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲡ ᲕᲮᲕᲓᲔᲑᲘ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲘᲛ ᲙᲣᲗᲮᲔᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲐ ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ — ᲒᲣᲠᲘᲐᲖᲔ ᲕᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑ. ᲒᲐᲝᲪᲔᲑᲣᲚᲘ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗ ᲡᲝᲤᲔᲚᲨᲘ ᲬᲘᲜᲐ ᲞᲚᲐᲜᲖᲔ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲗ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲔᲑᲘ. ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲣᲚᲐᲓ ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲡᲣᲚᲘᲔᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲚᲐᲞᲐᲠᲐᲙᲝᲑᲡ.**

ერთი ქალბატონი დამახსომდა სოფელ ბუკნარიდან, სამი დღის წინ ვიყავით ამ სოფელში. ამ ქალბატონის შვილი აფხაზეთში იბრძოდა და დაიკარგა. ჩვენმა ხელისუფლებამ... ***(პაუზა)*** მწარედ მეღიმება, ამას რომ გიყვებით... ჩვენმა ხელისუფლებამ მარტოხელა დედას არ დაუნიშნა პენსია, მარჩენალის დაკარგვის გამო რომ ეკუთვნოდა. უარის თქმის ფორმულირება ასეთია: თქვენი შვილი წასული იყო მოხალისედ და ამიტომ არ გეკუთვნითო. შეხვედრაზე იმ ქალბატონს მადლობა ვუთხარი ასეთი შვილის აღზრდისთვის და თანასოფლელებმა ტაში დაუკრეს მას. დავპირდი, რომ უსამართლობას გამოვასწორებდით, როგორც კი ხელისუფლებაში მოვიდოდით.

— არა, ნენა, არა, — ზუსტად ამ სიტყვებით მომმართა, — მე არაფერი მიჭირს. ჩემ თავს მე მივხედავ. ქვეყანას მიხედეთ...

***(გაუჭირდა თემურ ჭკუასელს ამ სიტყვების გამეორება, ცრემლი მოადგა თვალებზე. ვერ დაიოკა ემოცია).***

ასეთი განწყობილებაა გურიაში, რომლის მკვიდრთა მაღალი სულიერება, ნიჭი და უნარი ყოველთვის აოცებდა აქ ჩამოსულ უცხოელებს, გაოგნებულები იყვნენ. ამის უამრავი მაგალითია დაფიქსირებული წერილობით ძეგლებში.

სანამ გურიაში ჩავიდოდი, წერილების ციკლი გამოვაქვეყნე „გურია ნიუსში“. ერთ-ერთი წერილის სათაური ასეთი იყო: „წახდა, ბებია, ყანა!“, ბებიაჩემი იტყოდა ასე, ქარი მიწაზე რომ დააწვენდა ყანას და მოსავალი რომ დაიკარგებოდა.

**ᲬᲐᲛᲮᲓᲐᲠ ᲧᲐᲜᲐᲡ ᲰᲒᲐᲕᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲒᲣᲠᲘᲐ. ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲜᲘᲭᲘᲔᲠ ᲮᲐᲚᲮᲡ, ᲒᲣᲠᲣᲚᲔᲑᲡ, ᲘᲡᲔ ᲨᲔᲣᲢᲘᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲛ ᲐᲕᲛᲐ ᲥᲐᲠᲛᲐ, ᲓᲐ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲐ ᲛᲐᲗᲗᲕᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲐᲧᲠᲐᲡ... ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲣᲤᲠᲝ ᲠᲝᲛ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐᲗ, ᲡᲢᲣᲛᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲪ ᲐᲠ ᲨᲔᲣᲫᲚᲘᲐᲗ.**

**— ხომ არ დაკარგეს გურულებმა ფირალების სულისკვეთება, ხომ არ შეშინდნენ?**

— არა! ყველაზე ნაკლებად სწორედ ეს იგრძნობა გურიაში, ყველაზე ნაკლებად. მართალია, ბევრი მაინც ვერ მოდის ჩვენთან შეხვედრაზე, მაგრამ გვითვლიან, — იცოდეთ, თქვენთან ვართ, მარა ახლა, ამ წუთში არ შეგვიძლია: ხან შვილის სამსახურიდან გამოგდებას იმიზეზებენ, ხან სხვა რამ ასეთს!

**— დემოკრატიული ქვეყანა ვართ!**

— ისეთი დემოკრატიული, რომ, როგორც მთელ საქართველოში, გურიაშიც დაბერებას ნატრობენ — საპენსიო ასაკის მიღწევას. ისეთი გაჭირვებაა, რომ ის კაპიკებიც სანატრელი გაუხდათ...

ერთი ფრანგი მყავდა სტუმრად და რაჭის სანახავად ავიყვანე. ცარიელ სახლში უნდა გავჩერებულიყავით. დავალაგეთ ბარგი და გავედით სოფელში. საღამოს რომ დავბრუნდით, ვხედავთ, ავსებულია აივანი მორთმეული ლორით, შოთებით, ხაჭაპურით, ხილით, რა გინდა სულო და გულო! დოქით ღვინოც დგას.

იკითხა ფრანგმა, საიდანო?

ვუპასუხეთ, რომ სოფლის ნობათი იყო, დაგვინახეს რომ მოვედით და, ვისაც რით შეეძლო, გაგვიმასპინძლდა, რადგან სახლი, რომელშიც მოვთავსდით, ცარიელი, უმასპინძლო იყო.

გაგიჟდა ეს კაცი:

— ჩვენთანო, — გვითხრა, — სოფელში თუ მიხვალთ, ყველა კარი გამოკეტილი დაგხვდებათ. მეზობლები ფანჯარას ჩამოფარებულ ფარდას ოდნავ თუ გადასწევენ და, თუ შეამჩნიეს, რომ თვალი მოჰკარით, სასწრაფოდ დახურავენ, ესეც დიდი ამბავიაო.

**— როგორც თქვენ — რაჭაში, ასევე ხომ არ დახვდნენ სააკაშვილს კალანდობაზე გურიის ერთ-ერთ უმასპინძლო სახლში, სადაც მთელი რაიონიდან ხარკივით აკრეფილი ხორაგი დაახვავეს: აი, რა შეძლებულები ვართო?**

— უნიჭო სპექტაკლი იყო. ახლაც იცინიან გურულები ამაზე...

ერთ სოფელში ვართ. მესმის ჩემ უკან ქალის ხმა:

— ეს კაცი (ჩემზე ამბობს) ყველაფერს კარგად კი ლაპარაკობს, მაგრამ მე მოვესწრები მაგას, ნეტავი?

მივიხედე. მშვენიერი ქალბატონი იყო.

— ქალბატონო, რას ამბობთ, — ვუთხარი, — მშვენივრად გამოიყურებით!

— შიმშილმა იცის, ნენა!

***(გულიანად ვიცინით).***

სხვა ქალბატონი ასე მელაპარაკებოდა:

— ყველაფერი როგორაა, იცი, დედიკო, ახლა? შეხედე ჩემ ყანას: სასუქი ვერ შევიტანეთ და დავრჩებით წელს უსიმინდოდ, აგი ტაროს არ გამოისხამს.

— ქალბატონო, რაღაცა რომ მოვიფიქროთ, ვიშოვოთ სასუქი და ახლა რომ შევიტანოთ?

— ეგ ისე უშველის ჩემს ყანას, როგორც მიცვალებულს გულზე წამლის დადება, — არც დაფიქრებულა, ისე მიპასუხა.

ხატოვნად აზროვნებენ.

ერთ სოფელში სიტყვით გამოვდივარ და მესმის:

— ამ კაცს ისეთი ლაპარაკი ცოდნია, გველს გაწყვიტავს წელშიო!.. — პირველად გავიგე.

გულწრფელები ვართ შეხვედრების დროს ორივე მხარე — მე და გურულები, ამიტომ მგონია, რომ გვჯერა ერთმანეთის.

პირველად რომ ჩავედი, ერთი მაჟორიტარი კანდიდატის ამბავი გავიხსენე, რომელიც ადიგენის რაიონში იყრიდა კენჭს. გვეშველება რამეო? — ჰკითხეს ადგილობრივებმა იმ კაცს. იმანაც უპასუხა: თქვენი არ ვიცი, მე კი ნამდვილად მეშველებაო.

დაუფასეს ეს იუმორი. ▶

# ჩემი უახლოესი მეგობრების შვილები მსახურობენ პოლიციაში. ერთ-ერთს პირდაპირ მოსთხოვეს: ან მამათქვენი თავის მეგობარს ჩამოსცილდეს, ან ახლავე დატოვე სამსახურიო. მამას ამას როგორ ვაკადრებ და ახლავე წავალო... თავი დაანებეს.

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ პირველსავე შეხვედრაზე ვუთხარი გურულებს: **ვერასოდეს წარმოვიდგენდი ჩემს თავს დეპუტატობის კანდიდატად, მაგრამ რახან ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა თავი გადადო და დამასახელა, ვაცხადებ, რომ ეს უკვე ჩემს მოვალეობად იქცა და, რასაც გპირდებით, გავაკეთებ, რადგან ჩემ უკან დგას ადამიანი, რომელიც ამის შემძლეა.**

**— დაყადაღებაზე თუ აქვთ რეაქცია გურულებს?**

— ცინცხალი ანეკდოტია:

— რაფერ ხარ, ძამა? — ეკითხება ერთი გურული მეორეს.

— არა ვარ კარგად.

— რეიზა?

— დაყადაღებული ვარ!

*(ვიცინით).*

**— ბიძინა ივანიშვილმა რამდენიმეჯერ თქვა, რომ ქართული პოლიცია ერთგვაროვანი მასა არ არის და ჩვენი პოლიციელები ჩვენზე ხელს არ აღმართავენო გადამწყვეტ მომენტში.**

**თუმცა 26 მაისის „ბართლომეს ღამემ" საპირისპირო დაამტკიცა.**

**მე გაგახსენებთ ერთ იგავს სახარებიდან, სახელდობრ, მოციქულთა საქმეებიდან, რომელშიც მოთხრობილია, თუ როგორც სცემეს და შემდეგ საპყრობილეში ჩაყარეს პავლე და სილა, ანუ, როგორც ახლა იტყვიან, „პოლიტიკურ პატიმრებად" შერაცხეს და საპყრობილის ზედამხედველს (ციხის უფროსს) უბრძანეს, „ფხიზლად ედარაჯა მათთვის".**

**შუაღამისას „მოხდა დიდი მიწისძვრა, საპყრობილის საძირკველი შეირყა; მყისვე გაიღო ყველა კარი და ყველას დასცვივდა ბორკილები".**

**სასოწარკვეთილმა და შეშინებულმა ციხის ზედამხედველმა ჯერ თავის მოკვლა გადაწყვიტა, შემდეგ კი პავლესა და სილას შეგონებას მიჰყვა და იწამა უფალი** *(საქ. მ. 16,16-40).*

**ფიქრობთ, რომ დღევანდელ პოლიციაში შეიძლება გამოჩნდნენ ასეთი ადამიანები, თუ მაინც და მაინც მიწისძვრასა და სასწაულს უნდა ველოდოთ?**

— ერთ ამბავს მოგიყვებით. ირაკლი სესიაშვილი, რომელიც „ქართული ოცნების" რწმუნებულია კახეთში, პატრულმა გააჩერა. ამან უთხრა, რომ დამნაშავე ვარ და მაპატიეთო. მოსთხოვა პოლიციელმა მკაცრი ხმით მანქანის საბუთები. მისცა. წავიდა. ირაკლის უფიქრია, წაიკითხავენ ჩემს სახელსა და გვარს და აუცილებლად მაქსიმალური ჯარიმით მომადგებიანო. მობრუნებულმა ეს პოლიციელი, მიუცია საბუთები და წაბრძანდითო, უთქვამს. გაკვირვებია სესიაშვილს; რა ხდება, უკითხავს. არაფერიო, უპასუხია პატრულს, წაბრძანდითო, და თვალი ჩაუკრავს.

ასეთები ბევრნი არიან. **ჩემი უახლოესი მეგობრების შვილები მსახურობენ პოლიციაში. ერთ-ერთს პირდაპირ მოსთხოვეს: ან მამათქვენი თავის მეგობარს ჩამოსცილდეს, ან ახლავე დატოვე სამსახურიო. მამას ამას როგორ ვაკადრებ და ახლავე წავალო. თავი დაანებეს. ალბათ, მიხვდნენ, რომ, თუ ასე გააგრძელებდნენ, ძალიან ბევრის დათხოვნა მოუწევდათ.**

უფლება არ მაქვს, ბევრი ვილაპარაკო, მაგრამ ვიცი, რომ ბევრ ადამიანს, ვინც ამათ სისტემაში მუშაობს, მოყირჭებული აქვს იქ ყოფნა. ასეთი განწყობილება მას შემდეგ უფრო გაძლიერდა, რაც ბატონმა ბიძინამ განაცხადა, რომ ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ ქვედა ფენებს არ შევეხებით, თუ ვინმეს დანაშაული არ აქვს ჩადენილიო. პირიქით, ვინც უკანონოდაა დათხოვნილი, იმათაც დავაბრუნებთო.

**ქვეყანაში ყველაფერია მომწიფებული საიმისოდ, რომ შეიცვალოს სიტუაცია.**

**— თქვენი პასუხი ისე გავიგე, რომ ბიბლიური სიუჟეტის გამეორება ჩვენს სინამდვილეში არც თუ უსაფუძვლო პერსპექტივაა.**

— სახარების კომენტარი ჩემგან მკრეხელობა იქნება, მაგრამ საღვთო წერილზე უფრო ცხოვრებისეული წიგნი არ არსებობს და მისეული სიუჟეტების გამეორება დღევანდელობაში სავსებით რეალურია და შესაძლებელი.

**— ბატონო თემურ, ლოყაზე დაგორებული გლიცერინის კურცხალიდან კაფანდარა როზა წყაბელიას სააკაშვილის მკერდზე მიკვრამდე ფარისევლობის ერთი დოზაა?**

— *(ეღიმება).* ერთ სოფელში ერთმა გურულმა ასეთი გენიალური შეკითხვა დამისვა: **აი კაცი** (სააკაშვილს გულისხმობდა) **სამშობლოს რეიზა არ ახსენებს?..** გადავქექე გონებაში, გადავქექე და მართალი აღმოჩნდა ის გურული. „ჩვენი ქვეყანა" — ნათქვამი აქვს, „სამშობლო" — არა. **როცა ადამიანს სიტყვა „სამშობლოს" თქმა უჭირს, იგი უცხოა თავის ქვეყანაში, უცხო და ფარისეველი, ყალბი.** ასეთი იქნება ჩემი პასუხი.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ქართული ანდაზისა არ იყოს, „ცხენს ვერ შესწვდნენ და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო", — ასე იქცევა ჩვენი ხელისუფლება, როცა „ქართუ ჯგუფისა" და „ბანკ ქართუს" წინააღმდეგ უკანონო ღონისძიებებს განახორციელებს?**

— ფარისევლობა ვახსენეთ ეს-ესაა. **ვერ წარმომიდგენია, იმაზე დიდი ფარისევლობა, რასაც ჩვენი ხელისუფლება სჩადის. ყველა მოსახვევში დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობაზე ლაპარაკობს და პარალელურად ასეთ უკანონობასა და უსინდისობას აკეთებს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ იგი არჩევნებში მონაწილეობს.**

ბიძინა ივანიშვილი, მაგათ ეგონათ, პოლიტიკაში არ ჩაერეოდა, რადგან მან დაარწმუნა ხელისუფლება მათ მიერ „ქართუ ჯგუფში" ჩანერგილი აგენტის მეშვეობით, რომ განზე დგას და ქვეყნიდან წასვლას აპირებს.



ოზურგეთი, 2012 წლის 17 ივნისი: ბიძინა ივანიშვილმა დეპუტატობის კანდიდატად ეს-ესაა თემურ ჭკუასელი დაასახელა

**— ჩრდილელზე ამბობთ?**

— დიახ. დაარწმუნა, რომ შარშან ოქტომბრისთვის აპირებდა საქართველოს დატოვებას. ასე იცოდნენ და ამიტომ იყვნენ ძალიან მშვიდად. ოპოზიციასთანაც მოგვარებული ჰქონდათ ყველაფერი, და უეცრად ბიძინა ივანიშვილი გამოდის თავისი ცნობილი განცხადებით...

**— „ოპოზიციასთან მოგვარებული ჰქონდა ყველაფერი" წამოგცდათ?**

— ამით იმას კი არ ვამბობ, რომ ოპოზიცია იმათ მხარეს იყო. არა. მოგვარებული ჰქონდათ იმიტომ, რომ ოპოზიციონერები მე პირადად მეუბნებოდნენ, თუ რამე არ შეიცვალა და თუ რამე არ გავაკეთეთ (ბატონი ირაკლი მელაპარაკებოდა, ალასანია), კიდევ ოცდაათი წელიწადი, როგორც მინიმუმი, ესენი დარჩებიან ხელისუფლებაში.

**— რა უნდა შეცვლილიყო?**

— შეცვლაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმებოდა სახსრები, რაც ძალიან უჭირდა ოპოზიციას. მე შემეძლო, რა თქმა უნდა, ამაზე მელაპარაკა ბატონ ბიძინასთან, მაგრამ არაფერი მითქვამს. ხოლო მისი გადაწყვეტილება პოლიტიკაში მოსვლის თაობაზე სრულიად შემთხვევით გავიგე...

თქვენ ახლა, გარკვეული თვალსაზრისით, „უნიკალურ" ადამიანს ელაპარაკებით *(ღიმილით)*, „უნიკალურს" იმდენად, რამდენადაც ბიძინას მეგობრებიდან ერთადერთი მე ვიყავი, ვინც პირადად და პირველად მისგან გავიგე, რომ ხვალ, ხუთში განცხადების გაკეთებას აპირებს.

წამიკითხა ის პირველი განცხადება და ჩემი რამდენიმე შენიშვნაც ვუთხარი.

**— კერძოდ?**

— კერძოდ ვუთხარი, რომ ეგებ ცოტა შეერბილებინა ტელევიზიებთან დაკავშირებული პოზიცია. შენ ეჭვი გეპარება, რომ ეს ასეო? ვუპასუხე, რომ მე შეიძლება არ ვეჭვობდე, მაგრამ ღირს კი ასე პირდაპირ ხარისთვის რქებში ხელის ჩავლება? მახსოვს, ჩაამატა ასეთი წინადადება, თუ თქვენ უარს არ იტყვით ჩემს შეთავაზებაზე, მაშინ ერთი წლის შემდეგ დაგიბრუნებთ ამ ტელევიზიებს. თანაც, ტელეეთერის ნაწილს ყიდულობდა. ამაზე რატომღაც ატეხეს ვაიუშველებელი. ბიზნესმენებისგან ასეთი შემოთავაზებები აბსოლუტურად ჩვეულებრივ, საქმიან წინადადებადაა მიჩნეული. რატომ მიიღეს შეურაცხყოფად, არ მესმის.

ეს ცალკე თემაა. აქ მხოლოდ ბატონ ბიძინას პოზიციას დავაფიქსირებ. მან ასე შეაფასა სიტუაცია: თუ თქვენ ჩემს ბიზნესწინადადებაზე უარს იტყვით, მაშასადამე, თქვენს ტელევიზიებთან დაკავშირებული ჩემი ვარაუდი მართლდება. ეს იყო ყველაზე მწარე სიტყვები.

მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა.

ეს მომენტი გავიხსენე იმიტომ, რომ **სწორედ მაშინ მითხრა ბატონმა ბიძინამ: — ვაპირებდი ოპოზიციის დაფინანსებას, მაგრამ მივხვდი, რომ მხოლოდ ფულის ჩადებით შედეგს ვერ მივაღწევდით და ამიტომ გადავწყვიტე, პირადად ჩავერთო ამ მოძრაობაში.**

**ამას პირველად ვამბობ, თქვენთან.**

ვილაპარაკეთ მაშინ ოპოზიციის შესახებ და მე აბსოლუტურად გულწრფელად გავუზიარე ჩემი შეხედულება და შთაბეჭდილება რესპუბლიკელებზე, დანარჩენებზე... ბიძინა ივანიშვილი ის კაცი არ არის, ჩემი რჩევით რამე გადაეწყვიტა, მაგრამ ძალიან გამეხარდა, რომ მისი აზრები და ჩემი რჩევა თუ შეხედულება ერთმანეთს დაემთხვა, და პრაქტიკულად ის ადამიანები დაიყენა გვერდით.

**— მაგრამ რესპუბლიკელებზე აზრთა სხვადასხვაობაა, მიუღებლობაც კი...**

**— რესპუბლიკელების შესახებ პირდაპირ ვუთხარი ბატონ ბიძინას: არიან ინტელექტუალები, მაგრამ საოცრად დაბალი რეიტინგი აქვთ ხალხში. ამის ახსნა არ შემიძლია. ისიც არის, რომ ინტელექტუალობა დაპირისპირების მუხტს, წინააღმდეგობის გაწევის სურვილს ბადებს... მე მგონი, ის, რაც მათთან დაკავშირებით ხდება, ერთხელ აგორებული და შემდეგ ძალამოკრეფილი შეხედულების ნაყოფია — ერთმა თქვა, მეორემ, მესამემ დაიჯერა და ასე შემდეგ. გარკვეული ამბიციები იგრძნობა. მაგრამ, მე თუ მკითხავენ, მათი ლიდერის — დავით უსუფაშვილის მიმართ ძალიან კარგად ვარ განწყობილი, საოცრად პატიოსანი ადამიანია.**

**— კარალეთში ქვების სროლა და ვაჟას „დღეს სტუმარია ეგ ჩემი, თუნდ ზღვა ემართოს სისხლისა", თქვენი აზრით, როგორ ესადაგება ერთმანეთს? უკვე გაცვდა ტრადიციული რწმენა და ღირებულებები?**

— გურიის მაგალითზე გეტყვით. შეხვედრებზე გამოჩნდებიან „მამაცი" დედაკაცები და, როგორც კარალეთში იყო, „საზეპიროების" დეკლამირებით, რაც შეიძლება შეურაცხმყოფელი წინადადებებით „შემომიტევენ" ხოლმე.

მაგალითად:

— სა იყავი 2008 წლის აგვისტოში?

მე მშვიდად ვუპასუხებ:

— ვიყავი ოდღუბეში და რუსების ტანკების შემოსვლას ველოდებოდი.

*(გულიანად ვიცინით).*

— არა, უცხოეთში იყავი! შენი შვილი ამერიკაში სწავლობს!

რა მიხვედრა უნდა, დარიგებული იყო ხელისუფლების აქტივისტი ქალი. შემდეგ გამოვიკითხე, ვინ იყო ეს „გაბედული" ოპონენტი და გავიგე, რომ ორჯერ ყოფილა დაპატიმრებული ნარკოტიკების გასაღებისთვის. შვილი ციხეში უზის.

**ნორმალური ადამიანები ნორმალურად იქცევიან, ხელისუფლების მომხრენიც კი.** სოფელ ბასილეთში ერთმა თეთრწვერა კაცმა ძალიან მშვიდად რამდენიმეჯერ მკითხა: — რას უწუნებ სააკაშვილსო. აშკარად ჩანდა, რომ მისი მომხრე იყო.

— ჩემო ბიძიკო, — ვუთხარი იმ კაცს, — რამდენიც უნდა გესაუბროთ, აზრს ვერ შეგაცვლევინებთ, თქვენ მე ვერ შემაცვლევინებთ. მიბრძანდით საარჩევნო უბანში და თქვენს რჩეულს მიეცით ხმა. ჩვენ, მოდით, ამის გამო ერთმანეთს ნუ წავეჩხუბებით. — კი, ბიძიაო, — ღიმილით მითხრა და ჩამომართვა ხელი.

**ის, ვინც ქვას ისვრის, ჩათვალეთ, რომ რაღაცაშია გასვრილი. ასეთებს ვაჟას შეგონების დაცვას ვერ მოსთხოვ.**

**— დასეტყვილი, გავერანებული კახეთისთვის ბიძინა ივანიშვილის მიერ გადადგმულ 80-მილიონიან გენიალურ ნაბიჯს როგორ აფასებთ? დაახლოებით ისეა, როგორც ჭადრაკში — თეთრები იწყებენ და იგებენ!**

— შეიძლება, თქვენც არ დამიჯეროთ, მაგრამ მე ჩემსას ვიტყვი. თქვენ თქვით, გენიალური ნაბიჯიაო, სხვებიც აფასებენ, როგორც პოლიტიკოსის მიერ გაკეთებულ მომგებიან სვლას.

**ბიძინას ეს ნაბიჯი პოლიტიკაზე მაღლა დგას. კახელებისთვის დახმარების გაწევა მისი აბსოლუტურად გულწრფელი სურვილი იყო. ესაა მთავარი. ხოლო დანარჩენი, რაც ჯარიმის გადახდას უკავშირდება, ჩვენს უსამართლო სამართალში, მახინჯ კანონმდებლობაში, არსებულ დაბრკოლებათა გადალახვის აუცილებლობით იყო გამოწვეული.**

ასეთი პიროვნებაა. მისი ხასიათი უკეთ რომ გაგაგებინოთ, ერთ ფაქტს გავიხსენებ. შეკვეთილში გლეხისგან იყიდა საყანე მიწა და, როგორც წესი, ორმაგი ფასი გადაუხადა. ცოტა ხანში იმავე ფართობის მიწა უყიდა სხვაგან და აჩუქა იმ კაცს.

— რა ქენი-მეთქი? — შევეკითხე, — ფული ხომ მიეცი?!

— ბიჭო, ჭოტკაია (ასე მეძახის), ფული კი მივეცი, მაგრამ ის ფული გამოილევა, წარმოიდგინე იმ გლეხის მდგომარეობა, რომელსაც საყანე მიწა არ ექნება!

**— ბოლო სიტყვას მოვიდეთ!**

— არჩევნები ძალიან დიდი საქმე და მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოსთვის, მაგრამ ჩვენს მკითხველს მინდა ვუთხრა: ნუ დავივიწყებთ იმ უკვდავ ფორმულას, რომელიც ჩვენს ხალხს ჩამოუყალიბებია: **რაც მტრობა დუნგრევია, სიყვარულს უშენებია!**

— წუთისოფელი ასეა!

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**ბიძინა ივანიშვილი, მაგათ ეგონათ, პოლიტიკაში არ ჩაერეოდა, რადგან მან დაარწმუნა ხელისუფლება მათ მიერ «ქართუ ჯგუფში» ჩანერგილი აგენტის მეშვეობით, რომ განზე დგას და ქვეყნიდან წასვლას აპირებს**

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„გამსახურდიას არასწორმა პოლიტიკამ დიდი როლი ითამაშა აფხაზეთისა და ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებად ქცევაში და საქართველოსგან მათ მოწყვეტაში. გადატრიალების შემდეგ აფხაზეთში სეპარატისტებმა ისარგებლეს ამ მომენტით და ჩამოსცილდნენ საქართველოს. გამსახურდია, როგორც მმართველი, ჩამოუვარდებოდა შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც, მაგრამ ის იყო პატრიოტი, დისიდენტი და ორივე პრეზიდენტზე მეტად განათლებული, წიგნიერი ადამიანი. სამწუხაროდ, მმართველობა და პრაგმატიზმი პოლიტიკაში ვერ თავსდება“.**

## დავით ზურაბიშვილი:

# ჩემი დამოკიდებულება გამსახურდიას ხელისუფლების მიმართ იყო უარყოფითი; მას შეეძლო თავიდან აეცილებინა დაპირისპირება და ეთნოკონფლიქტები

„ქართული ოცნების“ წევრი, რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენელი დავით ზურაბიშვილი პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მმართველობის პერიოდს არადემოკრატიულად მიიჩნევს და თვლის, რომ სწორედ მაშინ დაიწყო ეთნოკონფლიქტები და დაპირისპირება, რომელმაც უმძიმესი შედეგები მოუტანა ქვეყანას. **„ზვიად გამსახურდია იყო პატრიოტი, მაგრამ არ ჰქონდა მმართველობის ნიჭი. ის ქვეყანას ეფემერული მეთოდებით მართავდა, რამაც საბოლოოდ სავალალო შედეგი გამოიღო, თუმცა მის შემდგომ არც ერთ მმართველს — არც შევარდნაძესა და არც სააკაშვილს ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე არ უფიქრია“, —** აცხადებს **დავით ზურაბიშვილი.**



## «გამსახურდია ცუდად მოიქცა ოსებთან და აფხაზებთან დაკავშირებით»

**— ბატონო დავით, ოც წელზე მეტია, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, როგორ შეაფასებთ დღეს ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხს? ამ დროის განმავლობაში საქართველოს სამი პრეზიდენტი ჰყავდა, როგორ ფიქრობთ, რომელი პრეზიდენტის მმართველობის დროს იყო ქვეყანა დემოკრატიული: ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის თუ მიხეილ სააკაშვილის?**

— სამწუხაროდ, თავიდანვე ვერ მივიღეთ აბსოლუტური დამოუკიდებლობა და ბევრი შეცდომა დავუშვით, განსაკუთრებით ნაციონალიზმის თვალსაზრისით. გამსახურდიამ არაქართველების მიმართ შემწყნარებლური პოზიცია არ დაიჭირა, მისმა ხელისუფლებამ ძალიან მძიმე ტონი შემოიტანა, რასაც ძალიან მძიმე გაგრძელება მოჰყვა. **ჯერჯერობით დემოკრატი მმართველი არ გვყოლია, იმ გაგებით, რომ ეზრუნა ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებაზე. ასეთი არ იყო არც გამსახურდია და არც შევარდნაძე. სააკაშვილი მათზე ბევრად უარესი არადემოკრატია, ტოტალიტარიზმის თვალსაზრისით.** ვერ გეტყვით, გამსახურდიას დროს გამოუცდელობის მომენტი იყო და საზოგადოებისთვის ძნელი წარმოსადგენი, თუ რას ნიშნავს დემოკრატიულობა. ამის შემდგომ შევარდნაძისა და სააკაშვილის დროს ამ მხრივ მეტი გამოცდილება დაგროვდა. **ვფიქრობ, დემოკრატიული რეფორმებისთვის ყველაზე კარგი პერიოდი გამსახურდიას დრო იყო. ეს იყო გარდამავალი პერიოდი, მაგრამ ბევრი რამ გამოუცდელობის ბრალიც იყო, ეს ეხებოდა როგორც ქართველ დისიდენტებს, ასევე კომუნისტურ ნომენკლატურასაც.** ლატვიასა და ესტონეთში პირიქით — დემოკრატიულ რეფორმებში მონაწილეობდნენ როგორც პარტიული ნომენკლატურა, ისე დისიდენტები. მათ სახელმწიფოებრივი შეგნება უფრო მაღალი ჰქონდათ, ჩვენ კი არა, სწორედ ამან განაპირობა ის, რომ ეს პერიოდი მძიმედ გადავიტანეთ და შედეგებიც სახეზე გვაქვს.

**— მაინც რა შეცდომები დაუშვეს იმ დროს და რა შედეგი მოჰყვა მას?**

— მე პირადად მაშინ პოლიტიკაში არ ვიყავი, რაც შეეხება რესპუბლიკურ პარტიას, ის მაშინ აქტიური იყო. **პირადად ჩემი დამოკიდებულება გამსახურდიას ხელისუფლების მიმართ იყო უარყოფითი, ვფიქრობ, მას უკეთესად შეეძლო ემართა სიტუაცია და თავიდან აეცილებინა დაპირისპირება და ეთნოკონფლიქტები.** შესაძლოა, თავად გამსახურდიაც არ იყო დამნაშავე და იქ ოპოზიციის უარყოფითი როლიც იყო, იმიტომ, რომ ის, რაც მოხდა (სახელმწიფო გადატრიალებას ვგულისხმობ), ნამდვილად იყო დანაშაულებრივი ქმედება, რომლის მძიმე შედეგებს დღესაც ვგრძნობთ. ჩვენ, მართალია, იარაღი არ გვისვრია, მაგრამ ვიყავით გამსახურდიას ოპოზიციაში, ვიყავით შევარდნაძის ოპოზიციაში და ვართ სააკაშვილის ოპოზიციაში. **ჩვენ ყოველთვის ვიქნებით იმ ხელისუფლებასთან ოპოზიციაში, რომელიც დემოკრატიულ რეფორმებს არ გაატარებს.** საქართველოს მომავალი არის ევროპული ტიპის სახელმწიფო, ჩვენ ასეთი სახელმწიფო გვინდა. ეს თითქოს დეკლარირებულად გამსახურდიასაც უნდოდა, შევარდნაძესაც, სააკაშვილიც ამას იძახის, მაგრამ რეალური ნაბიჯები ან ცოტა გადაიდგა, ან სულ არ გადადგმულა. **გამსახურდიას დროს სერიოზული შეცდომები იქნა დაშვებული ოსებთან და აფხაზებთან დაკავშირებით, ძალიან შეუწყნარებელი დამოკიდებულება იყო ეთნიკური უმცირესობების მიმართ.**

**— გინდათ თქვათ, რომ გამსახურდიამ ეთნოკონფლიქტი გააღვივა?**

— მე არ ვამბობ, რომ მარტო გამსახურდია იყო ასეთი და ხალხი აიყოლია, მაგრამ რეალურად ეს დაიწყო ეროვნული მოძრაობის პერიოდში. საჭირო იყო გონივრული პოლიტიკა, რათა მოსალოდნელი პროვოკაციები თავიდან აგვეცილებინა. **როდესაც სააკაშვილს აგვისტოს ომში ვადანაშაულებთ, იმას კი არ ვამბობთ, რომ ჩვენ დავიწყეთ ომი, მაგრამ პროვოკაციაზე არ უნდა წამოგვეგებულიყო. ასე იყო მაშინაც: გამსახურდია ცუდად მოიქცა ოსებთან და აფხაზებთან დაკავშირებით.** ამ დროს აუცილებელი იყო გაცილებით რბილი და მოქნილი პოლიტიკა, მაგრამ ოსების მიმართ ძალიან ხისტი პოლიტიკა დაიჭირა. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის გაუქმება, როგორც აღმოჩნდა, დიდი შეცდომა იყო.

**— გინდათ თქვათ, რომ გამსახურდიას დამსახურება არ აქვს ქვეყნის წინაშე?**

— არა, ამის თქმას არ ვაპირებ. ჯერ ერთი, მან საქართველოში ეროვნული მოძრაობა გააღვივა, შემდეგ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა. ამას ვერ დაუკარგავ.

**— თქვენი აზრით, გამსახურდიას ძეგლი თბილისში უნდა დაიდგას?**

— თუ არ ვცდები, ზუგდიდში დგას გამსახურდიას ძეგლი და, თუ თბილისშიც დაიდგმება, წინააღმდეგი არ ვარ, ეს ბუნებრივი იქნება.

**— თქვენ ამბობთ: რომ არა გამსახურდია, ეთნოკონფლიქტი არ დაიწყებოდა და არ დავკარგავდით აფხაზეთსა და სამაჩაბლოსო. გამსახურდიას შემდეგ ხომ უფრო მეტად ჩამოგვშორდა ეს რეგიონები?**

— გამსახურდიას არასწორმა პოლიტიკამ დიდი როლი ითამაშა აფხაზეთისა და ოსეთის სეპარატისტულ რეგიონებად ქცევაში და საქართველოსგან მათ მოწყვეტაში. გადატრიალების შემდეგ აფხაზეთში სეპარატისტებმა ისარგებლეს ამ მომენტით და ჩამოსცილდნენ საქართველოს. **გამსახურდია, როგორც მმართველი, ჩამოუვარდებოდა შევარდნაძესაც და სააკაშვილსაც, მაგრამ ის იყო პატრიოტი, დისიდენტი და ორივე პრეზიდენტზე მეტად განათლებული, წიგნიერი ადამიანი.** სამწუხაროდ, მმართველობა და პრაგმატიზმი პოლიტიკაში ვერ თავსდება, ის ვერ იყო ძლიერი ადმინისტრატორი. ასევე, შევარდნაძის დროსაც დაიკარგა აფხაზეთი, გადაუარეს სამეგრელოს და ბევრი შეცდომა დაუშვეს. შემდეგ მოვიდა სააკაშვილი კი კიდევ უფრო მეტად გვატყუებდა, გავიმარჯვეო, ამ დროს კი რუსეთის ჯარი უკვე გორს იყო მომდგარი.

**— ივანიშვილი ერთ-ერთ გამოსვლაში აცხადებს, რომ ერგნეთის ბაზრობა შერიგების წინაპირობა იყო და მისი აკრძალვის შემდეგ ეთნოკონფლიქტი ოსებთან კვლავ გაღვივდა. თუ არის დღეს ერგნეთის ბაზრობის აღდგენაზე საუბარი?**

— რა თქმა უნდა, ერგნეთის ბაზარი იყო შერიგების წინაპირობა, მაშინ პრაქტიკულად მოგვარებული იყო პრობლემები ოსებთან და ადამიანები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, ჩვენ რაჭაში მივდიოდით ცხინვალის გავლით... ძალიან პატარა რამ იყო საჭირო საქმის ბოლომდე მისაყვანად. **2003 წლისთვის უკვე ისეთი სიტუაცია შეიქმნა, რომ არავითარი პრობლემა არ შეუშლიდა ხელს ოსებთან შერიგებას,** თუ მოხდებოდა ბაზრობის ლეგალიზება, რაც შემდგომ კანონის ფარგლებში მოქცეოდა.

**დღეს ოსებს ძალიან უნდათ საქართველოსთან ურთიერთობა და ბაზრობის აღდგენა. როდესაც ხელისუფლებაში მოვალთ, აუცილებლად აღვადგენთ თავისუფალ სავაჭრო ზონას.** სააკაშვილმა იმიტომ აკრძალა ერგნეთის ბაზრობა, რომ მას იმედი ჰქონდა, რუსეთთან შეთანხმდებოდა, აიღებდა ცხინვალს, დაარჭობდა იქ ხუთჯვრიან დროშას და შემდეგ „რუსთავი 2“ პირდაპირ გადაცემას შემოგვთავაზებდა. მას ნაკლებად ანაღვლებდა, რა მოხდებოდა აფხაზეთში. **ცხინვალის სანაცვლოდ სააკაშვილი აფხაზეთს თმობდა და ამბობდა, რომ მზად ვარ, ცხინვალის სანაცვლოდ ნებისმიერ კომპრომისზე წავიდეო.**

**— მაგრამ ვინ არ წავიდა ამ დათმობაზე?**

— რა თქმა უნდა, რუსები არ წავიდნენ. მათ მიიღეს ის, რაც უნდოდათ.

**— ეკონომიკური ფაქტორი ხელს შეუწყობს ტერიტორიების დაბრუნებას?**

— ამის გაკეთება ბევრად ადვილია ოსებთან, მაგრამ ძნელია აფხაზებთან. შესაძლებელია, აღდგეს ერგნეთის ბაზრობა შესაბამისი ლეგალიზაციით, აფხაზებთან მიმართებაში კი საჭიროა რაღაც სერიოზული ფიქრი; იქ საჭიროა ადამიანური განწყობის მობრუნება, პირდაპირი დიალოგი ხალხთან. **ხელისუფლებაში ჩვენი მოსვლის შემდეგ აფხაზებთან და ოსებთან შერიგების მეტი რეალობა იქნება, სააკაშვილის გარეშე ბევრად ადვილი იქნება აფხაზებთან და ოსებთან საუბარი.**

**— 90-იანი წლებიდან დღემდე ყალბდება არჩევნები და ვერ მოხერხდა არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლა, ვერც შევარდნაძე და ვერც სააკაშვილი ვერ მოვიდნენ არჩევნების გზით ხელისუფლებაში. რა იმედი აქვს ივანიშვილსა და კოალიცია „ქართულ ოცნებას“ ოქტომბერში, თუკი საპარლამენტო არჩევნები კვლავ გაყალბდა? რას აპირებთ მაშინ ?**

— ვფიქრობ, დღეს გაცილებით მეტია შანსი, რომ არჩევნების გზით ხელისუფლება შეიცვალოს. ძალიან ბევრი რამ შეიძლება მოხდეს, მთავარია ჩვენი აქტიურობა, ეს არის ძალიან კარგი წამალი გაყალბების წინააღმდეგ. **ჩვენი ამოცანა არაა იმაზე ფიქრი, ხელისუფლება არჩევნებს თუ გააყალბებს, მერე რას ვიზამთ. ჩვენ ვფიქრობთ დამაჯერებელ გამარჯვებაზე. ახლა სხვა სიტუაციაა, ხელისუფლება წაგებულ არჩევნებს ვერ „გააპრავებს“.**

**— რატომ ვერ „გააპრავებს“, გაუჭირდება? წინასწარი გამოკითხვის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, უმრავლესობაში მოსვლის იმედი არ უნდა გქონდეთ...**

— გამარჯვების რწმენა აუცილებელია. ჩვენთვის გამოკითხულთა ის პროცენტიც მნიშვნელოვანია, რომელიც თავის პოზიციას არ აფიქსირებს. ასე რომ, დინამიკა ჩვენს სასარგებლოდაა — ზოგი ვერ ბედავს, ზოგი ვერ ამბობს... დღეს ჩვენ გვაქვს გაცილებით უკეთესი მდგომარეობა, ვიდრე 2008 წელს. მართლა რომ წავაგოთ და ვთქვათ, რომ არჩევნები გაგვიყალბეს, დარწმუნებული ვარ, მოსახლეობა ქუჩაში გამოვა და მათ ველარავინ გააჩერებს.

ესაუბრა
**ეთერ ბალაძე**

**P.S. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებამ დაჩქარებული წესით მიიღო ივანიშვილზე მორგებული საკონსტიტუციო ცვლილებები და შესაძლებელი გახადა საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის დეპუტატობა, როგორც ცნობილია, „ქართული ოცნების“ ლიდერმა უარი თქვა ამ გზით პარლამენტში მოხვედრაზე. ამით იმის ხაზგასმა მსურს, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველი ხმას აძლევს არა უშუალოდ ბიძინა ივანიშვილს, არამედ კოალიციას და იმ სიას, რომელიც ივანიშვილმა ნაწილობრივ უკვე წარმოადგინა. თუ რამდენად წაადგება მომავალ არჩევნებში კოალიციას ზოგიერთი, არაშესაშური რეიტინგის მქონე წევრისა თუ მაჟორიტარობის კანდიდატის ხისტი პოზიცია ზვიად გამსახურდიას მიმართ, ეს მისი გადასაწყვეტია, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილში ეს სიხისტე აშკარა გაღიზიანებას იწვევს და საეჭვოა, თუნდაც იმავე სამეგრელოში „ქართულ ოცნებას“ ხმები შეჰმატოს.**

**კოალიცია დასჯერდება მეორე ადგილს და გამარჯვებას „ცივილურად“ მიულოცავს მიშნაცებს. ამ სამწუხარო ვარაუდის ალბათობა რომ არც თუ მცირეა, ეს ამას წინათ „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული მაჟორიტარების სიიდანაც იგრძნობა, რომელმაც აღშფოთება გამოიწვია ბიძინა ივანიშვილის თავგადაკლულ მომხრეთა მნიშვნელოვან ნაწილშიც კი, რადგანაც ეს „სპისოკი“ იმის ნათელი მაგალითია, რომ „ქართული ოცნება“ ნებით თუ უნებლიეთ მიიწევს „საპატიო“ მეორე ადგილისკენ, ვინაიდან, „ოცნებისადმი“ კეთილგანწყობილ სპეციალისტთა აზრითაც კი, როგორც მინიმუმ, დასახელებულ მაჟორიტართა 50%-ის გამარჯვება გამორიცხულია!**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ЖИРАФ БОЛЬШОЙ – ЕМУ ВИДНЕЙ?!»

# ანუ ქართული ოცნების «რესპუბლიკური დავესკა»...

**ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი იმედის მომცემ «ქართულ ოცნებასთან» ერთად რესპუბლიკური «დავესკა» შემოგვაჩეჩა, ანუ პარტია, რომელიც დიდი ხანია, ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე ეძებს «მყიდველს», მაგრამ ამ «საქონელს», სტაბილური 2-3 %-ის გარდა, სხვა მუშტარი ჩვენში არ გამოუჩნდა...**

**საშუალო და უფროსი თაობის ხალხს კარგად გვახსოვს იმ სისტემის ავ-კარგი. გაზი, შუქი, ცენტრალური გათბობა, ცივი თუ ცხელი წყალი და სხვა კომუნალური სიკეთეები (უფასო მედიცინა-განათლებაზე რომ არაფერი ვთქვათ) პრაქტიკულად უფასოდ მოგვეწოდებოდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, დღევანდელისგან განსხვავებით, არავინ გვამადლიდა, მაგრამ იმ დალოცვილ ქვეყანას ერთი ნაკლი მაინც ჰქონდა — იმპორტულ თუ სამამულო წარმოების ხარისხიან საქონელზე ტოტალური დეფიციტი იყო.**



მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობისთვის ეს გადაულახავ პრობლემას არ წარმოადგენდა — თუ მოინდომებდი, შედარებით ადვილად აგვარებდი დეფიციტის პრობლემას. არსებობდა ერთი უცნაური გზა ამ პრობლემის მოგვარებისა — ესა თუ ის მოთხოვნადი საქონელი პირდაპირ დახლზე იდო, მაგრამ ე. წ. „დავესკად“ (რუსული „вес“ — წონა) ისეთი საქონელიც უნდა შეგეძინა, რომელიც, 100 წელი რომ დებულიყო დახლზე, არავინ იყიდდა:

თავად მინახავს, რომ „დათა თუთაშხიასთან“ ერთად ლეონიდ ბრეჟნევის „მცირე მიწას“ და „ყამირს“, ანდა იმპორტულ ფეხსაცმელთან ერთად, „ისნის“ ფაბრიკის შეკერილ სანდლებს გაჩეჩებდნენ „დავესკად“.

**მკითხველი უთუოდ მიხვდებოდა წერილის შესავლის კალამბურის სამიზნეს — ბიძინა ივანიშვილმა უდიდესი იმედის მომცემ „ქართულ ოცნებასთან“ ერთად რესპუბლიკური „დავესკა“ შემოგვაჩეჩა, ანუ პარტია, რომელიც დიდი ხანია, ქართულ პოლიტიკურ ბაზარზე ეძებს „მყიდველს“, მაგრამ ამ „საქონელს“, სტაბილური 2-3 %-ის გარდა, სხვა მუშტარი ჩვენში არ გამოუჩნდა...**

უფრო მეტიც, რვიან-ექვსიანის კრახის გამო პოლიტიკურ მორგში აღმოჩენილი რესპების რეანიმაციაც მოხდა ბიძინა ივანიშვილის მიერ ამ ანტიეროვნული პარტიის პარტნიორად არჩევის მეოხებით...

**ჰოდა, მიშნაცების 8-წლიანი ლიბერასტული მმართველობით გაწამებულ ქართველობას მეტი „რა ჩარა ჰქონდა“, სამების აღმშენებლის შეუვალი ავტორიტეტით „დათრგუნულმა“, მართალია „ჯიგარში უსიამო შეგრძნებით“, მაგრამ მაინც, თითქმის უკრიტიკოდ მიიღო რესპუბლიკური „დავესკის“ შემოჩეჩება და, როგორც ხშირად გვჩვევია ხოლმე, ამ ბოლო დროს საზოგადოების უმრავლესობამ, „იმან იცის, რასაც აკეთებს“ ( ვისოცკის პერიფრაზი რომ ვიხმაროთ „Жираф большой - ему видней!“) სინდრომიდან გამომდინარე, პასიური დამკვირვებლის პოზა მიიღო.**

თითქოს ყველაფერს თავისი სახელი დაერქვა, როდესაც ფსევდო-ოპოზიციასთან (ახლები, ლეიბორისტები, ქდმ) ყოველგვარი თანამშრომლობა იმთავითვე გამოირიცხა. თუმცა რესპების მიმართ კრიტიკაც დღითიდღე მატულობდა, იქამდეც კი, რომ **ბატონმა ბიძინამ ლამის ულტიმატუმის ფორმით მოითხოვა ჟურნალისტებისგან — კოალიცია ერთი გუნდი ვართ და, ზოგს რომ აქებთ, ზოგსაც ნუ აკრიტიკებთო — ამ „ზოგსაც“-ში რომ რესპუბლიკური „დავესკა“ იგულისხმებოდა, საიდუმლო არავისთვის იყო.**

დასავლეთთან ურთიერთობების დალაგება და ევროპა-ამერიკის მხარდაჭერის უზრუნველყოფა „ქართული ოცნების“ მიმართ! — აი ძირითადი თეზა, რომლითაც აპელირებდა „დავესკაშეჩეჩებული“ საზოგადოება თუ კომენტატორთა ნაწილი რესპების სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანის ასახსნელად.

**რესპების „მუშაობის“ შედეგი (ობამა-სააკაშვილის რანდევუთი დაწყებული, მადამ ჰილარის ბათუმში ვიზიტით გაგრძელებული და ამას წინათ ევროპარლამენტში გამართული დებატებით დამთავრებული, სადაც ბიძინა ივანიშვილს, რომ იტყვიან, ნირი წაუხდინეს) ყველამ ვნახეთ!**

ეგეც იქით იყოს და, რა დასავლეთის მხარდაჭერაზე და ოქტომბერში გასამართი არჩევნების მეტ-ნაკლებად ობიექტურად ჩატარების ალბათობაზეა ლაპარაკი, როდესაც ისეთ უმარტივეს რამეზეც კი, რომელსაც XXI საუკუნისთვის გაუგონარი „თეფშების ომი“ ჰქვია, ივანიშვილისა და მისი „დავესკის“ იმედი, დასავლეთის ადმინისტრაციები, პილატესავით დუმან?

**აღარაფერს ვიტყვი ენდიაი-აირაის გამოკითხვათა შედეგებზე, რაც სხვა არაფერია, თუ არა მომავალ არჩევნებზე დასავლეთისთვის მისაღები შედეგის მიმართ ქართული საზოგადოების ამთავითვე შეგუების მცდელობა, შედეგები, რომელსაც მიშნაცები გამოწერენ შემოდგომაზე და რომელსაც „დემოკრატიული დასავლეთი“ უყოყმანოდ აღიარებს!**

**სავარაუდოდ, კოალიცია „ქართული ოცნებისგან“ ამას მოჰყვება „შეუვალი არგუმენტები“ — აბა, ქვეყანას ხომ არ დავანგრევთ, ეს შედეგი ხომ სჯობია არსებულს? უკეთესისთვის 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებზე ვიბრძოლოთ და ა.შ. კოალიცია დასჯერდება მეორე ადგილს და გამარჯვებას „ცივილურად“ მიულოცავს მიშნაცებს...**

ამ სამწუხარო ვარაუდის ალბათობა რომ არც თუ მცირეა, ეს ამას წინათ „ქართული ოცნების“ მიერ დასახელებული მაჟორიტარების სიიდანაც იგრძნობა, რომელმაც აღშფოთება გამოიწვია ბიძინა ივანიშვილის თავგადაკლულ მომხრეთა მნიშვნელოვან ნაწილშიც კი, რადგანაც ეს „სპისოკი“ იმის ნათელი მაგალითია, რომ „ქართული ოცნება“ ნებით თუ უნებლიეთ მიიწევს „საპატიო“ მეორე ადგილისკენ, რადგან, არაანგაჟირებულ სპეციალისტთა აზრით, როგორც მინიმუმ, დასახელებულ მაჟორიტართა 50%-ის გამარჯვება ამთავითვე გამორიცხულია!

მაჟორიტართა სიის პერსონალურ განხილვას არ შევუდგები, იქნებ ზოგადად სიის მიმართ პესიმიზმიც გადაჭარბებულია, მაგრამ რესპუბლიკური „დავესკის“ კანდიდატებს რომ არანაირი შანსი არ აქვთ, ფაქტია.

რატომ? — იმიტომ, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის ყოვლად მიუღებელნი არიან (და ეს ძალიან, ძალიან რბილად არის ნათქვამი) ყოველივე ქართულთან, ტრადიციულთან ტრადიციულად მებრძოლი და „შეთავსებით“ ხლისტური სექტების, ამ ბოლო დროს გათავხედებული ე. წ. სექსუალური უმცირესობების, პედერასტების თავგადაკლული დამცველები!

თუ ამ ხალხის „შემოჩეჩება“ აიტანა ქართველობამ, მხოლოდ ბიძინას ავტორიტეტის გამო და იმავე ბიძინას ფაქტორით, პროპორციულ სიაშიც „გაატარებდნენ“ „დავესკის“ კანდიდატებს, როგორც ბიძინასთვის, ანუ საქმისთვის საჭირო, დასავლეთთან პრაგმატული ფლირტის ინსტრუმენტებს, მაგრამ, როდესაც საძულველი მაჟორიტარისთვის პერსონალურად ხმის მიცემას აიძულებ ამომრჩეველს, ვეჭვობ, რომ ასეთ დისკომფორტს შეეგუოს ქართველი, თუნდაც ბიძინას ხათრით...

აქედან გამომდინარე უფრო მძაფრდება იმათ მიმართ სოლიდარობის განცდა, ვინც საზოგადოებამ მოისაკლისა მაჟორიტართა სიაში. მითუმეტეს, თუ იცი, ვინ ვის მაგივრად მოხვდა ამ სიაში.

მაგალითად, **ჯონდი ბაღათურია**, ვისაც **დავით უსუფაშვილი** დაუპირისპირეს საბურთალოზე. ჯონდიმ ეს „გაუგებრობა“ გაფუჭებული ტელეფონით ახსნა და განაცხადა, რომ 10 დღეში გაარკვევდა ყველაფერს პირადად ბიძინასთან, მაგრამ 10 დღეც გავიდა და ჯერჯერობით, როგორც კრილოვი იტყოდა, „воз и нынче там“...

ანდა **დიმიტრი ლორთქიფანიძე**, ვისაც „დავესკის“ კონფლიქტოლოგი, **პაატა ზაქარეიშვილი**, არჩიეს წყალტუბოში. კაცი, რომელსაც არაფერი აკავშირებს წყალტუბოსთან, გარდა იმისა, რომ წყალტუბოში თურმე დევნილებს რამდენიმეჯერ სტუმრობდა.

ჰოდა, კონფლიქტოლოგიც სად უნდა იყოს, თუ არა დევნილებთან, რომელთა უმრავლესობა ტომით კოლხია და, აბა, მაგათ უყვართ რესპები, როგორც ზვიად გამსახურდიას **„ერთადერთი ერთგულები“.**

„ჩვენ ერთადერთი პატიოსანი პარტია ვიყავით, რომელიც ყველაზე ერთგული იყო გამსახურდიასი“, — ზუსტად ასე განაცხადა ბატონმა პაატამ „საქართველო და მსოფლიოს“ წინა ნომერში. თუმცა იქვე განსვენებულ პრეზიდენტს დააბრალა ყველა უბედურება, რაც საქართველოს 90-იანი წლების დასაწყისში დაატყდა თავს. ამაზე მეტი ცინიზმი გაგონილა?!

იქვე ამბობს: „როგორც ვიცი, კოალიციაში წყალტუბოს მაჟორიტად სხვა კანდიდატებსაც განიხილავდნენ, მაგრამ, ალბათ, გარკვეული პარამეტრებით, ჩემი კანდიდატურა ყველაზე მისაღები აღმოჩნდაო“, თუმცა არ აკონკრეტებს, ვინ იყო ის „სხვა კანდიდატი“. რას იზამ, ალბათ, „არ იცოდა“...

სამაგიეროდ თქვენმა მონამორჩილმა შევიტყვე, რომ ის „სხვა კანდიტურა“ ფრაქციის თავმჯდომარე და 7 შვილის მამა, ნაღდი ქართველი **დიმა ლორთქიფანიძეა.** ისიც გავიგე, თუ რომელი „გარკვეული პარამეტრებით“ აღმოჩნდა „ყველაზე მისაღები“ კონფლიქტოლოგი „დავესკა“. **გაინტერესებთ, რისთვის "დაბრაკეს" დიმა ლორთქიფანიძე? — სარწმუნო წყაროს ინფორმაციით, კოალიციის გაფართოებულ პოლიტსაბჭოზე გამოსულა ერთი „დავესკათაგანი“ და უთქვამს, — ეგ კაცი პრობლემებს შეგვიქმნის ლიბერასტულ დასავლეთთან, რადგანაც სექსუალური უმცირესობების, პედერასტების მიმართ რადიკალურად უარყოფითი განწყობა აქვსო! ალბათ, ის ჰქონდა მხედველობაში, თუ როგორ გადაუარა ლორთქიფანიძე-ძიძიგურის ტანდემმა პედერასტებს ეკა ხოფერიას თოქშოუში, სადაც, სხვათაშორის, პედერასტების აპეკუნად ლუბა ელიაშვილი მოგვევლინა, რომელიც დღეს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ პრიმადონად მოიაზრება.**

ახლა ვინმე შემომედავება — ზვიად ძიძიგური ხომ არის რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატიო, ანუ სად არის ლოგიკა?

რას იზამ, მეც მაგას ვჩივი, რომ **„დანიის სამეფოში“ მთლად ლოგიკურად ვერ არის საქმე — ერთის მხრივ, ნინო ბურჯანაძე აითვალწუნეს — პუტინს როგორ ჩამოართვი ხელიო, და მეორე მხრივ, ვინც პუტინამდე „ვერ გაქაჩა“ და ჟირინოვსკიმაც კი ხელის ჩამორთმევის ღირსადაც არ ჩათვალა, ის ხალხი „ზაპადნიკებად“ ითვლება „ქართულ ოცნებაში“... რას იზამ, ისევ ვისოცკის უნდა დავესესხო** — „Жираф большой — ему видней!”

ამასობაში კი შუა მართლაც გაიკრიფა, მაგრამ...

რეალურად მხოლოდ ლეიბორისტები (გაკრეფას ვინღა ჩივის), საკუთარი უჭკუობის გამო, „ქართული ოცნების“ „კატოკის“ ქვეშ მოჰყვნენ და გაიჭყლიტნენ!

**რაც შეეხება „ახლებსა“ და „ქდმ“-ს, მაგათ გაკრეფის არაფერი ეტყობათ, ყოველ შემთხვევაში, დასავლეთის თვალში — ჰილარი კლინტონიდან დაწყებული, მეტ-ნაკლებად წონიანი დასავლელი ვიზიტორებით დამთავრებული, დათო გამყრელიძისა და გიორგი თარგამაძის გარეშე „პურს არა ჭამენ“ საქართველოში — ყველგან ხაზგასმული პატივით ხვდებიან, როგორც ოპოზიციის ვარსკვლავებს.**

ვინც მართლაც „გაიკრიფა“, ანტინატო, პრორუსულობის იარლიყიანი, რეალურად კი პროქართული, გნებავთ, რევოლუციაზე წამსვლელი ძალები არიან და ბურთი და მოედანი ოპოზიციაშიც და პოზიციაშიც დეკლარირებულად პროამერიკულ, ლიბერალურ, „კონსტრუქციულ“ პარტიებს დარჩათ...

ეს საქმე კარგად არ დამთავრდება, თუ არა და აგერ მე და აგერ თქვენ... მერე, მართალია, გვიანი იქნება, მაგრამ ისევ დავიწყებთ დამნაშავის ძებნას და ყველაფერს სავარაუდოდ ჟირაფს დავაბრალებთ, თუმცა ისევ ვისოცკის რომ დავესესხო:

Пусть жираф был не прав,
Но виновен не жираф.
А тот, кто крикнул
из ветвей:
„Жираф большой —
ему видней!“

**ჰოდა, მეც გეკითხებით, როდემდე უნდა ვიძახოთ** — Жираф большой — ему видней?!

**დავით მხეიძე**

საქართველო და მსოფლიო
ინტერვიუ
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ბევრს ჰგონია, რომ 4-5 კაცი იღებს ხელისუფლებაში გადაწყვეტილებებს. არავითარ შემთხვევაში! ყველა უკანონობის სათავე მხოლოდ „თეფშთმებრძოლი“ სააკაშვილია. პირადად ვადანაშაულებ მას ყველაფერში. წარმოუდგენელია, კაცი დემოკრატიას აშენებდეს და თან „თეფშებს“ ებრძოდეს.“**

# მამუკა ღლონტი: ყველა უკანონობის სათავე «თეფშთმებრძოლი» სააკაშვილია

**მამუკა ღლონტი ტელეკომპანია „მაესტროს“ დევნაში პირადად მიხეილ სააკაშვილს ადანაშაულებს და ბრძოლის შეწყვეტას არ აპირებს. „მაესტროს“ ირგვლივ განვითარებულ მოვლენებსა და ქართულ მედიაში არსებულ ვითარებაზე „საქართველო და მსოფლიოს“ მამუკა ღლონტი ესაუბრა.**





**«დღესაც «მაესტროს» 7 ათასი ლარის ღირებულების აპარატურა აღმოჩნდა «წითელ ზონაში». არადა, «წითელ ზონაში» მხოლოდ 10 ათას აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელი ხვდება»**

**— ტელეკომპანია „მაესტროს“ კუთვნილი აპარატურა საბაჟოზე შეაჩერეს, დააყადაღეს სატელიტური ანტენები. ამის შემდეგ თქვენ განაცხადეთ, რომ ტელეკომპანიის მაუწყებლობას საფრთხე ემუქრებოდა. როგორ აისახა ეს ყველაფერი თქვენს მუშაობაზე და რა ვითარებაა ამჟამად?**

— დღეს ჩვენ ურთულეს ვითარებაში ვიმყოფებით. ბიზნესკომპანიებს ჩვენს ტელეკომპანიაში რეკლამის განთავსების ეშინიათ — იყო შემთხვევები, კომპანიას გაუფორმებია სარეკლამო ხელშეკრულება და შემდეგ უარი უთქვამს თანამშრომლობაზე. ჩვენს არხზე რომელიმე ბანკის რეკლამა გინახავთ? „თიბი-სი ბანკის“ ერთ-ერთმა მმართველმა კი ამას წინათ, ძალიან სასაცილო რამ განაცხადა: ტელეკომპანია „საქართველოში“ თურმე მხოლოდ იმიტომ მიაქვს რეკლამა, რომ მათი კორპორატიული კლიენტია, თორემ რეკლამას იქ ისინიც კი არ უყურებენ, ვინც მას საეთეროში უშვებს. ქართული კომპანიები, ჩვენზე ბევრად უფრო დაბალრეიტინგულ არხებზე ათავსებენ რეკლამას. მით უფრო, რომ ჩვენ გვაქვს გადაცემები, რომლებიც რეიტინგით „რუსთავი 2“-ისა და „იმედის“ ბევრ გადაცემას სჯობს.

**პრობლემაა მაუწყებლობის გავრცელება. ამას გარდა, პირდაპირ გადმოგვიხტნენ ოფისში და პოლიციამ საერთოდ არაფერი გააკეთა. ხელყუმბარა შემოგვიგდეს ოფისში და ეს ფაქტიც არ გამოუძიებიათ. პრობლემაა ის, რომ 15 ივნისს ჩვენი ჟურნალისტების ცემის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე როგორ დამთავრდა, არავინ იცის. პატრულს როცა გამოვიძახებთ რაიმე კანონსაწინააღმდეგო ფაქტზე, ჩვენთან არც კი მოდის. საჯარო ინფორმაციას არ გვაძლევენ. ხშირ შემთხვევაში, ხელისუფლების წარმომადგენლები უარს აცხადებენ ჩვენს გადაცემებში მონაწილეობაზე. ეს ყველაფერი „მაესტროს“ მაუწყებლობას პრობლემას უქმნის.**

აბსოლუტურად უკანონოდ დააყადაღეს ყველაფერი, ისე, რომ ბრალდებულიც კი არ არსებობს. არადა, საგულისხმოა, რომ, თუ Must Carry გულისხმობს პლუს 50 ათას აბონენტს, რომელიც ცხოვრობს ზონაში, სადაც ინტერნეტიც არის და გაზეთიც და აქედან გამომდინარე, ისედაც ინფორმირებულია. „სატელიტური თეფშების“ მეშვეობით პლუს მილიონი აბონენტი გემატება.

ყოველდღიურად ცდილობენ, პრობლემები შეგვიქმნან. **დღესაც „მაესტროს“ 7 ათასი ლარის ღირებულების აპარატურა აღმოჩნდა „წითელ ზონაში“. არადა, „წითელ ზონაში“ მხოლოდ 10 ათას აშშ დოლარზე მეტი ღირებულების საქონელი ხვდება.**

შედეგად, რა თქმა უნდა, ეს დაბრკოლებები, პირველ რიგში, მუშაობის ხარისხზე აისახება, მაგრამ „მაესტრო“ მაინც ბოლომდე იბრძოლებს და მგონი უკვე უკამეროდაც კი შევძლებთ მუშაობას, ისე გამოგვაწრთეს. ჩვენ ბოლო წამამდე ეთერში ვიქნებით.

**— თქვენ „მაესტროს“ დევნაში პირადად მიხეილ სააკაშვილი დაადანაშაულეთ. უამრავი პრობლემა ჩამოთვალეთ, რაც თქვენს მუშაობას აფერხებს. არ იცოდით, რომ ხელისუფლებას შეიძლებოდა „სატელიტური ანტენები“ დაეყადაღებინა, რატომ არ მიიღეთ პრევენციული ზომები?**

— რატომ უნდა მივიღო მიხეილ სააკაშვილის გამო რაიმე ზომები? მგლის შიშით ცხვარი რატომ უნდა დავხოცოთ? მაშინ კრიტიკული გადაცემები არ უნდა გავაკეთოთ, ეს იქნება პრევენციული ზომები ჩვენი მხრიდან. რაც შეეხება სააკაშვილს, ჩემი პირადი აზრით, პროკურატურა, მოგელაძე, მერაბიშვილი, „რუსთავი 2“, „იმედი“ — ეს ყველაფერი არის სააკაშვილი. **ბევრს ჰგონია, რომ 4-5 კაცი იღებს ხელისუფლებაში გადაწყვეტილებებს. არავითარ შემთხვევაში! ყველა უკანონობის სათავე მხოლოდ „თეფშთმებრძოლი“ სააკაშვილია. პირადად მას ვადანაშაულებ ყველაფერში. წარმოუდგენელია, კაცი დემოკრატიას აშენებდეს და თან „თეფშებს“ ებრძოდეს.** ყველაფრის მიუხედავად, ჩვენც ვერ კი ვიფიქრებდით, თუ „სატელიტურ თეფშებს“ დაგვიყადაღებდნენ.

**— განაცხადეთ, რომ სამართლებრივი ბრძოლის დაწყებას და პერმანენტული საპროტესტო აქციების გაგრძელებას აპირებთ. კონკრეტულად რას გეგმავთ და როგორ ფიქრობთ, რა შედეგს გამოიღებს თქვენი მცდელობა?**

— საქართველოში ამ ხელისუფლების პირობებში არ მაქვს იმედი, რომ სამართალს ვიპოვით, მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ ევროპის სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ, დიდ ჯარიმას გადაგვიხდიან. რადგან ძალიან დიდი რაოდენობის „სატელიტური თეფშები“ დაგვიყადაღეს. რაც ვარსებობთ, სულ ვიბრძვით და ბრძოლას ახლაც გავაგრძელებთ.

**— პარლამენტის წინ „მაესტროს“ მხარდასაჭერი აქციები მიმდინარეობდა, თუ გამოგეხმაურა ვინმე ხელისუფლების წარმომადგენელთაგან?**

— არავინ გამოგვხმაურებია და მინდა მკითხველმა იცოდეს, რომ ამ აქციებს უკვე ტელეკომპანია „მაესტრო“ აღარ ატარებს, არამედ მისი ორგანზატორია სრულიად მედია, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მას და ლაშა ტუღუშს.

**— როგორ ფიქრობთ, რამდენად სოლიდარულები არიან დღეს ჟურნალისტები ერთმანეთის მიმართ? ვნახეთ, როგორ ექცევიან „ინფო 9“-ის ჟურნალისტებს კოლეგები...**

— „იმედისა“ და „რუსთავი 2“-ის თანამშრომლები ჟურნალისტები არ არიან. არსებობს ასეთი პროფესია, რომელსაც ჰქვია პიარი და ამ საქმეს ისინი მშვენივრად ართმევენ თავს. ესენი არიან პიარკომპანიები, ამიტომ მათ თანამშრომლებზე, როგორც ჟურნალისტებზე, ვერ ვისაუბრებ. **რაც შეეხება ვითომ გადამღებ ჯგუფებს, რომლებიც ჟურნალისტებს დასდევენ, ესენი არიან ნაძირლები, რომლებსაც ასევე ჟურნალისტებს ვერ ვუწოდებ.** ასე რომ, თქვენს შეკითხვაზე, არის თუ არა ჟურნალისტური სოლიდარობა, ასე გიპასუხებთ: ვინც ჟურნალისტია, „მაესტროს“ დღეს ყველა გვერდით უდგას.

**— თუმცა საზოგადოების ნაწილი ტელეკომპანია „მაესტროსაც“ ოპოზიციურად მიიჩნევს. მართალია, ამ მოსაზრებას თქვენ კატეგორიულად არ ეთანხმებით, მაგრამ ფაქტია, რომ ასე ფიქრობენ... რატომ?**

— განათლება და ინტელექტი აკლიათ და იმიტომ. ხელისუფლების კრიტიკა არ ნიშნავს ოპოზიციონერობას. ჟურნალისტს, პრინციპში, სხვა არც არაფერი ევალება, გარდა იმისა, რომ იყოს კრიტიკული, მოძებნოს პრობლემა, მუდმივად ძიებაში იყოს. აბა, ჟურნალისტობა რა არის — დაწეროს, რამდენი კილომეტრი გზა გაიყვანა ხელისუფალმა?

**— მაგალითად, მოძრაობა „ჩემი საქართველოს“ დამფუძნებელმა ვალერი გელბახიანმა შალვა რამიშვილი მიკერძოებულობაში დაადანაშაულა და გადაცემა „სუბიექტური აზრი“ დაახასიათა, როგორც „მიძღვნა „ქართული ოცნებისადმი“.**

— სასაცილოა, გადაცემა „სუბიქტური აზრი“ სუბიექტურობაში დაადანაშაულო, ამიტომაც აქვს ამ გადაცემას ასეთი სახელწოდება. „მაესტრო“ პასუხს აგებს ინფორმაციაზე, რომელსაც ხალხს ვაწვდით, ხოლო შალვა რამიშვილი აგებს პასუხს იმ ინფორმაციაზე, რომელსაც ის თავის გადაცემაში აწვდის ხალხს. ის შეიძლება იყოს სუბიექტური და მე ამაში ვერავითარ პრობლემას ვერ ვხედავ, ანუ მე პრობლემა არ მაქვს, განსხვავებული აზრის მქონე ჟურნალისტებმა იმუშაონ ჩვენთან. მაგალითად, **არიან ასეთი ჟურნალისტები — ეკა კვესიტაძე და დავით პაიჭაძე, რომლებსაც სიამოვნებით დავუთმობ ეთერს, თუ უმუშევრები დარჩებიან. აი, ახლა თქვენი გაზეთის მეშვეობით ორივეს ოფიციალურად ვეპატიჟები ჩვენს არხზე სამუშაოდ და ეს მათი პრობლემა იქნება, თუ არაობიექტურები იქნებიან.**

შალვა რამიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ძალიან სუბიექტურია, რეიტინგულია. ის არის ობიექტურიც, მაგრამ საკუთარი, სუბიექტური აზრის გამოთქმასაც არ ერიდება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის არხის პოზიციას გამოხატავს. საქართველოში მწვავე კითხვას თუ სვამ, ვიღაცების თვალში უკვე მიკერძოებული ხარ. ვალერი გელბახიანს აქვს საშუალება, მოვიდეს ჩვენს ტელეკომპანიაში და ისაუბროს. ჩვენი კარი ყველასთვის ღიაა.

**— ბიძინა ივანიშვილმა პოლიტიკაში გამოჩენისთანავე შემოგთავაზათ თანამშრომლობა, რაზეც მაშინ უარი უთხარით. შედგა თუ არა თქვენ შორის რაიმე სახის ფინანსური თანამშრომლობა?**

— ჩახედონ „მაესტროს“ დოკუმენტებს, რომლებშიც ნათლად არის ასახული, ვინ რა თანხას გვირიცხავს. იქ თუ სადმე წერია, რომ ბიძინა ივანიშვილმა ან „ქართულმა ოცნებამ“ გადმოურიცხა „მაესტროს“ თანხა, ამაზე რეაგირებას მოგელაძეს ვინმე დაასწრებდა? **საკმაოდ დიდ თანხას, დაახლოებით 300 ათას ლარს, გვირიცხავს რეკლამისთვის „ქართული ოცნება“, ანუ ბიძინა ივანიშვილის ე. წ. დახმარება გამოიხატება იმაში, რომ მას რეკლამა მოაქვს ჩვენს ტელეკომპანიაში.**

**— ეროსი კიწმარიშვილთან რა ურთიერთობა გაქვთ?**

— ეროსი კიწმარიშვილი ნაძირალაა. ბოლოს მან ვანდალური აქტი ჩაიდინა. დავუშვათ და მიიჩნია, რომ უსამართლოდ მოვექეცით და წაიღო აპარატურა. მაგრამ წიხლით დაამტვრიო დეკორაცია და გადაჭრა დენის კაბელები, ეს უკვე ნაძირლობაა. ეროსი კიწმარიშვილის ადგილი ციხეშია და გარანტიას გაძლევთ, რომ ის ციხეში ბევრ წელს გაატარებს. კაპიკს არ შევარჩენ, სახლიდან რომ გამოაგდონ, არ შემეცოდება.

**— თუმცა ბევრი გაკრიტიკებთ იმის გამო, რომ საერთოდ დაიწყეთ მასთან თანამშრომლობა...**

— რატომ მაკრიტიკებენ? ჩემს ბიზნესში ვისთან გავაფორმებ ხელშეკრულებას, მოდი, მე გადავწყვეტ. მე მასთან გავაფორმე ისეთი ხელშეკრულება, რომლითაც სარედაქციო დამოუკიდებლობა და ჟურნალისტების თავისუფლება არ იზღუდებოდა. მას უნდა მოეტანა ფული, ინვესტიცია უნდა მოეზიდა. პირობითად რომ შევადაროთ, **ადრე თელასის „მესოჩიკეები“ რომ დადიოდნენ და მოსახლეობაში თანხის კრებდნენ, რათა „თელასში“ მიეტანათ, ასე იყო ეროსიც. ერთხელაც რომ მივიდეს ეს „მესოჩიკე“ და უთხრას „თელასს“, რომ მე თქვენთან ამდენი თანხა მაქვს მოტანილი და ჩემია კომპანიაო, ასე მოხდა ჩვენს შემთხვევაშიც.** თავიდან ის მართლაც კარგად მუშაობდა, სანამ არ აღმოვაჩინეთ, რომ თურმე ფულს იპარავდა. მას შემდეგ რაც მაკა ასათიანი გახდა ჩვენი მეწილე, აღმოვაჩინეთ რომ მარტო მაკა ასათიანისთვის, ეროსი კიწმარიშვილს დაახლოებით, 500 ათასი მოუპარავს.

**— დაბოლოს. ამას წინათ განაცხადეთ, რომ მუსიკალურ-გასართობი არხის დაფუძნებას აპირებდით, რა სიახლეს შესთავაზებთ მაყურებელს?**

— ეს იქნება სატელიტური არხი და გადასახდელი თანხაც სიმბოლური იქნება. მაგრამა მას არ ეყოლება თანამშრომლები, გვაქვს 2 ათასამდე ქართული კლიპი, რომელიც იტრიალებს ეთერში. ეს არხი უფრო ემიგრანტებისთვის კეთდება, რათა მათ საქართველოში თავისი პატარა კუნძული ჰქონდეთ.

ესაუბრა **შორენა ციცქარაშვილი**

მრავალწლიანი კონფლიქტი კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის უნდა გადაწყდეს: დნესტრისპირეთი მოლდოვის შემადგენლობაში განსაკუთრებული უფლებებით უნდა შევიდეს. მოსკოვი მოლდოვის შემადგენლობაში მის დაბრუნებას მოითხოვს ნეიტრალიტეტისა და ნატოში შესვლაზე უარის სანაცვლოდ.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ესკორტის მსხვერპლი

**30 ივლისს, საღამოს ქარელის რაიონის სოფელ რუისთან მომხდარ ავტოავარიას ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. სააგენტო „ინფო9"-ის ცნობით, პრეზიდენტის ესკორტის დაცვის მანქანა საპირისპიროდ მოძრავ „ოპელის" მარკის ავტომანქანას შეეჯახა. დაიღუპა ავტომანქანის მძღოლი, დაშავებულები არიან მგზავრები.**




**„ავარია რუისთან. თვითმხილველების თქმით, პრეზიდენტის ესკორტის ავტომანქანა საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ „ოპელ ასტრას" ფირმის ავტომობილს შეეჯახა. ადგილზე გარდაიცვალა მძღოლი — ალექსანდრე გვარამია. ამავე ავტომანქანის 4 მგზავრი (მათ შორის 40 წლის ჯინა კარტოზია, 19 წლის მარიამ გვარამია, 9 წლის ანა სოსელია და 2 წლის ნიკო ქადარია) ქარელის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მეორე მანქანაში მსხდომი 4 პირი სხვადასხვა სახის დაზიანებებით გორის საავადმყოფოსა და სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსეს.**

**„ინფო9"-ის გადამღებ ჯგუფს, რომელიც გორის საავადმყოფოსთან იმყოფებოდა, ტერიტორიის დატოვება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომლებმა მოსთხოვეს და კამერის წართმევა სცადეს. გორის საავადმყოფოს მთელ პერიმეტრს ძალოვანები აკონტროლებდნენ. ავტოავარიიდან 3 საათში შსს-მ ოფიციალური ინფორმაცია ვებგვერდზე გაავრცელა, რომლის მიხედვით, ავტომობილმა „ოპელ ასტრამ" გადაკვეთა ღერძულა ხაზი და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ავტომობილს შეეჯახა",** — წერს სააგენტო.

სააგენტო „ინფო9"-ს კადრების გავრცელების შემდეგ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჯერ სპეციალური განცხადება გაავრცელა, ხოლო შემდეგ ოპერატიული მასალა. სააგენტო „ინფო9"-ს ვიდეო-მასალაში ესკორტის არც ერთი მანქანა არ ჩანს. არ ჩანს ასევე „ოპელთან" დაჯახებული სახელმწიფო დაცვის სამსახურის კუთვნილი ავტომანქანა. ჟურნალისტების თქმით, სახელმწიფო მანქანა გადამალეს.

შს სამინისტროს მოგვიანებით გავრცელებულ ოპერატიულ ვიდეომასალაში კი „ოპელთან" შეჯახებული ავტომანქანა ჩანს. თუ ვისი ესკორტის შემადგენლობას უწევდა მეგზურობას სახელმწიფო დაცვის სპეციალური ავტომანქანა, არც შს სამინისტროს ვიდეო-მასალაში ჩანს. შს სამინისტო არ ახმაურებს ესკორტის წევრებს და მიმართულებასაც.

შსს-ს ვერსია: **„ცენტრალური მაგისტრალის თბილისი-სენაკი-ლესელიძის 95-ე კილომეტრზე დღეს 18:55 სთ-ზე მოხდა ავტოსაგზაო შემთხვევა, რომელსაც ერთი ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 276-ე მუხ. მე-5 ნაწილით, მიმდინარეობს გამოძიება. გამოძიების ინფორმაციით, ავტომობილმა „ოპელ ასტრამ" სახელმწიფო ნომრით DRD-837 გადაკვეთა ღერძულა ხაზი და საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ავტომობილ „შკოდა სკაუტს" სახელმწიფო ნომრით SSP-043 შეეჯახა. „ოპელ ასტრას" მძღოლი ალექსანდრე გვარამია ადგილზე გარდაიცვალა. შემთხვევის შედეგად სხეულის დაზიანება რვა ადამიანმა მიიღო".**

როგორც „პირველს" შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა სალომე მახარაძემ განუცხადა, ავარიის შედეგად დაშავებული 7 ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილური და დამაკმაყოფილებელია. **„დაშავებულების მდგომარეობა სტაბილურია, მხოლოდ დაცვის ერთი თანამშრომლის მდგომარეობაა კრიტიკული",** — განაცხადა მახარაძემ.

იაშვილის სახელობის ბავშვთა კლინიკაში მიყვანილი 2 წლამდე ასაკის ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობაც სტაბილურია და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. **„ჩვენთან 2 წლამდე ასაკის ბავშვი შემოიყვანეს, რომელსაც მუცლის ღრუს დაზიანებები აღენიშნება და ამჟამად უროლოგის დაკვირვების ქვეშ იმყოფება. ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია",** — განუცხადა „პირველს" კლინიკის საზოგადოებასთან სამსახურის უფროსმა თამუნა ჩეჩელაშვილმა.

მისივე ინფორმაციით, საავადმყოფოში კიდევ ერთ ბავშვს ელოდებოდნენ, თუმცა მშობლების გადაწყვეტილებით ის კლინიკაში აღარ მიიყვანეს. **„როგორც ჩანს, მეორე ბავშვის მდგომარეობა არც ისე მძიმე იყო და მშობლებმა გადაწყვიტეს, კლინიკაში არ მოეყვანათ",** — აღნიშნა ჩეჩელაშვილმა.

# ნატო თუ ტერიტორიული მთლიანობა?



**საქართველოს ხელისუფლება რეალურად დაკარგული ტერიტორიების შესახებ წინასაარჩევნოდ არ საუბრობს, სამაგიეროდ ნატოში სწრაფვის დემონსტრირებით ნამდვილი რეკორდსმენია. მას ტოლს არც ოპოზიციის დიდი ნაწილი უდებს და ნატოში „მიშაზე სწრაფად შესვლას" პირდება ქართველ ამომრჩეველს. მათ თუ ვენდობით, ეს ორი საკითხი – ნატო და ტერიტორიული მთლიანობა ერთმანეთის საპირწონე ვერ იქნება, ხოლო კითხვა — იტყვით თუ არა უარს ნატოზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნების სანაცვლოდ, დასმის ღირსიც არ არის. ამ პოლიტიკურ დემაგოგიას ნათელი პასუხი გასცა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ 28 ივლისს დნესტრისპირეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში ვიზიტისას. მოსკოვი მოლდოვის შემადგენლობაში მის დაბრუნებას მოითხოვს ნეიტრალიტეტისა და ნატოში შესვლაზე უარის სანაცვლოდ.**

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინმა ტირასპოლში განაცხადა, რომ **მრავალწლიანი კონფლიქტი კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის უნდა გადაწყდეს: დნესტრისპირეთი მოლდოვის შემადგენლობაში განსაკუთრებული უფლებებით უნდა შევიდეს.** რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან ეს პირველი განცხადებაა, რომელიც ღიად, თანაც დნესტრისპირეთის ხელმძღვანელობის თანდასწრებით გაკეთდა.

დნესტრისპირეთის პრეზიდენტ ევგენი შევჩუკთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე გრიგორი კარასინმა პირდაპირ განაცხადა, რომ **რუსეთი დნესტრისპირეთს ნეიტრალური მოლდოვის შემადგენლობაში ხედავს.** კარასინმა ასე უპასუხა ჟურნალისტის კითხვას რუსეთის მიერ დნესტრისპირეთის დამოუკიდებლობის შესაძლო აღიარების შესახებ. **რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ, ნეიტრალიტეტის გარდა, მოლდოვის მიერ ნატოში გაერთიანებაზე უარის თქმის აუცილებლობაზეც ილაპარაკა.** რუსული „კომერსანტი" საგარეო უწყებაში არსებულ წყაროზე დაყრდნობით იუწყება, რომ **საუბარი შეეხო ასევე რუსების უფლებების დაცვასა და მეორე სახელმწიფო ენად რუსული ენის გამოცხადებას.**

ამ განცხადებით კარასინმა და ოფიციალურმა მოსკოვმა ნათლად აჩვენ ეს, რომ ტირასპოლს მოსკოვის მიერ მისი დამოუკიდებლობის აღიარების იმედი არ უნდა ჰქონდეს და მოლდოვის შემადგენლობაში დასაბრუნებლად უნდა ემზადოს.




# სააკაშვილის ფოტო — ფასდაკლებით!

**საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ავტოგრაფიანი ფოტო ინტერნეტვაჭრობის უმსხვილეს კორპორაცია ebay.com-ის აუქციონზე გასაყიდად გაიტანეს.**

ფოტოს შვეიცარიელი მეპატრონე ირწმუნება, რომ მასზე გაკეთებული ავტოგრაფი ნამდვილად სააკაშვილს ეკუთვნის. ფოტოს მფლობელი შვეიცარიელი დილერი Rolf Ramseier Autographs-ია, რომელიც ცნობილი ადამიანების ავტოგრაფებითა და ფოტოებით ვაჭრობს. მის კოლექციაში ამჟამად 2 ათასამდე მსოფლიოში ცნობილი ადამიანის ავტოგრაფია. დილერი ყველა ავტოგრაფის ნამდვილობის 100%-იან გარანტიას იძლევა. **საქართველოს პრეზიდენტის ფოტოს თავდაპირველი ფასი 150 დოლარი იყო, თუმცა როგორც ჩანს, ფოტო ამ ფასად ვერ გაიყიდა და მფლობელმა ფასს მნიშვნელოვნად დაუკლო.**

# ლონდონის ოლიმპიადაზე ვიპ-ლოჟები ცარიელია

**The Guardian–ის ინფორმაციით, ლონდონის ოლიმპიადის მესვეურებს ცარიელი ტრიბუნების შესავსებად სამხედროების მიყვანა მოუწიათ. ამასთან, სამხედროებს ტრიბუნების შევსება უშუალო მოვალეობის – უსაფრთხოების უზრუნველყოფის ნაცვლად უწევთ.**

გულშემატკივრები აღშფოთებულნი არიან, რადგან ბევრ მათგანს თამაშებზე დასასწრები ბილეთები არ ერგო. ყველაზე ცუდად ორგანიზატორების, სპონსორების და მათი ოჯახის წევრებისთვის განკუთვნილი ვიპ-ლოჟები ტანვარჯიშის, ცურვის, ჩოგბურთის და ცხენოსნობის შეჯიბრებებზე ივსება. სალაროებში კი აცხადებენ, რომ ყველა ბილეთი გაყიდულია.

29 ივლისს ორგანიზატორებმა ცარიელი ტრიბუნების პრობლემის გადაჭრის პირობა დადეს. ამისთვის რამდენიმე სქემაა შემუშავებული; ცარიელ ადგილებზე სტუდენტების მიწვევა, დამატებითი საფასურის გადახდის შემდეგ ჩვეულებრივი ადგილებიდან ვიპ-ლოჟებში მაყურებლის გადაყვანა და შეუვსებელ ადგილებზე ბილეთების გაყიდვა.

# დნესტრისპირეთმა რუსეთს სამხედრო ბაზის განლაგება შესთავაზა

**თვითაღიარებული დნესტრისპირეთის რესპუბლიკის ხელისუფლებამ რუსეთს საკუთარ ტერიტორიაზე სამხედრო ბაზის განლაგება შესთავაზა.**

„ნეზავისიმაია გაზეტას" ინფორმაციით, ამ საკითხზე დნესტრისპირეთის პრეზიდენტმა ევგენი შევჩუკმა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინთან და ვიცე-პრემიერ დიმიტრი როგოზინთან იმსჯელა. როგოზინი ამავე დროს რუსეთის პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელია დნესტრისპირეთში.

**დნესტრისპირეთი, სამხედრო ბაზის განლაგების გარდა, რუსეთს ყოფილი მე-14 არმიის აეროდრომის გამოყენებასაც სთავაზობს. სანაცვლოდ ტირასპოლი ფინანსურ დახმარებას ითხოვს „მძლავრი უსაფრთხოების სისტემის შესაქმნელად".**



რამდენიმე თვის წინ პრესაში გაჟონა ინფორმაციამ დნესტრისპირეთში რუსული სალოკაციო სისტემის განლაგების შესახებ – ევროპრო-ს და რუმინეთში ნატოს ბაზების განლაგების საპასუხოდ. მაშინ რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ ეს ინფორმაცია უარყო.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ვიცი, რომ ნერვიულობთ, თქვენზე მეტად მე ვნერვიულობ, მაგრამ რომელი მთავრობა, რომელ ქვეყანაში მოახერხებდა ერთ კვირაში თუნდაც სახლების 70%-ის აღდგენას. აი, ეს არის ჩვენი მთავრობა, ჩვენი ეფექტურობა და ახალი საქართველო“, — განაცხადა სააკაშვილმა.**

# სააკაშვილი ლატენტური კომუნისტია?!

**მიხეილ სააკაშვილმა გაზეთ „კომუნისტის“ მოწინავე სტატიიდან მოპარული ლოზუნგის „გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია“ შემდეგ კიდევ ერთი კომუნისტური სლოგანი მიითვისა. თელავში სტუმრობისას მან განაცხადა: „თელავი უნდა გახდეს სანიმუშო ქალაქი!“. მეოცე საუკუნის საბჭოთა ლოზუნგი ასე ჟღერდა: „გადავაქციოთ თბილისი სანიმუშო წესრიგისა და სისუფთავის ქალაქად!“. მაშინ რეკლამას მარტო აეროფლოტს და საბჭოთა დაზღვევას უწევდნენ, სარეკლამო ადგილები თავზესაყრელი იყო და ეს ლოზუნგიც ყველა გამოსაჩენ ადგილზე იყო გამოკიდებული.**



სააკაშვილი თელავში დედაქალაქის მერ გიგი უგულავასთან ერთად ჩავიდა. როგორც ჩანს, თბილისს შემოერთებული სოფლებისა და კურორტ გუდაურის გარდა, უგულავას პოლიტიკური გეოგრაფია კახეთსაც გადასწვდა.

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა და თბილისის მერმა გიგი უგულავამ სტიქიით დაზარალებულ თელავში საბავშვო სკვერი გახსნეს. სააკაშვილმა ჩვეული, მზრუნველი მეფის მანტია მოირგო და თელაველებს უთხრა: **„მე ვიცი, რომ ყველა სახლში ჯერ არ შევსულვართ, მაგრამ ყველა კორპუსში შესული ვართ და ყველა სახლი გადაიხურება. მე დღეს აქ მოვიყვანე თბილისის მერი, რომლის ინიციატივითაც გაკეთდა არა მხოლოდ ეს სკვერი. იცით, რომ სტიქიის პირველი დღიდან თელავში ჩამოვიდა თბილისის დასუფთავების სამსახური, რომელიც წმინდავდა აქაურობას, ჩამოვიდნენ ყველა სამსახურები და ყველა რეგიონის წარმომადგენლები და ეს არის საერთო ქართული აღდგენის პროცესი. რა თქმა უნდა, ეს არ დაწყებულა მხოლოდ სტიქიის გამო, თუმცა ამან მოგვცა დიდი სტიმული და არ გაჩერდება არც სტიქიის ლიკვიდაციით, იმიტომ, რომ ყველა შევიდა გემოში, როგორმე ბოლომდე მაგრად და ბოლომდე მივიყვანოთ თელავში საქმე“,** — დასძინა საქართველოს პრეზიდენტმა (სტილი დაცულია!).

როგორც როზა წყაბელიას და ცინარა აბულაძის შემთხვევაში, თელავშიც სააკაშვილს ისევ ქალმა გაუბედა და პირში მიახალა: **„ბატონო მიხეილ, ჰკითხეთ ერთი ჩემს 5 წლის შვილს, სკვერი ურჩევნია თუ სახურავი?“.** ასე მიმართა სააკაშვილს მარტოხელა დედამ, ვერიკო კობიაშვილმა, რომელსაც ბავშვთან ერთად, უკვე მეშვიდე ღამეა, ღია ჭერქვეშ სძინავს. **„დღემდე, ვიდრე პრეზიდენტის ამ ეზოში მოსვლა არ დაიგეგმა, არავის მოუკითხივართ“,** — განაცხადა მარტოხელა დედამ.

**„გუშინ საღამოს, შებინდებისას, მოიყვანეს ქვეყანა ხალხი, მოიტანეს ასაწყობად საქანელები. გათენებამდე ამუშავეს ხალხი, რომ სკვერი გაეკეთებიათ. გაუკეთეს ბავშვებს, რომლებსაც თავზე ჭერი არ აქვთ. მაგალითად, ჩემს შვილს რომ ჰკითხო, რა ურჩევნია — ეს სკვერი და კარუსელები, თუ სახლი რომ ჰქონდეს...**

— ხომ აკეთებენ თქვენს სახლს?

## ვერიკო კობიაშვილი: ბატონო მიხეილ, ჰკითხეთ ერთი ჩემს 5 წლის შვილს, სკვერი ურჩევნია თუ სახურავი?

— **ახლა მოვიდნენ, დილით, იმიტომ, რომ გუშინ გავრცელდა ხმა, რომ ხვალ მიშა უნდა მოვიდეს აქო და რომ მოვიდნენ, ეგრევე სახურავზე ავიდნენ. არ ვიცი, რომელი არხის ოპერატორი იყო. დაიწყეთ, კადრი უნდა ავიღოო და დაიწყეს მუშაობა საჩვენებლად. შოუებს და სპექტაკლებს დგამენ“,** — განუცხადა ქალბატონმა ვერიკომ „პალიტრა TV“-ს ჟურნალისტს.

მიხეილ სააკაშვილმა ქალის დამშვიდება სცადა. **„მშვენივრად მესმის თქვენი. ყველაფერი იქნება, სახურავიც გექნებათ და სკვერიც, ისევე, როგორც მთელ კახეთს“,** — განაცხადა პრეზიდენტმა. **„ქალბატონმა მითხრა, რომ ახლა სკვერების დრო არ არისო. სკვერების დროც არის, სახლების დროც არის, აღმშენებლობის დროც არის, გალამაზების დროც არის, ეკონომიკის დროც არის, ყველაფრის დროც არის და ნუ ილაპარაკებთ, რომ რამე არ გვჭირდება; თელავს სჭირდება სახურავებიც, მაგარი ეზოებიც, მაგარი კორპუსებიც, მაგარი საგანმანათლებლო დაწესებულებებიც. თელავი უნდა გახდეს სანიმუშო ქალაქი – გვირგვინი ქართული აღმშენებლობის! აი, ეს არის პასუხი ყველას, ვინც ჯერ კიდევ ნერვიულობს. ვიცი, რომ ნერვიულობთ, თქვენზე მეტად მე ვნერვიულობ, მაგრამ რომელი მთავრობა, რომელ ქვეყანაში მოახერხებდა ერთ კვირაში თუნდაც სახლების 70%-ის აღდგენას. აი, ეს არის ჩვენი მთავრობა, ჩვენი ეფექტურობა და ახალი საქართველო“,** — განაცხადა სააკაშვილმა.

პრეზიდენტს არც სტუდენტები დაავიწყდა და არც მშიერი გლეხები. მისი განცხადებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების პარალელურად უნდა გაგრძელდეს სასურსათო პროგრამები, მოეწყოს ეზოები და მოხდეს სტუდენტების დახმარება, რათა სწავლის გაგრძელება შეძლონ. თელავში მოსახლეობასთან გამართული შეხვედრისას კი აღნიშნა, რომ არც ერთ მათგანს არ უნდა ჰქონდეს განცდა, თითქოს მისი პრობლემა გადაუჭრელი დარჩება.

**„მე მინდა კახელებს ვუთხრა, მათ, ვინც ხედავს, რომ სხვასთან აკეთებენ და მათთან არ მისულან. ჯერ ყველასთან ვერ მოვიდოდით, არც ამდენი შიფერი გვქონდა, არც ამდენი მუშა გვყავდა, მაგრამ ყველგან შევალთ და ყველაფერს გავაკეთებთ. თელავის ცენტრის სამუშაოები აუცილებლად უნდა დავასრულოთ და თელავი უნდა ვაქციოთ საქართველოს ყველაზე სანიმუშო გვირგვინად და ქალაქად“,** – აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

სხვათა შორის, სააკაშვილთან ერთად თელავში ჩასულმა გიგი უგულავამ „სანიმუშო სისუფთავის ქალაქად“ თბილისი უკვე „აქცია“. ელექტროენერგიაზე მიბმული დასუფთავების უზომოდ გაზრდილი გადასახადის მიუხედავად, თბილისში ისეთივე „სისუფთავეა“, როგორიც იყო. ჯერ კიდევ მარტში თბილისის მერია ამას ქალაქელების უკულტურობით ხსნიდა, ამიტომ 5 მარტიდან დასუფთავების ზედამხედველობის ინსპექცია შექმნეს.

გიგი უგულავა აცხადებდა: **„ჩვენ გადავწყვიტეთ, შევქმნათ სპეციალური ინსპექცია. კანონში შევიდა ცვლილება, რომ მუნიციპალიტეტს აქვს ფიზიკური და იურიდიული პირების დაჯარიმების უფლება, ანუ რას ნიშნავს ეს? თუ რომელიმე პირი დადგენილ წესს არღვევს, ანაგვიანებს გარემოს და ამას აღმოაჩენს ინსპექცია, ამ ადამიანებს ექნებათ უფლება, გამოწერონ ჯარიმა“** (სტილი დაცულია).

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში 146-ე პრიმა და 148-ე მუხლებით საჯარიმო სანქციებიც განისაზღვრა: ფიზიკური პირებისთვის — 200 ლარი პირველ შემთხვევაში, 500 ლარი განმეორების შემთხვევაში. იურიდიული პირებისთვის — 500 ლარი პირველ შემთხვევაში, 3 ათასი ლარი განმეორების შემთხვევაში.

თბილისის მერიის დასუფთავების საქალაქო სამსახურის უფროსმა ტარიელ ხიზანეიშვილმა მაშინ რადიო „თავისუფლებას“ უპატაკა: „არაერთი განვითარებული ქვეყანა წლების განმავლობაში აგვარებდა ამ პრობლემას. გერმანიამ ამ დარგის მოწესრიგებას 7-8 წელი მოანდომა. ჩვენ ველოდებით, რომ შემოდგომამდე აბსოლუტურად სხვა სურათი იქნება თბილისში“.

**შემოდგომა მოდის, თბილისში კი დასუფთავება კი არა, სანიაღვრე სისტემაც ვერ მოუწესრიგებიათ, რომ წვიმა სტიქიურ უბედურებად არ ექცეთ თბილისელებს. უგულავა კი სააკაშვილთან ერთად ახლა თელავს უპირებს „სანიმუშო ქალაქად“ ქცევას.**

ქალბატონო ვერიკო, მაგათ ერთი სიტყვა არ დაუჯეროთ, თორემ, თუ მაგათი ზონდერების ცემას გადაურჩით, „მათი უეფექტუროესებანი“ სკვერის არმოწონებაზეც ჯარიმას დაგაკისრებენ!

**თამარ დავითულიანი**

# «საქართველო და მსოფლიოს» პუბლიკაციის წაკითხვის შემდეგ სააკაშვილმა წერილი წაიღო!

**„საქართველო და მსოფლიომ“ 27 ივლისს გამოაქვეყნა პუბლიკაცია „ნუ მისწერთ სააკაშვილს – მაინც არ წაიკითხავს“. ამ პუბლიკაციაში მოთხრობილი იყო იმის შესახებ, რომ ქარელის რაიონის სოფელ აბანოს 101 მცხოვრებმა პრეზიდენტ სააკაშვილს წერილი გაუგზავნა. ისინი წერდნენ, რომ სააკაშვილის წყალობით საქართველო აყვავდა, რომ დღეს აშკარად იგრძნობა სიღარიბის დაძლევა, ჯანდაცვის სისტემა გამოსწორდა. „ალბათ, ფურცლები არ გვეყოფა, იმდენი რამეა გაკეთებული. ამას მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენ“.**




3-გვერდიან წერილში აბანოელები სკოლის აშენებას ითხოვდნენ, რომელიც წლების განმავლობაში ხან ერთ, ხან მეორე დანგრეულ შენობას არის შეხიზნული. წერილზე პასუხი პრეზიდენტის ნაცვლად ქარელის გამგებლის, ილია ბურჯანაძისგან მიიღეს. გაირკვა, რომ ჯერჯერობით ტენდერი მხოლოდ ხარჯთაღრიცხვის წარმოებაზეა გამოცხადებული. შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრს ადგილობრივმა მკვიდრმა ლელა ხახიშვილმა უთხრა: **„მე მჯერა პრეზიდენტის. მან რომ ჩვენი ამბავი გაიგოს, აუცილებლად მოგვხედავს“.**

„საქართველო და მსოფლიოს“ პუბლიკაცია ასე მთავრდებოდა: **„პრეზიდენტს რომ ამის გაგება უნდოდეს, წერილებს უკან კი არ დააბრუნებდა, წაიკითხავდა. მის მიღწევებს „მხოლოდ ბრმები ვერ ხედავენო“, თუ კიდევ გჯერათ, ისევ მისწერეთ და ისევ ილია ბურჯანაძე გიპასუხებთ“!**

სააკაშვილი, როგორც ჩანს, ყურადღებით გაეცნო „საქართველო და მსოფლიოს“ პუბლიკაციას და ზუსტად ორ დღეში სოფელ ბახვის ცენტრში შეხვედრა ასეთი სიტყვებით დაასრულა: **„ჩვენ გვაქვს თავისუფლება და ჩვენ გვაქვს მომავალი, მადლობთ, ძმებო... მადლობთ, მადლობთ, მადლობთ, მადლობთ... ყველას მინდა, მადლობა გითხრათ მობრძანებისთვის. ყველა წერილი წავიღე, იცოდეთ, რომ ყველა წერილს მე თვითონ ვკითხულობ, ჩემი დროის დიდი ნაწილი და ჩვენი ყველაზე დიდი დრო მიდის ამ წერილების პასუხის გაცემაზე“,** — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

სრულიად გაუგებარია ოფიციალური თბილისის არხეინი და არაადეკვეტური დამოკიდებულება იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აღიარებს საქართველოს ტერიტორიებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ტანზანიის საგარეო უწყების საიტზე ოფიციალურად აღიარებულ სახელმწიფოებად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც არის მითითებული.

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ვაშაძის ტანზანიური გარღვევა

**აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტრომ 27 ივლისს აფრიკულ სახელმწიფო ტანზანიას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. ბაქოს უკმაყოფილება იმან გამოიწვია, რომ ტანზანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საიტზე მთიანი ყარაბაღი დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იყო მითითებული. აზერბაიჯანმა მოითხოვა, დაუყოვნებლივ მოაშორონ ეს ინფორმაცია ოფიციალური საიტიდან. მთიანი ყარაბაღის გარდა, ამ ჩამონათვალში აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც არის, მაგრამ საქართველოს საგარეო უწყება ამის გაპროტესტებას არც ფიქრობს.**

ეს ინფორმაცია სხვა ქვეყნის მოქალაქეებისთვის ტანზანიის ვიზის მიღების პროცედურებს ეხება. იმ ქვეყნებს შორის, რომელთა მოქალაქეებს ტანზანიაში შესასვლელად ვიზა ესაჭიროებათ, მთიანი ყარაბაღიც არის ნახსენები. ტანზანიური ვიზის გაფორმება მთიანი ყარაბაღის მოქალაქეებისთვის 50 აშშ დოლარი ღირს. ოფიციალური ბაქოს გულისწყრომა გასაგებია, სამაგიეროდ **სრულიად გაუგებარია ოფიციალური თბილისის არხეინი და არაადეკვეტური დამოკიდებულება იმ სახელმწიფოს მიმართ, რომელიც, მართალია, არაპირდაპირ, მაგრამ მაინც აღიარებს საქართველოს ტერიტორიებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად.** ტანზანიის საგარეო უწყების საიტზე ოფიციალურად აღიარებულ სახელმწიფოებად აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც არის მითითებული.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე ტანზანია გამარტივებული სავიზო რეჟიმის მქონე ქვეყნების გრძელ ჩამონათვალში ფიგურირებს. ტანზანიის სახელწოდებაზე ამ ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური საიტის ბმულია, რომელშიც, როგორც ჩანს, ჩვენი საგარეო უწყების წარმომადგენლებს ერთხელაც არ შეუხედავთ, თორემ ნახავდნენ, რომ საქართველოში გამარტივებულად შემომსვლელ ტანზანიელებს აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ჩამონათვალში ჰყავთ შეყვანილი და ამ ორი „სახელმწიფოს" მოქალაქეებისთვის სავიზო მოსაკრებელი 50 აშშ დოლარის ოდენობით დაუწესებიათ.



თუ არ დაიზარებთ და საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაგზავნილ საპროტესტო ნოტებს გადახედავთ, დარწმუნდებით, რომ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც იგი რაიმეს უპროტესტებს, რუსეთია. რაც შეეხება ტანზანიას, მისთვის არამცთუ საპროტესტო ნოტის გაგზავნა, არამედ გამარტივებული სავიზო რეჟიმის შეჩერებაც კი არავის მოსვლია აზრად.

ეს ფაქტი კიდევ ერთი „იდიოტიზმია" იმ უამრავს შორის, რომელზეც „საქართველო და მსოფლიო" უკვე წერდა (იხ. „დოკუმენტური „იდიოტიზმი", ანუ грешно смеяться над больными людьми").



THE UNITED REPUBLIC OF TANZANIA
NATIONAL WEBSITE

LIST OF COUNTRIES AND SPECIFIC VISA ELIGIBILITY

| SN | NAME OF THE COUNTRY | VISA REQUIREMENT | | VISA FEE |
|---|---|---|---|---|
| | | Ordinary | Referred | |
| 1 | Abkhazia | No | Yes | 50 USD |
| 2 | Afghanistan Republic | No | Yes | 50 USD |
| 3 | Akrotiri | Yes | No | 50 USD |
| 4 | Aland Islands | Yes | No | 50 USD |
| 5 | Albania Republic | Yes | No | 50 USD |
| 199 | Somaliland | No | Yes | 50 USD |
| 200 | South Africa Republic | Yes | No | 50 USD |
| 201 | South Ossetia | Yes | No | 50 USD |
| 202 | Spain | Yes | No | 50 USD |
| 203 | Sri Lanka | No | Yes | 50 USD |
| 204 | Sudan | Yes | No | 50 USD |

# პარლამენტმა გენერალურ აუდიტორად ყველაზე ღარიბი დეპუტატი გაამწესა

**პარლამენტმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის პოსტზე ლაშა თორდიას კანდიდატურა დაამტკიცა. თორდიას მხარი 83 დეპუტატმა დაუჭირა, 2-მა კი წინააღმდეგ მისცა ხმა. თორდიამ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორის პოსტზე ლევან ბეჟაშვილი შეცვალა, რომელიც სააკაშვილმა კახეთში საკუთარ წარმომადგენლად დანიშნა.**

1980 წელს დაბადებულ ლაშა თორდიას მუშაობა 2001 წელს შპს „თბილავიამშენში" იურისტად დაუწყია; 2002-2004 წლებში საქართველოს პარლამენტის აპარატში ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის წამყვანი სპეციალისტი იყო; 2004-2008 წლებში – ვანო მერაბიშვილის მიერ დაფუძნებული მიწის მესაკუთრეთა უფლებების დაცვის ასოციაციის იურისტი; 2007-2008 წლებში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურისტად მუშაობდა; 2008 წლიდან ახალ თანამდებობაზე დამტკიცებამდე საქართველოს მე-7 მოწვევის პარლამენტის წევრი იყო.

2012 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, „ღარიბ" დეპუტატებში ადამიანის უფლებათა დაცვის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ლაშა თორდია ლიდერობდა. მისი ოჯახის წევრები უძრავ ქონებას საერთოდ არ ფლობდნენ და არც ისეთი მოძრავი ქონება ჰქონდათ, რომლის ღირებულება 10 000 ლარს აღემატება. ლაშა თორდიას ოჯახის წევრები არც ფასიან ქაღალდებს ფლობდნენ, არც 4 ათას ლარს ზემოთ ოდენობის ნაღდი ფულადი თანხა ჰქონდათ და არც სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობდნენ.

რაც შეეხება საბანკო ანგარიშებს, დეპუტატ ლაშა თორდიას „საქართველოს ბანკში" სახელფასო ანგარიშზე 192 ლარი და 79 თეთრი ერიცხებოდა, საკრედიტო ხაზი 3 ათას 145 ლარზე ჰქონდა გახსნილი, ხოლო დებეტში 1833 ლარი ერიცხებოდა.

ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, თორდიას ოჯახის ერთადერთი შემოსავალი მისი და მისი მეუღლის შრომის ანაზღაურება ყოფილა. კერძოდ, თორდიამ დეპუტატობისთვის ერთ წელიწადში 69 ათას 10 ლარი მიიღო, მისმა მეუღლემ კი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციის უფროსი იყო, 21 ათას 432 ლარი. თორდიას მეუღლე ამავე დროს შემოსავლების სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და მარკეტინგის დეპარტამენტის მრჩეველიც ყოფილა და მისი შემოსავალი 11 ათას 160 ლარს შეადგენდა.

# გოგა ხაჩიძე აგრესიულ მოხელეთა სიაში მოხვდა

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველო" ხელისუფლებას წინასაარჩევნო შეხვედრების დროს მომხდარი ინციდენტების გამოძიებას და დამნაშავე პირების დასჯას სთხოვს.**

„შიდა ქართლის ხუთ სოფელში, მოსახლეობასა და ოპოზიციური გაერთიანების წევრების გარდა, დაპირისპირებაში ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ისინი სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდნენ როგორც პოლიტიკურ ლიდერებს, ისე ჟურნალისტებს", — ნათქვამია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა — საქართველომ" მათ მიერ ვიდეოკადრებში ამოცნობილი პირების სია გამოაქვეყნა, რომლებიც ამ შეხვედრების დროს განსაკუთრებული აგრესიით გამოირჩეოდნენ.

**12 ივლისი, შიდა ქართლი: კარალეთის დევნილთა დასახლება**

**ლევან მაისურაძე** — დასახლების რწმუნებული. ძმები **გოგიტა და გიგა გოჩაშვილები** — ერედვის და ქურთის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები. **გია ჭულუხაძე** — დევნილთა დასახლების მამასახლისი. ასევე **ვანო მიდოდაშვილი, ბესო კახნიაშვილი** — ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ყველა მათგანი უშუალოდ მონაწილეობდა ფიზიკურ დაპირისპირებაში.

**10 ივლისი, შიდა ქართლი: სოფელი შინდისი**

**ირმა პაპუნაშვილი** (ტერიტორიული ორგანოს მთავარი სპეციალისტი), მისი შვილი და მეგობრები ყვირიან, სთხოვენ სოფლის დატოვებას და ხელს უშლიან შეხვედრის გამართვაში.

**10 ივლისი, შიდა ქართლი: სოფელი ნოქოზი**

**ილია მინდიაშვილი** (რწმუნებული) მისი ორი და, ბიძაშვილის ცოლი „ქართული ოცნების" აქტივისტებს, მათ შორის კახა კალაძეს და ნინელი ჭანკვეტაძეს, სოფელში დახვდნენ მხარდამჭერებით, არ მისცეს შეხვედრის გაგრძელების საშუალება და მოსთხოვეს ტერიტორიის დატოვება.

**10 ივლისი, შიდა ქართლი: სოფელი ვარიანი**

**იზა კოკაური** (საკრებულოს თანამშრომელი, ტერიტორიული ორგანოს მთავარი სპეციალისტი), **თაკო კოკაური** (მისი შვილი, პედაგოგი და საარჩევნო კომისიის წევრი) ყვირიან, ითხოვენ სოფლის დატოვებას და ხელს უშლიან შეხვედრის გამართვას.

**26 ივნისი, შიდა ქართლი: სოფელი მერეთი**

**ლევან ბიძინაშვილი** — გორის მუნიციპალიტეტის გამგეობის მთავარი სპეციალისტი — მონაწილეობდა ფიზიკურ დაპირისპირებაში. **ვასიკო თევდორაშვილი** — სოფელ მერეთის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული — ეპაექრება ირაკლი ალასანიას. **კახა ლომიძე** — სახელმწიფო რწმუნებული, გუბერნატორის აპარატის საგანგებო სამსახურის უფროსი — მონაწილეობს ფიზიკურ დაპირისპირებაში. **ელდარ ელბაქიძე** — საგანგებო სამსახურის თანამშრომელი — ასევე უშუალო მონაწილეა ფიზიკური დაპირისპირების. საგანგებო სამსახურის სხვა თანამშრომლები — მონაწილეობას იღებენ ფიზიკურ დაპირისპირებაში. **მზია ტურაშვილი** — მერეთის ტერიტორიული ორგანოს მთავარი სპეციალისტი — ყვირის და მოუწოდებს აქტივისტებს, სოფელი დატოვონ. **გოჩა გვიმრაძე** — მისი სტატუსი დაუდგენელია. ყვირის და მობილიზებას უკეთებს „ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებს.



გოგა ხაჩიძე — გარემოს დაცვის მინისტრი, „ქართული ოცნების" წარმომადგენლებისაგან აგრესიულად მოითხოვს, გაატარონ, რადგან არის მინისტრი, მთავრობის წევრი და უნდა გაუშვან, რათა შეხვდეს „ქართული ოცნების" ლიდერს.

**22 ივლისი, კახეთი: ლაგოდეხი**

**გოგა ხაჩიძე** — გარემოს დაცვის მინისტრი, „ქართული ოცნების" წარმომადგენლებისაგან აგრესიულად მოითხოვს, გაატარონ, რადგან არის მინისტრი, მთავრობის წევრი და უნდა გაუშვან, რათა შეხვდეს „ქართული ოცნების" ლიდერს.

**„საერთაშორისო გამჭვირვალობა" ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში ორგანიზებას უკეთებენ და თავადაც მონაწილეობენ შეხვედრების ჩაშლაში, საარჩევნო კოდექსის დაცვისაკენ მოუწოდებს.**

**„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 45-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ვალდებული არიან, ხელი შეუწყონ საარჩევნო სუბიექტებს ამომრჩევლებთან შეხვედრებისა და კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების, შეკრებებისა და მანიფესტაციების ორგანიზებასა და ჩატარებაში, უზრუნველყონ ამ ღონისძიებების უსაფრთხოება",** — აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

**კიდევ ერთი პრობლემა, რომელზეც „საერთაშორისო გამჭვირვალობა" მიუთითებს, მსგავს შემთხვევებში პოლიციის უმოქმედობაა.**

**„აშკარაა, რომ პოლიტიკური პარტიების შეხვედრებზე ადგილობრივი თვითმმართველობა არ ასრულებს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებას, პოლიციის უმოქმედობა მართლსაწინააღმდეგო ქმედების — ფიზიკური ძალადობის აღსაკვეთად კი შემაშფოთებელია",** — აღნიშნულია ორგანიზაციის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აჭარის სამხრეთი ტერიტორიები, რომლებიც თურქეთს ესაზღვრება, მშვიდად და სრულად გადადის თურქეთის კონტროლქვეშ. იქ ვითარდება თურქული ბიზნესი თურქული ფულით და თურქული მენეჯმენტის აქტიური სისტემით. აჭარლები იქ მხოლოდ დღითიდღე შემცირებად უმცირესობას წარმოადგენენ. ადგილობრივ სოფლებში უკვე თითქმის შეუძლებელია ქართული ლაპარაკის გაგონება. ნიშანდობლივია ისიც, რომ აჭარის ტერიტორიაზე ძალზე საეჭვო ბიზნესის განსაკუთრებული კლასტერი ჩამოყალიბდა. ადგილობრივთა მტკიცებით, იქ პროსტიტუცია და სექს-ტურიზმი ყვავის, ამ ბიზნესის შემოსავლები კი სრულად თურქეთში მიედინება.**

# სააკაშვილი სპონსორებს ვალს აჭარის სახით დაუბრუნებს

**უცხოელი სპონსორების მიერ მიწოდებული და საქართველოს მიერ განხორციელებული იმ უგუნური ავანტიურების შემდეგ, რომელთა შედეგადაც საქართველომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაკარგა, ამ ქვეყნის ხელისუფლებას თითქოს შესაბამისი ორგდასკვნები უნდა გამოეტანა. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ესაა ის კლასიკური მაგალითი, როდესაც შეცდომები, თუნდაც ესოდენ თვალნათელი, პოლიტიკოსებს ვერაფერს ასწავლის.**



რუსეთთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლებისა და განსაკუთრებით პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის დამოკიდებულება უცვლელია და სხვა ყველაფერთან ერთად ხშირად დაუფარავ რევანშიზმს ესაზღვრება. სამწუხარო ისაა, რომ მიხეილ სააკაშვილს სურს, ამ იდეაზე კვლავ მოიპოვოს თავისთვის და თავისი პარტიისთვის პოლიტიკური დივიდენდები, იგი კვლავაც განაგრძობს ყველა ნაბიჯზე ანტირუსული იარლიყების დაკიდებას და ქართველი ხალხის თვალში რუსეთის, როგორც მათი მთავარი მტრის წარმოჩენას. ამასთან, მისეული რიტორიკა ხშირად იქითაა მიმართული, რომ რუსეთი ისტორიულ ჭრილშიც კი უმთავრესი ბოროტება იყო და მის მთავარ ამოცანას ციცქნა სამხრეთელ მეზობელზე ზეწოლა წარმოადგენდა.

ცხადია, ყველა ადეკვატურად მოაზროვნე ადამიანს ესმის, რომ ამ სიტყვებიდან რეალობამდე ნამდვილად გადაულახავი უფსკრულია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ანტირუსულმა განწყობამ საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო დროს მნიშვნელოვნად მოიკრიბა ძალები.

**საქართველოს ხელისუფლებამ მხოლოდ ბოლო პერიოდში შეწყვიტა ყურადღების გამახვილება იმაზე, რომ რუსეთის სპეცსამსახურებმა პირდაპირ წალეკეს თბილისი და საქართველოს სხვა ქალაქები, რომ რუსეთში დიდსა და პატარასაც თავისუფალი ქართველების დამონება ესიზმრებათ. ამ მრავალწლოვანი ანტირუსული რიტორიკის გვერდზე გადადებისთვის სააკაშვილს საბაბი მისი ქვეყნის სამხრეთელმა მეზობლებმა — თურქებმა მისცეს.**

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ თურქულ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, რომლის ავტორებიც სავსებით რადიკალურად განწყობილი პოლიტიკოსები იყვნენ. ეს ინფორმაცია ეხებოდა საქართველოს ერთ-ერთ პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ რეგიონს — აჭარას. თურქეთის გარკვეული პოლიტიკური ძალების წარმომადგენელთა განცხადებით, აჭარა 1878 წლიდან ქართული ოკუპაციის უღელქვეშაა.

საქმე ისაა, რომ ზემოხსენებულ პერიოდამდე სამ ასწლეულზე მეტხანს აჭარა თურქეთის ნაწილი იყო. თურქეთის შემადგენლობაში იგი მას შემდეგ აღმოჩნდა, რაც საქართველოში ცალკეული მხარეების თავადებმა ვერა და ვერ მოახერხეს ერთი სახელმწიფოს საზღვრებში მორიგება და ქვეყანა ფეოდალური დახლეჩისათვის გაწირეს.

1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ კი რუსეთის ჯარმა აჭარა გაათავისუფლა თურქეთისაგან, რის შემდეგაც ეს მხარე რუსეთის იმპერიას შეუერთდა. ამასთან, აჭარაში სრულად შენარჩუნდა ნაციონალური, კულტურული და რელიგიური იდენტურობა.

მაგრამ თურქეთის ხელისუფლებამ საქართველოსთვის მძიმე პერიოდებში არაერთხელ წამოაყენა საკითხი იმის შესახებ, რომ აჭარა უნდა დაებრუნებინა. ამგვარი დაბრუნების მცდელობებს ადგილი ჰქონდა რუსეთში სამოქალაქო ომის პერიოდშიც და ადგილი აქვს დღესაც, თუმცა ამჯერად სხვა საშუალებებით. ანკარას მშვენივრად ესმის, იმისათვის, რომ აჭარა თავისად აქციოს, დღეს უკვე საჭირო აღარაა იქ ჯარების შეყვანა, სავსებით საკმარისია, როგორც ამას დღეს უწოდებენ ხოლმე, რბილი ძალის გამოყენება. და აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეგრეთ წოდებულ რბილი ძალის პოლიტიკას თურქეთის ხელისუფლება აჭარაში დიდი წარმატებით ახორციელებს.

საქმე ისაა, რომ **აჭარაში, სადაც მოსახლეობა 380 ათასზე ნაკლებია, მოსახლეობის 10%-ზე მეტს ქართული პასპორტების მქონე ეთნიკური თურქები შეადგენენ. მხოლოდ 2010-დან 2012-წლამდე საქართველოს ხელისუფლებამ აჭარის თურქ მოსახლეობაზე 25 ათასი ქართული პასპორტი გასცა. სავსებით ნათელია, რომ, თუ ასე გაგრძელდება, თურქული უმცირესობა ამ რეგიონში აბსოლუტურად თანასწორუფლებიანი ეთნოსი გახდება ან სულაც უმრავლესობა — დღეს ხომ მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში აბსოლუტურად ნათლადაა წარმოდგენილი მუსლიმანური აქტივობის მაგალითები. ამ მხრივ საქართველო გამონაკლისს არ წარმოადგენს.**

დღეს საქართველოს ოპოზიცია, რომლის გაჩუმებასაც შეუპოვრად ცდილობს საქართველოს დემოკრატიული ხელისუფლება, ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ **მუსლიმანური თემი აჭარაში უკვე მოსახლეობის 31%-ს შეადგენს. უკანასკნელ წლებში საქართველოს ამ მხარეში გაჩნდა 180 მეჩეთი და 50-ზე მეტი მუსლიმანური რელიგიური სკოლა. საქართველოს ოპოზიციას ეს მაჩვენებლები კოსოვოს პრეცენდენტს ახსენებს.**

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ იუგოსლავიის დაშლის შემდეგ, დიდი ხნის მანძილზე კოსოვო სერბეთის ნაწილი იყო, მაგრამ ალბანეთისა და დასავლეთის აქტიური ქმედებების შედეგად სერბეთის ამ ტერიტორიაზე ალბანელი მოსახლეობა დღითიდღე მატულობდა. ამ ადამიანთაგან უმეტესობას სერბული პასპორტებიც ჰქონდათ და ალბანურიც. როდესაც კოსოვოში ალბანელების რაოდენობამ მიაღწია გარკვეულ ზღვარს, რომელსაც თავისუფლად შეიძლება კრიტიკული ზღვარი ვუწოდოთ, სეპარატისტებმა დაიწყეს ამ ფაქტის გამოყენება საკუთარი ამოცანის გადასაჭრელად.

შედეგად, გამოცხადდა, რომ სერბეთის ხელისუფლება ჩაგრავდა კოსოვოელ ალბანელებს, პრეზიდენტი მილოშევიჩი კი მათი პირდაპირი გენოციდით იყო დაკავებული. როგორც ცნობილია, გეგმამ მშვენივრად იმუშავა: ბელგრადსა და სერბეთის სხვა ქალაქებს გადაუფრინა ნატოს დემოკრატიულმა ავიაციამ, რომელმაც ბომბების საშუალებით უმალ გადაწყვიტა სერბეთიდან კოსოვოს გამოყოფის საკითხი. ამის შემდეგ კოსოვო მსოფლიოს მთელმა რიგმა სახელმწიფოებმა დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარეს.

არადა, როგორც გინდა ატრიალე, აჭარის სცენარი თითქმის ყველა მხრიდან ერთი ერთზე ჰგავს კოსოვოსას. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ბელგრადი და პრიშტინა თავიდანვე კონფრონტაციის გზას დაადგნენ, თბილისი და ანკარა კი ახლაც საუკუნო მეგობრობაზე საუბრობენ. და თუ თურქეთს ეს მეგობრობა ნამდვილად ხელს აძლევს, პრეზიდენტ სააკაშვილს ისღა დარჩენია, თავი დაიმშვიდოს, რომ ანკარა მეგობრობის სანაცვლოდ არაფერს მოსთხოვს.

ჯერჯერობით აჭარაში გარეგნულად სრული სიმშვიდეა. ვითარდება ტურიზმი, შენდება ახალი სასტუმროები, გაჰყავთ გზები და ასე შემდეგ. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ყველა ეს პროექტი ძირითადად თურქული ფულით ხორციელდება. ანკარის ინვესტიციები თბილისისათვის გარკვეული საძილე საშუალების მსგავსად გამოიყურება. ამ საძილე აბებს პრეზიდენტი სააკაშვილი სახის სათნო გამომეტყველებით ყლაპავს. სანაცვლოდ **აჭარის სამხრეთი ტერიტორიები, რომლებიც თურქეთს ესაზღვრება, მშვიდად და სრულად გადადის თურქეთის კონტროლქვეშ. იქ ვითარდება თურქული ბიზნესი თურქული ფულით და თურქული მენეჯმენტის აქტიური სისტემით. აჭარლები იქ მხოლოდ დღითიდღე შემცირებად უმცირესობას წარმოადგენენ. ადგილობრივ სოფლებში უკვე თითქმის შეუძლებელია ქართული ლაპარაკის გაგონება. ნიშანდობლივია ისიც, რომ აჭარის ტერიტორიაზე ძალზე საეჭვო ბიზნესის განსაკუთრებული კლასტერი ჩამოყალიბდა. ადგილობრივთა მტკიცებით, იქ პროსტიტუცია და სექს-ტურიზმი ყვავის, ამ ბიზნესის შემოსავლები კი სრულად თურქეთში მიედინება.** სამხრეთ აჭარის სოფლების წარმომადგენლებმა თვით პრეზიდენტ სააკაშვილსაც კი მისწერეს და სთხოვეს, გადაეჭრა ეს პრობლემა, მაგრამ პრეზიდენტისგან პასუხი არ მიუღიათ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოს ლიდერს დღეს არ შესწევს უნარი, იხელმძღვანელოს საკუთარი პრინციპებით და იძულებულია, იმუშაოს იმ მითითებების შესაბამისად, რომლებიც გარედან მოახვიეს თავს. იმ გარეგნული იერის მიღმა, რომელიც ბათუმის ლამაზ სანაპიროებსა და კარგად რესტავრირებულ შენობებში ბრწყინავს, იმალება უცხოური დაფინანსება, რომელიც ადრე თუ გვიან თბილისისათვის ხაფანგად იქცევა.



**უცხოელი ინვესტორები, შესაძლოა, ორი გზით წავიდნენ: ან აიძულებენ საქართველოს ხელისუფლებას, მათ დაკრულზე იცეკვოს და ხელი შეუწყოს საქართველოში მათ მოღვაწეობას (რაც დღეისათვის უკვე სახეზეა), ან რადიკალურ სცენარს აირჩევენ და იგივე უცხოელი ფინანსური დონორები თავად მოინდომებენ ქვეყნის მართვას (როგორც ეს კოსოვოში მოხდა). და თუ ყველაფერი მეორე გზით წავა, პირველი თბილისის კონტროლიდან სწორედ აჭარა გავა.**

თუ ასე მოხდა, მიხეილ სააკაშვილი, შესაძლოა, ქართული ჩამოსხმის თავისებურ მიხეილ გორბაჩოვად იქცეს, გორბაჩოვად, რომელიც დასავლეთის დემოკრატიულ იდეალებზე ლაპარაკობდა და ამ დროს ცხვირწინ ქვეყანა ნაწილებად დაეშალა.

გამორიცხული არაა, რომ დასავლეთის წესებით შემდგომი თამაშისათვის სააკაშვილს ნობელის პრემიაც კი მისცენ, როგორც თანამედროვე საქართველოს ისტორიაში ყველაზე მშვიდობისმყოფელ პოლიტიკოსს. სხვა რა გზაა, როგორმე ხომ უნდა აუხვიონ თვალი საქართველოს რიგით მოქალაქეებს, რომლებიც ხედავენ, რომ ქვეყანა უკვე დაბზარულია.

topwar.ru

**ნატოელი მშვიდობისმყოფელების მისწრაფებები მარტივია და შეესაბამება შეთანხმებაში დეკლარირებულ მიზნებს. საუბარია იმავე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, მაგრამ იმისათვის, რომ ამერიკელებმა მშვიდობიანად და უსაფრთხოდ იცხოვრონ, აუცილებელია ომი ერაყში. ომის შემდეგ ერაყშიც მშვიდობა იქნება, ოღონდ ნატოს ესოდენ დიდი და მნიშვნელოვანი წევრისთვის — აშშ-ისთვის ხელსაყრელი მშვიდობა.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ნატო: დამზადებულია ნაცისტების მიერ

**ტყუილია, როდესაც ამბობენ, რომ ოდესღაც მკვეთრად იყო განსაზღვრული ნატოს მიერ ძალის გამოყენების და საერთოდ მისი არსებობის კრიტერიუმები, იუგოსლავიის ომის პერიოდიდან კი (1999 წელი) ეს კრიტერიუმები სადავო გახდა. სინამდვილეში ეს კრიტერიუმები იყო ჩვეულებრივი ორმაგი სტანდარტები, რითაც ესოდენ სახელგანთქმულია დედა-ამერიკა.**



1949 წლის შეთანხმებაში ალიანსის წევრ ქვეყნებს უთხრეს, რომ საუბარია კოლექტიურ თავდაცვაზე, მშვიდობისა და უსაფრთხოების დაცვაზე. მაგრამ ეს მშვიდობა და უსაფრთხოება ჩრდილოატლანტიკური ალიანსისათვის ნელ-ნელა გასცდა ანტლანტიკის საზღვრებს. ახლა ნატოს ინტერესები აქვს ევროპაშიც, ცენტრალურ აზიაშიც, აფრიკაშიც... ნატოს მთელ მსოფლიოში მოაქვს მშვიდობა. ბომბებითა და მსხვილკალიბრიანი ტყვიამფრქვევებით ალიანსი უსაფრთხოებას იცავს. ახლა აბსოლუტურად უსაფრთხოა ცხოვრება კოსოვოში, ლიბიაში, ერაყში... გაეროში, რომელმაც 2008 წელს ნატოსთან თანამშრომლობის დეკლარაციას მოაწერა ხელი, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე ჩრდილოატლანტელებთან სრულ სოლიდარობაში ფიქრობენ. საერთოდ, მომავალში საქმის გამარტივებისთვის გაეროსა და ნატოს გაერთიანება არ იქნებოდა ურიგო.

**ნატოელი მშვიდობისმყოფელების მისწრაფებები მარტივია და შეესაბამება შეთანხმებაში დეკლარირებულ მიზნებს. საუბარია იმავე მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე, მაგრამ იმისათვის, რომ ამერიკელებმა მშვიდობიანად და უსაფრთხოდ იცხოვრონ, აუცილებელია ომი ერაყში. ომის შემდეგ ერაყშიც მშვიდობა იქნება, ოღონდ ნატოს ესოდენ დიდი და მნიშვნელოვანი წევრისთვის — აშშ-ისთვის ხელსაყრელი მშვიდობა.**

ჩრდილოატლანტიკური შეთანხმების ორგანიზაცია 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა. დეკლარირებული უსაფრთხოებისა და მშვიდობის გარდა ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი მიზანი საბჭოთა კავშირის მზარდი ძლევამოსილებისათვის წინააღმდეგობის გაწევა იყო. საბჭოთა კავშირის 1954 წლის ინიციატივა ნატოში გაწევრების შესახებ, ცხადია, უარყოფილ იქნა. პასუხად მოსკოვმა ვარშავის შეთანხმების ორგანიზაცია შექმნა.

საბჭოთა კავშირი, უკვე ოცი წელია, აღარ არსებობს, ნატო კი არა მხოლოდ არსებობს, ფართოვდება კიდეც. ზოგიერთები მუდმივად მიანიშნებენ ალიანსს, რომ მისი ფუნქცია ამოიწურა, მაგრამ ცდებიან. მით უფრო, რომ ნატოს 2010 წლის სტრატეგიაში გამოჩნდა ისეთი საინტერესო მიზანი, როგორიც „კრიზისული რეგულირებაა“.

**მაინც რატომ არ მიიღეს საბჭოთა კავშირი მშვიდობისა და უსაფრთხოების ორგანიზაციაში? საბჭოთა კავშირი, რომელმაც ფაშიზმი დაამარცხა, თანაც დასავლელ მოკავშირეებთან ერთად?**

ყველა კითხვა კარგავს აზრს მათთვის, ვინც იცის, თუ ვინ იყვნენ ნატოს პირველი მეთაურები.

**გერ რეინხარდ გელენი 1940 წლიდან გერმანული გენშტაბის მაღალი რანგის წარმომადგენელი გახლდათ, სათავეში ედგა ოპერატიული განყოფილების აღმოსავლურ ჯგუფს, 2012 წლიდან კი პოლკოვნიკი გელენი სათავეში ჩაუდგა გენშტაბის მე-12 განყოფილებას, რომლის მოქმედების სფეროსაც წარმოადგენდა საბჭოთა კავშირი, სკანდინავია და ბალკანეთი. სწორედ ამ ადამიანმა დაარწმუნა გენერალი ვლასოვი, ეთანამშრომლა გერმანიასთან.**

გარდა ამისა, გელენი ამუშავებდა ტაქტიკურ მითითებებს დივერსიული ჯგუფებისათვის და მოწინააღმდეგის ზურგში საბოტაჟის მეთოდებს. იგი მონაწილეობდა ფრონტის მეორე მხარეს აგენტების გადაგზავნის ოპერაციის მომზადებაში.

გერ გელენი ნაცისტი იყო არა ფულის გამო, არამედ შინაგანად, სულიერად და ძალიან ბევრი რამ იცოდა. სულელიც არ იყო. გასაკვირი არაა, რომ ომის დროს მიხვდა, მიუხედავად თავისი მრწამსისა, ომს ნაცისტები წააგებდნენ. სავარაუდოდ, ჰიტლერიზმის აღსასრულის მოახლოებაზე პირველი აზრი მას 1944 წელს მოუვიდა. სწორედ ამ დროს გელენმა გადაწყვიტა, მიჰყიდვოდა მას, ვინც მეტს გადაუხდიდა. ამასთან, წმინდა და სულიერი არც გაუყიდია, ფულს ხომ ამერიკელები იხდიდნენ და არა რუსები.

1945 წლის აპრილში, როდესაც მესამე რეიხს უკანასკნელი დღეები ედგა, გელენი თავის თანაშემწე გერხარდ ვესელს და რუსეთის ბიუროს ექს-შეფს — გერმან ბაუნს ამუშავებდა. მათ გადაწყვიტეს, ერთად წასულიყვნენ ამერიკელებთან, ოღონდ არა ცარიელი ხელებით, არამედ ძვირადღირებული დაგროვილი არქივით. გელენი ვარაუდობდა, რომ ამერიკელები სიხარულით მიიღებდნენ როგორც ამ არქივებს, ისე მათ მჩუქებლებსაც, რომლებსაც ისევე ეზიზღებოდათ რუსი კომუნისტები, როგორც ყველა ჭეშმარიტ ამერიკელს.

ამერიკელებთან მისვლამდე ახალი მეგობრები დეზერტირობდნენ და ელენდზალმის სიახლოვეს იმალებოდნენ. იქვე ჩამარხეს არქივიც.

**1945 წლის 22 მაისს გენერალ-ლეიტენანტი გელენი გენერალ პატონის მე-7 არმიას ჩაბარდა — მან მშვენივრად იცოდა, რა უნდა ექნა და რა უნდა ეთქვა. მოითხოვა რა კონტრდაზვერვასთან შეხვედრის ორგანიზება, გელენმა ამერიკელებს თავისი ხალხი, აგენტების ქსელი და არქივი შესთავაზა მხოლოდ თავისუფლების სანაცვლოდ. თანაც გელენი ამერიკელებს კომუნისტებთან ბრძოლაში დახმარებას დაჰპირდა.**

სამხედრო ტყვეებისათვის განკუთვნილ ამერიკულ ბანაკში გერმანელი ელაპარაკა ედვინ ლუთერ სიბერტს, ბრიგადის გენერალს, გერმანიის ამერიკული ოკუპაციური ზონის სამხედრო დაზვერვის უფროსს. სწორედ მას გაუზიარა გერ გელენმა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის იდეა.

სიბერტს იდეა მოეწონა. ის თავადაც ფიქრობდა რაღაც ამდაგვარზე. მან გერმანელი უოლტერ ბედელ სმიტს წარუდგინა, კიდევ ერთ ანტისაბჭოთა ადამიანს და ეიზენჰაუერის შტაბის მეთაურს. ამ სათნო ადამიანთან საუბრის შემდეგ გელენი თავის ექვს თანაშემწესთან ერთად აშშ-ში გაფრინდა. ოკეანის გაღმა კი ეს ანტისაბჭოთა განყოფილება, რომელიც რჩეული ნაცისტებისგან შედგებოდა, შეხვდა ამერიკის სამხედრო დაზვერვის მეთაურს — გენერალ მაიორ ჯორჯ სტრონგს. ეს 1945 წლის სექტემბერში მოხდა.

**გელენს დაუსვეს ამოცანა, ჩამოეყალიბებინა ცსს-ს განყოფილება, რომელიც მხოლოდ რუსული საკითხებით დაკავდებოდა.**




საბჭოთა კავშირი გელენის ექსტრადიციას და მისი მასალების გადაცემას ითხოვდა, მაგრამ პენტაგონმა საკითხი სათავისოდ გადაწყვიტა. გელენი ამბობდა იმას, რისი მოსმენაც სურდათ ამერიკელებს. მის განკარგულებაში იყო ადამიანებიც, დოკუმენტებიც და დაზვერვის უდიდესი გამოცდილებაც. ასეთი ადამიანი არა მხოლოდ გამოადგებოდათ ამერიკელებს, არამედ აუცილებელიც კი იყო მათთვის. ცხადია, საბჭოთა კავშირისთვის მის გადაცემას არავინ აპირებდა.

1946 წელს გერ გელენი გერმანიაში დააბრუნეს. ამ დროიდან დასავლეთში რუსეთის ერთი განყოფილების ნაცვლად ორი მუშაობდა: ერთი — აშშ-ში და მეორე — გერმანიაში. ორივეს ერთი და იგივე მიზანი ჰქონდა — კომუნისტური საბჭოთა კავშირის განადგურება.

როგორც ამერიკელებმა და გელენმა წინასწარ მოილაპარაკეს, ასობით ვერმახტის ოფიცერი და ესესელი სამხედრო დამნაშავეთა ბანაკებიდან გაათავისუფლეს და შპესარტის მასივში მდებარე გელენის შტაბში გაამწესეს. ორგანიზაციის ჩონჩხს 350 ოფიცერი შეადგენდა. ისინი თავად გელენმა შეარჩია. მათ შორის იყო ალოის ბრიუნერი, რომელიც 140 ათასი ებრაელის სიკვდილზეა პასუხისმგებელი.

1950-იანი წლების დასაწყისისთვის გელენის „საწარმო“ — გელენორგი 4000-მდე ოფიცერს აერთიანებდა და მიუნხენში „სამხრეთ გერმანიის ინდუსტრიალური განვითარების ორგანიზაციის“ აბრით იყო განთავსებული. **გელენის აგენტურული ქსელი მოიცავდა მთელ ტერიტორიას კორეიდან კაირომდე და ციმბირიდან სანტიაგო დე ჩილიმდე.** 1956-1968 წლებში გელენი ხელმძღვანელობდა დასავლეთ გერმანიის ფედერალურ სადაზვერვო სამსახურს. **გელენის დაფინანსებაზე აშშ ყოველწლიურად 6 მილიონ დოლარს გამოყოფდა.** ამაში გასაკვირი არაფერია, რადგან გელენორგი იყო საუკეთესო საშუალება ცსს-ისთვის, რომ გაეგო, თუ რა ხდებოდა გერმანიის საბჭოთა ნახევარში და თავად საბჭოთა კავშირში. ამასთან, შეუძლებელია, აშშ-ის ხელისუფლებას არ სცოდნოდა, რომ გერ გელენი „დიადი გერმანიის“ აღდგენაზე ოცნებობდა.

**სწორედ მან მოახერხა, თითქმის დაერწმუნებინა აშშ 1948 წელს, ნატოს შექმნამდე სულ რამდენიმე თვით ადრე, რომ საბჭოთა კავშირი დასავლეთზე თავდასხმას აპირებდა და პრევენციული დარტყმის რეკომენდაციებიც არ დაიშურა. მიხვდა თუ არა, რომ ამ რეკომენდაციების შესაბამისად მოქმედებას არავინ აპირებდა, 1950-იანებში ახალი საფრთხობელა შექმნა საბჭოთა კავშირში სამხედრო მშენებლობების შესახებ. ცსს-ელებს ამ ყველაფრის მოსმენა ძალიანაც მოსწონდათ.**

1949 წელს ჩრდილოატლანტიური ალიანსი შეიქმნა, 1954 წელს კი ადენაუერის მიერ მართული დასავლეთ გერმანია ამ ბლოკში გაწევრდა. გერ გელენი გერმანიიდან უჭერდა მხარს მჭიდრო კავშირებს ალენ დალესთან, რომელიც ცსს-ს უფროსი უნდა გამხდარიყო. ყოფილმა ნაცისტმა გენერალმა, რომელიც ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო დაკავებული რუსეთის საკითხით და რომელიც ძალიან გამოადგა ცივი ომის დროს ამერიკასა და მის მოკავშირეებს, უდიდესი როლი შეასრულა ნატოში მაღალი თანამდებობის პირების დანიშვნის საქმეში. გელენის მიერ ნატოსთვის შერჩეული კადრებიდან უმეტესობა ნაცისტების წარმომადგენელი იყო.

**ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ნატოს მიზნები არანაირად არ არის ბუნდოვანი. პირიქით, ეს მიზნები აბსოლუტურად ნათელია: მთელ პლანეტაზე ფაშისტური დიქტატურის დამყარება. ნატოელი, რომელიც მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე საუბრობს დაბომბილი იუგოსლავიის რომელიღაც ქალაქში, სინამდვილეში ომსა და აგრესიას გულისხმობს. სამწუხაროდ, დღეს ნატოს ექოდ იქცა გაეროც...**

topwar.ru

კრიზისი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროპა რჩება ცალკეულ სახელმწიფოთა კონტინენტად, სახელმწიფოთა, რომლებიც შექმნილია ეროვნულ-ეთნიკური განსხვავებულობის და განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური დონის მქონე ხალხების მიერ. ამ ფუნდამენტურმა ფაქტმა უთუოდ გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროზონის კრიზისის წარმოშობაში. მანვე აქცია ეს კრიზისი გადაულახავ, თუნდაც ძნელად გადასალახავ მოვლენად.**

# ევროპის ბედისწერა

**საბერძნეთი კრიზისის აპოგეას უახლოვდება. გზა, რომელსაც იგი ბოლოს და ბოლოს აირჩევს, სერიოზულ გავლენას მოახდენს მთელ ევროპაზე. სერიოზულ ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ საბერძნეთის უმძიმეს მდგომარეობაში ჩავარდნა, უპირველეს ყოვლისა, ევროზონაში მისმა შესვლამ გამოიწვია! ძველი ელადა იმსხვერპლა მისმა მალემრწმენობამ: დაიჯერა, რომ, თუ სუსტ ქვეყანას „მყარი“ ვალუტა ექნება, მისი უძალო ეკონომიკა მდიდარსა და თვითკმარ ეკონომიკას გაუთანაბრდება.**
**დაიჯერა ასეთი ლოგიკა, რომელიც პრაქტიკაში უკუეფექტს იძლევა. რეალურად მოაზროვნე ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ „მყარი“ ვალუტა სუსტ ეკონომიკას ნამუსრევად აქცევს. ეს დასკვნა ემყარება პორტუგალიის, ირლანდიისა და ესპანეთის სავალალო გამოცდილებას. საბერძნეთი ევროზონიდან გამოსვლას ისწრაფვის და, როგორც ჩანს, ევროპის პერიფერიის ქვეყნები მის მაგალითს მიბაძავენ.**



## ფული „არაფრისგან“

**ევროკავშირის ეკონომიკურ და სავალუტო ერთობას ევროზონის ფარგლებში სოლიდარობის საფუძვლად თვლიან.**

**სინამდვილე სხვას ამბობს.**

**ევრო საერთაშორისო სარეზერვო ვალუტაა, რომელსაც შეუძლია კონკურენცია გაუწიოს დოლარს და მოემსახუროს ევროპის უმსხვილეს ბანკებსა და კორპორაციებს.**

**ემსახურება კიდეც.**

**ევრო ფულის ისეთი განსაკუთრებული ფორმაა, რომელიც რამდენიმე სახელმწიფოს იერარქიულმა ალიანსმა „არაფრისგან შექმნა“.**

**ევროს ორი ძირითადი პრობლემაც ასეთ „კონსტრუქციასთან“ არის დაკავშირებული.**

**პირველი:** ფულადი და ფისკალური პოლიტიკის წინააღმდეგობის შესახებ დისკუსია, რომელსაც ბოლო არ უჩანს. ევროკავშირის ფულადი სივრცე ერთგვაროვანია, და ევროპის ცენტრალური ბანკი (ეცბ) კავშირის წევრი ქვეყნების ყველა ბანკს აძლევს სესხს რეფინანსირების ერთი და იმავე განაკვეთის საფუძველზე. თუმცა ევროკავშირის ფინანსური სივრცე ერთგვაროვანი არ არის. თითოეული სახელმწიფო დამოუკიდებლად ადგენს გადასახადებისა და გადარიცხვის მოცულობას შესაბამის ფონდებში. ევროკავშირი ამ პრობლემის გადაჭრას შეეცადა ფისკალური დისციპლინის დანერგვით უკანასკნელ სამიტზე მიღებული ფისკალური პაქტის ჩარჩოებში, მაგრამ ცალკეულ სახელმწიფოთა მიერ ამ პოლიტიკის განსაზღვრის დამოუკიდებლობა ხელუხლებელი დარჩა, მისი დაძლევა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

**მეორე** წინააღმდეგობა ის არის, რომ ევროკავშირის საბანკო სექტორი ერთგვაროვნებით არ გამოირჩევა. ეცბ არსებობს, მაგრამ ყველა ქვეყანას აქვს თავისი ეროვნული ბანკი, რომელსაც შეუძლია ლიკვიდურობა მიიღოს ეცბ-ში, ანუ „ევროპულ სივრცეში“, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ არ წამოიჭრება მისი გადახდისუნარიანობის საკითხი. შედეგად ეს ბანკები მიმართავენ თავიანთ მთავრობებს (ან პარლამენტებს). ეს კი ნიშნავს, რომ ბანკები გამოიყენებენ „ტრანსნაციონალურ“ ფულს და თან ეროვნულ ბანკებად რჩებიან.

**ორივე პრობლემის მიზეზთა-მიზეზი არის ერთიანი ევროპული ფედერაციული სახელმწიფოს არარსებობა, ისევე, როგორც არარსებობა „ევროპელი ხალხისა“. ევროპა რჩება ცალკეულ სახელმწიფოთა კონტინენტად, სახელმწიფოთა, რომლებიც შექმნილია ეროვნულ-ეთნიკური განსხვავებულობის და განსხვავებული სოციალურ-ეკონომიკური დონის მქონე ხალხების მიერ. ამ ფუნდამენტურმა ფაქტმა უთუოდ გადამწყვეტი როლი ითამაშა ევროზონის კრიზისის წარმოშობაში. მანვე აქცია ეს კრიზისი გადაულახავ, თუნდაც ძნელად გადასალახავ მოვლენად.**



## გერმანია, როგორც პერიფერიების უბედურების მთავარი მიზეზი

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, **კრიზისის მიზეზი ფისკალური უდისციპლინობა კი არ არის, არამედ ევროკავშირის პერიფერიული ქვეყნების მიერ კონკურენტუნარიანობის დაკარგვა.** კავშირის წევრები ფისკალური სავალუტო კურსების, ერთიანი ფულად-საკრედიტო პოლიტიკისა და გარედან თავსმოხვეული ფინანსური დისციპლინის წნეხში მოექცნენ.

ეკონომისტები განგვიმარტავენ, რომ **კონკურენტუნარიანობის ამაღლების გზები უნდა ვეძებოთ მხოლოდ შრომის ბაზარზე,** სხვა სიტყვებით, სოციალური პოლიტიკის „ანტისოციალურად“ გადაქცევაში.

**კონკურენტუნარიანობის სტანდარტული ზომა სამუშაო ძალის ღირებულებაა.** გერმანიაში სამუშაო ძალის ფასი, მრავალი წელია, ფაქტობრივად, გაყინულია. მაშასადამე, გერმანული კონკურენტუნარიანობის დონე ევროკავშირის პერიფერიებთან შედარებით იზრდება.

კონკურენტუნარიანობის დაკარგვა პერიფერიული ქვეყნების მიმდინარე ანგარიშების დეფიციტის ზრდას იწვევს, გერმანიაში კი პროფიციტია. დეფიციტის დაფინანსებისთვის პერიფერიული ქვეყნები იძულებული ხდებიან, სესხი აიღონ. **ეცბ-ის იაფმა კრედიტებმა ხელი შეუწყო საკუთარი ბანკების კრედიტების დაფარვას, მაგრამ შედეგად ამ ქვეყნებს გაეზარდა შიდა და საგარეო ვალები.** ვალები დააწვა როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორს. აი ახლა კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ დაიხატა არსებული ვითარების უტყუარი სურათი: **პერიფერიული ქვეყნების ვალი მჭიდროდ არის დაკავშირებული გერმანიაში სამუშაო ძალის ღირებულების გაყინვასთან.**

ევროკავშირის ხელისუფლება ამჟამად ამ პრობლემის გადაჭრას პერიფერიაზე სამუშაო ძალის გაიაფების გზით ცდილობს. ხელფასებისა და სოციალური ხარჯების საყოველთაო შემცირება, რისი მოწმეც ვართ ბოლო თვეებისა და კვირების განმავლობაში, ბრიუსელის „ახალი ეკონომიკური პოლიტიკის“ კონტურებია. ასეთი პოლიტიკა უაზრობაა, რადგან იგი ამ ქვეყნების შიდა ბაზრის დათრგუნვას იწვევს (მცირდება ამ ქვეყნების მოქალაქეთა უდიდესი უმრავლესობის მსყიდველობითი უნარი). შესაბამისად, **მცირდება წარმოების მოცულობა, რასაც მოსდევს უმუშევრობის შემდგომი ზრდა და ამგვარად ღატაკდება ამ ქვეყნების საზოგადოებრიობა. პერიფერია ვალების არა მარტო გასტუმრების, არამედ მათი მომსახურების ყოველგვარ უნარს კარგავს.** ჯორჯ სოროსიც კი ამასთან დაკავშირებით ამბობს, რომ **„შეუძლებელია ვალის ტვირთის შემცირება ეკონომიკის დაწრეტის ხარჯზე. ამ ტვირთის მოცილება მხოლოდ ეკონომიკის ზრდის გზით არის შესაძლებელი“.**

**ევროკავშირის პერიფერიებისა და ცენტრის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური დონეების გაწონასწორების ნაცვლად სხვაობა მათ შორის განუხრელად იზრდება. მათი ასეთი დაშორიშორება შესაბამისი ქვეყნების ეროვნულ ინტერესებსაც ლახავს. სპეციალისტები დაბეჯითებით გვეუბნებიან, რომ ამ პროცესის ყველაზე უფრო შესაძლებელი შედეგი ევროზონის სოციალური აფეთქება და კრახი იქნება.**

მოსალოდნელი აფეთქების სიმპტომები უკვე სახეზეა. ეს არის ასი ათასობით ადამიანის საპროტესტო გამოსვლები თუნდაც ესპანეთის 80 ქალაქში ბიუჯეტის შეკ- ▶

**ევროპის ცენტრალური ბანკის იაფმა კრედიტებმა ხელი შეუწყო საკუთარი ბანკების კრედიტების დაფარვას, მაგრამ შედეგად ამ ქვეყნებს გაეზარდა შიდა და საგარეო ვალები**

მოკლედ

## მეცნიერებმა ოკეანურ წყლებში კოფეინი აღმოაჩინეს

**ამერიკელმა მეცნიერებმა ორეგონის შტატთან ახლოს წყნარი ოკეანის წყლებში კოფეინის მაღალი შემცველობა აღმოაჩინეს. თავდაპირველად მეცნიერებმა მიიჩნიეს, რომ ამის მიზეზი საკანალიზაციო არხები იყო, თუმცა, ჩატარებული ტესტის შედეგად დადგინდა, რომ კოფეინი არა მხოლოდ ჩამდინარე წყლების გამწმენდ ქარხნებში, არამედ ისეთ ადგილებშიც შეინიშნება, სადაც ისინი არასდროს არსებულა.** მეცნიერები მიიჩნევენ, რომ ოკეანურ წყლებში კოფეინის მაღალი რაოდენობა სერიოზული პრობლემაა. კოფეინის შემცველი სასმელები, რომელთაც ადამიანი იღებს, მის ორგანიზმზე არსებით გავლენას ახდენს. ამიტომაც ზღვის ფლორა და ფაუნა შესაძლოა ძლიერ დაზიანდეს, ვინაიდან ამისთვის კოფეინის ძალიან მცირე დოზაც კი საკმარისია. მეცნიერების განცხადებით, კოფეინის მაღალი შემცველობა იქნა აღმოჩენილი ნიჟარებში, რომლებიც ბუნებრივ ფილტრებად მიიჩნევიან. სხვათა შორის, მეცნიერების მოსაზრებით, მარკეტინგული რეკლამების რჩევები დღის ჭიქა ყავით დაწყებასთან დაკავშირებით, შესაძლოა, კატასტროფული შედეგების მომტანი აღმოჩნდეს.



**მსოფლიოს თეთრკანიანი მოსახლეობა მზად არ არის, საკუთარი სურვილით დათმოს წარსულის სოციალური მონაპოვრები. ამ სირთულის დასაძლევად საჭირო იქნება მოსახლეობას შეექმნას არასრულფასოვნების კომპლექსი, დატერორდეს და იძულებული გახდეს, აღიაროს და მიიღოს „ახალი ცხოვრების“ სტანდარტები. ამისთვის კი საჭიროა ძალა, საკმარისად მასობრივი და აგრესიული, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოლებდა ევროპელებისთვის ახალი ცხოვრების წესების თავზე მოსახვევად.**

კრიზისი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ ვეცის წინააღმდეგ. ამ აქციებში მონაწილეობენ მოსახლეობის თითქმის ყველა ფენის წარმომადგენლები, მათ შორის, პოლიციელებიც.

ეს ყველაფერი მხოლოდ დასაწყისადაა მიჩნეული, რადგან ესპანეთის პროფკავშირებს დაგეგმილი აქვთ კოლოსალური მარშის მოწყობა სექტემბრის თვეში. ერთი მთავარი და ბევრისმთქმელი ლოზუნგი ასეთი იქნება: **„აი, რას გვიკეთებს ფაშისტური მთავრობა“.**

საყურადღებოა ხალხის ასეთი განწყობილება, რომელიც არა და არ ესადაგება „ახალი ისტორიკოსების“ მცდელობას, იდეალურად წარმოგვიდგინონ ესპანეთში ფრანკისტული მმართველობის პერიოდი.

## ევროკავშირი შიგნიდან ირღვევა

**ხელფასებისა და სოციალური ხარჯების შეკვეცის ხარჯზე სამუშაო ძალის ღირებულების ხელოვნურად შემცირება ევროკავშირის ცენტრის ქვეყნებში გაბატონებული ნეოლიბერალური იდეოლოგიის შედეგია.** თეორია — თეორიად, მაგრამ თავისთავად წამოიჭრება მერკანტილური საკითხი: ვინ გადაიხდის პერიფერიის ვალებს? იგი ხომ გაკოტრების პირასაა მისული და ვალზე კი არ არა, ხვალინდელი დღის პრობლემების მოსაგვარებელი სახსრებზე ფიქრიც კი უჭირს. **ვინ გადაარჩენს ბანკირებს, თანამედროვეობის ამ მთავარ „აფერისტებს“, როგორებადაც მონათლეს ესპანეთში?**

ევროკავშირის გრანდებს სწორედაც სურთ, რომ ეს ყველაფერი ქვედა ფენების გაძარცვის ხარჯზე მოხდეს. ამიტომაა, რომ ბერლინმა და მისმა უახლოესმა მოკავშირეებმა უარი თქვეს ევრობონდებზე, ანუ ობლიგაციებზე, რომელთა დაფარვის პასუხისმგებლობას სრულიად იკისრებდა ევროკავშირი. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, — ევროკავშირის ეკონომიკურად უძლიერესი ქვეყნის — გერმანიის კაპიტალი.

ასეთ პირობებში კავშირის ცალკეულ ქვეყნებში ძლიერდება ბანკების ეროვნული ხასიათი. **რაც უფრო გრძელდება კრიზისი, მით უფრო მეტად უკავშირდება ბანკები თავიანთ სახელმწიფოებს დამატებითი ფულადი სახსრების მოპოვების მიზნით. უკვე აუცილებელი აღარ არის ევროპის ცენტრალურ ბანკს მიმართონ დახმარების თხოვნით.** ერთნი ჩინეთს ემუდარებიან, სხვები, როგორც, მაგალითად, კიპროსი, რუსეთს სთხოვენ დახმარებას და ა.შ. ეს საინტერესო პროცესი მიგვანიშნებს, რომ ევროკავშირის სავალუტო კავშირი შიგნიდან იწყებს რღვევას.

**ანალიტიკოსების აზრით, მდგომარეობას გამოასწორებდა „მარშალის გეგმის“ ახალი ევროპული გამოცემა და პერიფერიის ვალების ამავდროული გაუქმება. მაგრამ ბერლინი არც ამაზე მიდის — პოლიტიკური კავშირის, ანუ ფედერაციული ევროპის არარსებობის გამო.**

**გერმანიის კაპიტალი ასეთ რისკს ვერ გასწევს. ითხოვს: ჯერ — ფედერაციული ევროპა, შემდეგ — ვალების გადახდა. ასეთი დამოკიდებულება ძალიან ჰგავს „12 სკამის“ პერსონაჟის ცნობილ ფორმულას — „Утром — деньги, вечером — стулья“.**

სკამების „გამოსახსნელი“ ფულის შოვნა, ასე თუ ისე, შესაძლებელია, მაგრამ წარმოსადგენადაც კი ძნელია, რომ საფრანგეთი ან პოლონეთი დათანხმდება ფედერაციული ევროპის იდეას, რაც გერმანიის ჰეგემონობის დამყარების, ანუ IV რაიხის მსგავსი წარმონაქმნის დამყარების ტოლფასი იქნებოდა.

პერიფერია ამუშავებს ეკონომიკური და სავალუტო კავშირიდან გამოსვლის სცენარს. პირველი კანდიდატი, როგორც ჩანს, საბერძნეთია.

**ივნისის დასაწყისში ჯორჯ სოროსმა საჯაროდ განაცხადა: ევროზონის ქვეყნების მთავრობებს ევროს გადასარჩენად დაახლოებით სამი თვე აქვთ.** მას მიაჩნია, ევროზონის კრიზისის გამო ევროკავშირი შეიძლება გასკდეს, როგორც პოლიტიკური ბუშტი.

**საით ილტვი, საქართველო?**

## ტერორი, როგორც „ახალი მსოფლიო წესრიგის“ იარაღი

**ტერორის პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად გამოყენების პრაქტიკა გასული საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში იღებს სათავეს. 1921 წელს ლონდონმა გადაწყვიტა, ჩაეხშო ერაყის მაშინდელი აჯანყება სახმელეთო ჯარების გამოუყენებლად, მხოლოდ მასობრივი დაბომბვის გზით.**

ეს იყო მაღალტექნოლოგიური ტერორის გამოყენების პირველი მცდელობა. შედეგების გაანალიზებით დასავლეთის ერთ-ერთმა გონებრივმა ცენტრმა, ადამიანების ურთიერთობის ბრიტანეთის ტავისტოკის ინსტიტუტმა, ფუნდამენტური დასკვნა გააკეთა: **ტერორი ადამიანს აქცევს ბავშვად, რომელსაც გამორთული აქვს აზროვნების რაციონალურ-კრიტიკული ფუნქცია, ხოლო მისი ემოციური გამოძახილი სხვადასხვა სიტუაციაზე წინასწარ გათვლის საშუალებას იძლევა და მანიპულატორ-ტერორისტისთვის მომგებიანია.** ეს დიდ სოციალურ ჯგუფებზე კონტროლის დაწესების საშუალებას იძლევა.

ტავისტოკის ინსტიტუტი



©EPA

# საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მრავალწლიანი და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად მოახერხა ყველა წამყვანი სახელმწიფოს ეკონომიკების ერთდროულად კატასტროფული კრიზისის წინაშე დაყენება

ტავისტოკის კლინიკის ბაზაზე აღმოცენდა, რომელიც 1921 წელს შეიქმნა პირველ მსოფლიო ომში კონტუზირებული ადამიანების სამკურნალოდ. ავადმყოფების ქცევის ზოგიერთი თავისებურებით დაინტერესდნენ სპეციალისტები, რომლებიც მასობრივი ცნობიერების მართვის სფეროში მუშაობდნენ. მეორე მსოფლიო ომის დროს კლინიკა ბრიტანეთის არმიის ფსიქიატრიული სამმართველოს ცენტრად იქცა.

**მსოფლიო ომებს შორის პერიოდში შეიქმნა „ტვინების მასობრივი გამორეცხვის“ თეორია იმ სოციალური და ინდივიდუალური ღირებულებების შეცვლის მიზნით, რომლებიც განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას.**

კვლევათა ერთ-ერთ წამყვან ფიგურად მოგვევლინა ჰარვარდის ფსიქოლოგიური კლინიკისა და სოციალური კვლევების ინსტიტუტის დამფუძნებელი, ნაცისტურ გერმანიიდან აშშ-ში ემიგრირებული დოქტორი **კურტ ლევინი**. მეორე მსოფლიო ომის დროს იგი მუშაობდა სტრატეგიული სამსახურების სამმართველოში (რომელიც შემდგომ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოდ გადაკეთდა), სადაც იკვლევდა პროპაგანდის, სამხედრო ფსიქოლოგიის, სამხედრო დანაყოფებში ლიდერობის და ა.შ. პრობლემებს. **სწორედ ლევინმა შეიმუშავა „სამხედრო ტერორის“ გეგმა, რომელიც 1942-1945 წლებში გერმანიის ცაში აშშ-მ და ინგლისმა განახორციელეს. დაუნდობელი დაბომბვა ქალაქების მოსახლეობის მასობრივად გაწყვეტას ისახავდა მთავარ მიზნად.** ამასთან, მოკავშირეთა ბომბები ანადგურებდა არა სამხედრ ინფრასტრუქტურას, არამედ, უწინარეს ყოვლისა, გერმანიის ქალაქების მშვიდობიან მოსახლეობას — ქალებს, ბავშვებს, მოხუცებს.

**ზეტერორის ასეთი პრაქტიკის გვირგვინად იქცა ჰიროსიმასა და ნაგასაკის თავზე ატომური ბომბების აფეთქება, იმ სამიზნეთა, რომლებიც სამხედრო თვალსაზრისით ფრიად უმნიშვნელო იყო.**

საინტერესოა, რომ **მხოლოდ ერთ გერმანულ ქალაქ დრეზდენში ანგლოსაქსებმა დახოცეს უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე ატომური აფეთქებით ამ ორ იაპონურ ქალაქში.**

ლევინის დამუშავებული თეორია ამერიკელებმა პრაქტიკულად გამოიყენეს ვიეტნამში, იუგოსლავიაშიც, ერაყშიც და ა.შ.

ამ თეორიის გამოყენების არეალი სამხედრო სფეროს სცდება და სამოქალაქო სფეროშიც ფართოდ გამოიყენება.

ერთ თავის ნაშრომში „დროის პერსპექტივა და მორალი“ ლევინი წერს: **„დაშინების სტრატეგიის (ტერორის) საშუალებით მორალური დათრგუნვის ერთ-ერთი მთავარი მეთოდი შემდეგი ტაქტიკის ზუსტი განხორციელებაა: ადამიანი გაურკვეველ მდგომარეობაში უნდა ამყოფო მისი რეალური მდგომარეობისა და მომავლის მიმართ... როცა ადამიანს ვერ გაურკვევია, რომელიმე კონკრეტული გეგმის განხორციელებით შესრულდება თუ არა მიზანი, რომლისკენაც ილტვის — უახლოვდება თუ შორდება იგი ამ მიზანს? ასეთ პირობებში ის პიროვნებებიც კი, რომლებსაც გამოკვეთილი მიზნები აქვთ და მზად არიან გარისკონ, ძლიერი შიდა კონფლიქტის გამო პარალიზებული აღმოჩნდებიან“.**

ეს აღმოჩენა აქტიურად იყო გამოყენებული, მაგალითად, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტების შემდეგ აშშ-ში და 2005 წლის 7 ივლისის ტერაქტის შემდეგ ინგლისში, როგორც ავღანეთსა და ერაყში შეჭრის გამართლება.

## ვის სჭირდება ეს?

**ევროპაში, ფაქტობრივად, ლიკვიდირებულია მუშათა კლასი. ნებისმიერი საქონლის ტირაჟირებას დღეს ავტომატები ახორციელებს, რომელთა მუშაობას ერთი ოპერატორი აკონტროლებს. ყველაფერი ის, რაც ხელით შრომას საჭიროებს, გადასროლილია აზიაში. ამან შეცვალა ელიტის მდგომარეობა მსოფლიოში.** თუ უწინ, ნებისმიერი წყობილების დროს, ელიტა თავისი კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად იძულებული იყო, ადამიანების დიდი რაოდენობის ექსპლუატაცია გაეწია, ამჟამად კვალიფიციური მუშების, რომელთაც ინდუსტრიული ეპოქა ეყრდნობოდა, საჭიროება და აუცილებლობა გაქრა. დღეს საქმე ისეა აწყობილი, რომ ევროპასა და აზიაში გაფიცვების დროს თავისუფლად შეიძლება მთელი დარგების გადასროლა ჩინეთში, სამხრეთ კორეაში, ტაილანდში... თანდათან ქრება საშუალო ფენის მხარდაჭერისა და შენარჩუნების აუცილებლობაც. მაშასადამე: **დღის წესრიგში დადგა სოციალური სახელმწიფოს სრული დემონტაჟის საკითხი.**

2000-იანი წლების დასაწყისისთვის სოციალური მოწყობის არსებულმა მოდელებმა ამოჭამა საკუთარი თავი, დასავლეთის საზოგადოება კი საყოველთაო სისტემური კრიზისის პირას აღმოჩნდა. **ნიშანდობლივია, რომ სწორედ 2001 წლის სექტემბრისთვის საერთაშორისო სავალუტო ფონდმა მრავალწლიანი და მიზანმიმართული საქმიანობის შედეგად მოახერხა ყველა წამყვანი სახელმწიფოს ეკონომიკების ერთდროულად კატასტროფული კრიზისის წინაშე დაყენება.**

ასეთ პირობებში მთელ მსოფლიოში გარდაუვალი ხდება მკვეთრი სოციალური დიფერენციაცია იმ სცენარით, რომელიც 1990-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრცისთვის დამუშავდა. სოციალურს მოჰყვება ტერიტორიული დიფერენციაცია: **ელიტა შეუდგა თავისი ანკლავების ფორმირებას და პერიფერიას დამოუკიდებლად დაცემა-დაკნინების თავისუფლება დაუტოვა.**

XXI საუკუნის შუა ხანების მსოფლიო, ეტყობა, წარმატებული ანკლავების ქსელის სახით წარმოგვიდგება (ახალი ჩრდილოეთი), რომელიც გარშემორტყმული იქნება კიბერფალევთა ტერიტორიით (ახალი სამხრეთი).

მსოფლიოს თეთრკანიანი მოსახლეობა მზად არ არის, საკუთარი სურვილით დათმოს წარსულის სოციალური მონაპოვრები. ამ სირთულის დასაძლევად საჭირო იქნება მოსახლეობას შეექმნას არასრულფასოვნების კომპლექსი, დატერორდეს და იძულებული გახდეს აღიაროს და მიიღოს „ახალი ცხოვრების“ სტანდარტები. ამისთვის კი საჭიროა ძალა, საკმარისად მასობრივი და აგრესიული, რომელიც თავდაუზოგავად იბრძოლებდა ევროპელებისთვის ახალი ცხოვრების წესების თავზე მოსახვევად.

**ასეთ საშუალებად და იარაღად იქცა ისლამიზმი, რომლის შეტევის დაწყების ნიშნად 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტები იქცა.**

მომზადდა
**ვლადიმერ ნესტეროვისა და ნიკოლაი მალიშევსკის**
სტატიების მიხედვით

## სინგაპურში მსოფლიოში პირველი ტროპიკული პარკი გაიხსნა

**სინგაპურში მსოფლიოში პირველი ტროპიკული ფლორის პარკი გაიხსნა. პარკის „ბაღები ყურესთან“ მშენებლობა, რომელიც სამხრეთ ამერიკის, აფრიკისა და აზიის ფლორასა და ფაუნას წარმოადგენს, 6 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა.** „ბაღები ყურესთან“ სრულიად არაორდინალური, ნამდვილი ბოტანიკური სასწაულია, რომლის მოწყობაც მილიარდი დოლარი დაჯდა. კომპლექსი მდინარე სინგაპურის შესართავთან, 200 საფეხბურთო მოედნის ტოლ ფართობზეა განთავსებული. 226 ათასი დიდებული ხის გარდა, აქ რკინის წნელითა და ბეტონით შექმნილი 18 ხეა აღმართული, რომლებიც სიმწვანითაა შემოსილი. ეს ცოცხალი ცათამბჯენები და ვერტიკალური ბაღები, რომელთა სიმაღლეც 25-დან 50-მდე მეტრს აღწევს, პარკს სრულიად ფუტურისტულ იერსახეს აძლევს. დღისით მათ ქვეშ მზისგან თავის შეფარება შეიძლება, სიბნელის დადგომასთან ერთად კი მცენარეები ორიგინალური ილუმინაციებით ნათდება. პარკში ყველაზე მაღალ ხეებს შორის ხიდები და მიწისზედა გადასასვლელებია, უმაღლესი ხის მწვერვალზე კი რესტორანი განთავსდება, საიდანაც პანორამული ხედი გადაიშლება.



ამბები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**მთავრობამ მიიღო კანონი, რომელსაც „მასტ ქერისა და მასტ ოფერის“ კანონი ქვია. ამ კანონის თანახმად, საკაბელო ოპერატორებმა უნდა ჩართონ თავის პაკეტებში არსებული არხები... კანონი მოქმედებას წყვეტს არჩევნების დღეს და შესაბამისად მოქალაქენი არჩევნების შედეგების გაგებისას დამოკიდებულნი იქნებიან პრო-სამთავრობო არხებზე.**

# ქართული მედიაგარემო არჩევნების წინ გაუარესდა


გიორგი ბარამიძე

**საქართველოს მთავრობა და ოპოზიციურ ლიდერ ბიძინა ივანიშვილთან დაკავშირებული მედია ერთმანეთს ადანაშაულებენ, რაც ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ სიტუაციას ძაბავს.**

ბრიუსელში ვიზიტის დროს საქართველოს პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, გიორგი ბარამიძემ, ბრალი დასდო მთავრობის მთავარ ოპონენტს, ივანიშვილს, იმაში, რომ ის თავის უზარმაზარ ქონებას მედიის მოსყიდვისა და ამომრჩეველთა „მოქრთამვისთვის“ იყენებს, როდესაც მათ უფასოდ უზრუნველყოფს სატელიტური თეფშებით.

**ივანიშვილის ქონება 5,5 მილიარდ დოლარადაა შეფასებული ჟურნალ „ფორბსის“ მიერ. შარშან მან განაცხადა, რომ პოლიტიკაში მოსვლა, არჩევნებში გამარჯვება და რუსეთთან 2008 წლის კონფლიქტით გაფუჭებული ურთიერთობების გამოსწორება განიზრახა.**

ამასობაში მან დააფუძნა პოლიტიკური ალიანსი, რომელსაც „ქართული ოცნება“ უწოდა და რომელიც მმართველი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მთავარ კონკურენტად მოიაზრება.

**ივანიშვილის მედიაძალაუფლება „მეცხრე არხის“ გარშემო იგება. ეს არხი ამერიკელმა პროფესიონალებმა შექმნეს და ის „სი-ენ-ენ“-ის ქართული ვარიანტი იქნება. მეცხრე არხი კონკურირებას უწევს სამ ნაციონალურ მაუწყებელს, რომლებიც მიხეილ სააკაშვილის მთავრობის პროპაგანდის მანქანად იქცა.**

როგორც იტყობინებიან, „გლობალ ტვ“ ერთადერთი სატელიტური და საკაბელო ოპერატორია, რომელიც დათანხმდა „მეცხრე არხის“ სიგნალის გავრცელებაზე. ოპერატორი თავის ხელმომწერებს უფასოდ ურიგებს აღჭურვილობას, რაც, ბარამიძის განცხადებით, „ქრთამია“ და, შესაბამისად, „არაკანონიერი“.

„მეცხრე არხის“ წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ მათი გადაცემები დასავლური ტიპისაა და ღიაა ნებისმიერი მოსაზრების მქონე ადამიანებისთვის, რაც მაყურებელს დამოუკიდებელ დასკვნამდე მისვლის საშუალებას აძლევს.

**„მეცხრე არხისა“ და „გლობალ ტვ“-ის რამდენიმე აქციონერი ამას წინათ ბრიუსელში იყო და მთავრობის მიერ მათი დევნის შესახებ განცხადებებს აკეთებდა. ისინი ლაპარაკობდნენ ასევე თვითნებურ დაპატიმრებებზე და მათი აღჭურვილობის დაზიანებაზე ქვეყნის ხელისუფალთა მიერ.**

ისინი ამბობდნენ, რომ მათი აუდიოვიზუალური აღჭურვილობა მწყობრიდან გამოიყვანეს საბაჟო შემოწმების დროს, მას შემდეგ, რაც აღჭურვილობას ვიღებდით, „აღარაფერი მუშაობდა“, — აცხადებდნენ „მეცხრე არხის“ აქციონერები.

როდესაც ამ საკითხზე კომენტარი ვთხოვეთ, ბარამიძემ განაცხადა: **„მე ერთი რამ ვიცი ივანიშვილზე – ხალხი ცდილობს, ნებისმიერი ხერხით იჩივლოს მთავრობაზე. საკმარისად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ ეს ბრალდებები მათი პოლიტიკური კამპანიის ნაწილია“.**

## კანონი „მასტ ქერისა“ და „მასტ ოფერის“ შესახებ

**პრემიერ-მინისტრის მოადგილემ განაცხადა, რომ მთავრობამ მიიღო კანონი, რომელსაც „მასტ ქერისა და მასტ ოფერის“ კანონი ქვია. ამ კანონის თანახმად, საკაბელო ოპერატორებმა უნდა ჩართონ თავის პაკეტებში არსებული არხები.**

კანონი 29 ივნისს მიიღეს და ის უკვე გააკრიტიკა „მეცხრე არხმა“. მიუხედავად იმისა, რომ ეს კანონი თითქოს უზრუნველყოფს ყველა ტელემაუწყებელს თანაბარი სათამაშო პირობებით, ოპონენტები ამბობენ, რომ საკაბელო კომპანიას შეუძლია ტექნიკური გაუმართაობა მოიმიზეზოს და არ ჩასვას პაკეტში კონკრეტული არხი.

გარდა ამისა, **კანონი მოქმედებას წყვეტს არჩევნების დღეს და შესაბამისად მოქალაქენი, არჩევნების შედეგების გაგებისას, დამოკიდებულნი იქნებიან პრო-სამთავრობო არხებზე.**

ბარამიძე იმაშიც სდებს ბრალს ივანიშვილს, რომ ის მოქალაქეებს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე მოსვლას ჰპირდება. ის ადასტურებს, რომ პოლიტიკოსები დასავლეთში იმავეს აკეთებენ, მაგრამ აცხადებს, რომ საქართველოს შემთხვევაში ამ განცხადებამ შეიძლება პრობლემები შექმნას.

**„მე ვერ ვიტყვი, რომ ეს კანონსაწინააღმდეგოა, მაგრამ, თუ ყველაფერს შევაჯამებთ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ მათ შეიძლება რაიმე ისეთი ჩაიდინონ, რაიმე სკანდალური“,** — განაცხადა მან.

როდესაც ვკითხეთ საქართველოს დაბალ რეიტინგზე, მედიის თავისუფლების თვალსაზრისით (104-ე ადგილი 179 ქვეყანას შორის, ორგანიზაციის „რეპორტიორები საზღვრებს მიღმა“ მონაცემების მიხედვით), მან განაცხადა, რომ ეს „ძალიან უსამართლოა“.

**„მე ვფიქრობ, მათ ძველი მონაცემებით იხელმძღვანელეს და არა ახალი ვითარებით, ქვეყნის განვითარების ბოლო 1-2 წლით“,** — განაცხადა ბარამიძემ.

EurActiv.com

# საარჩევნო ხმები საქართველოში «უკვე მოპარულია»


თედო ჯაფარიძე

**ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში „უკვე მოპარულია“, ამბობს ერთი მაღალი რანგის ოპოზიციური პოლიტიკოსი.**

ილაპარაკა რა საქართველოს პრემიერმინისტრის მოადგილე გია ბარამიძის ინტერვიუს საპასუხოდ, საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა თედო ჯაფარიძემ New Europe-ს განუცხადა, რომ მთავრობის ამჟამინდელი დამოკიდებულება ოპოზიციისადმი ერთ ვარაუდს აჩენს — **ზაფხული მიხეილ სააკაშვილის ოპონენტთათვის მძიმე იქნება, მათ გაურთულდებათ გავლენის მოხდენა ვითარებაზე ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ.**

**„მე ისეთი განცდა მაქვს, რომ არჩევნები უკვე მოპარულია,“** — ამბობს ჯაფარიძე, — **ამიტომაა, რომ ოპოზიციას ექცევიან ისე, როგორც ექცევიან. მე სიტუაციის ესკალაციას ველი და ამ თვალსაზრისით ზაფხული მძიმე იქნება. მაგრამ ჩვენ ბოლომდე ვუერთგულებთ პოლიტიკურ და საკონსტიტუციო მეთოდებს. მთავრობა ცდილობს, ჩვენ ქუჩის აქციებში ჩაგვითრიოს, მაგრამ ჩვენ ურყევად მივყვებით საკონსტიტუციო გზას“.**

ჯაფარიძე, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საგარეო საქმეთა მინისტრის თანამდებობა ეკავა, მაგრამ მერე ოპოზიციურ კოალიციაში — „ქართულ ოცნებაში“ გაწევრიანდა, ამბობს, რომ არ უნდა, ავტომატურად უარყოს ყველაფერი, რასაც საქართველოს მთავრობა აცხადებს. თუმცა ის ამტკიცებს, რომ **მთავრობის ქცევა ეწინააღმდეგება 2003 წლის დემოკრატიულ იმპულსს, რომელიც უზურპირებულია სააკაშვილისა და მისი გარემოცვის მიერ. „ჩვენ, ვინც ვუჭერდით მხარს „ვარდების რევოლუციას“, ახლა თავს მართლა ისე ვგრძნობთ, თითქოს გვიღალატეს,** — ამბობს იგი. — **არსებულმა მთავრობამ უღალატა რევოლუციის ღირებულებებსა და პრინციპებს, რომელთაც საქართველოსთვის უკეთესი მომავალი და იმედი უნდა მოეტანა“.**

გარდა ამისა, ჯაფარიძემ მყისიერად მიუთითა იმაზე, რომ ოპოზიცია ამჟამინდელი მთავრობისადმი არ ეფუძნება მხოლოდ კონფრონტაციას. New Europe-ისათვის გიორგი ბარამიძის მიერ მიცემული ინტერვიუს საპასუხოდ ჯაფარიძემ განაცხდა, რომ **„ქართული ოცნების“ გეგმაში „მხოლოდ სააკაშვილთან ბრძოლა და მისი კრიტიკა არ შედის, კოალიციის მიზანი საქართველოს უკეთესი მომავლისთვის ბრძოლაა“.**

**ზაფხული მიხეილ სააკაშვილის ოპონენტთათვის მძიმე იქნება, მათ გაურთულდებათ გავლენის მოხდენა ვითარებაზე ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების წინ**

**„ჩემი კონტრგზავნილი ასეთია: ჩავატაროთ გამჭვირვალე არჩევნები. ნება მიეცით მოქალაქეებს, განსაჯონ და მიიღონ გადაწყვეტილება“.**

მაგრამ, განაგრძობს ის, ამ მომენტისთვის ის თავის ქვეყანაში ვერ ხედავს დემოკრატიისკენ მიმავალ გონივრულ გზას. **„ქართული დემოკრატია მანიპულირებადი რამაა,** — ამბობს იგი. — **ის საკმაოდ უნარიანია ისეთი გზავნილების შექმნაში, რომელთა მოსმენაც აქ, დასავლეთში, ბრიუსელში, ბერლინსა და ვაშინგტონში, კოლუმბიის ოლქში სურთ“.**

**„დიახ, მე მინდა, რომ არჩევნები კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ მოიგოს, მაგრამ ამაზე მეტად მე ისეთ ქვეყანაში მინდა ცხოვრება, რომლის ხელისუფლებაში მყოფი პარტია არჩევნებს აგებს. ასეთი რამ არასდროს მომხდარა საქართველოში“.**

მიუხედავად მისი ოპოზიციური რიტორიკისა, იგი ამტკიცებს, რომ კოალიცია „ქართული ოცნება“ ერთგულია ევროკავშირსა და ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისადმი ზუსტად ისე, როგორც ამჟამინდელი მთავრობა; ჯაფარიძე აღიარებს, რომ **„ამ მთავრობამ ამ სივრცეში პოზიტიური რაღაცები გააკეთა“,** მაგრამ, — ამბობს იგი, — **„მანამდე, სანამ ევროკავშირში გაწევრიანებაზე ვილაპარაკებთ, ჩვენ ნორმალური, ქმედითი დემოკრატია უნდა ავაშენოთ. საქართველოს შემთხვევაში, ევროპული ინტეგრაცია, პირველ რიგში, შიდა პროცესებს უნდა მოხმარდეს. ეს ხანგრძლივი პროცესია“.**

**სილენ დონელი**
NEWEUROPE

მოკლედ

## ავღანელი პოლიციელები «თალიბანში» გადავიდნენ

**ავღანეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილიდან ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ადგილობრივი, ფარაჰის პროვინციის პოლიციელი 13 დაქვემდებარებულ პირთან ერთად მოძრაობა „თალიბანის“ მხარეს გადავიდა.** გავრცელებული ინფორმაციით, პოლიციის უფროსმა მოწამლა ის შვიდი პოლიციელი, რომლებმაც უარი განაცხადეს მასთან ერთად „თალიბანში“ გადასვლაზე. „თალიბანში“ გადასულმა პოლიციელებმა თან სამსახურებრივი ავტომობილები და ცეცხლსასროლი იარაღი წაიღეს.

## წელს ავღანეთში ნატოს 255 სამხედრო დაიღუპა

**მიმდინარე წლის დასაწყისიდან ავღანეთში საერთაშორისო კოალიციური ძალების 255 სამხედრო დაიღუპა. დღეს ავღანეთის აღმოსავლეთ ნაწილში ბოევიკების თავდასხმის შედეგად ერთი სამხედრო დაიღუპა, რომლის ეროვნებაც არ სახელდება.** ამ დანაკარგით კოალიციის დანაკარგმა წლის დასაწყისიდან 255 სამხედრო შეადგინა. ამას გარდა, გავრცელებული ინფორმაციით, კოალიციისათვის ყველაზე მძიმე თვე მაისი იყო, მაშინ 45 სამხედრო დაიღუპა. ივლისში დაღუპულდა რაოდენობა ჯერჯერობით 35-ია. სულ ოპერაციის დასაწყისიდან ავღანეთში დაიღუპა 3,1 ათასი სამხედრო, მათ შორის 2,05 აშშ-ის სამხედრო მოსამსახურეა.

**„ხელისუფლება არის ღმერთისაგან, მაგრამ ხელისუფალთა მორჩილება მანამ გვმართებს, სანამ ისინი ქვეყნად ღვთაებრივ წესრიგს იცავენ; ...როდესაც ხელისუფლება საღვთო სიკეთის მდევნელი ხდება, მაშინ ასეთი ხელისუფლების არც მორჩილება და არც ყურისგდება არ შეიძლება. ასეთ ხელისუფლებას ქრისტიანი უნდა ებრძოდეს სახარებისეული საშუალებებით“** (რომ.13.1-6).

ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან»

**საქართველო დღეს ყოფნა-არყოფნის ზღვარზე დგას. თხრიან ჯვრებს, ანგრევენ, გვიყიდიან და ათანამედროვებენ ტაძრებს, ასი ათასი მოწამის ადგილზე გახსნეს სიძვის პარკი, კანონით მართლმადიდებლობასთან გაათანაბრეს ყველა რელიგიური მიმდინარეობა, გვედავებიან 650 ტაძარს, მამულიშვილთა საფლავებზე გვიშენებენ მეჩეთებს, მიმდინარეობს ბუდისტური სამონასტრო კომპლექსის მშენებლობა, წართმეულია აფხაზეთი, შიდა ქართლი, აჭარა... გაყიდულია ტყეები, მდინარეები, შევიწროებულია და განადგურებულია სამშობლოდან ადგილობრივი მოსახლეობა, გამრავლდა სოდომ-გომორული ცოდვა, გვირყვნიან ბავშვებს, ახალგაზრდობას, გვიხოცავენ ციხეში და ციხის გარეთ გენოფონდს, მოშლილია მეცნიერება, ხელოვნება, ეკონომიკა, სოფლის მეურნეობა, განათლების სისტემა, კორუფცია მთავრობაში კონსტიტუციითაა დაცული, მრუშობა, სიცრუე, ღალატი, ჩაშვება, ძალმომრეობა და დაშინება მთავრობის მხრიდან ცხოვრების ნორმად იქცა, მიმდინარეობს სულიერი, ინტელექტუალური და ზნეობრივი გენოციდი... და ეს ხდება ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში, ღვთის რჩეულ ერში.**




მშვიდად ვუყურებთ, როგორ მოედინება ქვეყნის დასერილი, დასახიჩრებული სხეულიდან სისხლის ნაკადულები. სინოდს სინოდზე ვიწვევთ, შველისა და მკურნალობის ნაცვლად იარებს ვუმრავლებთ მომაკვდავ სხეულს ანტიმართლმადიდებლური განჩინებებით. **როგორ მოხდა, რომ ეკლესია აღმოჩნდა ხელისუფლების ზეწოლის ქვეშ? რატომ გახდა ეკლესია (უმრავლესობა) თანამონაწილე მთავრობის მზაკვრული გეგმებისა? სად არის ეკლესიის უძლეველობა? სად დავკარგეთ და რაზე გავცვალეთ იგი? ჯიპებზე, მსუყე ცხოვრებაზე, დიდებასა და პატივზე?**

ვინ უნდა იდგეს ერის სადარაჯოზე, ვის უნდა სტკიოდეს ერის ტკივილი ყველაზე მეტად, თუ არა ერის სულიერ მამებს, როცა ერი იმედითა და კრძალვით უყურებს სამოციქულო ეკლესიას? სულიერი მამები დასაწყისშივე უნდა ხედავდნენ გადაგვარების საშიშროებას, მოყვრის ნიღბით მოსულ მტერს, როცა ის თავის მომწამვლელ პირველ იდეოლოგიურ ნაბიჯებს დგამს, რადგან სულიერი მამა ნიშნავს ღვთის მადლით შემოსილს, რომელიც როგორც არწივი მაღალი სიმაღლეებიდან ამჩნევს დედამიწაზე უმცირეს საგნებს, ასევე, ისიც მოვალეა სულიერი სიმაღლიდან ერის სულიერ ცხოვრებაში მცირე არასასურველი გადახრები დასაწყისშივე შეამჩნიოს და დროულად გამოასწოროს. ასეთ დროს კომპრომისისა და დიპლომატიის ნაცვლად განგაშის ზარები უნდა დაარისხოს, უნდა ზრუნავდეს ერის მომავალზე (და არა საკუთარ კეთილდღეობაზე), თავს სდებდეს მისთვის. **ეკლესიის ძალა არის არა ტაძრებისა და მღვდელმსახურების სიმრავლეში, არამედ მათ სიწმინდეში, რადგან სიწმინდეში მოქმედებს ღმერთი, რომელსაც დღეს ქართველი ერის არსებობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. ღმერთი არასდროს დგება სიცრუისა და ღალატის მხარეს, ასევე მისი ჭეშმარიტი მსახურნიც. უფალი ამბობს, „ნუ შეებმებით უცხო უღელში ურწმუნოებთან... უწმინდურს ნუ მიეკარები და მე მიგიღებთ თქვენ“** (2 კორ. 6.14-18).

საქართველოს ეკლესიის სინოდი მხარს უჭერს არამართლმადიდებლურ გადაწყვეტილებებს, ამასთან ერთად, აკეთებს ლოიალურ განცხადებებს ID ბარათზე, თითქოს იგი არ წარმოადგენს არანაირ საშიშროებას ქრისტიანებისთვის. თუ ID ბარათებთან დამოკიდებულებაში გადავხედავთ მართლმადიდებელი ქვეყნებსა და ევროპის არამართლმადიდებელ ქვეყნებს, სხვა სურათის მხილველნი გავხდებით. **წმინდა ათონის მთის წმინდა კინოტმა, ელადის ეკლესიამ (საბერძნეთის), კვიპროსის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, ფინეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ, უკრაინის მართლმადიდებელმა ეკლესიამ და სხვა მრავალმა მონასტერმა აუკრძალეს ქრისტიანებს ID ბარათებით სარგებლობა, ვინაიდან მფლობელს განეშორება სული წმიდის მადლი, ადამიანი კარგავს ღმერთს და მასთან მისასვლელ გზას, რის შედეგადაც კვდება სულიერად.** აღნიშნული ქვეყნების საპატრიარქომ და წმინდა სინოდმა კატეგორიული მრავალპუნქტიანი დასაბუთებული მოთხოვნა გაუგზავნეს თავიანთი ქვეყნის მთავრობებს, ყოფილიყო ID ბარათების აღება ნებაყოფლობითი და მორწმუნეთათვის მიეცათ ალტერნატიული ვარიანტი, რათა არ შეეტანათ მილიონობით ადამიანში განხეთქილება და არ დარღვეულიყო საზოგადოებრივი ცხოვრების რიტმი, არ დარღვეულიყო ადამიანის ღვთისგან ბოძებული თავისუფლება, არ დარღვეულიყო დემოკრატიულ საზოგადოებაში პიროვნების სრულფასოვნება. **ევროპის რამდენიმე ქვეყანამ საერთოდ უარი თქვა მათზე, რადგან დაინახეს ტოტალური კონტროლის საშიშროება, რაც ხელყოფს პიროვნების თავისუფლების, ხოლო ევროპის რიგმა ქვეყნებმა დაუშვეს ID ბარათის ნებაყოფლობითი** მოხმარება, რომ არ შეზღუდულიყო განსხვავებული შეხედულებისა და სარწმუნოების მქონე ადამიანთა თავისუფლება.

XX საუკუნეში ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა მართლმადიდებელი სერბეთი. ერი და ბერი ქუჩაში გამოვიდა რათა დაეცვათ თავიანთი ღირსება. მთავარეპისკოპოსმა შეაჩვენა მოღალატე მთავრობა. შეშინებულმა ხელისუფლებამ ველარ გაბედა, მიელო არამართლმადიდებლური კანონი

**XX საუკუნეში ანალოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა მართლმადიდებელი სერბეთი. ერი და ბერი ქუჩაში გამოვიდა რათა დაეცვათ თავიანთი ღირსება. მთავარეპისკოპოსმა შეაჩვენა მოღალატე მთავრობა. შეშინებულმა ხელისუფლებამ ველარ გაბედა, მიეღო არამართლმადიდებლური კანონი. ჭეშმარიტმა საღმრთო მოშურნეობამ იხსნა ერი ღვთის განდგომისგან, ღალატისგან.**

რა მაგალითს გვაძლევს ჩვენი დროის **წმინდა მამა პაისი ათონელი:** „ახლა ომია, სულიერი ომი! მე წინა ხაზზე უნდა ვიყო, უამრავი მარქსისტი, უამრავი მასონი, უამრავი სექტანტი და სხვა დანარჩენია ირგვლივ, რომ წავიდე, ჩავთვლი, რომ წინა ხაზიდან წავედი, რომ უკან დავიხიე, ამას მოღალატეობად მივიჩნევ, საკუთარი თავისთვის თბილი ადგილის მოწყობას არ უნდა ცდილობდე... თუ ეკლესია დუმს, რომ სახელმწიფოსთან კონფლიქტში არ ჩაებას, თუ მიტროპოლიტები დუმილს ამჯობინებენ, რათა ყველასთან კარგ ურთიერთობაში იყვნენ, მაშინ ვინ უნდა ილაპარაკოს?“

ასევე გვმოძღვრავს **წმინდა მამა იუსტინე:** „როცა ადამიანები ღვთისა და საღვთო სჯულის წინააღმდეგ ილაშქრებენ, მაშინ ეკლესია მათ უნდა დაუპირისპირდეს და, თუ ასე არ მოიქცევა, მაშ, როგორ დარჩება ის ეკლესიად ანდა მისი წარმომადგენლები მოციქულთა მემკვიდრეებად? ასეთ დროს ე. წ. საეკლესიო იკონომიით (შემწყნარებლობით) თავის მართლება სხვა არაფერია, თუ არა ღმრთისა და ეკლესიის ფარული გაცემა. ამგვარი იკონომია მხოლოდ და მხოლოდ ქრისტეს ეკლესიის ღალატია“.

**„ხელისუფლება არის ღმერთისაგან, მაგრამ ხელისუფალთა მორჩილება მანამ გვმართებს, სანამ ისინი ქვეყნად ღვთაებრივ წესრიგს იცავენ; ... როდესაც ხელისუფლება საღვთო სიკეთის მდევნელი ხდება, მაშინ ასეთი ხელისუფლების არც მორჩილება და არც ყურისგდება არ შეიძლება. ასეთ ხელისუფლებას ქრისტიანი უნდა ებრძოდეს სახარებისეული საშუალებებით“** (რომ. 13.1-6).

ღმერთშემოსილი მამები მოგვიწოდებენ არა მონური მორჩილებისკენ, არა ხელჩართული ბრძოლისკენ, არამედ საღმრთო მოშურნეობისკენ, აღმსარებლობისკენ. მოციქული გვასწავლის: **„ამხილე, შერისხე, შეაგონე მთელი სულგრძელებითა და სწავლებით“** (2 ტიმ. 3.16;4.2). აღმსარებლობაზე დგას ქრისტე ეკლესია, აღმსარებლობაა ქართლის ცხოვრება.

ასეთ კრიტიკულ ჟამს ქართველმა ერმა უნდა გაიაზროს და გააცნობიეროს, რომ განსაცდელები ერს ეწევა ღვთისგან განდგომის გამო, რადგან ღმერთი და ღვთისმშობელი რჩეული ერის მფარველად გვევლინება მაშინ, როცა ერი მიყვება ქრისტეს გზას, იცავს მისგან მოცემულ კანონებს და მასზე ზრდის მომავალ თაობას. ჩვენ მივატოვეთ ღმერთი და გამრავლდა ჩვენში უწმინდურება და უზნეობა. **დღევანდელი მთავრობა და მისგან დამტყდარი უბედურებანი არის შედეგი ჩვენი უღმერთო ცხოვრებისა და სასჯელი ჩვენს ერზე. ჩვენი უბედურების მიზეზი არის არა ამერიკა, არა რუსეთი, არამედ ჩვენ თვითონ.** გამოსავალი ისევ ჩვენშია. ერმა უნდა დაინახოს თავისი თავი, თავისი გადაგვარება ყველანაირი შელამაზების გარეშე. უნდა დავინახოთ, როგორი უნდა იყოს ღვთის რჩეული, ღვთისმშობლის წილხვედრი ერი, რა სულიერი და მორალურ-ზნეობრივი პრინციპებით უნდა საზრდოობდეს იგი, და რით იკვებება დღეს ჩვენი საზოგადოება. დავიდანაშაულოთ საკუთარი თავი, რათა გავასწოროთ ჩვენი გზა ღვთის წინაშე; **უპირველესად, გვმართებს სასოება და იმედი ღმერთის და არა ლიდერების, რათა არ მოვიწიოთ ჩვენს თავზე მორიგი უბედურება და ასეთი შეგნებით გავიდეთ დიდგორის ველზე, რომელსაც დღეს მთლიანად საქართველო წარმოადგენს. გავაკეთოთ სწორი არჩევანი სიკეთესა და სიბოროტეს შორის.**

ვინაიდან დღეს ჩვენი მტერი ქართულ ენაზე ლაპარაკობს, ქართულ იერ-სახეში ჩაუბუდებია ჯალალედინებს, შაჰაბასებს, მურვან ყრუებს, რომლებმაც მიწასთან გაასწორეს ერის სულიერი, ინტელექტუალური, ზნეობრივი და ტრადიციული ღირებულებები. ამაზე სწორად უთქვამს ხეს: „ცული რას დამაკლებდა, ჩემი მოგვარე რომ არ ეხმარებოდესო“.

**ქართულ მიწაზე მრავალ ერს გვერდიგვერდ უცხოვრია საუკუნეების მანძილზე, ისინი თანაზიარნი იყვნენ ჭირსა და ლხინში. დღესაც ერთნაირად უნდა გავიზიაროთ ქვეყნის გასაჭირი და სიმართლისა და სიკეთის მხარეს დავდგეთ, თუ გვინდა, ჩვენს შვილებს ბედნიერი მომავალი ჰქონდეთ.**

**გოჩა ლომსაძე**

## ბრიტანელმა მეცნიერებმა 60-თვალიანი ჭია აღმოაჩინეს



**ბრიტანელმა მეცნიერმა კემბრიჯთან ახლოს სეირნობისას ბალახზე ბრტყელი ჭიის ახალი სახეობა იპოვა.** რამდენიმე მეცნიერმა უკვე დაადასტურა, რომ 60-თვალიანი ბრტყელი ჭიები სრულიად ახალი აღმოჩენაა. 12-მილიმეტრიანი ჭია მხედველობის ორგანოების რეკორდული რაოდენობით შეიძლება აღმოჩნდეს ჩრდილოეთ ირლანდიის ჭიის ცნობილი სახეობის ნათესავი.

## კრასნოდარის მხარეში ზარალმა 20 მილიარდი რუბლი შეადგინა

**კრიმსკში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებულმა ზარალმა 20 მილიარდი რუბლი შეადგინა.** ეს მონაცემი კრასნოდარის მხარის ხელისუფლებამ გამოაქვეყნა. „სტიქიური უბედურების შედეგად მიყენებულმა ზარალმა, წინასწარი მონაცემებით, სულ მცირე 20 მილიარდი რუბლი შეადგინა“, — ნათქვამია მხარის გუბერნატორ ალექსანდრე ტკაჩოვის ინტერნეტგვერდზე გავრცელებულ განცხადებაში. შეგახსენებთ, რომ კრასნოდარის მხარეში მომხდარი სტიქიური უბერდურების შედეგად 173 ადამიანი დაიღუპა.

სამართლიანობა და ჭეშმარიტება
ფოსტა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ჭეშმარიტი ლიდერი ყველა შესაძლო
საფრთხისთვის უნდა იყოს მზად და მხოლოდ
მაშინ, ასეთი ლიდერის არსებობის პირობებში,
ვლინდება ხალხის ძალა, თორემ ცხვრების ფარას
თუ არავინ, ან ისევ ცხვარი ჩაუდგა სათავეში,
მიზანი ყოველთვის მიუღწეველი დაგვრჩება...

# გვატყუებენ!

## ზოგიერთი ლაპიდარული გამოთქმის მართებულობის თაობაზე

**ადამიანის ნააზრევის საუკეთესო შემფასებელი დროა, და ის, რაც დროში გამოცდას უძლებს, მკვიდრდება როგორც ერთგვარი უტყუარი დებულება, რომელსაც უსიტყვოდ ვიზიარებთ. ასეთებს განეკუთვნება, უპირველესად, მოკლედ და კოხტად ჩამოყალიბებული, ე. წ. ლაპიდარული გამოთქმები.**

ძალზე ძნელია ათეულობით და ასეულობით წლების მანძილზე თითქოსდა სამუდამოდ დამკვიდრებული შეხედულებებისა და მითუფრო ლაპიდარული გამოთქმების გადახედვა, მათში ეჭვის შეტანაც კი. ძნელია, რადგანაც მათ აბსოლუტურ ჭეშმარიტებაში სისტემატურად აჯერებენ ხალხს (ხალხებს მთელ მსოფლიოში) ისინი, ვინც, წესით, ანუ განათლების ცენზითა და საზოგადოებაში დაკავებული მდგომარეობით, ვალდებულნი არიან, კრიტიკულები იყვნენ ყველაფრის მიმართ, და ფართო საზოგადოებას გასაგები ენით აუხსნან, თუ რასთან გვაქვს საქმე, ვის აძლევს ხელს არც მთლად გამართლებული, ზოგჯერ კი, მე ვიტყოდი, მცდარი შეხედულებების დამკვიდრება.

გავკადნიერდები და ზოგიერთ გავრცელებულ გამოთქმას, ჩვენთან დღეს განსაკუთრებით ხშირად ხმარებულს, კრიტიკული თვალით შევხედავ და შევეცდები, მათ ჭეშმარიტებაში „გონიერი ეჭვი" შევიტანო.

რამდენიმე მათგანზე მოგახსენებთ:

1. ამერიკის პრეზიდენტის — აბრამ ლინკოლნის ცნობილი გამონათქვამი: **„შეიძლება ერთი ადამიანის ყოველთვის მოტყუება, შეიძლება ყველას ერთხელ მოტყუება, მაგრამ შეუძლებელია ყოველთვის ყველას მოტყუება".**

ამ გამოთქმაში ისე კოხტადაა ერთმანეთთან შერწყმული ფორმა და შინაარსი ყურისთვის და გონებისთვისაც, რომ იგი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და მასში გამოხატული მოსაზრება ყველამ უტყუარ ჭეშმარიტებად აღიარა; იოტისოდენა ეჭვიც კი არ შეაქვს არავის. მართლაც, იმდენად ადვილად დასაჯერებელი აზრია მასში ჩადებული, რომ ძნელია, არ გაიზიარო კაცმა, მაგრამ, თუ კარგად ჩავუკვირდებით და ახლო თუ შორეულ ისტორიასაც გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ ნებისმიერ გამოთქმას, რაც უნდა ლამაზად იყოს იგი ჩამოქნილი, მაინც სჭირდება ტვინის ხვეულებში დადინჯებულად გატარება.

არ ვიცი, **ლინკოლნის დროს ეგებ მართლაც არ იყო შესაძლებელი ყველას მოტყუება ხანგრძლივი დროით და მისი მოსაზრებაც შეეფერებოდა სინამდვილეს, მაგრამ დღეს, ადამიანებზე მასმედიის მძლავრი ზემოქმედების დროში, ამ გამოთქმამ, ვფიქრობ, ძალა დაკარგა.** როცა 21-ე საუკუნეში არ ვიცით (აბსოლუტურმა უმრავლესობამ) ამ და გასული საუკუნის რევოლუციების, ომების, ტერორისტული აქტების, საბჭოთა კავშირის დაშლის და, გნებავთ, „დამოუკიდებელი" საქართველოს „დემოკრატიული აყვავების" ჭეშმარიტი მიზეზები, **როცა მთელ მსოფლიოს გამარჯვებულების მიერ დაწერილი ისტორიებით გვკვებავენ** (თან გვავალდებულებენ, ვიკვებოთ!), **როცა ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთის გადახედვას, რევიზიას ტაბუ ადევს საერთაშორისო კანონების(!) ძალით, ვითომ მაინც უნდა ვირწმუნოთ, რომ ერთის კი არა, ყველას გამუდმებით მოტყუება შეუძლებელია?!**



**აბრაამ ლინკოლნი:**

შეიძლება ერთი ადამიანის ყოველთვის მოტყუება, შეიძლება ყველას ერთხელ მოტყუება, მაგრამ შეუძლებელია ყოველთვის ყველას მოტყუება.

**როცა მთელ მსოფლიოს გამარჯვებულების მიერ დაწერილი ისტორიებით გვკვებავენ, როცა ისტორიის ამა თუ იმ მონაკვეთის გადახედვას, რევიზიას ტაბუ ადევს საერთაშორისო კანონების(!) ძალით, ვითომ მაინც უნდა ვირწმუნოთ, რომ ერთის კი არა, ყველას გამუდმებით მოტყუება შეუძლებელია?!**

**ჯერ ერთი,** თუკი შესაძლებელია ცალკეულის მოტყუება, მაშინ მთელის (ანუ ყველას) მოტყუება რატომ გამოირიცხება, მთელი ხომ ცალკეულისგან, ნაწილისგან შედგება?! და **მეორეც,** როცა ვამბობთ „ყველას", გასაგებია, რომ ამ „ყველაში" ხალხის ძალიან დიდი ნაწილი იგულისხმება, და არა – 100% ადამიანებისა, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ამ „ყველას" ვიღაცა, თუნდაც მოსახლეობის ძალზე მცირე ნაწილი, მცირე ჯგუფი ხომ ატყუებს! **ერთხელ მოტყუება, გასაგებია, რასაც ნიშნავს, ხანგრძლივად მოტყუებაც, მაგრამ გამუდმებით, ყოველთვის მოტყუება რაღაა, რა იგულისხმება?**

ცოცხალი მატერიისთვის უსასრულო ხომ არაფერია! **მაშასადამე, მოტყუება შესაძლებელია მხოლოდ დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე. მაგრამ როგორია ეს მანძილი, რით იზომება იგი – თვეებით, წლებით თუ საუკუნეებით?** ეს გამოთქმა თითქოს ბიბლიურის — **„არა არს დაფარული, რაიც არ გაცხადდების"** — მსგავსია, მაგრამ ბიბლიური გამოთქმა, განსხვავებით ლინკოლნის გამოთქმისგან, სწორია, რადგან მასში იგულისხმება რაღაც მოვლენა, ამბავი, რომელიც ადრე თუ გვიან, ანუ ოდესმე მაინც გამჟღავნდება, გაცხადდება. ლინკოლნის გამოთქმაში კი იგულისხმება ადამიანის, ადამიანთა დიდი ჯგუფის (ყველას) გამუდმებით მოტყუების შესაძლებლობა, რაც სხვა შინაარსის მატარებელია — **ადამიანი ერთხელ იბადება და, თუ მას მთელი სიცოცხლე ატყუებდნენ, მაშინ თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას, მთლიანად მის თაობას ყოველთვის ატყუებდნენ!** თუკი ტყუილის ესტაფეტა თაობიდან თაობასაც გადაეცემა და რომელიღაც თაობაში გამჟღავნდება, აი, მაშინ ეს იქნება ბიბლიური გამოთქმის დადასტურება, და არა ლინკოლნისეულის.

ახლა ისიც ვიკითხოთ, თუ **რას ნიშნავს, საერთოდ, ხალხის მოტყუება?** მოკლედ და კონკრეტულად, ეს არის შეგნებულად არასწორი ინფორმაციის ან ინფორმაციის არასწორი ინტერპრეტაციით მიწოდება ამ ხალხისთვის — ერთი სახელმწიფოს ან მთელი მსოფლიოს ხალხებისთვის (ზედმეტია იმის ახსნა, რომ ამგვარ ინფორმაციაში მხოლოდ ის ინფორმაცია იგულისხმება, რომლის გამჟღავნებაც საფრთხეს შეუქმნის ამა თუ იმ ხელისუფლებას). მერედა, ვის ძალუძს ასეთი მასობრივი მოტყუება? ცხადია მას, ვინც ფლობს ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებს – გამომცემლობებს, რადიო და ტელე მაუწყებლობებს, ბეჭდვით და ელექტრონულ მედიას და ვისაც ძალაუფლებაც გააჩნია ანდა სულაც კულისებიდან თავის ჭკუაზე მართავს არსებულ მთავრობას. **ტყუილის სიცოცხლის ხანგრძლივობას სწორედ ეს მფლობელები განსაზღვრავენ!**

მთლად მასეც არ არის საქმე, იტყვის ზოგიერთი, ხომ არიან პატიოსანი და მიუკერძოებელი ადამიანებიც, რომლებიც ტყუილს არ იკადრებენო, და მართალნიც იქნებიან. არიან და არც ისე ცოტანი ყველგან, ყველა სახელმწიფოში. მაგრამ ისინიც ჩვეულებრივი ადამიანები არიან, თავთავიანთი სისუსტეებით და ამიტომაც მათი გაჩუმება-განეიტრალება (მატყუარების, ანუ ძალაუფლების მქონეთა მხრიდან) სწორედ ამ სისუსტეებიდან გამომდინარე ხორციელდება ყველასთვის ნაცნობი მეთოდებით: დაბრკოლებების შექმნით (დახშობა გამომცემლობა-ტრიბუნა-ეკრანისა), შანტაჟით და ფიზიკური ანგარიშსწორებით (მუქარა, ციხე, საიქიო) და ყველაზე ეფექტურით – ჯიბე-კუჭების დაცლით ან პირიქით, ამოვსებით.

**ოქროს ძალა ცნობილია, მაგრამ სამსახურიდან დათხოვნა და ულუკმაპუროდ ადამიანის დატოვება არანაკლებ** (თუ მეტად არა!) **ეფექტურია, ვიდრე ჯიბე-კუჭების გავსება; თან დამშევა ბევრად ადვილი განსახორციელებელია, ვიდრე დაპურება.** ამიტომ პირველ მეთოდს მასებისთვის იყენებენ, ხოლო მეორეს — ბევრად მცირე ნაწილისთვის, მათთვის, ვისაც ზეგავლენა აქვს ამ დამშეულ ხალხზე — კულტურა-ხელოვნება-მეცნიერების წამყვანი მუშაკებისთვის. **გაჭირვებულ ფენასთან ერთად სწორედ განათლებული და საპატივცემულო ხალხის მოქრთამვის შესაძლებლობამ შვა ცნობილი გამოთქმა იმის თაობაზე, რომ „ყველაფრის ყიდვა შეიძლება"!** მართალია, შედარებით პატიოსანმა ხალხმა ამას დაუპირისპირა: **„ყველაფერი არ იყიდება",** მაგრამ ადამიანის ბუნების კარგად მცოდნეებმა მას უტყუარი არგუმენტი შეაგებეს: **„რისი ყიდვაც ფულით არ ხერხდება, იმის ყიდვა დიიიიდი(!) ფულით შეიძლება"!** ასე იყო ყველა დროში და ყველა ხალხში, და ასე იქნება მომავალშიც (მაგალითების მოყვანა, ვფიქრობ, ზედმეტია).

მაგრამ არ არსებობს არაფერი გამონაკლისის გარეშე, და როგორ გინდა, ყველა მოქრთამო ან დააშინო, პირი ამოუკერო, სიმართლე არ ათქმევინო, ხომ დარჩება ყოველთვის ისეთი ხალხიც, რომელსაც ვერაფერს მოუხერხებ და ისინი თავიანთ სათქმელს მაინც იტყვიან?! უდავოდ! ამ შემთხვევაში იყენებენ ამ ადამიანების ნათქვამ-დაწერილის სრული იგნორირების ან გაქილიკების მეთოდს. მაგრამ ამ მეთოდმა, მიუხედავად მისი დიდი ეფექტურობისა, შეიძლება, ყოველთვის არ გამოიღოს სასურველი შედეგი. ამიტომაც, **ყოველგვარი შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად და სიმართლესთან ბრძოლის გასაიოლებლად, ანუ ტყუილების უკვდავსაყოფად, იმათ, ვისაც ეს ხელეწიფება, ზემოჩამოთვლილ მეთოდებს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაუმატეს საკანონმდებლო მეთოდებიც — სპეცკანონები, რომლებითაც განსაზღვრულ თემებზე** (და პიროვნებებზეც!) **საჯაროდ პირის გაღება, თუნდაც დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, დიდ ჯარიმას და მრავალწლიან სასჯელს ითვალისწინებს.** რაც უნდა გასაკვირი იყოს, **ასეთი კანონები მიიღეს ყველაზე დემოკრატიულად ცნობილ კონტინენტზე — ევროპაში, იმ „უბრალო" მიზეზის გამო, რომ სწორედ აქ არის განათლებული და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანების სიჭარბე და, მაშასადამე, საშიშროებაც სიმართლის გამჟღავნებისა!** თითო-ოროლა, ძირითადად, ინტერნეტით გაპარულ სიმართლეს კი, ▶

**მაშასადამე, მოტყუება შესაძლებელია მხოლოდ დროის გარკვეული მონაკვეთის მანძილზე. მაგრამ როგორია ეს მანძილი, რით იზომება იგი – თვეებით, წლებით თუ საუკუნეებით?**

## Google-ის ტელეფონები აგვისტოში გამოჩნდება

**ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი ჭორი გავრცელდა Google-ის ახალი მობილური ტელეფონის შესახებ, რომლის შემუშავებასაც კომპანია ბოლო თვეების განმავლობაში ახორციელებდა.** გავრცელებული ინფორმაციით, ტელეფონის სახელწოდება **ნექსუს ერთია** (Nexus One), იგი არ გაიყიდება მობილური ოპერატორების ქსელთან მიბმული და იქნება განბლოკილი ვერსიები (Unlocked). ტელეფონის როგორც აპარატურული, ისე პროგრამული ნაწილის ავტორი თავად Google არის.

## YouTube-დან ბრეივიკის სიტყვის ამოღებას მოითხოვენ

**ანდრეს ბრეივიკის მიერ მოკლული ახალგაზრდების ოჯახის წევრებმა სასამართლოს მიმართეს მოთხოვნით, რომ YouTube-ს საიტიდან ამოღებული იქნას ბრეივიკის მიერ სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვა. ინტერნეტ საიტზე 77 ადამიანის მკვლელის საბოლოო სიტყვის ჩანაწერი გერმანელმა მომხმარებელმა დადო.** ჩანაწერი მას ნორვეგიის მემარჯვენე პროგრესული პარტიის ყოფილმა წევრმა გადასცა. ამ პარტიაში ადრე თავად ბრეივიკიც იყო გაწევრიანებული. ანდრეს ბრეივიკმა სასამართლოზე განაცხადა, რომ ტერაქტები საკუთარი ეთნიკური ჯგუფის დასაცავად მოაწყო და სურდა, ნორვეგია მულტიკულტურისა და მუსლიმთა ინტერვენციისგან დაეცვა. ბრეივიკის სასამართლო დასრულდა. მას 21-წლიანი პატიმრობა ან ფსიქიატრიულ კლინიკაში უვადო იძულებითი მკურნალობა ემუქრება.

**ყველა უნდა იყოს საკუთარი ერის ადვოკატი, დამცველი და არა პროკურორი. არავის(!), მიუხედავად ასაკისა და თანამდებობისა, არ აქვს უფლება, ლანძღოს ხალხი და ყველა უბედურება, რაც ჩვენს თავს ტრიალებდა და ტრიალებს, ერის უტვინობით თუ მოგონილი უარყოფითი თვისებებით ახსნას. ეს დიდი მკრეხელობაა და უდიდესი ცოდვა.**

# ფოსტა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ სამწუხაროდ, ვერ მოჰყავს გაზაფხული, იგი უბრალოდ ინთქმება სიცრუის მორევში.

2. ახლა, განვიხილოთ მეორე, ასევე ფართოდ გავრცელებული გამოთქმა: **„ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომლის ღირსიც არის“. ვითომ ასეა მართლა?!**

შინაარსობრივად აბსოლუტურად არასწორი და არაფრით გამყარებული ეს, ერთი შეხედვით, უტყუარი გამოთქმა იმავე საჭეთმპყრობელების და მათი მაამებლების წყალობით შემორჩა ისტორიას. ამ გამოთქმით, ანუ **ხალხზე გადაბრალებით ხდება უზურპატორების სათავეში ყოფნის გამართლება**, თითქოსდა, მათი მოსვლა-არმოსვლა ხელისუფლებაში ხალხის ნება-სურვილით წყდებოდეს. გამოთქმის აბსურდულობის დამადასტურებელი მაგალითები უამრავია ყველა ხალხის ისტორიაში, მაგრამ მთელ მსოფლიოს რომ არ მოვედოთ, ჩვენთვის კარგად ნაცნობი საბჭოთა კავშირის მაგალითზე ვიკითხოთ: **თუ ხალხზე, მის ღირსებაზეა დამოკიდებული სასურველი ხელისუფალის შერჩევა, როგორ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკის ხალხებმა, ყველამ ერთდროულად, „დაიმსახურეს“ ბოლშევიკური რეჟიმი? დავიჯეროთ, ყველა ამის ღირსი იყო? და 70 წლის შემდეგ უცებ ყველა ერმა ერთდროულად დაიბრუნა დაკარგული ღირსება და გადააგდო კომუნისტები?! ან დიდი გერმანელი ერი 12 წელი ფაშისტურ მთავრობას იმსახურებდა და მერე შეიცვალა, როგორც ერი?! ერები ასე ადვილად, 12 და 72 წელიწადში არ იცვლებიან; შედარებით ადვილად და მოკლე დროში იცვლება მხოლოდ ხელისუფლება, რომელიც თითქმის არასოდეს მოდის ხალხის ჭეშმარიტი ნება-სურვილით – ხალხს, როგორც წესი, ატყუებენ ბინძურ პოლიტიკაში ჭიპმოჭრილი დიდოსტატი გაიძვერები.** გულუბრყვილო ხალხის ტვინის ყოველდღიური გამორეცხვით და სხვა უზნეო ქმედებებით მოგვასვამენ კისერზე თავიანთ შექმნილ-დაფინანსებულ ორგანიზაციებში („თავისუფლების ინსტიტუტის“ მსგავსში) გამოზრდილ მანქურთებს და მერე მამა აბრამის ბატკნებივით უდანაშაულოების პოზასაც დაიჭერენ: ჩვენ არაფერ შუაში ვართ, ვინც თქვენ აირჩიეთ, ანუ რისი ღირსნიც(!) ხართ, ის ხელისუფლება მიიღეთ, მის პოლიტიკაში თუ რამ არ მოგწონთ, თქვენ თავს დააბრალეთო. **აბა, იმას ვინ გვეტყვის „დემოკრატიული არჩევნებისა და გამჭვირვალობის“ სახელით ცნობილი სპექტაკლები ჩვენი დადგმულიაო.**

მიუხედავად ისტორიულად მრავალჯერ დადასტურებული ფაქტისა, საზოგადოების განვითარებაში პიროვნების განმსაზღვრელი როლისა, დაწყებული 2009 წლის ზაფხულიდან (როცა, ფაქტობრივად, ჩაკვდა საპროტესტო მოძრაობა და ლიდერებმაც, პრაქტიკულად, დაკარგეს ხალხის ნდობა) ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოსვლამდე (2011 წლის ოქტომბრამდე), ზოგიერთი თვითკრიტიკის მოყვარულისგან, უფრო სწორად, ყველაფრის ხალხზე გადამბრალებლებისგან ხშირად გვესმოდა (და დღესაც გვესმის, შიგადაშიგ): **რაც გვჭირს, ჩვენი ბრალია, რომ ამერიკამ ან რუსეთმა კი არ დაგვისვა (თუ დაგვასვა!) ეს ხელისუფლება, არამედ ჩვენ, ხალხმა, ავირჩიეთ ისინი, ვინც ავირჩიეთო**. ის, რომ ჩვენ ავირჩიეთ 2004 (და არა 2008!) წლის არჩევნებში, აბსოლუტური სიმართლეა, მაგრამ აღარ ხდება იმის გაშიფვრა, თუ **როგორ მოხდა, რომ თითქმის ყველანი, უდიდესი უმრავლესობა, განბილებულნი, მოტყუებულნი დავრჩით ამ „ნარჩევი“ და დასავლეთში განათლებამიღებული ხალხის მიერ.** მოტყუებულებში ხომ ძალიან ბევრი განათლებული ადამიანიც შედიოდა და მათაც ვერ გათვალეს ის მოსალოდნელი საფრთხეები, რომელთა წინაშეც სულ მალე აღმოვჩნდით. რატომ ვერ ჩავწვდით (ჩემი ჩათვლით) იმ საკენკის მაცდურობას, ასე ლამაზად შეფუთული რომ შემოგვთავაზეს? მაინტერესებს, **რაშია აქ ხალხის — მშრომელი კაცის, გლეხის ბრალი, როცა ყოვლისმცოდნეობაზე პრეტენზიის მქონე პოლიტიკოსებიც ვერ მიხვდნენ დასავლეთის** (ზოგ „მიხვედრილს“ რომ ჰკითხო, ჩრდილოეთის) **მზაკვრულ ჩანაფიქრს ან მიხვდნენ და მაინც ხმა არ ამოიღეს რაღაც მიზეზით** (ერთ-ორ გონებაგახსნილ და პატიოსან კაცზე არ ვლაპარაკობ).

და კიდევ ერთი: მოტყუებიდან ერთი, ორი თუ ოთხი წლის შემდეგ ისევ დიდი უმრავლესობა ხომ მივხვდით, რომ გაგვაცურეს, მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ ჩვენი შეცდომის გამოსწორება ვერც არჩევნებით და ვერც მასობრივი, სახალხო პროტესტებით. სად არის აქ ხალხის დანაშაული?! ხალხის ბრალეულობის მაძებრები საკუთარ თავს ისე, ყასიდად თუ მიათვლიან ამ „დამნაშავე“ ხალხის კატეგორიას, თორემ, როცა ისინი ყველაფრის მიზეზად ქართველი ხალხის საზარმაცეს, ამბიციურობას, შავი სამუშაოს უკადრისობას ასახელებენ, ცხადია, საკუთარ თავს ამ კატეგორიაში ერთი წუთითაც არ მოიაზრებენ.




**ქართველი ხალხისთვის სიზარმაცისა და შავი სამუშაოსთვის თავის არიდების დაბრალება ხალხის შეურაცხყოფასთან ერთად მტკნარი სიცრუეა.** ჯერ კიდევ როდის, განაცხადა კომუნისტობის დროს, სიხარულით ილებდნენ რუსეთში ქართველ მშენებელთა რაზმებს, იცოდნენ რა, რომ ისინი ლამის 24-საათიან რეჟიმში იმუშავებდნენ, არყის სმას არ გადაჰყვებოდნენ და აღებულ ხელფასს თვეობით მომლოდინე, მიტოვებულ ოჯახებს ჩაუტანდნენ. დავიჯერო, ამ დამბრალებლებს ან თავად არ უნახავთ, ან მშობლებისგან მაინც არ სმენიათ, თუ როგორ მუშაობდა ქართველი გლეხი ოროყიანი თოხით ყანაში უთენია ან მთვარის შუქზე? იქნებ „ცხვირაწეულ“ ინტელიგენციას გულისხმობენ ისინი? ამ თვითკრიტიკის (თუ თვითგვემის) **მოყვარულებმა არ იციან, რომ უცხოეთში გადახვეწილი მილიონიანი** (თუ ორ-მილიონიანი!) **კონტიგენტიდან ნახევარზე მეტი უმაღლესი განათლებითაა და თითქმის არც ერთ მათგანს თეთრ ხელთათმანებში არ დაუწყია არსად შრომა, და რომ მათი აბსოლუტური უმრავლესობა** (ექიმები, მასწავლებლები, ინჟინრები და სხვები) **უცხოეთში ყოფნის პირველ წლებში** (და ბევრნი შემდეგაც) **სწორედ შავ სამუშაოს ასრულებდა მშენებლობაზე, მანქანისა და ჭურჭლის სამრეცხაოებში, მუშაობდა მტვირთავად, მძღოლად, დამლაგებლად, ბავშვებისა და ლოგინად ჩავარდნილი მოხუცების მომვლელად?!** არ იციან, რომ **მათი, დიდწილად შავი შრომით ნაშოვნი ფულიდან დაახლოებით ორი მილიარდი დოლარი საქართველოში იგზავნება (გადმოირიცხება, ჩამოიტანება) და ორ მილიონ გაჭირვებულ ადამიანს ფიზიკურ არსებობაში ეხმარება?! ეს ხალხი გაურბის შავ სამუშაოს?!** ესენი ან საქართველოში დარჩენილი მათი ძმები, მშობლები და სანათესავო არიან ზარმაცნი?! „შვილივით ნაზარდ“ ვაზის მომვლელ და ოჯახზე გადაყოლილ მშობელ ხალხს ზარმაცი როგორ უნდა აკადრო კაცმა, ენა როგორ უნდა მოგიბრუნდეს!

ვინც ერზე კრიტიკულად ლაპარაკობს, მას ძალზე დიდი სიფრთხილე მართებს, რომ რაიმე სისულელე არ წამოროშოს. შეიძლება შენი ერის ზოგიერთი ტრადიცია ან ზნე-ჩვეულება არ მოგწონდეს, მაგრამ ყოველთვის უნდა ეცადო, მას შესაბამისი ახსნა-განმარტება მოუძებნო, რამეთუ ყველაფერს, ყველა ტრადიციას თავისი წინაპირობა გააჩნია, და თუ ეს წინაპირობა უცნობია ან გაუგებარი ვინმესთვის (რაც ბევრს არაფერს ნიშნავს), მაინც **არ აქვს არავის საკუთარი ხალხის დამცირების უფლება და მითუფრო არ შეიძლება მას გადავაბრალოთ ყველაფერი, რაც ჩვენ გვჭირს — ეს აფხაზეთის დაკარგვა იქნება, არჩევნების გაყალბება თუ „ჩვენი ღირსი“ ხელისუფლების ყოლა.**

**ყველა უნდა იყოს საკუთარი ერის ადვოკატი, დამცველი და არა პროკურორი. არავის(!), მიუხედავად ასაკისა და თანამდებობისა, არ აქვს უფლება, ლანძღოს ხალხი და ყველა უბედურება, რაც ჩვენს თავს ტრიალებდა და ტრიალებს, ერის უტვინობით თუ მოგონილი უარყოფითი თვისებებით ახსნას. ეს დიდი მკრეხელობაა და უდიდესი ცოდვა.**

რა გასაკვირვია, რომ ბიძინა ივანიშვილის გამოჩენამდე ამ ადამიანებმა თავიანთი უსუსურობის დასაფარავად ლამის ერთხმად აიტაცეს (საკუთარი უცოდინარობით თუ სხვათა შთაგონებით!) აბსურდული, 100%-ით წამგებიანი იდეა ულიდერო ხალხის ყოვლისშემძლეობაზე. ოპოზიციური ლიდერების უნიათობით გაბეზრებული ზოგი პატიოსანი ადამიანიც დაუფიქრებლად აჰყვა ამ მოწოდებას — თითქოს წარმატების მოსაპოვებლად ლიდერი არ იყოს აუცილებელი, თითქოს შესაძლებელია გამოკვეთილი წინამძღოლის ფუნქციისა და პასუხისმგებლობის ხალხზე გადანაწილება, კოლექტიური პასუხისმგებლობით ჩანაცვლება. **არსებული ხელისუფლების შენარჩუნების მსურველთ თუ უცოდინარ ოპოზიციონერებს, გულუბრყვილო ხალხისთვის** (არადა, საერთო ჯამში, ყველა ხალხი გულუბრყვილოა!) **ადვილად დასაჯერებელი ამ იდეით სურთ, ხალხს ყალბი ილუზია შეუქმნან იმისა, რომ ისინი მარტონიც** (უთავოდ, ანუ ულიდეროდ!) **მხოლოდ ერთად დგომით გაართმევენ ყველაფერს თავს. სამწუხაროდ, ბევრი ვერ ხვდება, რომ ესეც გარედან შემოგდებული იდეაა, ხოლო კიდევ უფრო ბევრი ვერ ხვდება იმას, რომ ეს დამარცხებისთვის განწირული იდეაა, რომ ულიდეროდ მთელი ხალხის ერთად დგომა არ ხერხდება, რომ მისი ძალა იქსაქსება და, პრაქტიკულად, ნულის ტოლი ხდება!**

ეს იმდენად ნათელია (და მთელი მსოფლიოს ისტორია ამის დასტურია), რომ წინამძღოლის მნიშვნელობაზე ლაპარაკი აბსოლუტურად ზედმეტიც უნდა იყოს, მაგრამ ისე ხშირად გვესმის (ყოველ შემთხვევაში, გვესმოდა) ანალოგიური აზრები ხალხის ძალასა და ლიდერების ზედმეტობაზე ე. წ. ცნობადი სახეების გამოსვლებში, რომ არ შეიძლება ეჭვი არ შევიტანოთ ამ ხალხის კომპეტენტურობაში. **წარმატების საწინდარი ყოველთვის იყო ლიდერი და სწორედ ამიტომაც ყველა დროში და ყველა სახელმწიფოში, პირველ რიგში, მათ უსწორდებოდა ხელისუფლება** — ახდენდა მათ დისკრედიტაციას ათასნაირი ცილისწამებით ან სულაც — იზოლაციას, დროებით (დატუსაღებით) ან სამუდამოდ (ლიკვიდაციით). **ჭეშმარიტი ლიდერი ყველა შესაძლო საფრთხისთვის უნდა იყოს მზად და მხოლოდ მაშინ, ასეთი ლიდერის არსებობის პირობებში, ვლინდება ხალხის ძალა, თორემ ცხვრების ფარას თუ არავინ ან ისევ ცხვარი ჩაუდგა სათავეში, მიზანი ყოველთვის მიუღწეველი დარჩება.** ნურავის ეწყინება, დიახ, ცხვრების ფარა ვართ მანამდე, სანამ ჩვენი წიაღიდან ლომი არ იშვება და არ წაგვიძღვება; აი, ამის მერე ვხდებით ჩვენც ლომები, მერე ჩნდება ის დიდი ძალა, რასაც ხალხის ძალა ჰქვია. **კოლექტივით ლიდერის ჩანაცვლების იდეა კი დამღუპველია ნებისმიერი მოძრაობისთვის, მით უფრო ისეთისთვის, რომელსაც ხელისუფლების ცვლა (ან გადაგდება) აქვს უპირველეს მიზნად დასახული.**

გამოთქმა **„ხალხი იმსახურებს იმ ხელისუფლებას, რომლის ღირსიც არის“**, პირდაპირ მისწრებაა ამგვარად მოაზროვნე ადამიანებისთვის და ისინიც ხშირად გაიმეორებენ მას, აბა, რას იზამენ! ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მათ არ ესმით უბრალო რამ — ამით ისინი ხალხზე შემომჯდარ რეჟიმებს ეხმარებიან სიცოცხლის გახანგრძლივებაში!

**იაკობ ლეჟავა,**

**დასასრული შემდეგ ნომერში**

**თუ ხალხზე, მის ღირსებაზეა დამოკიდებული სასურველი ხელისუფალის შერჩევა, როგორ მოხდა, რომ საბჭოთა კავშირში შემავალი 15 რესპუბლიკის ხალხებმა, ყველამ ერთდროულად, «დაიმსახურეს» ბოლშევიკური რეჟიმი? დავიჯეროთ, ყველა ამის ღირსი იყო? და 70 წლის შემდეგ უცებ ყველა ერმა ერთდროულად დაიბრუნა დაკარგული ღირსება და გადააგდო კომუნისტები?!**

## «ვიკილიქსის» დამფუძნებელს ცნობილი იურისტი დაიცავს

**ცნობილი ესპანელი იურისტი ბალთაზარ გარსონი დაიცავს „ვიკილიქსის“ დამფუძნებელ ჯულიან ასანჟს, რომელიც, უკვე თვეზე მეტია, დიდ ბრიტანეთში ეკვადორის საელჩოში იმალება.** „ვიკილიქსის“ ინფორმაციით, გარსონი უკვე შეხვდა თავის დაცვის ქვეშ მყოფს ეკვადორის საელჩოში, ლონდონში. მათ უკვე განიხილეს ასანჟისა და „ვიკილიქსის“ დაცვის დეტალები. შეგახსენებთ, რომ ასანჟი ეჭვმიტანილია 2010 წელს მომხდარ გაუპატიურებასა და სექსუალურ ძალადობაში. შვედეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა იმავე წლის ნოემბერში მასზე საერთაშორისო ძებნა გამოაცხადეს. ივნისში ასანჟმა ეკვადორის საელჩოს პოლიტიკური თავშესაფრის თხოვნით მიმართა. გასულ კვირას ეკვადორის პრეზიდენტმა რაფაელ კორეამ განაცხადა, რომ ძალიან სერიოზულად სწავლობს ამ საკითხს და ეკვადორი მიიღებს „სუვერენულ“ გადაწყვეტილებას.



დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიახ, სააკაშვილი გარეთ გადის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის აპირებს მისთვის უსიამოვნო აზრების მოსმენას; დიახ, ოპოზიციას შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბევრი ადამიანი შეძლებს მის მოსმენას. სააკაშვილი შეძლებდა ამის გამოსწორებას, სურვილი რომ ჰქონოდა.**

# აქამდე მივიდა საქმე საქართველოში?

**მათთვის, ვინც (ჩემსავით) ქართული არ იცის, აქ არის ის, რაც მოხდა: ასაკოვანი ქალბატონი როზა წყაბელია პრეზიდენტ სააკაშვილთან მისი შვილების ჯანდაცვასთან დაკავშირებულ პრობლემებზე გასაუბრებას შეეცადა მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი მის სოფელს (დასავლეთ საქართველოში) სტუმრობდა, იუწყება ვებგვერდი Democracy and Freedom Watch.**

თავდაპირველად, პოლიციის ოფიცერმა, რომელიც სამოქალაქო ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, ძალით გაიყვანა ის ტერიტორიიდან, სადაც სააკაშვილი ლაპარაკობდა. შემდეგ, როდესაც წყაბელიამ საკუთარ პრობლემებზე საუბარი რეპორტიორებთან დაიწყო, ისევ სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილმა რამდენიმე ხულიგანმა მას ინტერვიუ შეაწყვეტინა და ტერიტორიიდან გაათრია. არსებული ინფორმაციით, სააკაშვილის სტუმრობის პერიოდში მათ ქალბატონი სარდაფში გამოამწყვდიეს.

თავზარდამცემი ამბავია, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მხოლოდ დასაწყისია. გასულ კვირაში **Amnesty International-მა გამოაქვეყნა ანგარიში ოპოზიციური აქტივისტებისა და ჟურნალისტებისთვის არსებულ სულ უფრო მზარდ რეპრესიულ ატმოსფეროზე.** ანგარიში სხვა წყაროებთან ერთად ეყრდნობა ქვეყნის ომბუდსმენის მტკიცებულებებს იმის თაობაზე, რომ **ოპოზიციონერი პოლიტიკოსებისა და ამომრჩევლების შეხვედრების ძალადობრივ ჩაშლაში საჯარო მოხელეები მონაწილეობენ.**

გარდა ამისა, **პროოპოზიციური ჟურნალისტები იქცნენ სამიზნედ ხულიგნებისა, რომლებიც, როგორც ჩანს, ხელშეუხებელნი არიან.** Amnesty-ს ანგარიშში ნათქვამია:

**„ეკატერინე დუგლაძემ, ჟურნალისტმა პროოპოზიციური სააგანეტო INFO 9-დან ზესტაფონში (დასავლეთ საქართველო), Amnesty International-ს უთხრა, რომ ბოლო სამი კვირის განმავლობაში მას მუდმივად დაჰყვებოდა და დევნიდა შვიდი ახალგაზრდა მამაკაცისგან შემდგარი ჯგუფი: „ისინი ყველგან დამყვებოდნენ ან მანქანით ან ფეხით, ხელს მიშლიდნენ თავისუფლად გადაადგილებაში, ერეოდნენ გადაღებებში, ფიზიკურად ძალიან მიახლოვდებოდნენ, მიკეთებდნენ უადგილო შენიშვნებს ჩემს მუშაობასთან და პირად ცხოვრებასთან დაკავშირებით და მისვამდნენ შეკითხვებს უწყვეტ რეჟიმში“.**

დუგლაძემ Amnesty International-ს უთხრა, რომ, მიუხედავად იმისა, რომ მან მიმართა ადგილობრივ პროკურატურას და პოლიციას, ბანდა განაგრძობს მის დევნას, ისევე, როგორც ეს მოხდა ვასილ დაბრუნდაშვილის შემთხვევაში. დაბრუნდაშვილმა დუგლაძეს ინტერვიუს ჩასაწერად მიაკითხა, რადგან რეპორტაჟს ამზადებდა ოპოზიციური ჟურნალისტების დევნის თაობაზე.

მას შემდეგ, რაც ამ ახალგაზრდა მამაკაცებმა დაბრუნდაშვილს ინტერვიუ ჩაუშალეს, ისინი აედევნენ და კიცხავდნენ მას. და აი, აქ არის პარადოქსი:

**„ეს ყველაფერი ხდებოდა ზესტაფონის პოლიციის შენობის წინ. მე შევედი პოლიციის შენობაში და პოლიციის ოფიცერს ვთხოვე, გაეჩერებინა ისინი, რათა შეეწყვიტათ დევნა და მოეცათ ჟურნალისტური საქმიანობის შესაძლებლობა, მაგრამ მათ უარი მითხრეს“,** — უთხრა მან Amnesty International-ს. ვასილ დაბრუნდაშვილმა დახმარებისთვის საპატრულო პოლიციასაც გამოუძახა, მაგრამ ორმა პოლიციელმა, რომელიც გამოცხადდა ჩვენების ჩასაწერად, მაშინვე დატოვა ტერიტორია ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე. ვასილ დაბრუნდაშვილის თქმით, დღემდე არანაირი ოფიციალური გამოძიება არ დაწყებულა და ინცინდენტზე დღემდე არავის უგია პასუხი.

ასევე ცნობილია ათასობით სატელიტური თეფშის კონფისკაციის შესახებ. თანამგზავრული თეფშების გავრცელებას, მაუწყებლობის გაფართოების მიზნით, ოპოზიციური მედია ცდილობდა.







## ანუ რა ხდება საქართველოში?

**მე ვიცი, ეს რას ჰგავს და რისი სუნი ასდის — ავტორიტარიზმის. სააკაშვილმა დაგმო წყაბელიასადმი მოპყრობა, რასაც ნებისმიერი ჭკუათმყოფელი პოლიტიკოსი გააკეთებდა. მაგრამ სად არის წუხილი, რომელიც უსაფრთხოების აგენტებს დააფიქრებს, რომ მოხუც ქალბატონზე ძალადობა და მისი სარდაფში გამოკეტვა სწორი საქციელია? ან პოლიციას აიძულებს, იგნორირება გაუკეთოს დევნასთან დაკავშირებულ საქმეს, რომელიც მის კართან ხდება?**

მე სააკაშვილს ყოველთვის ერთგვარ მიკრომენეჯერად აღვიქვამდი, რაც გასაგები იყო, იქიდან გამომდინარე, თუ რა ამოცანებს იღებდა ის საკუთარ თავზე. მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ მას არ შეუძლია მსგავს ინციდენტებზე ვინმესთვის პასუხისმგებლობის გადაბარება. **იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამ ბანდიტების მიხედვა ადგილობრივი ჩინოვნიკების ვალია, მან აუცილებლად მკაფიო სიგნალი უნდა გაუგზავნოს მათ, რომ ასეთი ძალადობა დაუშვებელია.**

ამის ნაცვლად მას დღეს, როგორც ჩანს, ის უფრო აწუხებს, რასაც თავად ოქტომბრის საპარალამენტო არჩევნებში გამარჯვებისთვის მოქრთამვისა და გაყალბების საფრთხეს უწოდებს. ასე ფუთავს თბილისი სატელიტური თეფშების საკითხსაც. **მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა მიიღო კანონი, რომელიც საკაბელო ოპერატორებს ყველა ტელევიზიის მაუწყებლობის საინფორმაციო პროგრამების გავრცელებას ავალდებულებს** (იმის უზრუნველსაყოფად, რომ ოპოზიციური მედია იარსებებს), **ბევრ ადამიანს ეს სატელიტური თეფში არ აქვს.**

**პროკურორები ოპოზიციურ მედიას მილიარდერ ბიძინა ივანიშვილის მოძრაობა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ამომრჩევლების მოსყიდვის მცდელობაში ადანაშაულებენ.** ამომრჩევლებისთვის საჩუქრების გადაცემა არჩევნების წინ საყოველთაო ფანდია — ეუთომ სომხური პარტია გააკრიტიკა ტრაქტორების დარიგებისთვის წლევანდელი არჩევნების წინ ამ ქვეყანაში. მაგრამ **TRANSPARENCY INTERNATIONAL-ის გამოძიება გვაფიქრებინებს, რომ ამ შეზღუდვების უკან უფრო მეტი რამაა, ვიდრე მხოლოდ საარჩევნო კამპანიის ჩატარების სურვილი.** დიდად არც მათ უმართლებთ, ვისაც 10 ან 20 თეფშის ყიდვა უნდათ. თბილისის შემოგარენში არსებული დიდი სავაჭრო ცენტრის გამყიდველებიც არ ყიდიან კლიენტზე ერთ ან ორ თეფშზე მეტს. ამას TI-ის წარმომადგენელი არკვევდა:

კითხვას, **თუ რატომ აქვთ მათ დაწესებული ასეთი დაბალი ლიმიტი,** გამყიდვლების უმრავლესობა არ პასუხობს.

**„ანტენების ბაზარი ამ მომენტისთვის აღარ არსებობს“,** — ამბობს ერთ-ერთი გამყიდველი და ამის მიზეზად პოლიტიკას ასახელებს.

ერთ-ერთ ბოლო გამოსვლაში სააკაშვილმა ასეთი განცხადება გააკეთა:

**„ზოგიერთი ცდილობს, საქართველო წარმოადგინოს ისე, თითქოს ამ შენობაში ავტოკრატები სხედან და ადამიანებს აჩუმებენ. საქართველოში არანაირი შეზღუდვა არ არსებობს. რა, არ გავდივართ გარეთ? ყველას შეუძლია საკუთარი აზრის გამოხატვა და ჩვენ ყველანი ამას ვნახავთ. პირადად მე ყოველთვის გავიზიარებ თქვენს მოსაზრებას – სწორედ ეს არის თავისუფალი დებატების რეჟიმი“.**

ბოლო კვირების მოვლენებით თუ ვიმსჯელებთ, ჩემი აზრით, დიახ, სააკაშვილი გარეთ გადის, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ის აპირებს მისთვის უსიამოვნო აზრების მოსმენას; დიახ, ოპოზიციას შეუძლია გამოხატოს საკუთარი აზრი, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბევრი ადამიანი შეძლებს მის მოსმენას. სააკაშვილი შეძლებდა ამის გამოსწორებას, სურვილი რომ ჰქონოდა.

**ბარბარა ფრაი**
www.eastofcenter.tol.org

## მსოფლიოში ორ თვეში 10 მილიონზე მეტი Galaxy S III გაიყიდა

**Samsung-მა 10 მილიონზე მეტი სმარტფონი Galaxy S III გაყიდა. 10-მილიონიანი ნიშნული Galaxy S III-მა აპარატის გაყიდვების დაწყებიდან ორ თვეზე ნაკლებ დროში გადალახა.** სმარტფონი ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების მაღაზიებში 29 მაისიდან იყიდება. Samsung-ის წინა ფლაგმანს, Galaxy S II-ს 10 მილიონიანი ტირაჟით გაყიდვისთვის 5 თვე დასჭირდა. 2012 წლის პირველი ივნისის მონაცემებით, მსოფლიოში სულ 50 მილიონი სმარტფონი Galaxy S და Galaxy S II-ია გაყიდული. Galaxy S III, რომელიც 2013 წლის 3 მაისს იქნა დაანონსებული, iPhone-ის ერთ-ერთ მთავარ კონკურენტად მიიჩნევა. შედარებისთვის: გაყიდვების პირველი სამი დღის განმავლობაში Apple-მა 4 მილიონი iPhone 4S-ის რეალიზაცია მოახერხა. 2012 წლის პირველ კვარტალში Samsung-ი მსოფლიოში სმარტფონებისა და მობილური ტელეფონების უმსხვილესი რეალიზატორი გახდა და ამ სეგმენტში Apple-სა და Nokia-ს გაუსწრო.



**კატასტროფების ეპიდემიოლოგიის კვლევის ცენტრის მიხედვით, გვალვების, მიწისძვრების, თავსხმა წვიმებისა და დატბორვების შემთხვევები გასულ დეკადაში სამჯერ მეტი იყო, ვიდრე 1980-იანებში და 54-ჯერ მეტი, ვიდრე 1900-იანებში, როცა მსგავსი აღრიცხვები დაიწყეს. ზოგიერთი სცენარის მიხედვით, კლიმატის ცვლილება გამოიწვევს წყლის ნაკლებობას, სანაპირო ზოლების შემცირებასა და მასიურ შიმშილობას. საბოლოოდ კი, მსოფლიოს ბოლოს მოუღებს სასიკვდილო ვირუსი, ბირთვული ომი ან, როგორც „LIFEBOAT FOUNDATION“-ი გვაფრთხილებს, მუდმივად განვითარებადი მძლავრი ტექნოლოგიის დაუდევარი გამოყენება.**

დაიჯესტი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# გაქცევა დედამიწიდან

**დედამიწა ჩვენი სამუდამო თავშესაფარი ვერ იქნება. დაახლოებით 2 მილიარდ წელიწადში გაფართოებადი მზე ამოაშრობს ოკეანეებს და ეს ლურჯი პლანეტა სამყაროში არსებული სიცოცხლისთვის უვარგის მრავალ პლანეტათა რიცხვს შეუერთდება, თუმცა მანამდე შეიძლება ანდრომედას გალაქტიკასთან შეჯახებამ მოუღოს ბოლო აქაურობას. უფრო მეტიც, დედამიწას ელის მისი ორბიტული გზის სიახლოვეს მქროლავი 1000 კმ სიგანის ასტეროიდების მესამედის ჩამოცვენა — ეს მოვლენა ყოველ 300 000 წელიწადში ერთხელ ხდება.**



1989 წელს გაცილებით პატარა ასტეროიდმა, რომლის ჩამოვარდნაც 1000 ატომური ბომბის აფეთქების ექვივალენტი იქნებოდა, დედამიწის ორბიტა გადაკვეთა იმ წერტილში, სადაც ჩვენი პლანეტა 6 საათით ადრე იმყოფებოდა. „Lifeboat Foundation“-ის ასობით მკვლევარი იძიებს კაცობრიობის არსებობასთან დაკავშირებულ რისკებს და, მათი დაანგარიშებით, კატასტროფული მოვლენის მოხდენის ალბათობა 300 000-დან ერთია. **„თუკი ჩახმახის წვალებას დიდხანს გავაგრძელებთ, საბოლოოდ ამას ჩვენი განადგურება მოჰყვება და არც იმის ალბათობა არსებობს, რომ მეორე შანსი მოგვეცემა“,** — ამბობენ ისინი.

იმ ხიფათების უმეტესობა, რომლებიც პლანეტის დატოვებას გვაფიქრებინებს, რეალურად ადამიანის ხელითაა გამოწვეული და, შესაძლოა, სულაც არ იყოს შორეული მომავლის საქმე. ენერგიის რაოდენობა, რომელსაც ყოველწლიურად მოვიხმართ, იმ ზღვარზე გაცილებით მეტია, რომლის გადაჭარბებაც პლანეტას საფრთხეში აგდებს. ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის ანგარიშით, 2030 წლისთვის ჩვენ მიერ წლიურად მოხმარებული ბუნებრივი რესურსები ორი პლანეტის ექვივალენტური იქნება.

**კატასტროფების ეპიდემიოლოგიის კვლევის ცენტრის მიხედვით, გვალვების, მიწისძვრების, თავსხმა წვიმებისა და დატბორვების შემთხვევები გასულ დეკადაში სამჯერ მეტი იყო, ვიდრე 1980-იანებში და 54-ჯერ მეტი, ვიდრე 1900-იანებში, როცა მსგავსი აღრიცხვები დაიწყეს. ზოგიერთი სცენარის მიხედვით, კლიმატის ცვლილება გამოიწვევს წყლის ნაკლებობას, სანაპირო ზოლების შემცირებასა და მასიურ შიმშილობას. საბოლოოდ კი, მსოფლიოს ბოლოს მოუღებს სასიკვდილო ვირუსი, ბირთვული ომი ან, როგორც „Lifeboat Foundation“-ი გვაფრთხილებს, მუდმივად განვითარებადი მძლავრი ტექნოლოგიის დაუდევარი გამოყენება.**

გამომდინარე იმ ზიანიდან, რასაც პლანეტას ვაყენებთ, დედამიწის დატოვება შეიძლება იმიტომაც გახდეს საჭირო, რომ ის, უბრალოდ, გადარჩეს, საბოლოოდ კი ერთგვარი კურორტი გახდეს, რომელსაც ადამიანები დროგამოშვებით ეწვევიან.

ამჟამად არსებული საფრთხეების ნაწილი ცუდ შედეგს მალევე გამოიღებს. კლიმატის ცვლილება უკვე დიდ გავლენას ახდენს ადამიანთა საქმიანობაზე, ჩვენმა პლანეტამ კი ერთხელ უკვე გადაიტანა ცოცხალი ორგანიზმების მასიური გადაშენება, როცა მას უზარმაზარი ასტეროიდი დაეჯახა.

**„დინოზავრები იმიტომ გადაშენდნენ, რომ არ ჰქონდათ საკმარისი ჭკუა, შეექმნათ ადეკვატური ცივილიზაციები, რისი მეშვეობითაც კოსმოსს მიაშურებდნენ“,** — აცხადებს ტიჰამერ ტოტ-ფეჯელი, ზოგადი დინამიკის მოწინავე საინფორმაციო სისტემების კვლევის ინჟინერი. **„ასე რომ, ამ საკითხში ჩვენსა და მათ შორის სხვაობა უმნიშვნელოა“.**

ნიუ იორკის უნივერსიტეტის ქიმიკოსის — რობერტ შაპიროს თქმით, ნებისმიერი სახის კატაკლიზმური მოვლენის გარდაუვალობა იმას ნიშნავს, რომ უნდა მოვამზადოთ ჩვენი ცივილიზაციის ასლი და გავუშვათ კოსმოსში, რათა ამ გზით საფრთხეს გავარიდოთ. მსგავს რამეზე საუბრობდა 2005 წელს „ნასას“ იმჟამინდელი ხელმძღვანელი მაიკლ გრიფინი: **„თუკი გვინდა, რომ ასობით და ათასობით მილიონ წელს ვიარსებოთ, დაუყოვნებლივ უნდა შევუდგეთ სხვა პლანეტების ათვისებას. ერთ დღესაც, არ ვიცი როდის, მაგრამ ეს აუცილებლად მოხდება — დედამიწის გარეთ უფრო მეტი ადამიანი იქნება, ვიდრე თავად დედამიწაზე“.**

არჩევანი დიდია. „ნაციონალური კოსმოსური საზოგადოება“, რომლის 12 000 წევრიც კოსმოსში კოლონიზაციების შექმნის საკითხზე მუშაობს, გვთავაზობს ვარიანტს, რომ ჯერ იმ პლანეტას მივაშურებთ, რომელსაც სიცოცხლისთვის აუცილებელი პირობები ექნება. 2000 წელს 200 მილიონ დოლარიანი პროგრამის დასრულების შემდეგ „ნასამ“ განაცხადა, რომ **კოლონია შეიძლება მთვარის ზედაპირიდან რამდენიმე მეტრის სიღრმეზეც შეიქმნას** ან მოთავსდეს რომელიმე კრატერში და ზემოდან გადაიხუროს, რათა ამ გზით დაცული იყოს მაღალი სიხშირის კოსმოსური რადიაციული დაბომბვისგან, რაც ჩვენი დნმ-ის დაზიანებასა და სიმსივნეების წარმოშობას გამოიწვევს.

„ნასას“ კვლევა მოიცავს იმ იდეასაც, რომ ადამიანები ააგებენ ატომურ ელექტროსადგურს, მზის ენერგიის პანელებს და გამოიყენებენ სხვადასხვა გზებს მთვარის ზედაპირისა და სიღრმეებიდან ნახშირბადის, სილიკონის, ალუმინისა და სხვა სასარგებლო ნივთიერებების მოსაპოვებლად. „ნაციონალური კოსმოსური საზოგადოება“ 2008 წლის ანგარიშში აცხადებს, რომ **მთვარე ყველაზე ლოგიკური ვერსიაა გადასაბარგებლად, რადგან იქ არის ყინული და სიცოცხლის არსებობისთვის საჭირო პირობები,** შესაბამისად, შეგვიძლია ავაგოთ მუდმივი ბაზები, სასტუმროები და კაზინოებიც კი.

კოსმოსში დასახლების მომხრე სხვა ორგანიზაციები გვთავაზობენ, საერთოდ გამოვტოვოთ მთვარის ვერსია. მიუხედავად იმისა, რომ ის ახლოსაა და ადამიანები იქ უკვე ყოფილან, **იუპიტერის, სატურნის, ურანისა და ნეპტუნის თანამგზავრები უფრო დიდი რაოდენობით შეიცავენ წყალს, ნახშირბადს ან აზოტს. მაგრამ მზის სისტემაში დედამიწას ყველაზე მეტად მარსი ჰგავს.** „მარსის მთვარესთან შედარება იგივე ჩრდილოეთ ამერიკისა და გრენლანდიის შედარებაა“, — ამბობს რობერტ ზუბრინი — „მარსის საზოგადოების“ ხელმძღვანელი. **მთვარისგან განსხვავებით, მარსს ცოტაოდენი ატმოსფეროც აქვს, რაც კოსმოსური გამოსხივებისგან დაგვიცავს, ასევე გააჩნია დედამიწის გრავიტაციის 40%.**

2002 წელს „ნასას“ მარსის ოდისეის კოსმოსურმა ხომალდმა კონტინენტის ზომის ყინულის რეგიონები აღმოაჩინა წითელ პლანეტაზე, 2008 წელს კი რობოტმა ხომალდმა „ფენიქსმა“ ყინულის არსებობა კიდევ ერთხელ დაადასტურა. მიწაში საკმარისი ნახშირბადია იმისთვის, რომ მცენარეები აღმოცენდეს, ხოლო **დღის ტემპერატურა ზოგჯერ +21 გრადუსს აღწევს ცელსიუსით.** დროთა განმავლობაში შესაძლებელია მოხდეს პლანეტის ფორმირება — მიწისქვეშა ყინულის ან ყინულოვანი ასტეროიდის დაცემის შედეგად გაჩნდეს პატარა ოკეანე, მოგვიანებით შეიქმნას ისეთი ატმოსფერო, რომელიც სუნთქვას შესაძლებელს გახდის და კოსმოსური რადიაციისთვის უკეთესი ფარი იქნება.

ყველა ეს ვერსია შეგვიძლია მოვაქციოთ კატეგორიაში, რომელსაც აიზეკ აზიმოვი „პლანეტარულ შოვინიზმს“ უწოდებდა. მაგრამ, შესაძლოა, ჩვენ არა პლანეტაზე ან თანამგზავრზე, არამედ ღია კოსმოსში დავსახლდეთ. **ფინანსურად და შეიძლება ტექნოლოგიურადაც, შეუძლებელია დედამიწიდან იმდენი რესურსის ამოღება, რომ ამხელა სტრუქტურა შეიქმნას, თუმცა ამ მასალის მიღება შეგვიძლია დედამიწასთან ახლოს მყოფი ასტეროიდებისგან.**

1974 წელს პრინსტონის უნივერსიტეტის ფიზიკოსმა ჟერარდ ო'ნილმა წარმოადგინა მასიური ორბიტული თავშესაფრის დიზაინი, რომელიც შედგებოდა ღერძის გარშემო 1 ბრ/წთ სიჩქარით მბრუნავი უზარმაზარი ცილინდრებისგან, რაც საკმარისი იყო ხელოვნური გრავიტაციის შესაქმნელად. მიზიდულობის ძალისგან თავისუფალ კოსმოსში შესაძლებელია იმხელა სტრუქტურების შექმნა, რომ ათასობით ან მილიონობით ადამიანი დაიტიოს. ო'ნილის ვერსია 30 კმ სიგრძის ტყუპ ცილინდრებს წარმოადგენდა, თავად სტრუქტურის შიდა ზედაპირის ფართობი კი 1300 კვ. კმ იქნებოდა.

ღია კოსმოსში მყოფი სტრუქტურის უპირატესობა ისიცაა, რომ მნიშვნელობა არ ექნება, დედამიწასთან ახლოს ვიქნებით თუ ასობით წლების განმავლობაში რომელიმე სხვა პლანეტის მიმართულებით ვიფრენთ. **ნაგებობა, უბრალოდ, მოიხმარს იმ რესურსებს, რომლებსაც გზაში შემხვედრი ასტეროიდებისა და კომეტებისგან მიიღებს.**

პირველი საკითხი, უბრალოდ, დედამიწის მიზიდულობის დაძლევაა. **„თუკი ხომალდს ორბიტაზე გაიყვან, ნახევარი საქმე უკვე გაკეთებულია“,** — ამბობდა სამეცნიერო ფანტასტიკის ჟანრის მწერალი **რობერტ ჰაინლაინი.** კოსმოსური შატლის თითოეული გაშვება 450 მილიონი დოლარი ღირს, ხოლო უპილოტო ხომალდის გაშვება, რომელიც ტვირთს გადაიტანს, 1 ფუნტზე (453 გრამი) 12 000 დოლარი დაჯდება. ამ თანხის ძირითადი ნაწილი კი მოდის იმ საწვავზე, რომელიც პირველი 150 კმ-ის დასაფარადაა საჭირო.

ამ დაბრკოლების გადასალახად ინჟინრებს მრავალი ურაკეტო სისტემის მოდელი აქვთ შექმნილი. **ცივი ომის პერიოდში აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ფლოტი იკვლევდა, რამდენად შესაძლებელი იყო გიგანტური ზარბაზნის გამოყენება, რათა ტვირთი ორბიტაზე გაეტანათ.** ფიზიკოსი დერეკ ტიდმანი კი მასიური ცენტრიფუგის იდეას აყენებდა, რომელსაც „სლინგატრონს“ უწოდებდა. მისი მეშვეობით ობიექტები მანამ იბრუნებდნენ, ვიდრე გრავიტაციისგან თავის დასაღწევად საკმარის სიჩქარეს არ განავითარებდნენ. ხოლო ბევრი ინჟინერი 100 000 კმ სიგრძის სადენზე მოძრავი კოსმოსური ლიფტის მაცდური იდეით იყო მოხიბლული. 2000 წელს „ნასამ“ კომპანია „Carbon Designs“-ის დამაარსებელი ბრედ ედვარდსი 570 000 დოლარით დააფინანსა, რათა ამ იდეის რეალურობა დაედგინა. **ედვარდსის მოსაზრებით, კოსმოსური ლიფტის აგებას, მაქსიმუმ, 14 მილიარდი დოლარი დასჭირდება მას შემდეგ, რაც ნანოტექნოლოგიის განვითარებით სადენისათვის საჭირო ძალიან თხელი და ძალიან ძლიერი მასალის დამზადება იქნება შესაძლებელი.**

**2010 წლის ნოემბერში „ნასას“ ყოფილმა ასტრონომმა ფრანკლინ ჩენგ დიასმა განაცხადა, რომ შესაძლებელია იონური ძრავის მქონე რაკეტის შექმნა, რომელიც მარსამდე დაახლოებით 6 თვეში მიაღწევს.** იაპონურმა ზონდმა, რომელსაც 0.0075 მმ სისქის ნაწილებისგან შემდგარი 14 მეტრიანი მზის პანელი ჰქონდა და მზის ფოტონების წნევით მოძრაობდა, ვენერასკენ გეზი 2010 წლის დეკემბერში აიღო და მომდევნო 4 წლის განმავლობაში მიუახლოვდება მას. **მომავალში, შესაძლებელია, საწვავად გამოყენებულ იქნას ჰელიუმ-3, რომელიც მთვარესა და სხვა ციურ სხეულებზე საკმაოდაა.** „ნასა“ ასევე იკვლევს, შესაძლებელია თუ არა კოსმოსურმა ხომალდმა სასარგებლო ნივთიერებები მოიპოვოს იმ 40 ასტეროიდიდან, რომლებიც პერიოდულად დედამიწასა და მარსს ჩაუვლიან ხოლმე.

**„ნასას“ ფიზიკოსი მარკ მილისი ოპტიმისტურად უდგება საკითხს და ამბობს, რომ ჩვენ მომავალში ავითვისებთ უფრო განვითარებულ მეთოდებსაც, როგორიცაა ჭიის ხვრელის მეშვეობით ტელეპორტაცია და სინათლეზე სწრაფად მოძრაობა. ხოლო ლაზერული ტექნოლოგიის განვითარება საშუალებას მოგვცემს, თუნდაც დროებით, შევქმნათ ენერგიის გარკვეული დონე, რითაც დავაკვირდებით სივრცის გამრუდების ეფექტებს და სხვადასხვა იდეის თეორიულ შესაძლებლობებს განვიხილავთ.**

„ნაციონალური კოსმოსური საზოგადოების“ კომიტეტის თავმჯდომარე მარკ ჰოპკინსი აყენებს ვარაუდს, რომ **ერთ დღესაც თვითგამრავლებადი ნანორობოტები გაიგზავნებიან ასტეროიდზე და მოპოვებითი სამუშაოების ჩატარებას დაიწყებენ. შეიძლება მთვარეზე ან რომელიმე პლანეტაზე დაეშვან, სადაც გამრავლდებიან და შემდეგ ღია სივრცეს მოედებიან, რათა შექმნან ადამიანთათვის საჭირო სამრეწველო ცივილიზაცია. შეიძლება ადამიანის დნმ-იც წაიღონ და საჭირო დროს მათგან ხალხი შექმნან.** ჰოპკინსის თქმით, ჩვენი ევოლუციური პროცესები სულაც არ დასრულებულა, შეიძლება ოდესღაც საკუთარი თავები მგრძნობიარე რობოტებად ვაქციოთ და აღარ დაგვჭირდება კოსმოსური რადიაციისგან თავის დაცვა, შესაბამისად, დასახლებისთვის ვარგისი ტერიტორიების არეალიც უფრო გაფართოვდეს.

ჰოპკინსის წარმოსახვაში არსებული ვარიანტი, რომელიც ადამიანებს სქესისა და ფიზიკური ორგანიზმის არმქონე არსებებად სახავს, არც ისე რომანტიკულია. „შეიძლება ასეცაა, მაგრამ რომანტიკაზე არაფერი გიკითხავთ“, — ამბობს ის.

**დაახლოებით 20 წელიწადში მარსზე მუდმივი ბაზა მზად იქნება.** ამის განხორციელებას უზარმაზარი ფინანსები სჭირდება, მაგრამ „ნასა“ უკან არ იხევს, რადგან ამით ჩვენი მოდგმის გადარჩენის შანსი იზრდება. აღსანიშნავია, რომ არც ისე ცოტა ადამიანი გამოთქვამს მზადყოფნას, საჭიროების შემთხვევაში სამუდამოდ დატოვოს დედამიწა.

რიკ ტუმლინსონი, „Space Frontier Foundation“-ის ერთი დამაარსებელი, მხარს უჭერს იმ მოსაზრებას, რომ კოსმოსში გაჭრა მხოლოდ სათანადო მოტივის არსებობის შემთხვევაში მოხდება. ამ მოტივებად ის ასახელებს კოსმოსურ ტურიზმს, ატმოსფეროსგარე ადგილებში განხორციელებულ სამთამადნო საქმესა და ღია კოსმოსში მზის ენერგიის მოპოვებას, რათა შემდეგ დედამიწაზე გადმოიგზავნოს. **„მუდმივი ადამიანური დასახლებები მაშინ გაჩნდება, როცა ამას ფინანსური დაინტერესებაც ექნება“,** — ამბობს ის.

თუმცა დედამიწის გარეთ სიცოცხლის გაგრძელების ვარიანტებს „ნასა“ ფინანსური კუთხის გარეშეც იკვლევს. **2010 წლის გაზაფხულზე აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ გამოაცხადა დედამიწის ახლოს მდებარე ასტეროიდზე 2025 წელს, მარსზე კი 2030-იან წლებში, სამთამადნო საქმიანობის განხორციელების შესახებ.** იმავე წლის ოქტომბერში კი „Darpa“ პრესგამოცემაში საუბრობდა პროგრამის შესახებ, რომლის მიზანიც **„100-წლიანი ვარსკვლავთშორისი ხომალდის“ შექმნის ალბათობის განხილვაა.** მათი თქმით, **„ეს იქნება პირველი ნაბიჯი კოსმოსის კვლევის შემდეგ ეტაპში — მოგზაურობა ვარსკვლავებს შორის“.**

აღსანიშნავია ისიც, რომ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა ვიცით, თუ როგორი გავლენა ექნება კოსმოსურ გამოსხივებასა და ნულოვან გრავიტაციას ადამიანის სხეულსა და გონებაზე, რადიაციისგან დამცავი კარგი სპეცტანისამოსი კი დღემდე არ შექმნილა. **„რაც ხელმისაწვდომია, უსაფრთხო არაა. რაც უსაფრთხოა, ხელმისაწვდომი არაა“,** — ამბობს დენის ბუშნელი, ლონგლის სახელობის „ნასას“ კვლევის ცენტრის მთავარი მეცნიერი.

ბუშნელი მართალია, ყოველ შემთხვევაში, ამ მომენტში მაინც, მაგრამ კვლევა-ძიება ხშირად რისკს მოითხოვს. გრეგორი ბენფორდი, კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორი ფიზიკის დარგში, პარალელს ავლებს ნორვეგიელ ვიკინგთან, რომელიც ამერიკის კონტინენტს კოლუმბამდე 5 საუკუნით ადრე ეწვია. **„ჩვენ, ამერიკელებს, ხშირად გვგონია, რომ კოსმოსის კოლუმბები ვართ და დიდ აღმოჩენებს ვაკეთებთ, მაგრამ ვშიშობ, რეალურად ლაიფ ერიქსონები ვართ. მივდივართ, ვატარებთ ცდებს და მათი დიდი ნაწილი დავიწყებას ეძლევა“.**

მკვლევარები, ინჟინრები და ასტრონომები, რომლებიც კოსმოსში დასახლებას გარდაუვალად და ადამიანური პროგრესის შემადგენელ პროცესად თვლიან, გვთავაზობენ, საკითხს სხვანაირად შევხედოთ. ჩვენ მშრალ მიწაზე განვვითარდით, აფრიკის სავანებში პრიმატებად ჩამოვყალიბდით, შემდეგ კი მთელ პლანეტას მოვედეთ. რატომ უნდა გამოვრიცხოთ, რომ ოდესმე სატურნის თანამგზავრ ტიტანზე კოლონიებს შევქმნით ან კოსმოსში ვიმოგზაურებთ ხომალდებით? იმის მიუხედავად, თუ რამდენი დრო დასჭირდება ამის მიღწევას, უამრავი სარგებელი ექნება დედამიწაზე მცხოვრები ადამიანებისთვის.

**დედამიწის მიღმა დასახლებების შექმნის მეშვეობით შესაძლებელი იქნება საკვების ზომიერი განაწილება და შიმშილის დაძლევა, მოხდება ტრანსპორტირების რევოლუცია, კოსმოსში მზის ენერგიის ათვისება კი მკვეთრად შეამცირებს ჩვენს დამოკიდებულებას სასარგებლო წიაღისეულზე.**

რეცენზია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დიდი ხანია, რაც ქართველი ერი თავის სამშობლოში საკუთარ თავს აღიქვამს ნაციონალურ უმცირესობად და თავდასაცავად მიმართავს ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, როგორსაც მონობაში მყოფი ერები მიმართავენ ხოლმე. ის აქციები სწორედაც ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო იმისა, რომ ეს აქტი არ იყო მიღებული ქართველთა სახელმწიფოს პარლამენტის მიერ. ერთია რელიგიური შემწყნარებლობა (და ჩვენთვის გაუგებარია, ვინ შეიძლება იყოს ამ შემწყნარებლობის წინააღმდეგი), ხოლო ის, რაც 2011-ში მოხდა, ეს იყო ხელოვნურად და შეთითხნილი მიზეზებით კონფლიქტის შექმნის მცდელობა რელიგიურ ნიადაგზე, რითაც ჩვენი ხელისუფლება ღიად და დაუფარავად დაუპირისპირდა საქართველოს ეკლესიას.**

# ერის კონცეფციიდან «ახალი ერის» მოძღვრებამდე

**სანამ წიგნზე დავიწყებდეთ საუბარს, მინდა მნიშვნელოვანი ფაქტი გავიხსენო, რომლის გარეშე ვერც ქალბატონ დენიზაზე და ვერც ნაშრომზე საფუძვლიანად ვერ ვიმსჯელებთ. მხედველობაში მაქვს ქალბატონ დენიზას წერილი იუნესკოს მაშინდელი პირველი პირის, ბატონ ფედერიკო მაიორისადმი (გამოქვეყნდა 1990 წელს ჟურნალში „სახელმწიფო და სამართალი"; მოგვიანებით იმავე შინაარსის მიმართვა გადაეგზავნა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაშინდელ გენერალურ მდივან კოფი ანანს). წერილი ეხებოდა კაცობრიობის ერთ უმთავრეს პრობლემას, კერძოდ იმას, რომ ცივილიზებულ სამყაროს დღემდე არ გააჩნია „ერის" ცნების ერთიანი განმარტება. არადა, ეს არაა ისეთი კატეგორია, რომლის განმარტების გარეშეც კაცობრიობას განვითარება უწერია.**



თანამედროვე მსოფლიოში რატომღაც პოპულარულია ჰანტინგტონის „ცივილიზაციათა კონფლიქტის თეორია". საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჰანტინგტონმაც, წინამორბედი მონდიალისტების მსგავსად, გვერდი აუარა ერებსა და ეროვნულ პრობლემებს ისე, რომ არც დაფიქრებულა, რამდენად სწორად იყო მითითებული ამ „ცივილიზაციების" საზღვრები და რამდენად მყარ საფუძველზე იყო „ნაწინასწარმეტყველები" მის მიერ „ცივილიზაციებად" წოდებულ გაერთიანებებში გამოხატული ინდივიდუალობის მქონე ერების ათქვეფის გზით ერთფეროვანი წარმონაქმნების ჩამოყალიბება. **ეს „ცივილიზაციები" ჩვეულებრივი, ოდნავ სახეშეცვლილი იმპერიებია, ხოლო თავად თეორია მსოფლიოს ახალი მოწყობის არქიტექტორთა ინტერესების მიხედვით შექმნილ პროპაგანდისტულ თუ იდეოლოგიურ ნაშრომს წააგავს.**

ჩვენი მხრიდან ზერელობა ან უმწიფრობა იქნება, ჰანტინგტონის თუ მისი მსგავსი თეორიის შესწავლა, მით უფრო, გავაანალიზოთ მხოლოდ მეცნიერული ლოგიკის მოშველიებით ან ამ თეორიის მიზნების შესახებ ვისაუბროთ მხოლოდ. ასეთ თეორიებს (მეტადრე თუ ნაშრომი მსოფლიოს მმართველი რომელიმე გავლენიანი გაერთიანების მიერ არის შეკვეთილი), როგორც წესი, თავისი ოკულტური, მისტიური თუ ეზოტერული სწავლებაც ახლავს თან; მეტიც: შესაძლოა, საფუძვლადაც კი ჰქონდეს დადებული. ჩვენი აზრით, **ჰანტინგტონის თეორია ერთგვარი იდეოლოგიური სვლა იყო გლობალიზაციისთვის ნიადაგის მოსამზადებლად. ამ თეორიით ერის, როგორც ფილოსოფიური კატეგორიის, მნიშვნელობა უგულებელყოფილია. „ერის" ცნება მსოფლიოს პოლიტიკური ცნობიერებიდან უნდა გაქრეს და, თუ სადმე რაიმე დაპირისპირება მოხდება, ეს დაპირისპირება შიდა ცივილიზაციურ კონფლიქტად უნდა იქნას მიჩნეული**.

როგორც ჩანს, არავითარ ნაციონალურ ნიადაგზე წარმოშობილი საფუძველი არ გააჩნდა თუნდაც სერბებსა და ხორვატებს შორის არც ისე დიდი ხნის წინ მომხდარ საშინელ სისხლიან ეპოპეას. სრულიად უგულვებელყოფილია ის ეთნიკური განმასხვავებელი ნიშნები, რომელთა გამოც ადამიანები სიკვდილსაც არ უშინდებიან. **გლობალიზაციამ დიდი მონდომებით სცადა, წაეშალა ეროვნული თვითმყოფადობის თავისებურებანი, მაგრამ ბოლო ხანებში კაცობრიობა ისევ მიუბრუნდა „ერის" ცნებას და გაერთიანებული ერების ორგანიზაციაშიც (ცხადია, იუნესკოშიც) ბოლო დროს ამ მიმართულებით გარკვეული მოძრაობა შეინიშნება.** გადაჭარბებული არ იქნება განვაცხადოთ, რომ ჩვენ მიერ უკვე ნახსენებმა ქალბატონ დენიზა სუმბაძის წერილმა სერიოზული როლი ითამაშა ამ საქმეში. აქვე მინდა გავიხსენო აწ გარდაცვლილი აკადემიკოსი ვახტანგ ბოჭორიშვილი, რომლისთვისაც ქალბატონ დენიზას წიგნი ერის კონცეფციის შესახებ, სამაგიდო წიგნი იყო და ხშირად მოჰყავდა ციტატები ამ წიგნიდან. მისთვის (ისევე, როგორც ათობით სხვა, საქართველოსთვის თავდადებული კაცისთვის) ნათელი იყო საჭიროება ერთიანი ეროვნული იდეისა, გაერთიანება ამ იდეის გარშემო მთელი ეროვნული ენერგიისა. იგი იმ ნაშრომს ამ გზაზე გადაგმულ სერიოზულ ნაბიჯად თვლიდა.

ბატონი ვახტანგი განგაშით აუწყებდა საზოგადოებას ქართული ცნობიერებისთვის ელემენტარულ ჭეშმარიტებას, რომელსაც მსოფლიოს პოლიტიკურ სივრცეში ქალბატონი დენიზა სუმბაძისმიერი მიგნება დასჭირდა. ამ ჭეშმარიტების შინაარსი კი იმაში მდგომარეობს, რომ **თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკურსა და სამართლებრივ აზროვნებას საჭიროდ მიაჩნია, დაიცვას ადამიანის უფლება, ეროვნული უმცირესობების უფლება, მაგრამ სრულიად უგულვებელყოფს ერების უფლებათა დაცვას. მაშინ, როდესაც „ადამიანიცა" და „ნაციონალური უმცირესობაც" ნაწილები არიან მთელისა, და ამ მთელისგან (ანუ ერისგან) ნაწილების ჩამოშორება შეუძლებელია** (უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ეროვნული უმცირესობა" შეუძლებელია ჯეროვნად იქნას განმარტებული ცნება „ერის" განმარტების გარეშე). ქალბატონი დენიზა იმპერატივის სახით აცხადებდა: **„ყოველ ერს, რომელიც ღვთისაგან არის გაჩენილი, აქვს არსებობისა და თავისი ღირსების დაცვის უფლება". „ერები ღვთისაგან არიან გაჩენილნი და მომავალი კაცობრიობაც ერებად არსებული კაცობრიობა უნდა იყოს".**

თუ ადამიანის ეროვნული უფლება და ღირსება არ იქნება დაცული, მაშინ შეუძლებელია შელახვის საფრთხის წინაშე არ აღმოჩნდეს იმავე ადამიანის, როგორც ინდივიდის, უფლებაც. **დღეს, როცა ეროვნულობისა და კულტურული თუ სულიერი ფასეულობების ამოძირკვამ უკვე ყოველდღიური სახე მიიღო, ჩვენშიც გახდა საჭირო ასეთი თემებისა და ისტორიული კანონზომიერებების შეხსენება, როგორც ჩვენი თაობის თანამემამულეთათვის, ასევე (და განსაკუთრებით) მომავალი თაობისთვის.**

## საეკლესიო პაექრობა

**განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს წმ. გიორგი მთაწმინდელის პიროვნება. უდავოა, არსებობდა წინაპირობების ერთობლიობა, რომელთაც წარმოშვეს თავად გიორგი მთაწმინდელი, როგორც მოღვაწე. ისტორიული და სულიერი სამყაროს ასეთი მოღვაწეები ცარიელ ადგილზე ვერ იქმნებიან. ამხელა მნიშვნელობის მოაზროვნეთა და მათი ასპარეზის ჩამოყალიბებას ძლიერი შინნაზარდი კულტურის მქონე ერის სულიერი ძალა და ერთი საუკუნე მაინც სჭირდება. იმ პერიოდის საქართველოს ეკლესიას ასეთ ფიგურად წმ. გიორგი მთაწმინდელი მოევლინა**.

საკუთრივ წინასწარმეტყველება, როგორც ჩანს, დიდი ხნით ადრე არსებობდა, სანამ წმ. გიორგი მთაწმინდელი ხელნაწერის სახით ჩამოაყალიბებდა. აქ, ვფიქრობთ, აუცილებელია, გავიხსენოთ წმ. გიორგი მთაწმინდელის ღვაწლი რელიგიურ და ფილოსოფიურ დისპუტებში.

ანტიოქიის პატრიარქთან წმ. გიორგი მთაწმინდელის პოლემიკის შესახებ არაერთი ნაშრომი არსებობს. ჩვენ ვერ ავცდებით ამ პაექრობის ზოგი ფრაგმენტის გამეორებას:

როდესაც ანტიოქიის პატრიარქს მოახსენეს, საქართველოში მოციქულებს არ უქადაგიათ, ამასთან მისი მცხოვრებნი მცირერიცხოვანნი არიან, ამიტომ ჯერ არს, ანტიოქიის პატრიარქის ხელმწიფების ქვეშ იყვნენო, პატრიარქმა მამა გიორგის აუწყა: **„მეფე თქვენი წინაშე ჩუენსა მოვიდეს და ხელმწიფებასა ჩუენსა დაემორჩილოსო".** წმიდა მამამ უპასუხა: **„შენ იტყჳ, ვითარმედ თავისა მის მოციქულთაისა პეტრეს საყდარსა ვზიო, ხოლო ჩუენ პირველწოდებულისა და ძმისა თჳსისა მწოდებლისა ნასწავლნი ვართ და სამწყსონი და მის მიერ მოქცეულნი და განათლებულნი და ერთი წმიდათა ათორმეტთა მოციქულთაგანი — სჳმეონს ვიტყჳ კანანელსა — ქუეყანასა ჩუენსა დამარხულ არს აფხაზეთს, რომელსა ნიკოფსი ეწოდების. ერთი ღმერთი გვიცნობიეს, არღარა უარ-გვიყოფიეს და არღა ოდენ წვალებისა მიმართ მიდრეკილ არს ნათესავი ჩუენი... ჯერ არს წოდებული იგი მწოდებელსა მას დაემორჩილოს, რამეთუ პეტრესი ჯერ არს, რათა დაემორჩილოს მწოდებელსა თჳსსა და ძმასა ანდრეას და რათა თქუენ ჩუენ დაგვემორჩილნეთ!".** ეს ფრაზა პირდაპირ მიუთითებს საქართველოს ეკლესიის კანონიერ პრეტენზიაზე, ღირსეული ადგილი ჰქონოდა იერარქიაში სხვა ეკლესიებს შორის. მოგვიანებით წმიდა მამამ იმპერატორ კონსტანტინე მეათე დუკასაც განუცხადა: **ბერძნები მრავალგზის განდგომიან ქრისტიანობას, ხოლო ჩვენ, რაკიღა ერთხელ ვირწმუნეთ იგი, არასოდეს გვიღალატიაო** („გიორგი მთაწმიდელის ცხოვრება"). საყურადღებოა, რომ **წმ. გიორგი მთაწმინდელი საუბრობს ქართველებზე, როგორც ერზე. მისთვის ამ კამათში ერთი ძირითადი არგუმენტია ქართველთა და არა მხოლოდ ქართველ მეფეთა ერთგულება ქრისტეს რჯულისადმი.**

აღსანიშნავია კიდევ ერთი, უაღრესად სერიოზული დეტალი:

სახარება ქართულად მე-4 საუკუნეშივე ითარგმნა, მაგრამ ღვთისმსახურებისას დღემდე ვიყენებთ იმ რედაქციას, რომელიც წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ არის დამუშავებული. ენობრივი კუთხით საფუძვლიანი წმინდა ფილოლოგიური გამოკვლევა, სამწუხაროდ, არ მინახავს, მაგრამ მრავლისმეტყველია თავად ის ფაქტი, რომ გიორგი მთაწმინდელმა დაინახა აუცილებლობა, ერთიან ენობრივ ნორმებში მოექცია მანამდე არსებული ტექსტები. ხელახლა თარგმნა ის ტექსტები, რომლებიც დედანთან შედარებას საჭიროებდა და მწყობრი, თანმიმდევრული სახე მისცა სახარების ქართულ რედაქციას. სახარებაშიც და წინასწარმეტყველებაშიც გვხვდება სიტყვა „ერი" ისეთი მნიშვნელობით, რომელიც ძალიან უახლოვდება ამ ცნების დღევანდელ ფილოსოფიურ გაგებას, კერძოდ, **გიორგი მთაწმინდელი „ერს", როგორც ფილოსოფ-** ▶

**გიორგი მთაწმინდელი «ერს», როგორც ფილოსოფიურ კატეგორიას, მოიაზრებს შემდეგნაირად: ერი არის ერთიანი ისტორიული მეხსიერების მქონე, საერთო კულტურულ ენაზე მოაზროვნე, საერთო ბედისწერით დაკავშირებულ ადამიანთა სოციალურ-კულტურული და გენეტიკური ერთობა**

ვფიქრობთ, საქართველოს ეკლესიასაც და ერსაც დაუყოვნებლივ ესაჭიროება დარაზმვა ერთიანი ეროვნული იდეის გარშემო დღეს, როდესაც უკვე ვდგავართ როგორც რელიგიური და კულტურული, ასევე ფიზიკური გაქრობის საფრთხის წინაშე. ერი, რომელსაც იოანე ზოსიმეს, წმ. გრიგოლ ხანძთელის, წმ. გიორგი მთაწმინდელის, წმ. ილია მართლის ტოლი მოღვაწეები ჰყავდა, სხვაგან არ უნდა დაეძებდეს გაერთიანებისთვის ფორმებსა და იდეებს, საკუთარ ისტორიაშიც ბევრი მაგალითის მონახვა შეგვიძლია.

## რეცენზია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**იურ კატეგორიას, მოიაზრებს შემდეგნაირად: ერი არის ერთიანი ისტორიული მეხსიერების მქონე, საერთო კულტურულ ენაზე მოაზროვნე, საერთო ბედისწერით დაკავშირებულ ადამიანთა სოციალურ-კულტურული და გენეტიკური ერთობა** (შენიშვნა: ჩვენ სიტყვა „ბედისწერა“ ვარჩიეთ ტერმინ „მფარველ ანგელოზს“ ან „დემიურგოსს“).

აქვე ერთ პრობლემას გვინდა შევეხოთ, უაღრესად მნიშვნელოვანს საქართველოს ეკლესიის ისტორიისთვის:

2011 წლის ზაფხულში საქართველოს პარლამენტმა საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული საკონსტიტუციო შეთანხმების, ისტორიული კანონზომიერებების, აგრეთვე, პირდაპირ უნდა ითქვას, ელემენტარული საღი აზრის გაუთვალისწინებლად, მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც საქართველოს კანონმდებლობა თითქოსდა საქართველოს ეკლესიასთან თანაბარ პირობებში აქცევდა იმ რელიგიებს, რომლებსაც საქართველოს ეკლესიასთან ისტორიული დაპირისპირება ან სერიოზული კომპლექსი ჰქონდათ, აგრეთვე, რელიგიებსაც, რომლებთანაც ჯერ უნდა ერთგვარი ეკლესიათაშორისი დიალოგი დაწყებულიყო და მხოლოდ და მხოლოდ საქართველოს ეკლესიის გადაწყვეტილების საფუძველზე უნდა მომხდარიყო პარლამენტის მიერ კანონით გაფორმება ურთიერთობის იმ ფარგლებისა, რომლებიც მოაწესრიგებდა სხვადასხვა რელიგიათა საქმიანობის საზღვრებს და მათი თანაარსებობის საფუძვლებს ქართულ საზოგადოებასთან თუ ერთმანეთთან საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ქართულმა საზოგადოებამ მაშინ აქციების მძლავრი ტალღით უპასუხა ამ ე. წ. კანონს. რატომღაც ეს ჩვენი ხელისუფლების მიერ გადათარგმნილ იქნა, როგორც ქსენოფობიური მღელვარება. არადა, არ იყო ასე.

**ქართული საზოგადოება იცავდა თავის ეკლესიას და პატრიარქის ტახტს მცდელობისგან, სერიოზულად შეერყიათ საქართველოს ეკლესიის ძლიერება და მნიშვნელობა. ქართული კულტურა ოდითგან ქრისტიანული კულტურაა, მართალია, ისტორიის უკუღმართობამ ათასობით ქართველს შეაცვლევინა რჯული, მაგრამ ქართულ კულტურას ქმნიდნენ საქართველოს ეკლესიის წიაღში მყოფი მოღვაწეები, სხვა რელიგიის ქართველ წარმომადგენლებს პოლიტიკურსა თუ სამხედრო სფეროში კი ჰქონდათ წარმატებები, მაგრამ თითქმის არაფერი გაუკეთებიათ ქართული კულტურისთვის. ამიტომაც საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ერის ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგ მოქმედებასაც ნიშნავს. ასე იქნა აღქმული საზოგადოების მიერ პარლამენტის ეს ქმედება.** მღელვარებაც ამიტომ დაიწყო. ის კანონი იყო ქართული სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგო კანონი. **დიდი ხანია, რაც ქართველი ერი თავის სამშობლოში საკუთარ თავს აღიქვამს ნაციონალურ უმცირესობად და თავდასაცავად მიმართავს ისეთ ხერხებსა და მეთოდებს, როგორსაც მონობაში მყოფი ერები მიმართავენ ხოლმე. ის აქციები სწორედაც ყველაზე მკაფიო გამოვლინება იყო იმისა, რომ ეს აქტი არ იყო მიღებული ქართველთა სახელმწიფოს პარლამენტის მიერ. ერთია რელიგიური შემწყნარებლობა (და ჩვენთვის გაუგებარია, ვინ შეიძლება იყოს ამ შემწყნარებლობის წინააღმდეგი), ხოლო ის, რაც 2011-ში მოხდა, ეს იყო ხელოვნურად და შეთითხნილი მიზეზებით კონფლიქტის შექმნის მცდელობა რელიგიურ ნიადაგზე, რითაც ჩვენი ხელისუფლება ღიად და დაუფარავად დაუპირისპირდა საქართველოს ეკლესიას.**

2011-ში დაყოვნებული მოქმედების კიდევ ერთი ნალმი ჩადეს, ხოლო თეოლოგიის მცოდნე და რელიგიურ სიბრძნეს ნაზიარებმა პიროვნებებმა ამ ფაქტში **მსოფლიოს კონკრეტული ოკულტური წრეებისა თუ დაჯგუფებების მცდელობა დაინახეს — კონტროლი დაემყარებინათ საქართველოს საპატრიარქო და სამეფო ტახტზე.** ჩანს, ამის გამო მოხდა იმ „კანონის“ მიღებაც და რელიგიური პოლიტიკის კურსის შეცვლაც ჩვენი მთავრობის მიერ. ამით კიდევ ერთხელ მინდა გავუსვა ხაზი იმ ფაქტორებს, რამაც ქალბატონი დენიზას წიგნის გამოცემა განაპირობა. ეს არ იყო მხოლოდ მესიანისტურ თემაზე დაწერილი ესე, ამ წიგნის ქვეტექსტი სხვაგვარია — **ქართველ ხალხს მოთმინების ფიალა უკვე აევსო, ახლა პასიურ თავდაცვაზე ფიქრს მოვეშვათ, რაც დავკარგეთ, იმის დაბრუნებაზე უნდა ვიზრუნოთ.** ეს ამოცანა სულიერი რანგის ამოცანაცაა და პოლიტიკურიც, ხოლო რომელი მხარეა აქ პირველადი, უთქმელადაც ნათელია, როცა წმ. გიორგი მთაწმინდელზე ვსაუბრობთ.

### სამი წინასწარმეტყველება

**ჩვენამდე მოღწეულ საკრალური მნიშვნელობის ძეგლებს შორის სამი წინასწარმეტყველება გამოირჩევა — ერთის მხრივ, თავისი მკაფიოობით; მეორე მხრივ, ამ წინასწარმეტყველებებში დაშიფრული იმ ინფორმაციით, რომლის ბოლომდე შეცნობაც, ვფიქრობთ, ვერასოდეს მოხერხდება. ეს ძეგლები გადაარჩინა და ჩვენამდე მოიტანა იმ მნიშვნელობამ, რომელიც ამ ძეგლებს ჰქონდა ქართველი ერისათვის, ასევე იმ კოსმიურმა დატვირთვამ, რომელიც ამ წინასწარმეტყველებებს და მათ შემქმნელებს ჰქონდათ.**

**ჩვენამდე მოღწეულ საკრალური მნიშვნელობის ძეგლებს შორის სამი წინასწარმეტყველება გამოირჩევა — ერთის მხრივ, თავისი მკაფიოობით; მეორე მხრივ, ამ წინასწარმეტყველებებში დაშიფრული იმ ინფორმაციით, რომლის ბოლომდე შეცნობაც, ვფიქრობთ, ვერასოდეს მოხერხდება. ეს ძეგლები გადაარჩინა და ჩვენამდე მოიტანა იმ მნიშვნელობამ, რომელიც ამ ძეგლებს ჰქონდა ქართველი ერისათვის, ასევე იმ კოსმიურმა დატვირთვამ, რომელიც ამ წინასწარმეტყველებებს და მათ შემქმნელებს ჰქონდათ**

**პირველი წინასწარმეტყველებაა** იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (ამ საკითხზე ზვიად გამსახურდიას მიერ დამუშავებული ბრწყინვალე გამოკვლევა არსებობს და ჩვენი მხრიდან მკრეხელობა იქნება რაიმეს დამატების მცდელობა).

წმინდა გრიგოლ ხანძთელმა შეავსო ეს წინასწარმეტყველება. ფორმულა „ქართლად ფრიადი ქუეყანა? აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამნი შეიწირვის და ლოცვაი ყოველი აღესრულების, ხოლო კუირიელესონი ბერძნულად ითქუმის, რომელ არს ქართულად: „უფალო, წყალობა ყავ“, გინა თუ „უფალო შეგვიწყალენ“ ორ მიზანს ისახავდა: „მამული“, ანუ სამშობლო და მისი საზღვრები ორი ნაცნობი პარამეტრის „ენის“ და „სარწმუნოების“ საფუძველზე განმარტეს. **აქ იმ ეპოქის ერთ თავისებურებას უნდა მიექცეს ყურადღება: განვითარებული შუა საუკუნეებისთვის დამახასიათებელია პიროვნების იდენტიფიკაცია ქვეშევრდომობის ნიშნით — საკმარისი იყო, კაცს ეთქვა, აშოტ კურაპალატის ყმა ვარო, მისი ეთნიკური და რელიგიური პორტრეტი ნათელი და გასაგები იყო მტრისთვისაც და მოყვრისთვისაც.**

წმინდა გრიგოლ ხანძთელმა მარტო ის კი არ განაცხადა, სადაც ქართულად ლოცულობენ, ყველგან საქართველოაო, ამ ფორმულამ ცნება „ქართლს“ ახალი მნიშვნელობა შესძინა: გეოგრაფიულ და ადმინისტრაციულ (და სამხედრო) ცნებასთან ერთად „ქართლი“ გახდა აღმნიშვნელი ადამიანთა გარკვეული ენობრივი და კონფესიური, აგრეთვე, კულტურული და სოციალური ერთობისა. ეს ხედვა, თავად წმ. გრიგოლ ხანძთელთან ერთად, წინ მიუძღვოდა აშოტ კურაპალატს. ეს იყო წინამორბედი ფორმულისა „მამული, ენა, სარწმუნოება“. აკაკი ბაქრაძე თვლიდა, რომ ეს ფრაზა ბერძნულ ეკლესიასთან (ან, შესაძლოა, ბერძნულ რელიგიასთან) ერთგვარ წილნაყარობასაც აღნიშნავდა. მეორე მიზანი კი ამ სიტყვების სხვა, წინასწარმეტყველურ დატვირთვაში უნდა ვეძიოთ — **საქართველო იქ არის, სადაც ქართულად ლოცულობენ და ბერძნულ ქრისტიანობას აღიარებენ, ხოლო მეორედ მოსვლის ჟამს ქართული ენა (და ერი) შეასრულებს თავის კოსმიურ მისიას.**

ამდენად, ენას, საკომუნიკაციო და სააზროვნო ფუნქციასთან ერთად, ეროვნულ-კულტურული და რელიგიური საიდენტიფიკაციო ფუნქციაც დაეკისრა. იმხანად ეს წარმოუდგენელი რამ იყო. **ჩვენი გამძაფრებული სიყვარული საკუთარი ენისა ამითაა განპირობებული, მტერიც, პირველ რიგში, ენას გვილახავდა, ცდილობდა, ჩვენი ენა დაგვევიწყა.**

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „ენა“ და ტერმინი „ერი“ ერთმანეთისგან მკაფიოდ გამიჯნული იმ ეპოქაში ჯერ არ არის (ძველი ბერძნები უცხოტომელებს ენობრივი ნიშნით განასხვავებდნენ. ტერმინი „ბარბაროსი“ ამ მნიშვნელობით გამოიყენებოდა. აქვე: სლავურ ენებში დღემდე გამოიყენება „язычники“ ან „языки“, რომელიც უცხო ერებს, უცხო რელიგიებს და წარმართებსაც აღნიშნავს).

ამ ორ წინასწარმეტყველებას დაემატა წმ. გიორგი მთაწმინდელის სავედრებელი პავლე მოციქულისადმი, რომელშიც ავტორი მოციქულთა თავს ავედრებს ქართველ ერს, როგორც ახალ ღვთაებრივ ერს. ქალბატონი დენიზა სუმბაძე სავედრებელს წინასწარმეტყველების კვალიფიკაციას ანიჭებს და კონტექსტში ახალი რჩეული ერის მისიასაც ხედავს. წმ. გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველება ქალბატონ დენიზას ისე აქვს დამუშავებული, რომ ისღა დაგვრჩენია, აღფრთოვანება გამოვთქვათ როგორც ამ ნაშრომის, ასევე იმ ფაქტის მიმართ, რომ დაისტამბა ასეთი წიგნი ჩვენს მანკიერ ეპოქაში, თუმცა თავს უფლებას მივცემთ და ზემოთქმულსა და უკვე დასაბუთებულს ჩვენი მხრიდან კიდევ დავურთავ ერთ მოსაზრებას:

სავედრებელში მიმართვა ხდება პავლე მოციქულისადმი. ამას რამდენიმე მიზეზი აქვს:

ა). ჩვენი წელთაღრიცხვის 50 წელს იერუსალიმში შედგა მოციქულთა კრება. „საქმე მოციქულთა“ აღწერს ჩვენი წერილისთვის საინტერესო ერთ ეპიზოდს:

**4. და როცა (პავლე და ბარნაბა) მივიდნენ იერუსალემს, შეიწყნარეს ისინი ეკლესიამ, მოციქულებმა და ხუცესებმა, და აუწყეს მათ, რამდენი რამ ქმნა ღმერთმა მათთან ერთად.**

**5. მაგრამ წამოდგნენ ზოგიერთნი, ფარისეველთა მწვალებლობის მიმდევარნი, რომელთაც ერწმუნათ, და თქვეს, რომ უნდა წინადაცვითონ მათ, და უბრძანონ მათაც, დაიმარხონ მოსეს რჯული.**

**6. და შეიკრიბნენ მიციქულები და ხუცესნი, რათა განეხილათ ეს სიტყვა.**

**7. გულმოდგინე განხილვის შემდეგ, წამოდგა პეტრე და უთხრა მათ: კაცნო, ძმანო, ხომ იცით, რომ ღმერთმა პირველი დღეებიდანვე თქვენგან გამომარჩია მე, რათა წარმართებმა ჩემს ბაგეთაგან ისმინონ სახარების სიტყვა და ირწმუნონ.**

**8. და გულთამხილავი ღმერთი ემოწმა მათ, და მისცა მათაც სული წმიდა, ჩვენსავე მსგავსად.**

**9. და არაფრით განგვასხვავა ერთმანეთისგან, რაკიღა რწმენით გაწმინდა მათი გულები.**

**10. მაშ, ახლა რაღად გამოსცდით ღმერთს? რად გინდათ მოწაფეებს ქედზე დაადგათ უღელი, რომლის ტვირთვაც ვერც ჩვენ შევძელით და ვერც ჩვენმა მამებმა?**

**11. მაგრამ ჩვენ გვწამს, რომ უფლის — იესო ქრისტეს მადლით ვცხონდებით ჩვენც და ისინიც.**

**12. დადუმდა მთელი კრებული და უსმენდნენ ბარნაბასა და პავლეს, რომლებიც ყვებოდნენ, რა სასწაულები და ნიშნები ქმნა ღმერთმა წარმართთა შორის მათ მიერ“** (თავი 15, საქმე მოციქულთა).

ცხადია, აქ იგულისხმებოდა ის კოსმიური მისსია, რომელიც ქრისტიანობას უნდა ეტვირთა კაცობრიობის წინაშე. გარდა ამისა, **ეს ერთგვარი წინასწარმეტყველური ნიშანი იყო — მაცხოვარი მეორედ მოსვლის ჟამს, შესაძლოა, ახალ ერში გამოეცხადოს კაცობრიობას და ახალი ისტორიაც სწორედ ამ ახალი რჩეული ერიდან დაიწყებაო.** პავლე მოციქული თვლიდა, რომ ქრისტიანობა არ უნდა დარჩენილიყო ერთი ერის ჩარჩოებში, ეს არ უნდა ყოფილიყო მხოლოდ ტომით ებრაელთა საკუთრება. ამიტომაც დასვეს ასე საკითხი პავლე მოციქულმა და ბარნაბამ, რასაც სხვა მოციქულთა თანხმობაც მოჰყვა. **აქ კიდევ უნდა დავესესხო ქალბატონ დენიზას: ახალი, სამპიროვანი სახით გაცხადებულ ღმერთს ახალი ერი სჭირდება. ეს ერი გიორგი მთაწმინდელის წინასწარმეტყველებაში ქართველი ერია.**

ბ). **ანტიოქიის პატრიარქი მაშინდელ ქრისტიანულ სამყაროში ითვლებოდა „წმ. პეტრეს საყდარში მჯდომად“, ანუ მემკვიდრედ. ამდენად, პავლე მოციქულისადმი, როგორც მოციქულთა მე-2 თავისადმი „საღმრთოი შჯულის დამტკიცების“ თხოვნით მიმართვა სრულიად ბუნებრივია ახალი საღმრთო ერის წარმომადგენლისთვის** (ეროვნულობა ღმერთის მიერაა დაკანონებული, როგორც მანამდე, როცა ღმერთი თავის რჩეულ ერს არ ეცხადებოდა სამპიროვანი სახით, ასევე მას შემდეგ, რაც თავისი სამპიროვნება განაცხადა, ქრისტიანი ერი ერთ ერად და უფლის სხეულად ითვლება, მაგრამ ღმერთს არ სურდა ეროვნულობის უარყოფა).

გ). **პავლე მოციქული არ ყოფილა მაცხოვრის მოწაფე, ისე გახდა მოციქულთა თავი. აქაც სიმბოლოა ჩადებული — სულიწმინდის მადლის მოპოვება ან მითუმეტეს დიდი კოსმიური ამოცანის შესრულება არ ხდება პიროვნული ღვაწლის გარეშე.**

სამივე ეს წინასწარმეტყველება ეხება როგორც სულიერ, ასევე საერო ცხოვრებას. სამივე მათგანი ავსებს და აზუსტებს ერთმანეთს. ფაქტია: **ქალბატონ დენიზა სუმბაძის „კონცეფციამ ერის შესახებ“ საკუთარ ისტორიულ ცნობიერებაშივე ეძია და ჰპოვა „მოძღვრება ახალი ერის შესახებ“.**

**ვფიქრობთ, საქართველოს ეკლესიასაც და ერსაც დაუყოვნებლივ ესაჭიროება დარაზმვა ერთიანი ეროვნული იდეის გარშემო დღეს, როდესაც უკვე ვდგავართ როგორც რელიგიური და კულტურული, ასევე ფიზიკური გაქრობის საფრთხის წინაშე. ერი, რომელსაც იოანე ზოსიმეს, წმ. გრიგოლ ხანძთელის, წმ. გიორგი მთაწმინდელის, წმ. ილია მართლის ტოლი მოღვაწეები ჰყავდა, სხვაგან არ უნდა დაეძებდეს გაერთიანებისთვის ფორმებსა და იდეებს, საკუთარ ისტორიაშიც ბევრი მაგალითის მონახვა შეგვიძლია.**

**დავით ფიქარიშვილი,**
საქართველოს პედაგოგთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე

**საქართველოს ეკლესიის წინააღმდეგ გადადგმული ნებისმიერი ნაბიჯი ერის ისტორიული მეხსიერების წინააღმდეგ მოქმედებასაც ნიშნავს**

უკომენტაროდ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**გამორიცხული არ არის, რუზველტი ცდილობდა გაერკვია, რამდენად დიდია საბჭოთა კავშირის მისწრაფება სუსტად განვითარებულ და დამოკიდებულ ქვეყნებში ფეხის მოკიდებისა და იქ დაფუძნების საკითხში. უფრო სარწმუნოა, რომ აშშ-ის პრეზიდენტი ზრუნავდა თავისი სახელმწიფოს მიმავალ ჰეგემონიაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში. სათანადოდ შესაფასებელია პერსპექტივის მისეული ხედვა: სოციალურ-პოლიტიკური კოლონიების დრო წარსულს ბარდება; მომავალი სპეციფიკური ეკოლოგიურ-ეკონომიკური კოლონიების იქნება, რომელთა ხელში ჩაგდებასაც შეეცადა შეერთებული შტატები.**



რუდოლფ ბალანდინი, სერგეი მირონოვი

# სტალინის ეპოქა

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №1-28 (139-166)

## დიპლომატიური ორთაბრძოლები

**ჩვენმა მკითხველმა უკვე იცის, რომ თეირანის კონფერენციაზე სტალინმა მხარი დაუჭირა ამერიკას მისთვის ესოდენ აქტუალური შორეული აღმოსავლეთის პრობლემის გადაჭრაში. სტალინმა განაცხადა, რომ გერმანიის საბოლოო დამარცხების შემდეგ „ჩვენ შევძლებთ საერთო ძალებით იაპონიის განადგურებას“.**

იაპონიას, რომელიც აზიის თითქმის ნახევარს ფლობდა, გააჩნდა ბაქტეოროლოგიური იარაღი, შეეძლო 2-3 წლით გაეჭიანურებინა ომი, რაც ადამიანური და მატერიალური რესურსების უდიდესი დანაკარგით დაემუქრებოდა ამერიკის შეერთებულ შტატებს. ერთ-ერთ დოკუმენტში, რომელიც რუზველტს გასაცნობად წარუდგინეს, პირდაპირ იყო მითითებული, რომ შეცდომა იქნებოდა, ამ საკითხის მოგვარებაში საბჭოთა კავშირის როლის შეუფასებლობა, რადგან იგი (სსრკ) „იკისრებს გადამწყვეტი შეტევის ორგანიზებას... იაპონიის ძალებისა და საომარი რესურსების შებოჭვის მიზნით..., რომლებიც სხვა შემთხვევაში შეიძლება გამოყენებული იქნას იაპონიის დასაცავად“.

მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, მოესწრებოდა თუ არა უმოკლეს დროში შეექმნათ, გამოეცადათ და გამოეყენებინათ ატომური ბომბი. ამიტომ საჭირო იყო ეზრუნათ იმაზე, თუ უკეთ როგორ განეხორციელებინათ ჩვეულებრივი სამხედრო ოპერაციები კარგად შეიარაღებული და ბრძოლისუნარიანი, ფანატიკურად თავგანწირული იაპონური შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. გამოცდილება, რომელიც ინგლის-ამერიკის სამხედრო ნაწილებმა შეიძინეს გერმანულ არმიასთან ბრძოლებში, მეტყველებდა, რომ იდეურად ზეშთაგონებული მოწინააღმდეგე, რაოდენობრივი სიმცირის მიუხედავად, უაღრესად საშიშია. ამიტომ იაპონიის ხერხემალში გადატეხა საბჭოთა არმიის დახმარების გარეშე იოლად გადასაწყვეტი ამოცანა არ იყო. ამ თვალსაზრისით, ამერიკელი გენერლები რუზველტს სწორ რჩევას აძლევდნენ.

**აშშ ინტერესის გათვალისწინებით, სტალინმა თავიდანვე წამოაყენა იაპონიის წინააღმდეგ ომში საბჭოთა კავშირის ჩართვის პირობები. რუზველტი დაეთანხმა სახალინის და კურილიის კუნძულების საბჭოთა კავშირისთვის დაბრუნებას, მაგრამ შეეცადა თავიდან აერიდებინა ჩინეთში საბჭოთა ინტერესების უზრუნველყოფის საკითხი.**

სტალინმა განაცხადა, რომ თუ მისი პოზიცია გაზიარებული არ იქნებოდა, საბჭოთა ადამიანები ვერ გაიგებდნენ, რატომ ებმება სსრკ იაპონიის წინააღმდეგ ომში მესამე ქვეყნების ინტერესების დასაცავად. როგორ ავუხსნათო ეს საბჭოთა ხალხს?!

ორ მთავარ საკითხში, — დასავლეთ ევროპა და ჩინეთი — სტალინის და რუზველტის პოზიციები ერთმანეთს უფრო უახლოვდებოდა, ვიდრე ჩერჩილისა, რომელსაც მიაჩნდა, რომ ჩინეთი ისტორიულად დიდი ბრიტანეთის ზონად არის მიჩნეული.

ამ თემაზე ფრიად ნიშანდობლივი საუბარი გაიმართა სტალინსა და რუზველტს შორის პირისპირ შეხვედრის დროს. მას შემდეგ, რაც სტალინმა შეუფერადებლად ისაუბრა ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ — გერმანელებმა კვლავ ხელთ იგდეს ჟიტომირი, აშშ პრეზიდენტმა ილაპარაკა იაპონელებთან მძიმე ბრძოლების შესახებ წყნარ ოკეანეზე და განაგრძო:

— მე ამის შესახებ ვლაპარაკობ ჩვენი საბრძოლო მეგობრის ჩერჩილის არყოფნის დროს, რადგან მას არ უყვარს ამ თემასთან შეხება. შეერთებული შტატები და საბჭოთა კავშირი კოლონიური სახელმწიფოები არ არის, ჩვენთვის უფრო იოლია ასეთი პრობლემების განხილვა. ვფიქრობ, კოლონიური იმპერიები ომის შემდეგ დიდხანს ვერ იარსებებს...

იგი სავსებით სწორი იყო. მაგრამ შემდეგ შესთავაზა სტალინს, განეხილათ ინგლისის კოლონიების ომისშემდგომი სტატუსი. სტალინი დაეთანხმა საკითხის ზოგად ჭრილში დაყენებას, მაგრამ თავი აარიდა ამ მგრძნობიარე თემაზე დეტალურ საუბარს (ანალოგიურად, 1940 წელს ვიაჩესლავ მოლოტოვმა უარყო ჰიტლერის შემოთავაზება ბრიტანეთის კოლონიური მემკვიდრეობის განაწილების შესახებ).

**გამორიცხული არ არის, რუზველტი ცდილობდა გაერკვია, რამდენად დიდია საბჭოთა კავშირის მისწრაფება სუსტად განვითარებულ და დამოკიდებულ ქვეყნებში ფეხის მოკიდებისა და იქ დაფუძნების საკითხში. უფრო სარწმუნოა, რომ აშშ პრეზიდენტი ზრუნავდა თავისი სახელმწიფოს მიმავალ ჰეგემონიაზე მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში. სათანადოდ შესაფასებელია პერსპექტივის მისეული ხედვა: სოციალურ-პოლიტიკური კოლონიების დრო წარსულს ბარდება; მომავალი სპეციფიკური ეკოლოგიურ-ეკონომიკური კოლონიების იქნება, რომელთა ხელში ჩაგდებასაც შეეცადა შეერთებული შტატები.**

არ შეიძლება არ აღინიშნოს სტალინის კეთილსინდისიერი პოზიცია, მისი კეთილშობილება, როცა მან არ მოისურვა ინგლისისთვის ასეთ დელიკატურ თემაზე საუბარი ამ ქვეყნის პრემიერ-მინისტრის არყოფნის დროს.

**უფრო მძიმე იყო საკითხი ბალტიისპირეთის ქვეყნების მომავლის შესახებ. ინგლისს აქ თავისი ბატონობის დამყარება სურდა. საბჭოთა კავშირისთვის კი ამ ქვეყნების ნავსადგურებს დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პირდაპირი და უშუალო გასასვლელი იყო ბალტიის ზღვაში. მით უფრო, რომ ეს მიწები რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ხოლო შემდეგ იქ საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. გარკვეული დროით ეს ქვეყნები დამოუკიდებელი იყო, სანამ სახელმწიფო გადატრიალების შედეგად იქ ავტორიტარული რეჟიმები დამკვიდრდებოდა. ომის წინ ისინი საბჭოთა კავშირში შევიდნენ.**

**ბუნებრივია, რომ ფაშისტ დამპყრობელთაგან მათი გათავისუფლების შემდეგ ეს რესპუბლიკები თავიანთ სტატუსს უნდა დაბრუნებოდნენ. ასეთი იყო სტალინის პოზიცია, რომელსაც მოკავშირეები წინ აღუდგნენ. 1943 წლის 1 დეკემბერს სტალინთან შეხვედრის დროს რუზველტმა თქვა:**

**— შეერთებულ შტატებში შეიძლება დადგეს საკითხი ბალტიისპირა რესპუბლიკების საბჭოთა კავშირის შემადგენლობის ყოფნის მიზანშეწონილობის შესახებ...**

**— ლიტვას, ლატვიას და ესტონეთს, — უპასუხა სტალინმა, — რუსეთში რევოლუციამდე ავტონომია არ ჰქონდა. მეფე მაშინ შეერთებული შტატებისა და ინგლისის მოკავშირე იყო და არავის დაუყენებია საკითხი ამ ქვეყნების რუსეთიდან გამოსვლის შესახებ. რატომ დგება ეს საკითხი დღეს?..**

**— შეერთებულ შტატებში არიან გარკვეული რაოდენობით ლიტველები, ლატვიელები და ესტონელები, — განმარტა რუზველტმა, — ისინი მკვეთრად შეეწინააღმდეგებიან ბალტიისპირეთის ქვეყნების საბჭოთა კავშირში გაერთიანებას, მაგრამ სტალინი კვლავ თავისაზე იდგა — მოითხოვდა საბჭოთა კავშირის ომამდელი საზღვრების შენარჩუნებას. ეს პოზიცია სამართლიანი იყო: გაუგებარი და უცნაური იქნებოდა, მტრის დამარცხების შემდეგ გამარჯვებულ ქვეყანას არ აღდგენოდა ომამდელი საზღვრები.**

დაბოლოს, იყო ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც კომპრომისს საჭიროებდა: **გერმანიის უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.** უმწვავესი ბრძოლები აღმოსავლეთ ფრონტზე გრძელდებოდა, და სტალინი, ორივე მხრიდან დიდი მსხვერპლის თავიდან ასარიდებლად მზად იყო სამშვიდობო ხელშეკრულება დაედო გერმანიის ნებისმიერ მთავრობასთან, გარდა ნაცისტურისა. ამიტომ იგი დიდხანს არ ეთანხმებოდა მოკავშირეთა მოთხოვნას უსიტყვო კაპიტულაციის შესახებ.

28 ნოემბერს პრეზიდენტთან ვახშმობისას სტალინმა თქვა, რომ მოკავშირეთა მხრიდან ასეთი მოთხოვნის წამოყენება ადამიანებს მტრის ბანაკში გააფთრებული წინააღმდეგობისკენ უბიძგებს. უსიტყვო კაპიტულაციას ისინი შეურაცხყოფად აღიქვამენ. ამიტომ მას სურს იცოდეს, რას ფიქრობს რუზველტი იმის თაობაზე, რომ დაზუსტდეს მნიშვნელობა „უსიტყვო კაპიტულაციის“. ანუ დაზუსტდეს, რა რაოდენობის იარაღი, სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ. უნდა გაიღოს მოწინააღმდეგემ, შემდეგ განაცხადოს ამ პირობების შესახებ და არ დაარქვას მას „უსიტყვო კაპიტულაცია“.

რუზველტმა გარკვეული პასუხი არ გასცა და საუბარი გადაიტანა იმაზე, თუ როგორ სწავლობდა გერმანიაში ჭაბუკობის წლებში. იდენმა კი, ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა, რომელიც სტალინთან ახლოს იჯდა, ყურადღებით მოისმინა ეს შეკითხვა.

**ეს ეპიზოდი ბევრის მთქმელია. უწინარეს ყოვლისა, იგი ამტკიცებს, რომ სტალინი ანტისტალინელების ცილისწამების საწინააღმდეგოდ ცდილობდა ყველაფერი გაეკეთებინა წითელი არმიის მსხვერპლის შესამცირებლად და საბჭოთა ხალხის ტანჯვა-წამების შესამსუბუქებლად. იგი არ მიისწრაფვოდა სხვა ქვეყნების დასაპყრობად და მხოლოდ სურდა სსრკ უწინდელი საზღვრების აღდგენა. შეემატებოდა მხოლოდ ერთი ნაწილი აღმოსავლეთ პრუსიის — ამჟამად კალი-**

ეკომენტარი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**დასავლეთში ატომური ბომბის შესაქმნელად მიმდინარე სამუშაოების შესახებ სტალინმა შეიტყო არაუგვიანეს 1942 წლის აგვისტოსი. ამის შესახებ მას მოახსენა ლავრენტი ბერიამ, რომელიც აგენტურულ მონაცემებს ეყრდნობოდა, პარალელურად მოქმედი არმიიდან წერილი გამოუგზავნა ფიზიკოსმა გ.ნ. ფლეროვმა (მომავალმა აკადემიკოსმა). ფლეროვი მიუთითებდა, რომ უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში შეწყდა პუბლიკაციები ატომური ენერგიის გამოყენების პრობლემებზე, რაც გამალებულ საიდუმლო კვლევებზე მიუთითებდა. მისი აზრით, სამხედრო ტექნიკაში შეიძლება ნამდვილი რევოლუცია მომხდარიყო.**

**ნინგრადი და მისი ოლქი. აი, მოკავშირეები კი ცდილობდნენ, რათა ჰიტლერელებს უკანასკნელი ძალებით გააგრძელებინათ ბრძოლა აღმოსავლეთ ფრონტზე.**

არაფაშისტურ გერმანიასთან მშვიდობის დამყარება სტალინს მართლაც სურდა, მიუხედავად იმისა, რომ შესანიშნავად იცოდა თავისი შეიარაღებული ძალების აღმატებული ძლიერება: 1943 წელს სსრკ აწარმოებდა მნიშვნელოვნად მეტ სამხედრო ტექნიკას, ვიდრე გერმანია, თანაც, წითელი არმია რაოდენობრივად ჭარბობდა ვერმახტისას. მიუხედავად ამისა, სტალინი ცდილობდა, რაც შეიძლება მალე შეწყვეტილიყო სისხლისღვრა. მოკავშირეებისგან განსხვავებით მას არ სურდა დამარცხებული ქვეყნის დანაწევრება. მისი აზრით, გერმანია უნდა ყოფილიყო დიდი და ერთიანი ევროპული სახელმწიფო, მაგრამ მშვიდობიანი და მილიტარიზაციის შესაძლებლობის არმქონე.

გაცხარებული ომის დროსაც კი სტალინი არ კარგავდა იმედს გამართულიყო დიპლომატიური მოლაპარაკებები მოწინააღმდეგესთან. იგი ყოველთვის განასხვავებდა ერთმანეთისგან გერმანელ ხალხს და მმართველ წრეებს, რომლებმაც ეს დიდი ხალხი სისხლიან ავანტიურაში ჩაითრია.

## „ზეიარაღი" – მოკავშირის წინააღმდეგ

**ომის ბოლოსთვის სტალინსა და მის მოკავშირეთა შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად გართულდა არა მარტო იდეური და გეოპოლიტიკური საკითხების გამო. წარმოიქმნა ახალი ფაქტორი, რომელმაც ძირფესვიანად შეცვალა საგარეოპოლიტიკური სიტუაცია: აშშ-ში დასასრულს მიუახლოვდა ატომური ბომბის შექმნის სამუშაოები. თუმცა სრული გარანტია იმისა, რომ ეს სამუშაო წარმატებით დამთავრდებოდა, არავის ჰქონდა.**

1944 წელს მეორე მსოფლიო ომი დასრულების სტადიაში შევიდა. საბჭოთა ჯარებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს და დასავლეთელი მოკავშირეებისთვის მომგებიანი იყო მათთან საბრძოლო თანამშრომლობის გაგრძელებაც და ძლევამოსილ საბჭოთა კავშირთან მეგობრული ურთიერთობის დემონსტრირებაც.

თითქოს უნდა დამდგარიყო პოლიტიკური გათბობის ეპოქა სოციალიზმის ქვეყნებსა და ორ წამყვან კაპიტალისტურ ქვეყანას შორის. სსრ კავშირის, ინგლისისა და აშშ-ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და დიპლომატები საქებარ სიტყვებს არ იშურებდნენ საბჭოთა კავშირის მისამართით. ნიჭიერი ინგლისელი მწერალი, რომელმაც შემდგომში ფართოდ ცნობილი ანტისაბჭოთა სატირა „საქონლის ფერმა" („Скотный двор") დაწერა, ამაოდ უტალახებდა კარს გამომცემლობებს, არავინ არ კისრულობდა მის გამოცემას, რადგან არც საზოგადოებრივ განწყობილებას, არც ოფიციალურ კურსს სსრკ-ის გინება არ ესადაგებოდა. მხოლოდ ორი წლის შემდეგ ამ მოთხრობამ იხილა მზის სინათლე.

მაგრამ ეს გულითადობა და ულრუბლო დამოკიდებულება გარკვეულწილად მოჩვენებითი იყო. ორივე მხარის საიდუმლო ლაბორატორიებსა და მათი კონტრდაზვერვითი სტრუქტურების კონსპირაციულ ბინებში ფარული ბრძოლა მიმდინარეობდა.

**დასავლეთი თავის საბჭოთა „მეგობარს" მონდომებით უმალავდა ატომური იარაღის შესაქმნელად მიმდინარე სამუშაოების ფაქტსაც კი.** მაგრამ სწორედ ასეთი უმკაცრესი გასაიდუმლოება არწმუნებდა სტალინს, რომ „ზეიარაღი" მზადდებოდა საბჭოთა კავშირის „შესაჩერებლად" და დასაშინებლად და არა ჰიტლერული გერმანიის გასანადგურებლად.

ჯერ კიდევ 1942 წლის 6 მაისსა და 23 ივნისს, ანუ ვერმახტის წარმატებული შეტევის აპოგეაში, გერმანიის შეიარაღების მინისტრი შპეერი ფიურერთან ორი საიდუმლო შეხვედრის დროს აცხადებდა, რომ გერმანია ფლობს აუცილებელი ცოდნის მარაგს საიმისოდ, რათა ურანიდან ატომური ენერგია გამოიმუშაოს. რაიხის მინისტრი ეფუძნებოდა უდიდესი გერმანელი ფიზიკოსის, ნობელის პრემიის ლაურეატის ჰეიზენბერგის თეორიულ ნაშრომებს. შპეერი ამტკიცებდა, რომ შეიძლებოდა შედგომოდნენ გერმანული ატომური იარაღის შექმნას, რაც, მისი აზრით, რამდენიმე ტექნიკური პრობლემის გადაჭრასთან იქნებოდა დაკავშირებული მხოლოდ და მხოლოდ.

**შპეერი დაჟინებით მოითხოვდა ძალისხმევის კონცენტრაციას ატომური ბომბის შექმნის პროექტზე. მაგრამ ჰიტლერი, რომელიც დარწმუნებული იყო რაიხის ძლევამოსილ გამარჯვებაში,** ამასთან, ეჭვობდა, რომ პროექტი რეალურად განხორციელდებოდა, თავს იკავებდა. თუმცა ბოლოს და ბოლოს დათანხმდა კვლევების წარმართვას ურანის ძრავების შესაქმნელად ტანკებისა ან წყალქვეშა ნავებისთვის.

**დასავლეთში ატომური ბომბის შესაქმნელად მიმდინარე სამუშაოების შესახებ სტალინმა შეიტყო არა უგვიანეს 1942 წლის აგვისტოსი. ამის შესახებ მას მოახსენა ლავრენტი ბერიამ, რომელიც აგენტურულ მონაცემებს ეყრდნობოდა, პარალელურად მოქმედი არმიიდან წერილი გამოუგზავნა ფიზიკოსმა გ.ნ. ფლეროვმა (მომავალმა აკადემიკოსმა). ფლეროვი მიუთითებდა, რომ უცხოურ სამეცნიერო ჟურნალებში შეწყდა პუბლიკაციები ატომური ენერგიის გამოყენების პრობლემებზე, რაც გამალებულ საიდუმლო კვლევებზე მიუთითებდა. მისი აზრით, სამხედრო ტექნიკაში შეიძლება ნამდვილი რევოლუცია მომხდარიყო.**

მაშინვე სახელმწიფო თავდაცვის კომიტეტში მინისტრმა ს.ვ. კაფტანოვმა შეიტანა წინადადება ატომური იარაღის პრობლემის ცენტრის შექმნის შესახებ (ურანისა და რადიუმის საკითხებზე კომისია აკადემიკოს ვერნადსკის წინადადებით გაცილებით ადრე იყო შექმნილი). სტალინმა მოისმინა მოხსენება, დაფიქრდა და თქვა:

— უნდა გავაკეთოთ.

პროექტის კურატორად ჯერ მოლოტოვი დაინიშნა,



1945 წლის აგვისტოდან — ლავრენტი ბერია. მან მნიშვნელოვნად წინ წასწია საქმე, უპირველესად, თავისი ორგანიზატორული ნიჭის და, ამასთან, კარგად აწყობილი საიდუმლო სამსახურის ოპერატიული და პროფესიული საქმიანობის წყალობით. ამ არხით საბჭოთა ფიზიკოსები უმნიშვნელოვანეს ცნობებს იღებდნენ აშშ-ის ატომური პროექტის მიმდინარეობის შესახებ: რა და როგორ კეთდებოდა, როგორ წყდებოდა უმნიშვნელოვანესი თეორიული თუ პრაქტიკული პრობლემები.

**ამერიკელი და ინგლისელი მეცნიერები, რომლებიც ლოს-ალამოსის ატომურ ცენტრში მუშაობდნენ, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად საბჭოთა აგენტებს გადასცემდნენ სრულიად საიდუმლო მონაცემებს. ამას ისინი აკეთებდნენ არა რაიმე ანაზღაურების მიღების სურვილით, არამედ თავიანთი მტკიცე რწმენის საფუძველზე — აშშ არ შეიძლება იყოს ატომური იარაღის მონოპოლისტი მფლობელი. სწორედ საბჭოთა კავშირს მიიჩნევდნენ ისინი მშვიდობისთვის მებრძოლ სახელმწიფოდ, რომელიც ეომებოდა ფაშიზმს და ამყარებდა სახალხო ხელისუფლებას.**

სტალინმა იცოდა, რომ დიდი დანიელი ფიზიკოსი ნილს ბორი დაჟინებით ურჩევდა აშშ პრეზიდენტს გაენდო ატომური საიდუმლო სტალინისათვის. ბორს ძალიან ფრთხილად, თუმცა არასაკმარისად მხარს უჭერდა აშშ სამხედრო მინისტრი სტიმსონი. მაგრამ რუზველტი შეუვალი იყო. სწორედ ამიტომ და სწორედ მაშინ გასცა სტალინმა განკარგულება საბჭოთა დაზვერვის ამოქმედების შესახებ, რომელიც იმ დროში მსოფლიოში უძლიერესი იყო. ამის უპირველესი მიზეზი იყო საბჭოთა კავშირის უდიდესი ავტორიტეტი არა მარტო მუშათა კლასში, არამედ პატიოსან, მოუსყიდველ ინტელიგენციაშიც.

**ამერიკის გამოძიების ფედერალურმა ბიურომ თვალი დაადგა საბჭოთა მზვერავს „ტომასს". აი, რას წერენ ამის თაობაზე ისტორიკოსები ა. კოლპაკიდი და ე. პროხოროვი: „...აშშ პრეზიდენტ რუზველტს მაგიდაზე დაუდეს დოსიე, რომელიც ბრალს დებდა ადამსს ჯაშუშობაში სსრკ-ის სასარგებლოდ. გამოძიების ფედერალურმა ბიურომ ადამსის დაპატიმრების ორდერი მოითხოვა. მაგრამ გამოძიების ბიუროს აგენტებმა სისხლის სამართლის საქმის აღძვრის ნებართვა არ მიიღეს, რადგან არავის სურდა გაემწვავებინა ურთიერთობა საბჭოთა კავშირთან".**

„ატომური ჯაშუშობის" შესახებ საუბრისას გენერალი სუდოპლატოვი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა ამ მიმართულებას, ხაზგასმით ამტკიცებდა, რომ **ლოს-ალამოსელი მეცნიერები ჩვენს აგენტებს არ გადმოუბირებიათ. სრულიად საიდუმლო ცნობებს ისინი თავიანთი იდეური მრწამსის კარნახით გადმოგვცემდნენ: მათ ესმოდათ, რომ „ზეიარაღს" აშშ მსოფლიოში თავისი ბატონობის დასამყარებლად გამოიყენებდა. ეს კი კატეგორიულად მიუღებელი იყო მათთვის — დემოკრატი ადამიანებისთვის.**

ისტორიამ დაადასტურა, რომ მათი პოზიცია სწორი იყო. ბოლო ოცი წლის განმავლობაში დადასტურდა, რომ „დემოკრატიის დასამყარებლად" და „ადამიანის უფლებათა დასაცავად" აშშ ლაშქრობა აღმოსავლეთ ევროპაში, ავღანეთში, ერაყსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში მხოლოდ ფარდაა, რომლის უკან იმპერიული ბატონობის ნიშნები უკვე აშკარად ჩანს.

მიუხედავად იმისა, რამდენად ღირებული იყო გასაიდუმლოებული ცნობები საბჭოთა ატომური ბომბის წარმატებით შესაქმნელად, მნიშვნელოვანია ამერიკაში მომუშავე მეცნიერთა საბჭოთა აგენტებთან ნებაყოფლობითი, უანგარო თანამშრომლობის ფაქტი.

სათანადოდ უნდა შევაფასოთ სტალინის გამჭრიახობა, როცა მან ომის უმძიმეს პერიოდში სწორად შეაფასა „ზეიარაღის" შექმნის პერსპექტივა. ამით მან მოიგო დრო და სსრკ-ს თავიდან აიცილა ამერიკის მიერ შანტაჟის მუქარის შესაძლებლობაც კი.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ აშშ პრეზიდენტი რუზველტი ბრძენი მმართველი იყო, არ სწამდა სამხედრო ავანტიურისტული პოლიტიკისა საერთოდ და, კერძოდ, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მან შეგნებულად არ გაუზიარა ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს „ატომური საიდუმლო", რომელიც განსაკუთრებული დაჟინებითა და მონდომებით ილტვოდა ამისკენ. ინგლისის პრემიერის ხელში ეს იარაღი შეიძლებოდა ძალიან საშიშ იარაღად ქცეულიყო მისი სანუკვარი მიზნის მისაღწევად: ინგლისის ჰეგემონობის დასამყარებლად მთელ ევროპაში.

სტალინს ეს შესანიშნავად ესმოდა, და მიუხედავად იმისა, რომ სათანადოდ აფასებდა ამ ადამიანის დიდ ნიჭსა და გამოცდილებას, მაინც განსაკუთრებით ცდილობდა რუზველტთან მეგობრული ურთიერთობის დამყარებას. სტალინი დარწმუნებული იყო, რომ ომის დამთავრების შემდეგ აშშ კაპიტალისტური სამყაროს ლიდერი გახდებოდა, ბრიტანეთს კი აღარ ეწერა „ზღვათა მფლობელობა" და გლობალური იმპერიის ცენტრად ყოფნა.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ატომური იარაღით სტალინის დაინტერესება იმდენად სამხედრო მიზნებით არ იყო ნაკარნახევი, რამდენადაც დიპლომატიური მოსაზრებებით.

ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ, როგორც ჩანს, **სტალინს ატომური ომის გაჩაღების არ სჯეროდა, მაგრამ ზუსტად აფასებდა, თუ რა როლს ითამაშებდა ატომური იარაღი ძალისმიერი დიპლომატიის განხორციელების მომავალ პრაქტიკაში.**

## ურთიერთგაგების გზები

**მიიჩნევენ, რომ თეირანის კონფერენცია სტალინის უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური წარმატება იყო. ფრანგი ისტორიკოსი ვერტი, რომელიც საბჭოთა კავშირისა და მისი ბელადისადმი სიმპათიით არ გამოირჩევა ასკვნის, რომ სტალინმა შესანიშნავად გამოიყენა აშშ-სა და ინგლისის შეუთანხმებლობანი, ასევე, მოკავშირეთა მიერ ევროპაში ნამდვილი მეორე ფრონტის გაუხსნელობის ფაქტი და „მიაღწია მისთვის საჭირო გადაწყვეტილებებს უმნიშვნელოვანეს საკითხებში:**

— ინგლისელებისა და ამერიკელების გადასხდომის შესახებ არა უგვიანეს 1944 წლის მაისისა;

— პოლონეთის საზღვრების დასავლეთით ოდერამდე გადაწევისა და დასავლეთელ მოკავშირეთა მიერ პოლონეთის მომავალ საზღვრად „კერზონის ზოლის" თუნდაც არაოფიციალური აღიარების შესახებ;

— საბჭოთა მოთხოვნის აღიარება კენისბერგზე, რომელიც ისტორიულად არასოდეს ეკუთვნოდა რუსეთს;

— ბალტიისპირეთის სახელმწიფოების ანექსიის აღიარება, როგორც აქტისა, რომელიც განხორციელდა „მათი მოსახლეობის ნების თანახმად".

ამ დათმობათა სანაცვლოდ საბჭოთა კავშირი დათანხმდა, ომი გამოეცხადებინა იაპონიისთვის ევროპაში ომის დამთავრების არა უგვიანეს სამი თვის შემდეგ. ამის თაობაზე ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

ისტორიკოს ვერტის განმაზოგადებელ პოზიციას ზოგიერთი უზუსტობა თან სდევს, როცა დასკვნების ლაპიდარობას ისტორიულ ფაქტებს ანაცვალებს. კენისბერგი, წერს იგი, რუსეთს არასოდეს ეკუთვნოდაო, და, თითქოს, მოწყალება გაიღეს მისი გადმოცემით მოკავშირეებმა. არადა, ცნობილია, რომ რუსეთის შემადგენლობაში შედიოდა პოლონეთიც, ფინეთიც, რომელიც ფაშისტური გერმანიის სატელიტი გახდა და იბრძოდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამიტომ გერმანიის დამარცხების შემდეგ გამორიცხული არ იყო, რომ იგი კვლავ რუსეთის, ანუ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში შესულიყო, რაც, სხვათა შორის, სტალინს არ მოუთხოვია.

საბჭოთა კავშირი, სტალინი მოწყალებას არ საჭიროებდა. ფინეთის ფაქტი კი ადასტურებს, რომ არც იმის მიტაცებას ცდილობდა, რაც დაარღვევდა ისტორიულად ჩამოყალიბებულ საერთაშორისო ბალანსს.

**როგორ შეაფასა პრეზიდენტმა რუზველტმა ირანის კონფერენციის შედეგები?**

**ისტორიკოსი ალექსანდრე ბორისოვის აზრით, „რუზველტი აღფრთოვანებული იყო თეირანის კონფერენციის და საბჭოთა მთავრობის მეთაურთან მოლაპარაკების შედეგებით. მასზე წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა საბჭოთა ხელმძღვანელის პიროვნებამ, დიდი სახელმწიფო მოღვაწის მისეულმა თვისებებმა, ფართო პოლიტიკურმა თვალსაწიერმა.**

**ბუხართან საშობაო საუბარში, რომელიც რადიოთი გადაიცემოდა, მან ამერიკელებს აცნობა, რომ საბჭოთა კავშირთან ურთიერთობაში ვერ ხედავს გადაუჭრელ პრობლემებს. „კარგად მოვრიგდით მარშალ სტალინთან... ვფიქრობ, რომ იგი რუსეთის ფიქრთა და მისწრაფებათა ნამდვილი გამომხატველია, და დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში შევძლებთ კარგად ვითანამშრომლოთ მასთან და რუს ხალხთან", — თქვა პრეზიდენტმა.**

**რა თქმა უნდა, ვიწრო წრეში მოლაპარაკებათა სხვაგვარ შეფასებასაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, რუზველტის თქმით, საბჭოთა მთავრობის მეთაური მას უფრო მკაცრი ეჩვენა, ვიდრე თავად წარმოედგინა. სტალინთან შეხვედრებმა იგი განკურნა თავისი დიპლომატიური შესაძლებლობების ერთგვარად გადაჭარბებული შეფასებისგან და აიძულა ღირსეულად შეეფასებინა საბჭოთა დიპლომატიის ხელოვნება".**

გაგრძელება იქნება

რუბრიკას უძღვება **არმაზ სანებლიძე**

ქრონოგრაფი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ისრაელის ზოოპარკში თეთრი მარტორქა დაიბადა

თელავივთან ახლოს რამატ გან-ის ზოოპარკში მარტორქა რეკორდული დროის — 18 თვის მანძილზე იყო მაკედ. ამ დიდი პერიოდის შემდეგ ისრაელის ზოოპარკს უიშვიათესი თეთრი მარტორქა შეემატა. ეს მშობიარობა დედა მარტორქისთვის მესამეა. მისი სამივე შვილი ზოოპარკის ბინადარია, თუმცა აქამდე ორსულობა არასოდეს ყოფილა ასეთი ხანგრძლივი. დედა მარტორქის სახელია ტანდა, ის 2 ტონას იწონის და, უკვე მე-6 წელია, ზოოპარკში ბინადრობს. მსგავსი სახის თეთრი მარტორქა დედამიწაზე მხოლოდ 4 შემორჩა. თეთრი მარტორქები ერთ-ერთი ყველაზე დიდი ძუძუმწოვრები არიან სპილოების შემდეგ.

# საოცარი სკანერი



**ამერიკულმა კომპანია „IDair“-მა, რომელიც სამხედრო და სპეცსამსახურებს თითების ანაბეჭდების დისტანციური სკანერებით ამარაგებს, განაცხადა, რომ მის ახალ მოწყობილობას შეუძლია სკანირების დისტანცია ექვს მეტრამდე გაზარდოს.**

კომპანია ოპტიკურ სკანერებს — „AIRPrint“-ს 2011 წლიდან ყიდის. ამ მოწყობილობებს შეუძლია ადამიანის თითების ანაბეჭდების ამოცნობა ორი მეტრის მანძილზე. სკანერის ყველაზე მარტივი მოდელი ერთ თითზე 2 ათასი დოლარი ღირს.

**ამჟამად ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები სკანერებს ავღანეთსა და სხვა ქვეყნებში იყენებენ, მათ შეუძლიათ შეამოწმონ პიროვნება იმ შემთხვაშიც კი, როდესაც ისინი განსაზღვრულ მანძილზე, თუნდაც კედლის მიღმა, იმყოფებიან.**

თითების ანაბეჭდების თანამედროვე დისტანციური სკანერები აღჭურვილია პოლარიზებული სინათლის წყაროებით და კამერებით, რომლებიც იჭერენ სხვადასხვა პოლარიზაციის სინათლეს (გამოსახულება, ჩვეულებრივ, ხილულ დიაპაზონში არ იქნებოდა ისე მკვეთრი). თითების ბორცვები ჰოლარიზებულ სინათლეს ირეკლავენ, ხოლო ჩაღრმავებული — ვერტიკალურად პოლარიზებულს. თითის დაბრუნებულ ანარეკლს ამუშავებს კომპიუტერული პროგრამა, რომელიც ააგებს თითის ანაბეჭდს და ადარებს მას ბაზის მონაცემებს.

პრინციპში, ტექნოლოგია შეიძლება სხვა მიზნებისთვისაც გამოვიყენოთ. მაგალითად, მოსახერხებელია, გავაღოთ კარი ბინაში, უბრალოდ, სახლში მისვლისას ხელის აწევით, იგივე შეიძლება გაკეთდეს ავტომობილებთან და უსაფრთხოების სხვა სისტემებთან. დისტანციური სკანერი შეიძლება გამოვიყენოთ მომავლის ბიომეტრიული საგადასახადო სისტემისთვის. „IDair“-ის შემქმნელები იმ დროზე ოცნებობენ, როდესაც ჩვენ შევძლებთ მაღაზიაში ნავაჭრის საფასური ხელის აქნევით გადავიხადოთ.

**მეორე მხრივ, მთელი რიგი პრობლემები შეიძლება წარმოიშვას. ცნობილია, რომ ხელის თითების ანაბეჭდების მიხედვით იდენტიფიკაცია არ იძლევა საიმედოობის საკმარის დონეს, ასე რომ, ამ მეთოდის გამოყენება ზოგჯერ არც შეიძლება, მაგალითად, მას ჯერჯერობით ვერ გამოიყენებენ საბანკო დაწესებულებები.**

თითების ანაბეჭდების დისტანციური სკანირება ქმნის ახალ შესაძლებლობებს იმ ბოროტმოქმედებისთვისაც, რომლებიც ორგანიზებას უწევენ ადამიანებზე მასობრივ თვალთვალს და პიროვნებათა გაყალბებით არიან დაკავებულნი. თითების ანაბეჭდების მანძილზე გადაღება მათ მნიშვნელოვნად უადვილებთ ამოცანას.



# ვარდისფერი ტბა

**სენეგალში მდებარეობს ტბა, რომელსაც გამორჩეული ფერი აქვს. ტბა ღია ვარდისფერია, თითქოს წყალში კალიუმის პერმანგანატი ჩაასხესო. ტბის წყალი მეტისმეტად მარილიანია, ამიტომაც მასში მხოლოდ პატარა მიკროორგანიზმები ცხოვრობენ. სწორედ ისინი გამოიმუშავებენ ამ უცნაური ფერის ნივთიერებებს.**



ყოველდღე, დილიდან საღამომდე, ადგილობრივები ამ ტბის წყალში კისრამდე დგანან და ტბის ძირიდან მარილებს იღებენ. ხელფასი ამ რთული ფიზიკური საქმისთვის ნორმალურზე ოდნავ მაღალია. სენეგალის ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნიკური ჯგუფი — ვოლოფის ხალხი ამ ტბას რეტბას უწოდებს. თურმე რეტბა ოკეანეს უკავშირდებოდა, მაგრამ ქვიშამ გზა ჩახერგა და 70-იან წლებში გადაიქცა საოცრად მარილიან ტბად, რომელსაც დამახასიათებელი შეფერილობა აქვს. რეტბა მარილის კონცენტრაციით აჭარბებს მკვდარ ზღვასაც კი, რომელშიც მარილის კონცენტრაცია წყალში ლიტრზე 380 გრამია.

## ყველაზე ფართოდ გავრცელებული პაროლი

**როდესაც სოციალურ ქსელ Rockyou.com-ს ჰაკერებმა შეუტიეს, საზოგადოებისთვის ყველა პაროლი გახდა ცნობილი. ყველა ამ მონაცემს ანალიზი ჩაუტარა Application Defense Center-მა. სწორედ ამ კომპანიამ აღმოაჩინა, რომ მომხმარებლების უმეტესობას უმარტივესი პაროლი ჰქონდა. მათ შორის ყველაზე ფართოდ გავრცელებული პაროლების პირველი ოცეული ასე გამოიყურება:**




1. 123456 (290 731 users);
2. 12345 (79 078 users);
3. 123456789 (76 790 users);
4. Password (61 958 users);
5. iloveyou (51 622 users);
6. princess (35 231 users);
7. rockyou (22 588 users);
8. 1234567 (21 726 users);
9. 12345678 (20 553 users);
10. abc123 (17 542 users);
11. Nicole (17 168 users);
12. Daniel (16 408 users);
13. babygirl (16 194 users);
14. monkey (15 294 users);
15. Jessica (15 162 users);
16. Lovely (14 950 users);
17. michael (14 898 users);
18. Ashley (14 329 users);
19. 654321 (13 984 users);
20. Qwerty (13 856 users).

# ყველაზე ძვირადღირებული ქალაქი მსოფლიოში

კომპანია Economist Intelligence Unit-მა მსოფლიოში ცხოვრების დონით ყველაზე ძვირადღირებული ქალაქების რეიტინგი გამოაქვეყნა. პირველი ადგილი ამ სიაში **ციურიხმა** დაიკავა, მას **ტოკიო** და **ჟენევა** მოსდევენ.

მსოფლიოს ყველაზე ძვირადღირებული ქალაქების ოცეულში 4 ავსტრალიური მეგაპოლისია, მათ შორის **სიდნეიც**.

ჩრდილოეთ ამერიკის კონტინენტზე ყველაზე ძვირადღირებულ ქალაქად კანადური **ვანკუვერი** დასახელდა, მან უკან ჩამოიტოვა **ლოს-ანჯელესი** და **ნიუ იორკი.**





## 30 ათასი ვერცხლი

**დიდ ბრიტანეთში ჩვეულებრივი არქეოლოგიური გათხრების დროს აბანოებში დაუჯერებელი რაოდენობის რომაული ვერცხლის მონეტები აღმოაჩინეს. 30 000-ზე მეტი ვერცხლის მონეტა დაახლოებით მესამე საუკუნით თარიღდება.** ადგილობრივი ექსპერტების განცხადებით, ეს აღმოჩენა არის მონეტების კოლექციის მეხუთე ყველაზე დიდი აღმოჩენა დიდ ბრიტანეთში. მონეტების ზუსტი რაოდენის დათვლა ვერ ხერხდება, რადგან ისინი ერთმანეთში არიან შემდნარი. ისინი შემდგომი ანალიზისთვის დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთ მუზეუმში გადაიტანეს. მონეტების ზუსტი საერთო ფასის დადგენა ჯერჯერობით ვერ ხერხდება. ყველა შეკითხვას პასუხი დაახლოებით 12 თვეში გაეცემა, როდესაც ექსპერტები საბოლოო შედეგებს გამოაცხადებენ.



# ყველაზე საშიში სასტუმრო

**იტალიაში მდებარეობს მსოფლიოში ყველაზე საშიში სასტუმრო. ექსპერტები თვლიან, რომ სასტუმროს შეუძლია სიცივისგან და სიბნელისგან 12 ალპინისტის სიცოცხლის გადარჩენა. სასტუმროს ღირებულება 250 000 ევროს შეადგენს. დიზაინის ავტორია იტალიური კომპანია Leap Factory. სასტუმროში ადგილის დაჯავშნა ინტერნეტის მეშვეობით ყველა მსურველს შეუძლია. ერთი ღამით სასტუმროს დაჯავშნა 30 ევრო ღირს.**





## მრუდე ტყე

**პოლონეთში, დასავლეთ პომერანიის პროვინციაში, მდებარეობს პატარა ტყე, რომელიც უცნაური ფორმის 400-მდე ფიჭვის ხეს მოიცავს. ხეები ძირთან 90 გრადუსით არიან დახრილნი ჩრდილოეთის მიმართულებით, რის გამოც ამ მონაკვეთს „მრუდე ტყეს“ უწოდებენ. იგი ჩვეულებრივი, სწორი ხეების მოზრდილი ტყით არის გარშემორტყმული.** ხეები დაახლოებით 1930 წელს დარგეს, მაშინ, როცა პომერანიის პროვინცია ჯერ კიდევ გერმანიის შემადგენლობაში შედიოდა. როგორც ჩანს, ისინი 7-10 წლის ზრდის შემდეგ ადამიანის ჩარევით „გადაღუნეს“, მაგრამ ვინ გააკეთა ეს, რა მიზნით, დღემდე საიდუმლოდ რჩება.



ქრონოგრაფი
ქართველთა და მსოფლიოს
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე მავნე მენიუ

**იმისათვის, რომ წონაში დავიკლოთ, არაა აუცილებელი, დიეტებით დავიტანჯოთ და ყოველ დღე სპორტდარბაზში ვღვაროთ ოფლი. მეცნიერებმა შეადგინეს იმ პროდუქტების სია, რომლებიც ყველაზე მეტად ვნებს ჩვენს ორგანიზმს და რომელთა რაციონიდან ამოღებაც არა მხოლოდ სხეულის ფორმებს აუმჯობესებს, არამედ ჯანმრთელობასაც. ყველაზე მავნე მენიუ შემდეგნაირად გამოიყურება:**



## ჩიფსები

თავისთავად კარტოფილი არ წარმოადგენს სასარგებლო პროდუქტს, რა ფორმითაც არ უნდა იყოს მომზადებული. ჩიფსებისაგან და საერთოდ კატოფილისაგან არ რჩება არაფერი ნატურალური: მხოლოდ კანცეროგენები, ზეთი, არომატიზატორები, გემოს მიმცემი გამაძლიერებელი აგენტები. ჩიფსების ხშირი ჭამა იწვევს ონკოლოგიურ დაავადებებს, ასევე პრობლემებს წონასთან დაკავშირებით. იგივე შეიძლება ითქვას კარტოფილ ფრი-ზე.



## მარილი და შაქარი

ხომ ცნობილია, მარილი და შაქარი — ეს თეთრი სიკვდილია. მარილი ხელს უშლის წყლის გავლას ორგანიზმში და გროვდება ყველაზე არასასურველ ადგილებში. რაც შეეხება შაქარს, მათთვის ვინც წონაში იკლებს, ეს პირველი მტერია. ამ პროდუქციის რაციონიდან ამოღება თითქმის შეუძლებელია, მაგრამ თუ მარილს არ მოვაყრით პროდუქტებს, მალე შევეგუებით საკვების ბუნებრივ გემოს. სასურველია, შაქარი თაფლით შეიცვალოს.



## თეთრი პური

ეს გულისხმობს ყველანაირ ფქვილის პროდუქციას. ახალი ფუნთუშები ან თეთრი პური ძალიან გემრიელია, მაგრამ მათში სასარგებლო არაფერი რჩება. საქმე ისაა, რომ ფქვილი მათ დასამზადებლად უკვე „გასუფთავებულია“ მარგებელი ბოჭკოებისგან.



## შემწვარი

არა აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად სასარგებლოა პროდუქტი — მზესუმზირის ზეთზე ან მარგარინზე შეწვა კლავს საკვებში ყველა სასარგებლო თვისებებს და ავრცელებს კანცეროგენებს. გარდა ამისა, წვის დროს პროდუქტში სითხის ნაწილი იცვლება ზეთით, რაც კიდევ უფრო კალორიულს ხდის მას.




## გაზიანი სასმელები

ბუშტებიანი შეღებილი წყალი უფრო მავნეა, ვიდრე წყალში გახსნილი საღებავები, გაზავებული შაქრით. ზოგს სჯერა, რომ უკეთესია სწრაფი კვებისას მივიღოთ გაზიანი სასმელი, მაგრამ ეს ასე არ არის: გაზიანი სასმელი შიმშილის გრძნობას აორმაგებს, რაც იწვევს კიდევ ერთი ჰამბურგერის გადასანსვლის დაუოკებელ სურვილს. სხვათა შორის, „კოკა-კოლა“ ლაითი არაფრითაა უკეთესი ჩვეულებრივ „კოკა-კოლაზე“, ის შეიცავს შაქრის შემცვლელს, რომელიც ორგანიზმისთვის უფრო მავნეა.



## სწრაფი კვება

ცხადია, რომ Fast Food ყველაზე მავნე პროდუქტების სიიდან თავს ვერასდროს დაიხსნის. სისწრაფისა და სიიაფის გარდა მის სასარგებლოდ ვერავინ ვერაფერს იტყვის. ყველის, ბოსტნეულის, სალათის ფურცლებისაგან ბუტერბროდების მომზადება ყველას შეუძლია, მთავარია, მასში შემწვარი შემადგენელი, საწებელა და მაიონეზი გამოირიცხოს, Fast Food უმალ დატოვებს ამ სიას მე-7 პუნქტის გარეშე.



## ალკოჰოლი

ამ პროდუქტის საფრთხე ყველასთვის ცნობილია. ალკოჰოლური სასმელების გამოყენება კვირაში ერთხელ – ეს უკვე ალკოჰოლიზმია; როდესაც არ იცი, როგორ გაატარო დღესასწაული ფხიზელ მდგომარეობაში, ეს უკვე თითქმის ალკოჰოლიზმია. დასაწყისისათვის ღირს უარის თქმა იაფიან ალკოჰოლზე, როგორიცაა ლუდი და ღვინო.





## შებოლილი

ვინ იცის, ზუსტად რისგანაა გაკეთებული სოსისები და რამდენი კვირისაა? მარილიანი და შებოლილი ხორცი აუცილებელია იმისათვის, რომ დიდხანს შეინახოს. ბუნებრივია, მასში სასარგებლო ელემენტები დროთა განმავლობაში ქრება, მაგრამ ძეხვეულს სიძველის გემო ნაკლებად ეტყობა, რადგან მასში არომატიზატორები და გემოს გამაძლიერებლებია დამატებული.



## ტკბილეული

ცხადია, მავნე არ არის ყველაფერი, რაც ტკბილია, მაგრამ მარმელადი, საღეჭი კანფეტები და კიდევ რამდენიმე სახეობა ბევრად მავნებელია, ვიდრე ტორტის ნაჭერი. საქმე ისაა, რომ ისინი შეიცავენ დიდი რაოდენობით ხელოვნურ საღებავებს და არომატიზატორებს. თუ გსურთ ტკბილი, მიირთვით თაფლი, გამხმარი ხილი, შავი შოკოლადი.



## მაიონეზი

საუბარია მაღაზიის მაიონეზზე. თუ შეწყვიტავთ ამ პროდუქტის გამოყენებას კვებაში, რამდენიმე კვირის მერე წელის გარშემოწერილობას არაერთი სანტიმეტრი მოაკლდება. მაიონეზს ემატება აგრეთვე „კეჩუპი“ და ათასგვარი საწებელა, რომლებიც ოჯახში არაა დამზადებული. ისინი შეიცავენ არომატიზატორებს, ცხიმს და გემოს გამაძლიერებლებს. უმჯობესია, ყველაფერი ეს შეიცვალოს უცხიმო არაჟანით — უფრო გემრიელიც იქნება და სასარგებლოც.





საქართველო და მსოფლიო
ყოველკვირეული გამოცემა
ესტუმრეთ ჩვენს საიტს
პოლიტიკა ეკონომიკა საზოგადოება ადამიანის უფლებები ისტორია



http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail: gazeti@inbox.ru

ISSN 2233-3894